ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ

ᲗᲔᲛᲐ

N10 (300) 9/III-15/III.2006. ᲤᲐᲡᲘ 60 Თ.

1168
2006

ᲑᲣᲛᲑᲔᲠᲐᲖᲔᲑᲘ —

„ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲬᲐᲜᲡᲐᲪᲘᲐ. ᲓᲐᲘᲜᲒᲠᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ — ᲒᲐᲗᲘᲖᲝᲕᲘᲚ ᲥᲐᲚᲘ ᲣᲪᲮᲝᲗᲗᲨᲘ ᲒᲐᲕᲐᲠ ᲪᲝᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲪᲘ

ᲒᲐᲜᲓᲔᲛᲘ — ᲥᲐᲠᲘᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐ...

„ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲘᲠᲩᲔᲕᲝᲡ, ᲕᲙᲘᲗᲮᲔ — ᲠᲐᲢᲝᲛ-ᲔᲕᲗᲘᲥᲘ? ᲛᲘᲞᲐᲡᲣᲮᲐ — ᲡᲥᲔᲡᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲡᲮᲕᲐᲠ...“

ᲗᲔᲛᲐ

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ, „ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ“ ᲐᲑᲛᲧᲝ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲓᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

ᲐᲜᲣ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ, ᲨᲔᲒᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ, ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲛᲘᲡᲯᲘᲚᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ...

ᲗᲕᲘᲗᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲕᲔᲡᲬᲣᲛᲠᲐ

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲭᲝᲚᲘᲙᲐᲨᲠᲘ:

„1951 ᲬᲔᲚᲡ ᲢᲐᲘᲒᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠ ᲥᲣᲠᲓᲡ ᲡᲐᲨᲙᲐ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲡ...“



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲐᲠᲮᲖᲔ

ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

არ გამოგრჩეთ მარტის ნომერი

ლიტერატურული პალიტრა

- გურამ ფანცულაია

პროზა

- ალა მოსაშვილი

ვენერას სიზმარი

- გელა გელაშვილი
- ამირან ფიფია

ჭკვა

პოეზია

- ია ფარულავა
- ნათია გოგინაშვილი

მონატრება

- გიორგი ამაშუკი

თარგმანი

- ალექსი ტოლსტოი

ესე

- მანანა ვეშაგური

წერილები

- ოთარ ჭყონია

ხმადაბალი ფიქრები

№ 3(18), მარტი, 2006

ფასი 1.5 ლარი

თქვენ ხომ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

№10 (300)
9 – 15 მარტი 2006
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ავაყვავოთ სამამულო კინემატოგრაფია ანუ „ონკანები“ ქართულად 3
ერთი კითხვა 4
აქტუალური რეპორტაჟი
„სოციალური თემატიკა ამ ქვეყანაში თავისთავად გადაიზრდება ხოლმე პოლიტიკაში“ 5
პოლიტიკა
საპროტესტო აქცია – სასინჯი ქვა ხელისუფლებისთვის თუ ოპოზიციისთვის 7
ტანდემი
როგორი ქალები არ მოსწონს ალეკო მალხაზიშვილს და რისი არ სჯერა ანი გიუნტერს 9
ეკრანს მიღმა
ახალი პროექტი საგზაგადოებრივ არხზე 13
კრიმინალი
- „ჩემი ნიკო არც მაფიოზებს შეეკრა და არც გვერდზე გადგა...“ 13
- მს სამინისტროს თანამშრომელმა ნათესავი ცეცხლსასროლი იარაღით ჩაცხრილა 14
- სასტიკი მკვლელობა – მეგობელი მეგობელმა გამოასალმა სიცოცხლეს 16

გზავნილები
დი-იდი კონკურენცია და „ჩატენილი“, „გემრიელი“ მესიჯები 17
ჩემი თაობა
„ნუ გეწყინებათ და ქალების არ მჯერა...“ 20
ტესტი
ერთგული მკითხველი 21
გემოვნება
ლალი ტოტიკაშვილი: „მამაკაცი უნდა იყოს ინტელექტუალური და სიმპათიური“ 22
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 23
მთავარი თემა
- დოკუმენტური კინო: სახელოვანი წარსული, „ცარიელი“ აწმყო და ბუნდოვანი მომავალი 24
- სიკვდილმისჯილთა საკანი და სხვა... 25
- ...თვალებდათხრილი ფრესკა და თეკალეს ციხეზე ნაგემი სიმაღლის შიში 27

დოკუმენტური კინო: სახელოვანი წარსული, „ცარიელი“ აწმყო და ბუნდოვანი მომავალი

უკვე კარგა ხანია, რაც საქართველოში დოკუმენტური ფილმები თითქმის აღარ იქმნება. არადა, ქართულ დოკუმენტურ კინოს ბევრი რამით შეუძლია მოიწონოს თავი...

24

როგორი ქალები არ მოსწონს ალეკო მალხაზიშვილს და რისი არ სჯერა ანი გიუნტერს

„მე მყავდა მეგობარი, რომელსაც ძალიან ხშირად ვეკითხებოდი რჩევას. მეტისმეტად რომ შევაწუხე ამით და რაღაც სერიოზული ვკითხე, ბოდიში მომიხადა – მაპატიე, ანი, ვერაფერს გირჩევო. ვკითხე – რატომ-მეთქი? მიპასუხა – სქესი მაქვს სხვაო...“

9

„ნუ გეწყინებათ და ქალების არ მჯერა...“

„...რა ითვლებოდა და ადამიანის დაბეზღება. მამაჩემმა მითხრა ერთხელ – თუ შენ ისეთი კაცი გამოხვალ, რომელსაც სხვისი დაბეზღება შეუძლია, ამას სჯობს, მოკვდე და საერთოდ არ გაიზარდოო. რა თქმა უნდა, მამა მართალი იყო“.

20

ტესტი – მაშინებელი ნატურა ხართ თუ მომხმარებელი?

წარმატება თავისთავად იშვიათად მოდის – ის უნდა მოიპოვო. როგორი პოზიცია გაქვთ თქვენ? ხელსაყრელ გარემოებათა მოლოდინში, ძალზე პასიური პოზიცია ხომ არ გიჭირავთ? ეს ტესტი დაგეხმარებათ საკუთარ თავში გასარკვევად.

63

ტაძარი
სასწაულმოქმედი წყაროები 31
რეკორდები
ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე იღბლიანები... 32
ბესტსელერი
შიო გვეტაძე – მონანიება (გაგრძელება) 34
თვითმხილველი
საშა ჩერქეზი 80-იან წლებში ქუთაისში დაბრუნდა და უხმაუროდ ცხოვრობდა... 38
ასპარეზი
ჯემალ ცერცვაძე – „ხელბურთის პელე“ საქართველოდან 41
ჯანმრთელობა
- თირკმლები საფრთხეშია 44
- შიმშილის მეცნიერება 45
- მობილური უსაფრთხოება 45

ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 46
ბუმბერაზები
„ამ წმინდა კოცნის ადგილზე სახლს ავაშენებ და შენი იქნება იგი“ 46
პრემიერა
„შევიძენ დედას“ ანუ „სუპის“ „თანხლებით“ გამართული კინოჩვენება 49
ვარსკვლავები 50
რომანი
რუსუდან ბერიძე – თქეში (გაგრძელება) 52
ავტო
ქენევის სალონის პრემიერები 56
მუნდიალი
მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიის ფურცლები 58
ნამდვილი ამბავი
ქვეშაფსია სიძე და „ბანგების სამართალი“ 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
მაშენებელი ნატურა ხართ თუ მომხმარებელი? 63
... და ბოლოს 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„ხელბურთის პელე“ საქართველოდან



„ხელბურთის პელე“ პირველად, გერმანელმა ჟურნალისტმა მიწოდა, რომელმაც ჩემი თამაში 1967 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე ნახა. ის ერთ-ერთ გაზეთში წერდა, რომ შეუჩერებელი ვიყავი და იუწყებოდა – ნაძლევს ვდებ, მას ვერავინ დაიჭერსო...“

41

„ამ წმინდა კოცნის ადგილზე სახლს ავაშენებ“

„22-23 წლის იქნებოდა მიშა, როდესაც გერმანიაში სასწავლებლად წასვლა გადაწყვიტა. მეც წამოვალო! – შესთავაზა ვერიკომ და ორივენი გაემგზავრნენ. ეს იყო სენსაცია, დაინგრა მთელი თბილისი, ასეთი რამ როგორ შეიძლებოდა – გათხოვილი ქალი უცხოეთში გაჰყვა ცოლიან კაცს!..“

46

საშა ჩერქეზი 80-იან წლებში ქუთაისში დაბრუნდა და უხმაუროდ ცხოვრობდა...



„ყველა პატიმრის ყურადღება სწორედ იმ მხარეს იყო მიპყრობილი. ჩემგან რამდენიმე მეტრის მოშორებით, სამი პატიმარი იდგა ორს, კანონიერ ქურდს – ბლიმნიცოვსა და ბარათაშვილს, რომელსაც მეგსახელად შავ ვეფხვს ეახლნენ, კარგად ვიცნობდი; მივსვდი, რომ მესამე, სწორედ „ზვერი“ უნდა ყოფილიყო. გადავწყვიტე, საშასთან ახლოს ჩამეელო...“

38

მონანიება

მივუახლოვდი თუ არა საბაგირო გზის სადგურს, ვაგონის გასაჩერებელი ბაქნის ქვეშ, თოვლისგან დაუფარავ ადგილას, რაღაც შავი საგანი შევამჩნიე, მწოლიარე ადამიანად აღვიქვი და შევეხმიანე. არ განძრეულა. ახლოს მივედი. მართლაც, ადამიანი აღმოჩნდა.

34

ავაყვავოთ სამამულო კინემატოგრაფია

ანუ „ონკანები" ქართულად

ზარმაცი და მოწუწუნე ხალხი ვართ ქართველები, ხელის და ტვინის განძრევა არ გვინდა; სხვის მიერ გაკეთებულ საქმეზე კი მოვყვებით ოხვრას, ჩვენ რატომ ვერ ვახერხებთ ამასო... მაგალითად, მთელი საქართველო, რამდენიმე დღეა, ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს — „ოსკარების" გადაცემის მორიგი ცერემონიის შესახებ ქოთქოთებს, ჩვენ როდის მივალთ მაგათ დონემდეო... არადა, მისულიც ვართ და გადასწრებულებიც უკვე, მაგრამ ვერ ვხვდებით.

მართალია, ჩვენი მთავრობა აკადემიებს მაინცდამაინც არ წყალობს და მეცნიერებათა აკადემიაც გააუქმა, მაგრამ არა მგონია, კინოაკადემიის შექმნაზე უარი თქვას, მით უმეტეს, თუ უკვე გამზადებულ ნომინანტ ფილმებს ვუჩვენებთ, სადაც ისინი მთავარ როლებში არიან და კეთილ გმირებს განასახიერებენ. ჰოდა, რაღა დარჩა გასაკეთებელი? არაფერი — უბრალოდ, ოფიციალური სახე მივცეთ ყველაფერს და დაჯილდოების ყოველწლიური ცერემონიებიც მოვაწყოთ პირდაპირ პარლამენტში. მსახიობები არა გვყავს თუ რეჟისორ-სცენარისტები?! სცენარებს ჩვენები რომ წერენ, ისეთი უნდა: დეტექტიური ჟანრის, გნებავთ, კომედიური თუ საშინელებათა ჟანრის... გადაღებაზე კიდევ, ერთი თეთრიც არ გეხარჯება, შენ ოღონდ გააკეთე რაიმე ყურადღების მისაქცევი — იჩხუბე ან მიტინგი მოაწყვე, და თვითონ მოვლენ საინფორმაციო პროგრამებიდან და ისე გადაიღებენ და დაამონტაჟებენ, რომ ჰოლივუდსაც კი შეშურდება: სად სპილბერგის და პოლანსკის გადამღები ჯგუფები და სად — „კურიერი" და „ქრონიკა"?! შენი მოსაგვარებელი მხოლოდ ერთი საკითხია — პრიზების გაკეთება, რაც კია ფულთან დაკავშირებული, მაგრამ ესეც რა პრობლემაა? ბოლო-ბოლო იმ მეცენატებს მივმართავთ, ყველაფერს რომ აფინანსებენ, ოღონდ, მათზე კარგი თქვან... ჰოდა, წარმოიდგინეთ: მსოფლიოს კინოსაზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია საქართველო, სადაც ტარდება ეროვნული კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს — „ონკანის" („ონკანი" იმიტომ, რომ „ოსკარისგან" განსხვავებულიცაა და წააგავს კიდეც. თანაც იაფია, შვიდ-შვიდ ლარად იყიდი ელიავაზე, თანაც ოქროსფერს) გადაცემის საზეიმო ცერემონია.



საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის, რა თქმა უნდა, კობა ბექაური გახდება „ონკანის" მფლობელი, რომელმაც ისე გადაიღო დეტექტივი, რომ მთავარი როლის შემსრულებელი ვერც კი მიხვდა. თუმცა პარლამენტის დატოვების შემდეგ, ამ ექსდეპუტატს მეორე „ონკანის" აღების შანსი აქვს ფილმისთვის „მოკვეთილი".

საუკეთესო სცენარისტის ნომინაციაში, ბადალი არ ეყოლება სახელმწიფო მინისტრსა და გაყიდვების დიდოსტატ ბატონ ბენდუქიძეს ფილმებისთვის „ვენეციელი ვაჭარი" და „ამაოების ბაზარი". ხოლო რაც შეეხება მთავარი და მეორეხარისხოვანი როლების ნომინაციებს, აქ ბევრი ღირსეული პრეტენდენტი გამოჩნდება. მართლაც, წინასწარ არავინ იცის, ვის შეხვდება ნანატრი „ონკანი": ჟირინოვსკისა და ზატულინს ფილმისთვის „შერეკილები", თუ კოკოითსა და ჩოჩიევს — ფილმისთვის „გიჟები სტადიონზე"...

საუკეთესო ქორეოგრაფიული ნამუშევრისთვის, ჟიურის წინასწარ ექნება განსაზღვრული გამარჯვებულთა ვინაობა, რადგან ძიძიგურისა და დავითაშვილის შესანიშნავ ცეკვებზე გადაღებულ ფილმს „მგლების ხორუმი", მაინც დაჩრდილავს ჯორჯ ბუშის თბილისში ვიზიტისას შექმნილი შედევრი „იცეკვე, იცეკვე"...

რაც შეეხება მამაკაცის მთავარი როლის ნომინაციას, ეს ყველაზე მდიდარი ნომინაცია იქნება, რადგან არაერთი კონკურენტუნარიანი ფილმი მოიყრის თავს: საშინელებათა ჟანრში — საკრებულოს ჩხუბებზე გადაღებული ფილმი „სისხლიანი სპორტი 1-2-3 და ა.შ.", ფანტასტიკის ჟანრში — ფილმი „კეთილი ზღაპარი", რომელიც მთავარი ლეიბორისტის პრესკონფერენციებზეა გადაღებული და რა თქმა უნდა, პრეზიდენტისა და თანმხლები გუბერნატორების თხილამურებით დაშვება — ფილმში „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან"... ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მე კი წარმატებას გისურვებთ, დიდებულო მსახიობებო, „ონკანი" თქვენია...

P.S. *ცოლი მიმართავს დეპუტატ ქმარს:*

— რა ქენი, კაცო, ისევ პრიზის გარეშე დარჩი?!

— ისევ.

— კი, მაგრამ რაც ჩხუბები მოხდა, ყველაში შენ გცემეს, ნეკნი აღარ გრჩება მთელი და ერთი „ონკანი" აღარ გეკუთვნის?!

— მე კასკადიორის „პონტში" ვარ, საყვარელო: მე მცემენ და პრიზს სხვას აძლევენ...

პროვოკატორი

„დევნილებისთვის ღირსების დაბრუნება ყველაზე მთავარია“

— თქვენი სამინისტრო დევნილებს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას დაჰპირდა, კონკრეტულად რისი იმედი უნდა ჰქონდეთ ლტოლვილებს?

გია ხევიაშვილი, *ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი:*

— დღემდე, დევნილთა პრობლემების გადასაჭრელად თანხები არამიზნობრივად იხარჯებოდა. ერთიანი სტრატეგიის შემუშავება უზრუნველყოფს როგორც საბიუჯეტო, ისე დონორთა მიერ გაღებული თანხებით დასახული პროექტების მიზანმიმართულ დაფინანსებას. ჩვენი პრიორიტეტი იქნება დევნილთა საბინაო პირობების გაუმჯობესება, მიკროსესხებით უზრუნველყოფა, მცირე და საშუალო ბიზნესის წამოსაწყებად, მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია და მშობლიურ კუთხეში დაბრუნებამდე, თითოეული მათგანისთვის ღირსეული პირობების შექმნა. დევნილებისთვის ღირსების დაბრუნება ყველაზე მთავარია, რომ მერე ღირსეულად დავბრუნდეთ საკუთარ მიწა-წყალზე. სტრატეგიით გათვალისწინებული ყველა პროგრამა, სავარაუდოდ, 2010 წლამდე განხორციელდება. ჩვენ გვინდა, რომ ამ დროისთვის, დევნილებს დარჩეთ მხოლოდ სტატუსი და დასრულებული იყოს მათი სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანია, რომ ამ გეგმების განხორციელების საქმეში სრულ მხარდაჭერას გვიცხადებენ და ჩვენთან აქტიურად ითანამშრომლებენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ჩვენ დევნილებს შევუსრულებთ იმას, რასაც სამინისტრო და მთლიანად საქართველოს მთავრობა დაჰპირდა. დევნილები მხოლოდ არჩევნების დროს არ უნდა გვახსენდებოდეს... ■

„საერთოდ, რეგიონში ჩასვლის ნებართვას დე ფაქტო ხელისუფლებისგან იღებენ...“

— აფხაზების მიერ დაპატიმრებული ქართველი ჟურნალისტების ბედი კვლავ გაურკვეველია. თქვენი ინფორმაციით, რა პირობებში იმყოფებიან ისინი?

გია ვოლსკი, *სახელმწიფო მინისტრის მოადგილე:*

— საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ თეა შარია, თემურ ელიავა და ტარიელ სოხაძე სასტიკად არიან ნაცემი, ისინი სოხუმის უშიშროების იზოლატორში გადაიყვანესო. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ თავად დაპატიმრებულები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. ჩვენ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისს ვთხოვეთ, რომ ამ საქმეში აქტიურად ჩაერთოს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ კინოდოკუმენტალისტებს აფხაზეთში ჩასვლისა და ყოფნის თაობაზე შეთანხმება ჰქონდათ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ისინი მაინც დააკავეს. მათი მიზანი, მხოლოდ მონასტრების გადაღება არ ყოფილა, ეს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოებული სამუშაოს ერთ-ერთი ნაწილი გახლდათ. ჩვენ ვიცით, რომ აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლის დროს, შარიას, ელიავასა და სოხაძეს ვიდეოკამერა თან არ ჰქონიათ. საერთოდ, აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ჩასვლის ნებართვას ჟურნალისტები დე ფაქტო ხელისუფლებისგან იღებენ. ამჯერად, ასე არ მოხდა, რასაც მათი დაპატიმრება მოჰყვა. ჟურნალისტებს საზღვრის უკანონო გადაკვეთისა და ჯაშუშობის ბრალდება წაუყენეს. ჯგუფური დარღვევის შემთხვევაში, სასჯელად შეიძლება, ორწლიანი პატიმრობაც განუსაზღვრონ. თუმცა, ჩვენ გვაქვს იმედი, რომ საერთაშორისო დამკვირვებლების დახმარებით, შესაძლებელი იქნება დაკავებულების გათავისუფლება. ■

„კანონის მიღებას ყოველთვის უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავდა...“

— პარლამენტში ლუსტრაციის კანონის მიღებას აქტიურად უჭერთ მხარს. რომელი ქვეყნის აგენტურის გამოვლენას ელოდებით?

ნოდარ გრიგალაშვილი, *ფრაქცია „ნაციონალების“ წევრი:*

— ლუსტრაციის კანონის მიღება წინა პარლამენტმა ვერ შეძლო; იმედი მაქვს, ამჯერად მაინც მოხერხდება. მე ვერ ავიტან, რომ პარლამენტში ჩემ გვერდით იჯდეს სუკის აგენტი და შეურაცხყოფების სერიას აგრძელებდეს... აგენტი, განყენებული თემა არ არის — ის სამშობლოს მტერია და მას ისე უნდა მიეზღოს, როგორც ქვეყნის მოღალატეს. როგორც ცნობილია, უშიშროების არქივი, რომელიც ყველას თავის ადგილს მიუჩენდა, რუსეთშია გადატანილი, მაგრამ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ დოკუმენტაციის გაცნობა და მისი გამოქვეყნება მოხდეს. უცხო ქვეყნის აგენტები, ყოველგვარი მორალური პასუხისმგებლობის გარეშე, ჩვენს პარლამენტშიც იმყოფებიან და სრულიად არაკაცური ქმედებებით ცდილობენ, ლაფში ამოსვარონ ადამიანები. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში წლებია, ეს საკითხი მზადდება და ლუსტრაციის კანონის მიღებას ყოველთვის უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მაგრამ ოდესმე ხომ უნდა დასრულდეს ეს პროცესი! აღარ დადგა იმის დრო, რომ აგენტებს საკუთარი ნამოქმედარი სახეზე ავაფაროთ?! ამის შემდეგ ილაპარაკონ ზოგიერთებმა იმ კაცობასა და ღირსებაზე, რომელიც რეალურად არ გააჩნიათ... ■

„ოქრუაშვილმა უნდა გაგვარკვიოს, რა ტიპის თავდაცვის სისტემას ვაშენებთ...“

— ოპოზიცია ირაკლი ოქრუაშვილს სამხედრო დაზვერვის გაუქმებაში ადანაშაულებს. თქვენი აზრით, რა შეიძლება მოჰყვეს ამ სტრუქტურის დაშლას?

კოგა დავითაშვილი, *ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრი:*

— ჩემთვის გაურკვეველია, თუ რას ემსახურებოდა თავის დროზე, სამხედრო აკადემიის გაუქმება. როგორ უნდა აშენდეს ჯარი, რომელსაც არ ეყოლება საკუთარი ოფიცერთა კადრები?.. მაგრამ ოქრუაშვილის მეორე ნაბიჯმა კიდევ უფრო გამოაცა: 9 ნოემბერს, თავდაცვის მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც, სტრუქტურის რეორგანიზაცია მოხდა და იმწუთასვე, ქაღალდზე შეიქმნა ამ სამხედრო დაზვერვის უფლებამონაცვლე ორგანო. რეალურად, სამხედრო დაზვერვის ქონებას, შენობას, მოწყობილობას გადასცემენ სხვა სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც დაზვერვასთან არანაირ კავშირში არ არიან. ჩემი ინფორმაციით, ამ შენობის ადგილზე რაღაც ორი ახალი კორპუსის მშენებლობა იგეგმება. რეალურად, ქვეყანას აღარ ჰყავს სამხედრო დაზვერვა, რაც თავისთავად ასუსტებს ჩვენს თავდაცვისუნარიანობას. გარდა ამისა, არსებობს მეორე საფრთხე: სამსახურიდან გათავისუფლებულ, გამწარებულ ადამიანებთან მუშაობა დაიწყეს რუსეთის ემისრებმა — იმავე იგორ გიორგაძის პარტიამ და სხვებმა. ჩვენი ინფორმაციით, ისინი სამხედრო დაზვერვის ოფიცრებისა და რიგითი შემადგენლობის წარმომადგენელთა გადაბირებას ცდილობენ. მე მათ ვთხოვ, მიუხედავად ხელისუფლების უსამართლობისა, ნუ ჩადგებიან ჩვენი მტრების სამსახურში!.. რაც შეეხება ოქრუაშვილს — ის აუცილებლად უნდა მოვიდეს პარლამენტში და თუნდაც დახურულ სხდომაზე გაგვარკვიოს, რა ტიპის თავდაცვის სისტემას ვაშენებთ, ოფიცრებისა და სამხედრო დაზვერვის გარეშე.

■

რუბრიკა მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

„სოციალური თემატიკა ამ ქვეყანაში თავისთავად გადაიზრდება ხოლმე პოლიტიკაში“

ემა ტუხიაშვილი

საკონტროლო-სალარო აპარატების თემა ქვეყანაში კვლავ აქტუალურია. მოვაჭრეების წინააღმდეგობის მიუხედავად, მთავრობა დათმობაზე წასვლას არ აპირებს და მტკიცედ დგას იმ აზრზე, რომ ეკონომიკის სხვა სფეროების მსგავსად, ვაჭრობაც, მისი მასშტაბების მიუხედავად, მკაცრი ადმინისტრირების ქვეშ უნდა მოექცეს. ამ გზით ხელისუფლებას ქვეყნის ბიუჯეტის შევსება სურს. მოვაჭრეებს კი საკუთარი შემოსავლების დაკარგვის ეშინიათ. მკაცრი საჯარიმო სანქციების მიუხედავად, მოვაჭრეების დიდი ნაწილი კვლავ სალარო-აპარატების გარეშე მუშაობს.

ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრი თბილისში, ხალხში გავრცელებული სახელწოდებით — „ვაგზლის ბაზრობაა“, რომელიც 5000-მდე მოვაჭრეს იტევს. შესაძლოა, ბევრმა არც იცის, რომ სინამდვილეში, ამ ბაზრობას „თერგი“ ჰქვია. ხოლო აქ წარმოდგენილი პროდუქცია, ძირითადად, მასობრივ მომხმარებელზეა გათვლილი. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როდესაც ბაზრობის შესასვლელთან ერთმა კაცმა მომაძახა: ვაკეში მშენებარე ბინა ათ შაურად გინდაო?... მაგრამ ჩემს თვალებში გაოცებასთან ერთად, შეშფოთებაც რომ ამოიკითხა, ლატარიის ბილეთები გამომიწოდა. ასე მოხვდა ეს მოვაჭრე კაცი ჩემს რეპორტაჟში, მე კი სალარო-აპარატებზე სასაუბროდ, პირველად იმ სავაჭრო რიგს მივაშურე, რომლის თავშიც, საქართველოს სახელმწიფო დროშა ფრიალებდა. როგორც ყოველთვის, სავაჭრო რიგში ახლაც უამრავი ხალხი ირეოდა. გუგუნში გადაზრდილი ხმაური ახლაც ჭრიდა ყურს, მაგრამ ბრაზილიური სერიალების ნაცვლად, ახლა ყველა, საკონტროლო სალარო-აპარატებზე ლაპარაკობდა.

— ხომ მივიდა, გენაცვალე, შარშან „პირიმზეში“ და უთხრა ინდმეწარმეებს: ყველას გათავისუფლებთ გადასახადებისაგანო, ჩვენგან რა უნდა, რას გვერჩის? აგერ დილიდან ჯერ „სიფთა“ არ გამიკეთებია და შენ დააჯერებ საგადასახადოს თანამშრომელს — ვერაფერი გავყიდე და ჩეკი ამიტომაც არ ამოვარტყიო? მოდი, შვილო, საშენო კარგი „ზედები“ მაქვს. იაფად მოგცემ, — დახლთან მოვაჭრე ქალბატონი უკვე მე მომმართავდა. ამიტომაც ვეღარ გავუბედე — მხოლოდ თქვენს მოსასმენად შევეჩერდიმეთქი და ისე, რომ არაფერი მითქვამს, სხვა დახლთან გადავინაცვლე.

— ღამე აღარ მძინავს, ყოველთვიურ მოგებას და ხარჯებს ვითვლი. თვეში დაახლოებით 300 ლარს ვვაჭრობ, აქედან 150 საქონლის თვითღირებულებაა, ამდენივეა მოგება, 300 ლარიდან 92 კი საგადასახადომ უნდა წამართვას. რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე, არ ვიცი!...

— შენ კიდევ რა გიჭირს, ქმარს ნორმალური სამსახური აქვს და მშიერი არ იქნები. ჩემსას კი, „ელიავაზე“ ჯიხური დაულუქეს, არადა, გუშინ სისხლის ანალიზის პასუხები გამოვიტანე, გემოგლობინი ძალიან დაბალი მაქვს და სასწრაფოდ მკურნალობა მჭირდება. რა ვქნა, რომც მოვკვდე, ჩემი წამლების გულისთვის შვილებს პირიდან ლუკმას ვერ გამოვაცლი....

ასეთი დიალოგის შემდეგ, მივხვდი, რომ მოქმედების დრო იყო და მოვაჭრე ქალბატონებს ჩემი ვინაობა გავუმხილე. ამას კი ჩემთვის მოულოდნელი რეაქცია მოჰყვა. ქალბატონებმა სავაჭრო რიგის ორივე მხარეს შესძახეს კოლეგებს — ჟურნალისტია მოსულიო! — და წუთში იმდენი ხალხი მოგროვდა ჩემ ირგვლივ, ლეიბორისტული პარტიის ნებისმიერ აქტივისტს შეშუდებოდა. პირველად სიტყვა განათლებით მუსიკათმცოდნემ, ამჟამად კი მოვაჭრე **ქალბატონმა ლიამ** *მოითხოვა.* — მთავრობამ უნდა გააცნობიეროს, რომ ჩვენ სოციალურად დაუცველი ფენა ვართ. მაშ, სხვა რა შეიძლება უწოდო ადამიანს, რომელიც ყინვასა თუ პაპანაქება სიცხეში, დილიდან დაღამებამდე, ნახევრად გადახურულ შე-

ნობაში, ცემენტის იატაკზე დგას და ვაჭრობს. პირადად მე, უკვე 12 წელია, ასეთ პირობებში ვმუშაობ და შედეგად მივიღე ის, რომ ასთმა ჩამომიყალიბდა. როდესაც დახლზე მოვაჭრეებს საკონტროლო სალარო-აპარატების გამოყენებას ავალდებულებენ, უპრიანი იქნებოდა, ერთხელ მაინც შემოეხედათ ბაზრობზე და დარწმუნდებოდნენ, რომ არარეალურს ითხოვენ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ყოველი მოვაჭრის დახლი ბაზრობაზე 80 სანტიმეტრს არ აღემატება — რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ ამ ტერიტორიაზე განლაგებულ მაღაზიებს და ჯიხურებს. ასეთ მცირე ადგილას გასაყიდ პროდუქციას ძლივს ვატევთ და წარმოუდგენელია, სად უნდა დაიდგას კიდევ სალარო-აპარატი. გარდა ამისა, ბაზრობაზე ხშირია ქურდობა. ადამიანი მანქანა ხომ არა ხარ, მთელი დღის განმავლობაში, ერთნაირად მობილიზებული იყო, ხოლო 300-ლარიანი ნივთის მუქთად ჩაგდება ხელში, ვის არ აღუძრავს მოპარვის სურვილს?!

— **გამოდის, რომ სალარო-აპარატის გამოყენებაზე უარს ამბობთ...**

— დღეს რომ მაჩუქონ კიდეც „კასა“, ასე მუშაობა არ მიღირს. დავიწყოთ იმით, რომ თითქმის ყველა მოვაჭრეს, საკუთარი ბიზნესის დასაწყებად ბანკიდან სესხი აქვს აღებული და პირადად მე, ყოველთვიურად ბანკს, პროცენტული დანარიცხის სახით, 300 ლარს ვუხდი. გარდა ამისა, ყოველდღე, ბაზრის დირექციას ვუხდი 3 ლარს, იმისათვის, რომ ამ დახლთან ვვაჭრობ. ამას ემატება ჩემი ყოველდღიური კვების ხარჯები, გზის ფული და თუ სახლში წასაღებად მომრჩა რამე, ღმერთს მადლობას ვწირავ. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ შესაძლოა, მთელი კვირის განმავლობაში ვერაფერი გავყიდო და შესაბამისად, თვე მოგების გარეშე დავხურო. გეკითხებით, ასეთ დროს რით გადავიხადო ის გადასახადები, რომლებსაც მთავრობა მაკისრებს?!

— არ ვიცი, სხვა ბაზრობებზე რა ხდება, მაგრამ ჩვენ შორის ინდმეწარმედ არავინაა რეგისტრირებული. სწორედ ამას ცდილობს ხელისუფლება, რომ ყოველი ადამიანის საქმიანობა მკაცრი კონტროლის ქვეშ აიყვანოს და როდესაც მოუნდება, მოვაჭრეების ჯიბეში აფათუროს ხელები. რატომ ავიწყდება ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს, რომ 2003 წლის ნოემბრის მოვლენების დროს, პირველები ვიყავით, ვინც მის მოწოდებას გამოეხმაურა და გამარჯვების ბოლო წუთებამდე მის გვერდით ვიდექით. იქიდან წამოღებული დროშა ახლაც ამშვენებს ჩვენს სავაჭრო რიგს. არავინ იფიქროს, რომ საპროტესტო აქციებზე, ოპოზიციურ ძალებთან გვერდით ყოფნა იმის ნიშანია, რომ მოვაჭრეები იზიარებენ მათ პოლიტიკურ კურსს. ჩვენ მხოლოდ სოციალური პრობლემა გვაწუხებს და არ მსურს, რომ ჩვენ მიერ არჩეული ხელისუფლების მიმართ ნდობა დავკარგო.

— ყოველი სამუშაო დღის დასასრულს, სქონელს შემნახველ საკანში ვინახავთ, — *ქალბატონ ლიას სიტყვა* ***ბატონმა დემურმა*** *ჩამოართვა,* — მაგრამ სალარო-აპარატის ტარება ალბათ, სახლში მოგვიწევს, რადგან მისი კვების წყარო, ელექტრონერგიაა და თუ ვერ დატენე, მეორე დღეს ველარ გამოიყენებ. გვეუბნებიან, რომ გაყიდული საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევაში, მყიდველს და მომხმარებელს შორის აქტი უნდა დაიწეროს და მას არანაკლებ სამი ადამიანი უნდა ადასტურებდეს თავისი ხელმოწერით. მითხარით, სად უნდა ვირბინო მესამე მოწმის მოსაყვანად და ამ დროს, ჩემი დახლი უპატრონოდ უნდა მქონდეს მიტოვებული?!.. მოკლედ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას განგებ შემოაქვს ასეთი დრაკონული კანონი, რათა მოვაჭრეებმა საკუთარი ნებით თქვან უარი ამ საქმიანობაზე და ბაზრობის ტერიტორია მავანმა ჩაიგდოს ხელში...

— მოსკოვის ცენტრში უზარმაზარი სავაჭრო ცენტრი „ლუჟნიკია“, სადაც არაერთხელ ვარ ნამყოფი, მაგრამ არც ერთ დახლზე მოვაჭრეს იქ სალარო-აპარატის გამოყენებას არ აიძულებენ. „კასები“ არც სტამბოლის ბაზრობებზე მინახავს და გამოდის, რომ თურქეთის მთავრობა ბიზნესის ლეგალიზაციაზე არ ზრუნავს?! ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს სავაჭრო სექტორის დიფერენცირება და წვრილ მოვაჭრეებს ფიქსირებული გადასახადი გვაკმაროს, — *კიდევ ერთი ადამიანი ცდილობდა საკუთარი აზრის დაცვას.* — კაცო, რომ გაიძახით: ფიქსირებული გადასახადიო, ისიც უნდა დააკონკრეტოთ, რამდენის გადახდა შეგიძლიათ ყოველთვიურად. არ იცით ჩვენი მთავრობის ამბავი? აიღებს და დაგიწესებს თვეში 200 ლარს, მერე მიდი და უყარე კაკალი!... — *ასეთი რჩევები ისმოდა ჩემ გარშემო შეკრებული მოვაჭრეების წრიდან.*

— მერწმუნეთ, როგორც კი სალარო-აპარატების გამოყენებას გვაიძულებენ, ჩვენ მიერ გასაყიდად გამოტანილი პროდუქცია უნდა გავაძვიროთ, რაც ისევ და ისევ მოსახლეობას დააზარალებს. მთავრობა გვპირდება, რომ რამდენიმე წელიწადში, საბაჟო გადასახადებს გააუქმებს, მანამდე კი ცდილობს, ბოლომდე გაგვატყაოს?!

— **რას გულისხმობთ?**

— იცით, როგორ ხდება დღეისათვის საბაჟო ტერმინალზე ტვირთის განბაჟება?.. აქამდე, თუ ტვირთის მოცულობაზე კონკრეტულ თანხას ვიხდიდით ანუ წონის მიხედვით განვბაჟებდით, ახლა თითოეული საქონლის განბაჟება მისი ღირებულების 35%-ით იბეგრება. საბაჟოზე აქვთ ფასების რეესტრი, რომლითაც ხელმძღვანელობენ. თქვენ წარმოიდგინეთ, 35%-ს ვიხდით ყოველი შემოტანილი ჟაკეტიდან, შარვლიდან და ა.შ. ამას რომ კიდევ სალარო-აპარატის ხარჯები დავუმატოთ, სამომხმარებლო ფასები ქვეყანაში ასტრონომიულ ციფრებს მიაღწევს.

— **ახლა არ გეშინიათ, რომ სალარო-აპარატის არქონისთვის საგადასახადოს ინსპექტორი სოლიდური თანხით დაგაჯარიმებთ?**

— დამიჯერეთ, რომ სხვა გზა არ გვაქვს. თუ ამ ელემენტარული შემოსავლების გარეშე დამტოვებენ, შიმშილი და სიკვდილი მელის, ამიტომ ყველამ იცოდეს, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ....

ასეთი სიტყვებით დამძიმებული ვტოვებდი ბაზრობის ტერიტორიას, როდესაც მოულოდნელად, ერთ-ერთ დახლთან საკონტროლო სალარო-აპარატი შევნიშნე.

— **თქვენია ეს „კასა“?**

— კი, ჩემია და რაშია საქმე?

— **უბრალოდ მიკვირს, რადგან თქვენი კოლეგების აზრით, სალარო-აპარატით მუშაობა წამგებიანიაო...**

— თადარიგი წინასწარ დავიჭირე და სალარო-აპარატი ერთი თვის წინ, 340 ლარად შევიძინე. კანონის თანახმად, აპარატის გარდა, ყოველი გაყიდული საქონლის აღრიცხვა ორ ჟურნალშიც უნდა აწარმოო, რაც საბუღალტრო მომსახურებას მოითხოვს. ამიტომაც მყავს ბუღალტერი, რომელსაც ყოველთვიურად 30 ლარს ვუხდი. ამას ემატება ჩეკის ქაღალდის თანხა, — თვეში 25 ლარი და ცენტრალური მომსახურების ხარჯები — ასე 10-15 ლარის ფარგლებში. საშემოსავლო და სოციალური გადასახადი ჯერ არ გადამიხდია. — თვის დასასრულს ველოდები. ყოველივე ეს კი, მოვაჭრის მოგების წილს, მნიშვნელოვნად ამცირებს. მაგრამ რა ვქნათ — თავს ზემოთ ძალა ხომ არ გვაქვს!...

გია ხუხაშვილი, *ეკონომიკური ექსპერტი:*

— ხელისუფლების მიერ გაცხადებული, დეკლარირებული მიზანი აბსოლუტურად გასაგები და მისაღებია, მაგრამ მეორე მხარეს დგას მოვაჭრეთა მთელი არმია, რომლებსაც აქვთ საკუთარი ლოგიკური არგუმენტები. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, როგორი პირობებია შექმნილი მოვაჭრეებისათვის ბაზრობებზე — ამიტომ ტექნიკური თვალსაზრისით, ჩემთვის ცოტა გაუგებარია, სად უნდა დადგან და როგორ უნდა გამოიყენონ მოვაჭრეებმა სალარო-აპარატი. ამას რომ თავი დავანებოთ, სალარო-აპარატის მოხმარება შესაძლოა, იმდენად დიდი პრობლემა არ იყოს, რამდენადაც სწორი აღრიცხვიანობა. ამისათვის კი, მოვაჭრეს აუცილებლად დასჭირდება, რომ მთელი თავისი საქონელი, შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურით ჰქონდეს აღებული. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ არარეალური ამოცანა დაისახა. თუ მაინცდამაინც სურთ, მკაცრი წესრიგი დაამყარონ სავაჭრო ობიექტებზე, ბევრად უფრო პატიოსნად მოიქცეოდნენ, თუ ხმამაღლა განაცხადებდნენ, რომ ბაზრობების დაკეტვა სურთ. ამგვარი ქმედებები კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ყველაფრის ზედაპირულად გაკეთება გვსურს და პრობლემას არ განვიხილავთ სიღრმისეულად, არ ვითვალისწინებთ ყველა შესაძლო რისკსა და საფრთხეს. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ხელისუფლების მიზანი კარგია, მაგრამ მისი განხორციელების გზები — აბსოლუტურად არასწორი. როგორც ხედავთ, სალარო-აპარატის თემა გარკვეულწილად, სოციალურ საკითხებსაც უკავშირდება. მე მაინც მგონია, რომ ხელისუფლების მხრიდან უფრო სწორი ნაბიჯი იქნებოდა ამ ეტაპზე, მეტ-ნაკლებად შემოტანა და ეტაპობრივად განხორციელება იმისა, რასაც ცდილობს, ახლა გააკეთოს.

— **ამ სოციალური პრობლემის პოლიტიკურ სიბრტყეში გადატანაზე რას ფიქრობთ?**

— ეს ყოველთვის ასე ხდება და გასაკვი-

რი არაფერია, ყოველთვის გამოჩნდება ვიღაც, ვინც ასეთ დროს, სიტუაციას სათავისოდ გამოიყენებს. თუმცაღა, ვერ გავამტყუნებ ოპოზიციურ ძალებს იმაში, რომ ისინი იყენებენ ამ სიტუაციას, რადგან ადამიანურად, მეც გული შემტკივა იმ ხალხზე, ვისთვისაც მცირე ვაჭრობა ერთადერთი შემოსავლის წყაროა. სოციალური თემატიკა კი, ამ ქვეყანაში თავისთავად გადაიზრდება ხოლმე პოლიტიკაში. ამიტომ ხელისუფლებას კარგად უნდა სცოდნოდა, რომ სალარო-აპარატის თემა, საბოლოო ჯამში, ასეთ მიმართულებას მიიღებდა. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები. ფაქტია, რომ ხელისუფლება კარგავს საზოგადოების გარკვეულ ფენებს. თანაც, ეს ისე მიზანმიმართულად ხდება, თითქოს შიგნიდან უთხრიდეს ვიღაც ძირს. ამას ემატება ისიც, რომ საზოგადოების ეს ნაწილი გაცილებით აქტიურია, განსხვავებით ინტელიგენციისაგან, ხოლო როდესაც არსებობის წყაროს ართმევ, მის გააქტიურებას კიდევ უფრო უწყობ ხელს. აქედან გამომდინარე, რისკი ამ შემთხვევაში უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ანალოგიურ შემთხვევაში — ვგულისხმობ მეცნირებათა აკადემიის ფაქტობრივ გაუქმებას და ა.შ. რა თქმა უნდა, ამ ადამიანებს აქვთ მანიფესტაციის გამართვის უფლება და თუ ხელისუფლება ამას ძალას დაუპირისპირებს, ეს გამოიწვევს ამ მოძრაობის კიდევ უფრო გაძლიერებას. ამიტომ, არ გამოვრიცხავ ვითარების კიდევ უფრო დაძაბვას და თუ ხელისუფლება გარკვეულ მოქნილობას გამოიჩენს, არ იქნებოდა ცუდი. გამოსავლის პოვნა ყოველთვის შეიძლება, უბრალოდ, ხელისუფლება დიალოგზე უნდა წავიდეს. ■

საპროტესტო აქცია

— სასინჯი ქვა ხელისუფლებისთვის თუ ოპოზიციისთვის

თამარ როსტიაშვილი

სალარო-აპარატის გამოყენების აუცილებლობასთან დაკავშირებული კანონის ირგვლივ ატეხილმა აჟიოტაჟმა, თანდათანობით ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციის სახე მიიღო. მცირე მეწარმეებს (და არა მხოლოდ მათ) პრობლემამ, განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიის მქონე ოპოზიციური პარტიები — კონსერვატორები, ლიბერალისტები, რესპუბლიკელები და „ახალი მემარჯვენეები" გაერთიანა და ახლა უკვე ისინი, ერთობლივი ძალით, აქციაში მონაწილეობის მისაღებად მოვაჭრეებს რაიონებიდან უხმობენ.

რა შედეგს გამოიღებს საპროტესტო აქციები და რა დათმობაზე უნდა წავიდეს ხელისუფლება, რათა ამომრჩეველთა ნდობა შეინარჩუნოს? — ამ კითხვებით პოლიტოლოგებს მივმართეთ.

გია ნოდია:

— ოპოზიციის პრობლემა ის არის, რომ მხოლოდ კონტრშეტევებს ახორციელებს და პროტესტს, კონკრეტულ ქმედებებთან დაკავშირებით აცხადებს. მის ქმედებებში ნაკლებად ჩანს სახელმწიფოს მართვის ალტერნატიული სტრატეგია, ერთიანი გზავნილი ხელისუფლების მისამართით. მიმაჩნია, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას სუსტ ოპონირებას უწევს. წინამორბედი ხელისუფლების მოწინააღმდეგეები, ხელისუფლების სისუსტედ, ქვეყანაში არსებულ კორუფციას ასახელებდნენ. მიუხედავად ამისა, მაშინაც კი ვამბობდით, რომ ოპოზიციას ხელისუფლების გასაკრიტიკებლად, სუსტი არგუმენტები მოჰყავდა. ოპონენტები ხელისუფლებას ცალკეული საკითხების გამო „ყელმოღერებით" აკრიტიკებენ, მაგრამ რისთვის, ეს მკაფიოდ გამოხატული არ არის. ოპოზიციას ქვეყნის მართვის ალტერნატიული პრინ-

Schiff 60 ჯეოვიტი

იუჯინ შიფის ნატურალური ვიტამინები

სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის.

გაზაფხული... ორგანიზმის რესურსები გამოფიტვის ზღვარზეა. დაეხმარეთ თქვენს თავს და ახლობლებს აკადემიურად —

შეივსეთ ვიტამინების სეზონური დეფიციტი.

ამერიკული კომპანია „შიფის" ავტორიზებული დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი" ილ. ჭავჭავაძის გამზ. 41 ტელ: 29-20-91; 899-10-99-20

ციპი ჩამოყალიბებული არა აქვს. არის თუ არა აუცილებელი სალარო-აპარატების მოხმარება, — ამ კანონის გამო ოპოზიციის მხრიდან სერიოზული პოლიტიკური მობილიზაციის გამოცხადება, მათ უსუსურობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. ოპონენტებისთვის სალარო-აპარატების თემა, ხელისუფლების გასაკრიტიკებლად, სუსტი არგუმენტია. კიდევ ერთი საკითხი, რომლის გარშემოც ოპოზიციური პარტიები ერთიანდებიან, თბილისის მერის არჩევითობაა. ჩემი აზრით, ესეც მეორეხარისხოვანი პრობლემაა, უფრო — ტექნიკური, ვიდრე არსებითი ხასიათის. დღევანდელი ხელისუფლების ოპონენტებს უჭირთ, ჩამოაყალიბონ ის არსებითად მნიშვნელოვანი თემები, რომლითაც შესაძლებელი იქნება ხელისუფლების გაკრიტიკება. ოპოზიციის ძირითადი ფუნქციაა, გაკიცხოს ხელისუფლების მიერ არასწორად გადადგმული ნაბიჯი და გააცნოს ალტერნატიული პოლიტიკური სტრატეგია... ოპოზიციის უნიათობის ფონზე, ხელისუფლება ოპონენტებს აგდებულად უყურებს. ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები ასეთ დამოკიდებულებას ღიად გამოხატავენ კიდეც. ასეთი დამოკიდებულება მათი პოლიტიკური ბრძოლის მეთოდად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ოპოზიცია ხელისუფლებასთან ურთიერთობისას, ძალზე ხშირად, არაკორექტულია. ადეკვატურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ხელისუფლება ოპონენტების მიმართ. ხელისუფლების აგდებული, ცინიკური დამოკიდებულება ოპოზიციის მიმართ სცდება კორექტულობის იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში.

— ხელისუფლების აგდებული დამოკიდებულება ოპოზიციის მიმართ რაზე მიანიშნებს?

— ერთი მხრივ, ეს შეიძლება განპირობებული იყოს ოპოზიციის სისუსტით და მეორე მხრივ, შესაძლოა, ხელისუფლებას მოქმედების ამგვარი ტაქტიკა ჰქონდეს შემუშავებული. ხელისუფლება მიიჩნევს, რომ თუ ოპოზიციის მიმართ აგდებული დამოკიდებულების დემონსტრირებას მოახდენს, ამგვარი საქციელი მისთვის პოლიტიკურად მომგებიანი იქნება.

— რამდენად იმოქმედებს ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები ხელისუფლების რეიტინგზე?

— ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები ხელისუფლების რეიტინგს ნამდვილად არ წაადგება. ოპოზიციონერთა ლოგიკა, ქმედებები აფიქრებინებს ადამიანს, რომ შესაძლოა, ქვეყანაში რევოლუციის ტალღა კვლავ აგორდეს. თავისთავად ის, რომ ამგვარ წვრილმან საკითხზე ფართომასშტაბიანი მანიფესტაციის გამართვას გეგმავენ, ცხადყოფს, რომ ოპოზიციის გარკვეული ნაწილი ორიენტირებულია ახალი რევოლუციის მოწყობაზე. ეს, ჩემი აზრით, საბოლოო ჯამში, ოპოზიციისთვის წამგებიანი იქნება, რადგან საზოგადოების გარკვეულ ნაწილს შეიძლება, არ მოსწონს ხელისუფლების ესა თუ ის ქმედება, მაგრამ ახალი რევოლუციის იდეა საქართველოში ამჟამად პოპულარული ნამდვილად არ არის. მეორე მხრივ, თუ ხალხი დაინახავს, რომ ოპოზიცია, ხელისუფლების რეალურ ალტერნატივას არ წარმოადგენს, ამ შემთხვევაში, შეიძლება, პირიქით მოხდეს — ხელისუფლების რეიტინგი გაიზარდოს. ოპოზიციური პარტიების გაერთიანება, თითოეული მათგანის სისუსტეზე მიანიშნებს. ისინი შეეცდებიან, ერთიანი ძალებით დაუპირისპირდნენ ხელისუფლებას.

რამაზ საყვარელიძე:

— ოპოზიცია სათავისოდ კარგად იყენებს ისეთ თემებს, რომლებიც ხელისუფლების რეიტინგზე უარყოფითად მოქმედებს. როგორც ჩანს, არც ხელისუფლების პირველი პირები უნდა იყვნენ მთლად აღფრთოვანებული ამ კანონით. აშკარად გამოიკვეთა პარლამენტის თავმჯდომარის კრიტიკული დამოკიდებულება ფინანსთა მინისტრის მიმართ. სალარო-აპარატების მოხმარებასთან დაკავშირებული კრიტიკული ვითარება სავარაუდოს ხდის, რომ შესაძლოა, ხელისუფლებამ უკან დაიხიოს და კანონში გარკვეული ცვლილებები შეიტანოს. ვვარაუდობ, რომ ხელისუფლება ამ კანონს შეარბილებს. არ გამოვრიცხავ, რომ ფიქსირებული გადასახადი დაწესდეს. მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ უნდა ეძებოს გზა, რომლითაც უკმაყოფილო მოსახლეობის რიცხვს შეამცირებს. სახელმწიფოს შესაძლებლობა აქვს, სავაჭრო ობიექტებიდან გადასახადის აკრების სხვადასხვა ფორმა გამოიყენოს. თუ კანონი მცირე მოვაჭრეების მიმართ ლოიალური არ გახდება, ვფიქრობ, რომ გარკვეულ სავაჭრო ობიექტებზე სალარო-აპარატის შემოღება ფორმალური გახდება. მსხვილ სავაჭრო ობიექტებში — სუპერმარკეტებში — სალარო-აპარატები აქამდეც მოქმედებდა და როგორც ვიცი, საკმაოდ წარმატებითაც. ამ კანონის მიღებამდე, ჯობდა, მეტი სიფრთხილე გამოეჩინათ. კანონპროექტზე მუშაობისას, უნდა შეხვედროდნენ წვრილ მოვაჭრეებს და მათი აზრი გაეთვალისწინებინათ. ფინანსთა სამინისტრო მეწარმეების პოზიციას თავის დროზე რომ გასცნობოდა და კანონპროექტი მათი შენიშვნების გათვალისწინებით შეემუშავებინა, დღეს უკვე ეს პრობლემა არ იქნებოდა, მოვაჭრეები კანონს აუცილებლად დაიცავდნენ. ფინანსთა სამინისტრო მოვაჭრეების მისამართით „კუნთებს ათამაშებს“ და კანონმორჩილებისკენ მოუწოდებს. მეწარმეები კი, საპირისპიროს აკეთებენ და „კუნთების თამაშს“ ფარომასშტაბიანი საპროტესტო აქციებით იგერიებენ. მიტინგების გამართვით, მცირე მეწარმეები ეცდებიან, ხელისუფლებამ მოვაჭრეების სასარგებლოდ კანონში ცვლილებები შეიტანოს ან მოძებნიან ისეთ მექანიზმს, რომელიც სალარო-აპარატების მოხმარების აუცილებლობას უაზროს გახდის... კანონის მომზადების პროცესი გაცილებით შრომატევადია, ვიდრე მისი დაწერა. კანონის შედგენისას, მხოლოდ ერთი და ორი ადამიანის აზრის გათვალისწინება — არასაკმარისია.

— როგორ შეაფასებთ ოპოზიციური პარტიების ქმედებებს?

— ოპოზიციური პარტიების ქმედებები ერთგვარად, პოლიტიკური ბრძოლის ნაბიჯებია. ეს არ ნიშნავს მათ პოლიტიკურ გაერთიანებას, მაგრამ ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, მათი პოზიცია ერთმანეთს ემთხვევა. კონკრეტული საკითხის გარშემო პარტიების გაერთიანება ხშირი მოვლენაა, განსაკუთრებით — არჩევნების დროს, როდესაც ისინი ერთობლივი ძალებით იცავენ ამომრჩეველთა ხმებს. სულაც არ არის გასაკვირი ხელისუფლების მონინააღმდეგეთა გაერთიანება. სულ ცოტა ხნის წინ, ოპოზიცია და ხელისუფლება გაერთიანდნენ, როდესაც საკითხი საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას ეხებოდა... მთელ რიგ ქვეყნებში ამ რანგის საკითხების განხილვა პოლიტიკური პარტიების პრეროგატივას არ წარმოადგენს, განვითარებულ ქვეყნებში პოლიტიკური პარტიები უფრო გლობალურ საკითხებზე მსჯელობენ და პოზიციას გაცილებით მნიშვნელოვან საკითხებზე გამოხატავენ. ამა თუ იმ პროფესიის მქონე მოქალაქეების ინტერესების დაცვა, პროფესიული კავშირებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ბრძოლის საგანი გახლავთ. სამწუხაროდ, საქართველოში ამგვარი ორგანიზაციები ან უსუსურია, ან საერთოდ არ არსებობს. ამიტომ არის, რომ ამგვარ პრობლემურ საკითხებში პოლიტიკური პარტიები ერევიან. ხელისუფლება ოპოზიციის ამგვარ გამოსვლებს, სერიოზულ პოლიტიკურ ქმედებად არ აფასებს. ეს არის სოციალური და არა პოლიტიკური პრობლემა. პოლიტიკურ პარტიას სხვა მისია აკისრია — მან მთელი სახელმწიფოს მასშტაბით უნდა ეძიოს ამ ტიპის პრობლემის მოგვარების გზები. ოპოზიციის განცხადებების მიღმა არ ჩანს სტრატეგიული მოქმედების გეგმა. პოლიტიკა სტრატეგიას ნიშნავს. თუ პოლიტიკურმა პარტიამ სტრატეგია დაკარგა, ოპერატიულ დონეზე ჩამოვიდა და ამგვარი საკითხების მოგვარება დაიწყო, ის, შემდგომში როგორც პოლიტიკური პარტია აღარ აღიქმება... სასურველია, ყველამ თავისი საქმე აკეთოს. იმის გამო, რომ საკმაოდ მაღალი რანგის პოლიტიკოსები სხვის გასაკეთებელ საქმეში ერევიან, ოპონენტებისგან ადვილად იმსახურებენ არასასიამოვნო ეპითეტებს — „ბაზრის პოლიტიკოსი“ და ა.შ. ■

ალეკო მალხაზიშვილსა და ანი გიუნტერს თითქმის 2 წელია, რაც ერთმანეთი არ უნახავთ. ამის მიზეზი, ალეკოს მოუცლელობაა, რასაც ანიზე ვერ ვიტყვით, რადგან ის დღესდღეობით, ქარივით თავისუფალია... მათი აზრით, აუცილებელი არ არის, ადამიანი (თუნდაც, მეგობარი) ყოველდღე ნახო. ისინი ერთმანეთს კარგ ნაცნობებს (და არა მეგობრებს) უწოდებენ, რადგან ქალსა და მამაკაცს შორის არსებული წრფელი მეგობრობის არ სჯერათ...

პოგორი ჭალოში ამ მოსწონს ალეკო მალხაზიშვილს და რისი ამ სჯერა ანი გიუნტერს

ლიკა ქაჯაია

— ერთმანეთი როგორ გაიცანით?

ანი:

— არ მახსოვს. მგონი, „კა-ვე-ენზე“.

ალეკო:

— სამაგიეროდ, მე მახსოვს, „გოლფ-კლუბში“ ვისხედით ბიჭები. მაშინ მე „202“-ზე არ ვმუშაობდი, მაგრამ ვიცოდი, რომ ბიჭები ეძებდნენ გოგონას, სერიალში გადასაღებად. მითხრეს: მგონი, მართლა კარგი გოგო შევარჩიეთ, ახლა აქ მოვაო. ცოტა ხანში შემოვიდა ანი გიუნტერი, დალია და წავიდა...

ანი:

— შეგეშალა, ქათმის სალათა ვჭამე და წვენი დავლიე... მერე „კა-ვე-ენზეც“ შევხვდით ერთმანეთს. არ გახსოვს? შავ-თეთრი, მოკლე კაბა მეცვა და სკამის როლში ვიყავი.

ალეკო:

— გამახსენდა, გამახსენდა! მე, ეს არ მახსოვდა, შენ — „გოლფ-კლუბი“, რა მოხდა?!

— როდის დამეგობრდით?

ალეკო:

— მეგობრები ჩვენ ახლაც არ ვართ *(იცინიან)*. რანაირი მეგობრები ვართ? 2 წელია, ერთმანეთი არ გვინახავს, ესაა მეგობრობა?! დავიკარგეთ, დავიკარგეთ.

— რა არის მეგობრობა?

— მეგობრობა არის — „მე და ბაკური“, „ანი და ... “ — რა ჰქვია იმას?

ანი:

— თაკოზე ამბობ?

ალეკო:

— ჰო, თაკო. „ანისა და ალეკოს შორის“ როგორ იქნება მეგობრობა, როცა ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობის საერთოდ არ მჯერა?!

— რატომ არ გჯერა?

— იმიტომ, რომ ასეთი რამ არ არსებობს.

ანი:

— ჩვენ გვაკავშირებს კარგი ნაცნობობა.

ალეკო:

— ქალი მეგობარი (ოღონდ, ჩვენი გაგებით) არ მყავს. ანი, შენ ალბათ გყავს მეგობარი ბიჭები, არა?

ანი:

— არც მე მყავს მეგობარი ბიჭები. კაცთან შეიძლება ითანამშრომლო, კარგი ურთიერთობა გქონდეს, მაგრამ მასთან მეგობრობა შეუძლებელია. ჯერ ისე არ მოვტყუებულვარ, რომ მამაკაცთან მეგობრული ურთიერთობა მქონოდა.

— ეი. თქვენ მეგობრები არ ხართ?

ანი:

— ალეკო ძალიან მიყვარს და რამე რომ დასჭირდეს, შეიძლება, ანგარიში გავუწიო, როგორც მეგობარს, მაგრამ აქტიური მეგობრობა არ გვაკავშირებს.

ალეკო:

— როგორ შეიძლება, ქალი და კაცი სულ ერთად იყვნენ, ერთად დადიოდნენ, ერთად იწვნენ და მეგობრებად დარჩნენ?! ასეთი რამის არ მჯერა.

ანი:

— შეიძლება, ეს ყველაფერი გააკეთო, მაგრამ ურთიერთობა ხელოვნური იქნება.

ალეკო:

— შენ თვითონ თუ გჯერა ასეთი მეგობრობის?

— მჯერა.

— მეგობარი ბიჭები გყავს?

— მყავს ისეთი მეგობრები, რომლებსაც ბოლომდე ვენდობი.

— ეს ეტყობა, ჩემთვისაა მიუღებელი, სხვებისთვის კი...

ანი:

— ამ დროს, რაღაც დისტანციაც ხომ არის საჭირო?! არ მჯერა ისეთი მეგობრობის — როცა მეგობარი კაცი თავისუფლად მოგხვევს ხელს, თუნდაც, ლოყაზე დაგიწყებს კოცნას და ა.შ.

— აუცილებელია თუ არა, მეგობარი ყოველდღე ნახო?

ანი:

— ყოველდღე მეგობარი ბიჭის ნახვა აუცილებელი არ არის.

ალეკო:

— მეგობრობაში სიტყვა „აუცილებლობა“ — უსარგებლოა. აუცილებელი არაფერი არ არის. მე მეგობარს შეიძლება, ცუდი რაღაც გავუკეთო, მაგრამ ისეთი არა, რომ საერთოდ დაკარგო. მეგობრობაში არ უნდა იყოს შეზღუდვა. ისინი თითქმის ერთნაირად უნდა აზროვნებდნენ, ფიქრობდნენ, რაღაც საერთო ფასეულობები უნდა ჰქონდეთ. თუ ასეთ ადამიანს იპოვი, მას შეგიძლია, ბოლომდე ენდო. მე ახალი შეძენილი მეგობრები არ მყავს. ჩემი მეგობრები, „კაკ მინიმუმ“, ჩემი 10 წლის ნაცნობები არიან.

ანი:

— სიტყვა „აუცილებლობა“ მეც ცუდად მომხვდა ყურში. მეგობართან მიმართებაში ვალდებულების გრძნობა არ უნდა გქონდეს. მეგობარი იმიტომ კი არ უნდა ნახო, რომ ეს აუცილებელია, არამედ იმიტომ, რომ მისი ნახვის სურვილი გაქვს.

ალეკო:

— და საერთოდ, არ მიყვარს, როცა ვლაპარაკობთ განყენებულ თემებზე: რა არის მეგობრობა, რა არის სიყვარული. ნებისმიერმა ადამიანმა იცის, რა არის იგივე მეგობრობა, სიყვარული და ჩემი ახსნა-განმარტება მათ არაფერში სჭირდებათ.

— ალეკო, მეგობრებს ხასიათს ხშირად უფუჭებ?

— არ ვიცი, რამდენად ხშირად ვუფუჭებ მათ ხასიათს, მაგრამ როცა მინდა, მეგობარს რჩევა ვკითხო, მას ჯერ ისეთ ხასიათზე დავაყენებ, როგორზეც მე ვარ და მერე ვკითხავ. მოკლედ, ამას ვერ აგიხსნი, ეს ჩემი ფილოსოფიაა.

ანი:

— ალეკო ცდილობს, სხვას მოუშალოს ნერვები და ამით თავად განიტვირთოს.

ალეკო:

— *(იცინის)* ამას სპეციალურად არ ვაკეთებ. მეგობრისთვის ხასიათის გაფუჭება აუცილებლობას არ წარმოადგენს, მაგრამ არც ისაა საჭირო, რომ სულ კარგ ხასიათზე ამყოფო... შენ მგონი, ცუდად გამიგე, ჟურნალისტურ ფილოსოფიაზე გადახვედი — ალეკო მალხაზიშვილი მეგობრებს ხასიათს უფუჭებს!.. ალბათ, სტატიის სათაურიც ეს ექნება *(იცინის)*.

— გპირდები, რომ სათაურად ამ სიტყვებს არ გამოიყენებ.

— ეს არც იქნებოდა სწორი, რადგან ეს ყველაფერი სხვა კონტექსტში გითხარი: მე უნდა ვიყო ბუნებრივი ანუ მეგობრებთან არ უნდა ვაკონტროლო ჩემი სიტყვები, ქალთან კი, ყოველთვის ვაკონტროლებ სიტყვებს. იმიტომ, რომ ის ვერასდროს გამიგებს. სხვათა შორის, თუ გინდა ნაძლევს დაგიდებ, რომ ვერც ერთ კაცს ვერ გაუგებს ქალი, რადგან ქალი — სულ სხვაა...

ანი:

— რა თქმა უნდა, ქალი სულ სხვაა, როცა დაქალს ელაპარაკება და სულ სხვა — როცა მამაკაცს ესაუბრება. მეგობარ ბიჭთან ბოლომდე გულწრფელი ვერ იქნები, რადგან მასთან საუბრისას, ქვეცნობიერად იპრანჭები.

ალეკო:

— დავიჯერო, შენ იმავეს უყვები მეგობარ ბიჭს, რასაც დაქალს მოუყვებოდი?

ანი:

— კი.

ალეკო:

— მაშინ შენ რაღაც სხვა *(იცინის)*...

ანი:

— ისე, შეიძლება, მეგობარმა ბიჭმა ისეთი რამ გირჩიოს, რასაც გოგო ვერ გირჩევს.

ალეკო:

— ჩემთვის ქალთან მეგობრობა ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ურთიერთობაში სექსიც უნდა შედიოდეს. მაშინ — კი, ბატონო. მე დავიფიცებ, რომ შენ ერთხელ

მეგისმეგად რომ შევაწუხე ამით და რაღაც სერიოზული ვკითხე, ბოდიში მომიხადა — მაპაგე, ანი, ვერაფერს გირჩევო. ვკითხე — რატომ-მეთქი? მიპასუხა — სქესი მაქვს სხვაო...

მაინც გაგიფიქრებია რაღაც სხვანაირად შენს მეგობარზე.

ანი:

— მეც დავიფიცებ, რომ ეს არასდროს მომხდარა.

ალეკო:

— აბა, ხომ არ მეტყვი — კი, ბატონო, შევცოდეო!..

— ერთმანეთს რჩევებს აძლევთ ხოლმე?

ანი:

— რჩევებს ალეკო მაძლევდა ხოლმე. რატომ — არ ვიცი, მაგრამ დეპრესიული ხასიათი მქონდა. ვამბობდი: სახლში უნდა წავიდე, სანერვიულო მაქვს-მეთქი.

ალეკო:

— თავიდან რომ მოვიდა, საოცრად დაკომპლექსებული იყო. ყოველთვის ვეუბნებოდი: ცოტა თავისუფლად მოიქეცი-მეთქი. ყველაფერი გულთან ახლოს მიჰქონდა: ვაიმე, ბუზმა გაიფრინა, ე.ი. ომი დაიწყება, იქ იმათ დახოცავენ და აქეთ გადმოვიდნენ, რაო! — და რაღაცები... ვაწყნარებდი: ყველაფერზე ნერვებს ნუ იშლი, რაღაც-რაღაცები უნდა გაატარო-მეთქი.

— ანი, ალეკოს რჩევას ითვალისწინებდი ხოლმე?

ანი:

— აუცილებლად. ვფიქრობ, რომ ის საკმაოდ კარგ რჩევებს მაძლევდა.

— რას იტყვით ერთმანეთზე, როგორც პარტნიორებზე სერიალში „მუსკულები“?

ანი:

— ყველაზე ცუდი პარტნიორი ალეკო მალხაზიშვილი იყო. მასზე ისე მეცინებოდა, რომ რამდენიმე დუბლს ვშლიდით ხოლმე. სიმართლე გითხრა, ის ცხოვრებაში უფრო სასაცილოა, ვიდრე ეკრანზე.

ალეკო:

— მე რა გითხრა?.. ის უბრალოდ, ქალი პარტნიორი იყო. სიმართლე გითხრა, არ მომწონს, როცა ქალი ხუმრობს.

— რატომ?

— რატომ — არ ვიცი, მაგრამ ასე მგონია, რომ არ უხდება. როცა ქალი ხუმრობს და ცდილობს, ვიღაცები გააცინოს, ის ამ დროს, სექსუალურობას კარგავს... ანიზე ლაპარაკის დროს, ობიექტური მაინც ვერ ვიქნები, რადგან ერთად ვახურებდით, ერთმანეთს ვეკაიფებოდით, მთელი ბალაგანი გვქონდა!

— ერთად გახურების პერიოდიდან, რაიმე სახალისო ამბავს ვერ გაიხსენებთ?

ალეკო:

— რჩევებზე რომ დაგვისვი კითხვა, მაშინ დამავიწყდა, მეთქვა, რომ ერთ-ერთი რჩევა, რომელსაც ანის ვაძლევდი, იყო ის, რომ როდესაც ჟურნალისტი გკითხავს — რაიმე კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებდიო? — უპასუხე: კურიოზი არა მაქვს-თქო.

ანი:

— რა უნდა გავიხსენო? თუ რაიმე კურიოზი ხდებოდა, იმას სერიალის ბოლოს აჩვენებდნენ ხოლმე. მათ შორის, ყველაზე სასაცილო, ის კადრი იყო, სადაც ალეკოს ჩალისფერი, თითქმის კისრამდე აწეული შარვალი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა. ასეთი სასაცილო, ცხოვრებაში არაფერი მინახავს, სიცილს ვერ ვიკავებდი და ამიტომ, რამდენიმე კადრი გავაფუჭე კიდეც.

— ალეკო, შენ თქვი, ანის რაღაც კომპლექსები ჰქონდაო. შენს თავს უკომპლექსო ადამიანად მიიჩნევ?

ალეკო:

— უკომპლექსობა რას ნიშნავს? რაღაცის კომპლექსი ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს.

ანი:

— ჩემს ცხოვრებაში არსებობს 1 კომპლექსი, რომელსაც ძალიან დიდ კომპლექსს ეძახიან.

— რისი კომპლექსი გაქვს?

— არ ვიცი.

ერთხელ, მახინჯი ნაშა მაბამდა — წამო საწოლშიო. მე ვეუბარი — რას ამბობ, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ-მეთქი!.. დღესაც ვმეგობრობთ

ალეკო:

— მე კომპლექსი მაქვს კომპლექსზე ლაპარაკის.

ანი:

— კომპლექსი რაღაც შინაგანი პრობლემაა.

ალეკო:

— გეტყვი, რისი კომპლექსი მაქვს. ეს მას შემდეგ გამომიმუშავდა, რაც პოპულარული გავხდი. ყველას რატომღაც ჰგონია, რომ პოპულარობა თავში ავარდნას, გამარჯობის ართქმას ნიშნავს — ანუ შეიძლება, ისე ჩაიარო, რომ ვინმეს გამარჯობაზე არ უპასუხო — და გამიჩნდა იმის კომპლექსი, რომ ვიღაცამ ეს ჩემზეც არ თქვას. ვიცი, ზოგჯერ რაღაცები უნდა „დავიკიდო“, მაგრამ არ გამომდის — დავდივარ და ვინც კი შემომხედავს, ყველას ვესალმები, მიუხედავად იმისა, ვიცნობ თუ არა, რადგან ზოგჯერ სახეებს ვერ ვიმახსოვრებ. მაგრამ იმას ხომ ვახსოვარ და ხომ უნდა მივესალმო!

ანი:

— ჩემს შემთხვევაში, პირიქით მოხდა: ზოგი სპეციალურად არ მეუბნება გამარჯობას — ეშინია, რომ არ მივესალმები. რატომ ფიქრობენ ასე, არ ვიცი, გაოგნებული ვარ. ის რომ არ მეუბნება გამარჯობას, ეჭვი მეპარება — ვიცნობ თუ არ ვიცნობ-მეთქი? — და მეც აღარ ვესალმები.

ალეკო:

— მოკლედ, ასეთი დებილური კომპლექსები გვაქვს... რამდენიმე დღის წინ, მქონდა ასეთი შემთხვევა: ბაზრობაზე ვიყავი, ქამარს ვარჩევდი. ვიღაც გოგომ ზურგზე ხელი დამადო და ნაზად მომესალმა — გამარჯობა, ალეკო, როგორ ხარო? გაკვირვებულმა ვუპასუხე — გმადლობთ, კარგად-მეთქი; უეცრად გაბრაზდა: რატომ არ მკითხე, მე როგორ ვარო? — ვუთხარი — რა ვიცი, გეტყობათ, რომ კარგად ხართ, მშვენივრად გამოიყურებით, კარგ ხასიათზეც ხართ-მეთქი. იცი, რა მითხრა?.. მე შენი თაყვანისმცემელი ვიყავი, მაგრამ დღეიდან — მორჩაო, — და წავიდა. მივაძახე: კარგად ხარ, კარგად-მეთქი!..

ანი:

— მეც მქონია შემთხვევა, როცა ქუჩაში ვიღაც მომვარდნია და გადავუკოცნივარ. როცა ვერ მიცნია, თავად დავუმშვიდებივარ — არა უშავს, მთავარია, რომ მე გიცანიო...

— მაშ, 2 წელია, რაც ერთმანეთი არ გინახავთ, არა?

ანი:

— მართალი ხარ. „202“-იდან წამოსვლ-

ის შემდეგ, ალეკო ერთხელ შემხვდა ღამის 2 საათზე და მკითხა, ვარ თუ არა ოჯახის ქალი?.. მეორედ, მაშინ ვნახე, როცა გამალვიძეს („ფარულ კამერაში"), მაგრამ მაშინ რა მითხრა, არ მახსოვს, რადგან ნახევრად მეძინა.

— რა არის იმის მიზეზი, რომ იშვიათად ხვდებით ერთმანეთს?

ალეკო:

— არაფერი. მე მყავს ისეთი ძმაკაცი, რომელთანაც ბავშვობიდან ვმეგობრობ; უკვე 9 წელი გავიდა, რაც არ მინახავს — საქართველოში არ არის, — მაგრამ ჩვენ ისევ მეგობრები ვართ.

— მაგრამ შენ და ანი ხომ ერთ ქალაქში ცხოვრობთ!

— იმ მეგობრის ნახვის შანსიც მქონდა, შემეძლო, ლონდონში წავსულიყავი, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო, სხვა ვარიანტი ავირჩიე... მეგობრობაზე მანძილი არ მოქმედებს, გოო. მართალია, მე და ანი ერთ ქალაქში ვცხოვრობთ, მაგრამ ორივენი დაკავებულები ვართ ჩვენ-ჩვენი სამსახურებით, პრობლემებით. თან, ჩვენ არ ვიყავით ისეთი მეგობრები, რომ მთელი დღეები ერთმანეთის სახლში ვმსხდარიყავით. ანისთან სახლში სულ 2-ჯერ ვარ ნამყოფი.

ანი:

— ალეკოს მას შემდეგ უფრო დავუახლოვდი, რაც ცოლი შეირთო. თან, მათ პატარას ძალიან ვუყვარდი — ითხოვდა, რომ ოჯახში მივსულიყავი.

ალეკო:

— გამოდის, რომ ჩემი ბავშვის მეგობარია, რა!..

— რას ვერ აპატიებდით მეგობარს?

ალეკო:

— ღალატს.

ანი:

— ყველაფერს ვაპატიებდი, მაგრამ დავშორდებოდი.

ალეკო:

— მეგობარი (თუ ის ნამდვილად შენი მეგობარია) ისეთ რამეს არ გააკეთებს, რასაც ვერ აპატიებ და თუ გააკეთა, მაშინ ის უნდა მოიკვეთოს.

— ასეთი შემთხვევა გქონიათ?

ანი:

— კი, მაგრამ მერე ვხვდებოდი, რომ ჩემი მეგობარი არ იყო.

ალეკო:

— მე ასეთი შემთხვევა არ მქონია იმიტომ, რომ სიჭაბუკეში გამოვიწრთე.

— რას გულისხმობ?

— როცა 8-9 წლის ვიყავი, ერთმა მეგობარმა ცუდი რაღაც გააკეთა — რაღაც ვილაპარაკეთ და მან სხვას მიუტანა ამბავი. მერე, უსიამოვნება მოგვივიდა, მასზე გული ამიცრუვდა. მას შემდეგ, სანამ ადამიანს არ გამოვცდი, უფრო სწორად, ჩვენს ურთიერთობას დრო არ გამოცდის, მას მეგობარს ვერ ვუწოდებ. თუ გამოვცადე და მეგობარი დავუძახე, მაშინ მეცოდინება, დარწმუნებული ვიქნები, რომ ის არასდროს მიღალატებს.

— როცა ადამიანს უმეგობრდებით, აქცევთ თუ არა ყურადღებას იმას, თუ როგორ ოჯახშია გაზრდილი?

ალეკო:

— პირველად მესმის ასეთი რაღაც. მე მყავს 4-5 მეგობარი. ყველანი სოციალურად განსხვავებული ოჯახებიდან არიან. ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

ანი:

— მე მყავდა მეგობარი, რომელსაც ძალიან ხშირად ვეკითხებოდი რჩევას. მეტისმეტად რომ შევაწუხე ამით და რაღაც სერიოზული ვკითხე, ბოდიში მომიხადა — მაპატიე, ანი, ვერაფერს გირჩევო. ვკითხე — რატომ-მეთქი? მიპასუხა — სქესი მაქვს სხვაო...

ალეკო:

— გამახსენდა, მეც მყავს მეგობარი ქალი. ერთხელ, მახინჯი ნაშა მაბამდა — წამო საწოლშიო. მე ვუთხარი — რას ამბობ, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ-მეთქი!.. დღესაც ვმეგობრობთ *(იცინის)*.

ანი:

— არ მესმის, როცა ბიჭები გოგოს მეგობრულად ეფერებიან, თან ამბობენ — ვერაფერს ვგრძნობთო... თუ ვერაფერს გრძნობ, მაშინ რატომ ეფერები?.. ბიჭსა და გოგოს შორის ურთიერთობის საწყისი ეტაპი, შეიძლება, მეგობრობა იყოს, მაგრამ დიდხანს ვერ გასტანს, ის სხვა რაღაცაში გადაიზრდება...

ალეკო:

— გასაგებია, რომ სხვები მეგობრობენ, მაგრამ პირადად მე, ლამაზ ქალთან ვერ ვიმეგობრებ *(იცინის)*.

— დაბოლოს, რას უსურვებდით მეგობრებს?

ალეკო:

— ერთი, მაგათიც *(იცინის)*... მეგობრებს ვუსურვებ იმას, რომ არასდროს შეეჭამოთ ჩემს თეფშზე გადმოღებული ხინკალი, არასდროს დაელიოთ ჩემს ჭიქაში ჩასხმული ღვინო და არასდროს წაეყვანოთ ჩემი შვილი ზოოპარკში. მე თვითონ წავიყვან ზოოპარკში ბავშვს, თვითონ დავლევ ჩემს ჭიქაში ჩასხმულ ღვინოს, თავად შევჭამ ჩემს თეფშზე გადმოღებულ ხინკალს...

ანი:

— მე ვისურვებდი, რომ მეგობრის თეფშზე გადაღებული ხინკლის აღება არ დამჭირდეს...

ალეკო:

— რა თქმა უნდა, ვისურვებდი, რომ მეგობრის თეფშზე თვითონ დამედოს ხინკალი. საერთოდ, მეგობრების ფუნქცია ხომ, ერთმანეთზე ზრუნვაა!..

სიცოცხლე — მოძრაობაშია,
თავისუფალი მოძრაობა
სახსრებში კი — თავისუფალი
ცხოვრების საწინდარია.
„მუვ ფრი" — სახსრების
ბიოლოგიური მკვებავი
„შიფ"-ისაგან.

ARTHRITIS FOUNDATION®

ენდეთ ამერიკის
ართრიტის ფონდს

ამერიკული კომპანია „შიფის" ავტორიზებული დისტრიბუტორი საქართველოში
კომპანია „ჯეოვიტი" ილ. ჭავჭავაძის გამზ. 41 ტელ: 29-20-91; 899-10-99-20

საზოგადოებრივი მაუწყებელი 14 მარტიდან იწყებს ახალ პროექტს — „საუკუნის პორტრეტები“, რომელიც საარქივო მასალებზე დაყრდნობით შექმნილი დოკუმენტური ფილმების სახით, ქართველი ერის სახელოვანი შვილების — ცნობილი მწერლების, ხელოვნების და საზოგადო მოღვაწეების ცხოვრებას, მათი ბიოგრაფიების, ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობ ფურცლებს წარმოგვიდგენს.

ახალი პროექტი საზოგადოებრივ არხზე

ლიკა ქაჯაია

მიშა გასილაძე, *საზოგადოებრივი არხის დოკუმენტური ფილმების რედაქციის ხელმძღვანელი:*

— პროექტი — „საუკუნის პორტრეტები“ — ეხება ისეთ ადამიანებს, რომელთა მხოლოდ სახელებია საკმარისი იმისათვის, რომ მიხვდე, თუ ვისზეა ლაპარაკი. მაგალითად, თუ იტყვი — „გალაკტიონი“, ნებისმიერი ქართველისთვის ნათელია, რომ ლაპარაკია გალაკტიონ ტაბიძეზე... ასეთ საზოგადო მოღვაწეებზე თითქოს, ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ სინამდვილეში, ასე არ არის.

— რას გულისხმობთ?

— ყველამ იცის, რომ გალაკტიონი — პოეტია, მაგრამ პოეზიის მიღმა ვინ არის, — ეს მხოლოდ ვიწრო წრეში იციან. კი, ბატონო, გალაკტიონი სვამდა, რა იდგა ამის მიღმა, რატომ სვამდა, — არავინ იცის... ჩვენი პროექტის მიზანია, ბუმბერაზი პიროვნებები საზოგადოებას სულ სხვა თვალით დავანახვოთ.

— გაძლევთ თუ არა თქვენს ხელთ არსებული საარქივო მასალები იმის შესაძლებლობას, რომ სრულყოფილად წარმოადგინოთ ამ პიროვნებათა ცხოვრება საზოგადოების წინაშე?

— ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალები ამის საშუალებას მეტ-ნაკლებად გვაძლევს. გალაკტიონზე ბევრი მასალა გვაქვს. ამასვე ვერ ვიტყვი ვთქვათ, ივანე ჯავახიშვილზე, რომლის ცხოვრების ამსახველი კადრებიდან საკმაოდ ცოტა რამაა შემორჩენილი.

— როგორც ვიცი, პირველი ფილმი, რომელიც თქვენი ტელეარხის ეთერში გავა, — „გალაკტიონია“.

— დიახ. ამ ფილმში უხვადაა გამოყენებული „პირველი არხის“ საარქივო მასალა — როგორც აუდიო, ისე ვიდეო. მაყურებელი იხილავს 30-იან წლებში გადაღებულ გალაკტიონს, როცა ჯერ კიდევ არ ჰქონდა წვერი, და 50-იან წლებში ფირზე აღბეჭდილ პოეტს... საქართველოში სულ 2 ადგილია (თუ არ ჩავთვლით კერძო არქივებს), სადაც ასეთი ძველი კადრები შეიძლება მოიძებნოს, ესაა — ტელევიზია და კინოფოტოფონოდოკუმენტების სახელმწიფო არქივი.

— ყველა ფილმს მოქმედი პირის სახელი ერქმევა?

— არ ვიცი. ამ ფილმისთვის გვინდოდა, დაგვერქმია „გატუნია“, რადგან სწორედ ასე მიმართავდა პოეტს დედამისი, მაგრამ მერე გადავიფიქრეთ და უბრალოდ, „გალაკტიონი“ დავარქვით. ფილმში გადმოცემული იქნება პოეტის ადამიანური თვისებები, მისი დამოკიდებულება იმდროინდელი პოლიტიკური წყობის მიმართ; როგორი იყო სახლში; გავეცნობით იმას, თუ როგორი იყო მისი მძღოლის თვალით დანახული გალაკტიონი; ფილმში ჩანს აგრეთვე, პატარა გოგონაც (ეს ქალბატონი დღეს, 70 წლისაა), რომელიც ლენინის ორდენს გადასცემს ხოლმე პოეტს: გალაკტიონი, როცა მას ფული არ ჰქონდა, ჭიქა არყისთვის სწორედ ამ ორდენს ტოვებდა და როცა შემდეგ, არყის გამყიდველს ფულს მიუტანდა, რატომღაც, სულ ეს გოგონა უბრუნებდა მას ამ ორდენს... ფილმში არის ექთანიც, რომელიც მუშაობდა „ლეჩკომბინატში“, როცა გალაკტიონმა თავი მოიკლა. ამ ქალმა ნახა ბოლოს — როგორ დადიოდა პოეტი დერეფანში, გაიგო — როგორ გადახტა პოეტი ფანჯრიდან და ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მის დასახმარებლად მივიდა... ფილმი 40-წუთიანია. ის გალაკტიონის ცხოვრების ბოლო წლებზეა აგებული.

— როდის იხილავს ამ ფილმს მაყურებელი?

— 14 მარტს, საღამოს 10 სთ-ზე. „საუკუნის პორტრეტები“ ყოველ სამშაბათს გავა საზოგადოებრივი მაუწყებლობის ეთერში.

— უკვე მომზადებული გაქვთ თუ არა ფილმები სხვა მოღვაწეებზე?

— ჯგუფში 4 ჟურნალისტი იმუშავებს. მათ თვეში ერთხელ მოუწევთ თითო ფილმის გაკეთება. აქედან გამომდინარე, ფილმი ეთერში ყოველ კვირას აუცილებლად გავა. უკვე მზადაა ფილმი ივანე ჯავახიშვილზე, მიმდინარეობს მუშაობა ფილმზე ვერიკო ანჯაფარიძის შესახებ და ა.შ. ასევე მინდა გითხრათ, რომ ფილმის — „გალაკტიონი“ — პრეზენტაციები გაიმართება ვანის საშუალო სკოლაში და თბილისში, მაგრამ რომელ სკოლაში, — ვერ გეტყვით.

როგორც შევიტყვეთ, ფილმ „გალაკტიონის“ პრემიერა თბილისის 53-ე საშუალო სკოლაშია დაგეგმილი.

ზაალ სამადაშვილი, *სკოლის დირექტორი:*

— როგორც ვიცი, საარქივო მასალების მიხედვით შეიქმნა დოკუმენტური ფილმი გალაკტიონის შესახებ. ეს მასალები არა მარტო მე, არამედ მთელ ჩვენს საზოგადოებას აქვს ნანახი — ძალიან ცნობილი კადრებია, — მაგრამ ნანახი გვაქვს ცალ-ცალკე და არა ასე — ერთ მთლიანობად, ფილმად ქცეული.

— თქვენ უკვე ნახეთ ეს ფილმი?

— ჯერ არა, რადგან ფილმის ერთ-ერთი პრემიერა ჩვენთან, 53-ე საშუალო სკოლაში შედგება 17 მარტს — გალაკტიონის დაბადების დღეს. ძალიან კარგია თვითონ ფაქტი, რომ საარქივო მასალებზე დაყრდნობით შეიქმნა ფილმი. მაგრამ უფრო მეტად მახარებს ის, რომ პოეტის დაბადების დღეს, სწორედ ჩვენს სკოლაში, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის მოეწყობა ამ ფილმის პრემიერა.

— როგორ ფიქრობთ — მაინცდამაინც თქვენს სკოლაში რატომ გადაწყვიტეს ამ ფილმის ჩვენება?

— არ ვიცი, მაგრამ ეს ძალიან დიდი პატივია ჩვენთვის. პრინციპში, ალბათ, ეს ტელევიზიის — საზოგადოებრივი არხის მესვეურთა დამსახურებაა, რადგან სწორედ იქ შეიქმნა ფილმი და მათთგან მივიღეთ შემოთავაზება. თან, გარდა იმისა, რომ სკოლის დირექტორი ვარ, მოთხრობებსაც ვწერ და იქნებ, ამანაც ითამაშა გარკვეული როლი იმაში, რომ სწორედ ჩემს სკოლაში შემდგარიყო ფილმის პრემიერა.

— როგორც ვიცი, ფილმის ჩვენებას პირველკლასელებიც დაესწრებიან. როგორ ფიქრობთ — ამ ასაკის ბავშვებს ფილმის აღქმა არ გაუჭირდებათ?

— ვიცი, ეს კითხვა რატომაც დამისვით... საერთოდ, მოზრდილებმა კეთილი უნდა ინებონ და ცოტა მეტად თავშეკავებულნი იყვნენ უმცროსებზე საუბრისას, მათთან დაკავშირებით ვერდიქტების გამოტანისას. ამ ბოლო დროს, თითქოს მოდაში შემოვიდა ფრაზა: ახლანდელ ბავშვებს წიგნის კითხვა არ უყვართ. ამის თქმის მაგივრად, ჯობია, თვითონ უფროსებმა დაუსვან საკუთარ თავს კითხვა — რა გააკეთეს იმისთვის, რომ ბავშვებისთვის შეეყვარებინათ წიგნი?!. ბავშვები ყველაფერს არაჩვეულებრივად აღიქვამენ, საოცრად ჭკვიანები არიან, ჩვენზე საინტერესოდ ხედავენ სამყაროს და გაცილებით მდიდარი წარმოსახვა აქვთ. დარწმუნებული ვარ, მოსწავლეები აღფრთოვანდებიან იმით, თუ როგორ კითხულობს თავად გალაკტიონი საკუთარ ლექსებს: მგზნებარე, ლეგენდარული, ერთგვარი სიმფონიაა, რომლის ჰანგები ჩვენი სულის სიმებს ნაზად ჩამოჰკრავს ხოლმე... ასეთ ბუმბერაზ ადამიანებზე ფილმის გადაღება ერთგვარი მადლია და მადლისთვის მარილის მოყრაა, როცა ამას პირველად, სკოლებში უჩვენებ. ბავშვები მზად არიან, ნებისმიერი საინტერესო სიახლის მისაღებად და აღსაქმელად... R

„საუკუნის პორტრეტები“ ყოველ სამშაბათს გავა საზოგადოებრივი მაუწყებლობის ეთერში

„ჩემი ნიკო არც მაფიოზებს შეეკრა და არც გვერდზე გადგა, ამისთვის მოკლეს ცივსისხლიანმა მკვლელებმა და მათმა დამკვეთებმა“

„გვიჩიანი უკანონოდ დააკავეს“, – აცხადებს ადვოკატი

„თბილგაზის“ გენერალურ დირექტორსა და გაკოტრების მმართველს, 36 წლის გიორგი გვიჩიანს 7 მარტს, საკუთარ კაბინეტში, სოდ-ის თანამშრომლებმა ხელბორკილები დაადეს. მას ოთხი წლის წინ მომხდარი გახმაურებული დანაშაულის — „თელასის“ კომერციული მენეჯერის, 30 წლის ნიკა ლომინაძის მკვლელობის შეკვეთასა და ორგანიზებაში დასდეს ბრალი. გვიჩიანს ოფიციალურად ბრალდება განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მუხლით უკვე წაუყენეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გიორგი გვიჩიანმა, იმ დროს „თელასის“ ფინანსურმა დირექტორმა, თავისი თანამშრომლისა და ხელქვეითის — ნიკა ლომინაძის მკვლელობისთვის 20 ათასი დოლარი გადაიხადა. გავრცელებული ინფორმაციით, მზაკვრული ჩანაფიქრი მან პირველად, თავის ნათესავს გაანდო და ამ საქმეში დახმარება სთხოვა. აღსანიშნავია, რომ ლომინაძის მკვლელობის გახსნა სწორედ ნოდარ გვიჩიანის დაპატიმრებას მოჰყვა. ნოდარ გვიჩიანი, როგორც ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი დაიკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებს ლომინაძის მკვლელობასთან დაკავშირებით ჩვენება სწორედ მან მისცა. მოწმის თქმით, გიორგი გვიჩიანი მას დაუკავშირდა და თავისი განზრახვა გაანდო. უთხრა, რომ კომერციული მენეჯერის მოშორება უნდოდა და ჰკითხა, შეეძლო თუ არა ეპოვა ისეთი კაცი, ვინც მის მკვლელობას იკისრებდა. მოწმის თქმით, გვიჩიანმა ისიც თქვა, რომ ამ საქმისთვის ნებისმიერ თანხას გადაიხდიდა.

ეს საუბრები, როგორც მოწმე ამბობს, თავად ფინანსური დირექტორის კაბინეტში შედგა. დავალება მალე შესრულდა. დაქირავებულმა მკვლელმა ამ საქმისთვის 20 ათასი დოლარი მოითხოვა. *„თანხა დავუსახელე. ვუთხარი, ამდენი მოითხოვეს-მეთქი. პრობლემა არაა, საღამოს მოდი ჩემთან და მოგცემო“*, — მოწმის თქმით, ასე უპასუხა გიორგი გვიჩიანმა მას.

ნიკა ლომინაძის გვამი 2002 წლის 14 აგვისტოს, დილის ოთხის ნახევარზე, ბახტრიონის ქუჩაზე მდებარე მის საცხოვრებელ ბინაში იპოვეს. გვამი მისმა სიძემ აღმოაჩინა. იმ დღეებში, ნიკა შინ მარტო იყო, რადგან ცოლ-შვილი დასასვენებლად აგარაკზე ჰყავდა გაშვებული. იმ საღამოს, ნიკას მეუღლე გამუდმებით ურეკავდა ტელეფონზე, მაგრამ უშედეგოდ, ის არც მობილურის და არც ბინის ტელეფონის ზარზე არ პასუხობდა. ამის შემდეგ, ნიკას ცოლმა — თამარ კაპანაძემ დახმარება ნიკას სიძეს — ზურა კიკალიშვილს სთხოვა.

ზურა კიკალიშვილმა ნიკას სახლს მიაშურა. ბინაში მას შემზარავი სურათი დახვდა: სასტუმრო ოთახში, დივანზე მოკლული ნიკა იწვა, მას ფეხები სკოჩით ჰქონდა შეკრული, პირიც ასევე სკოჩით აკრული, ხელები მობილური ტელეფონის დამტენის სადენით გაკოჭილი, წელს ზევით და სახეზე კი — პირსახოცის ქსოვილის „ადეალა“ გადაფარებული; თავის არეში აღენიშნებოდა ერთი ცეცხლნასროლი ჭრილობა, „ადეალაც“ ტყვიით იყო გახვრეტილი. როგორც ჩანს, მკვლელმა თუ მკვლელებმა მას ჯერ სახეზე გადააფარეს და შემდეგ ესროლეს... სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ტყვიამ თავის ქალის ძვლები და ტვინი დააზიანა და დაჭრილი მაშინვე გარდაიცვალა...

სამართალდამცველებმა ისიც დაადგინეს, რომ გასროლა „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტიდან მოხდა. დაზარალებული ოჯახის წევრები ვარაუდობდნენ, რომ დამნაშავესა და ნიკას შორის ბრძოლა არ მომხდარა. *„როცა ბინაში მივიდნენ, როგორც ჩანს, ჯერ ისაუბრეს, რადგან მაგიდაზე საფერფლეში სიგარეტის ნამწვავები ვნახეთ, ნიკა კი სიგარეტს არ ეწეოდა. შემდეგ, ალბათ, რაღაც ჩაასუნთქეს და გათიშეს, მერე დააწვინეს, შეუკრეს ხელ-ფეხი და მოკლეს. მათ შორის, არანაირი ჭიდილი და წინააღმდეგობა რომ არ ყოფილა, მოწმობს ის, რომ ნიკას შარვლიდან პერანგიც კი არ ჰქონდა ამოჩაჩული. ამასთან, სხეულზე არც ძალადობის ნიშნები ეტყობოდა...“* — ამბობდა მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე დღეში, მოკლულის სიძე, **ზურაბ კიკალიშვილი**.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გიორგი გვიჩიანმა, მკვლელობისთვის 20 ათასი დოლარი გადაიხადა.

მოკლული ნიკა ლომინაძე ქალიშვილთან ერთად

დაზარალებული ოჯახის წევრები მაშინ იმასაც აცხადებდნენ, რომ დარწმუნებული იყვნენ, საქმე არ გაიხსნებოდა. თუმცა, მკვლელობიდან რამდენიმე თვეში, მაშინდელმა სამართალდამცველებმა სცადეს, საქმე გახსნილად გამოეცხადებინათ და სწორედ ამ მიზნით, მკვლელობაში ეჭვმიტანილის სახით, დავით მჭედლიძე დაიკავეს. მჭედლიძე, როგორც ცნობილია, კომპანია „ომეგის“ პრეზიდენტის, ზაზა ოქუაშვილის მამის დაცვის წევრი გახლდათ. სამართალდამცველებმა მისი დაკავების საფუძვლად მაშინ, სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა გამოაცხადეს. დასკვნის მიხედვით, ტყვია, რომლითაც ნიკა ლომინაძე მოკლეს, სწორედ მჭედლიძის იარაღიდან იყო გასროლილი. ქართველი ექსპერტების დასკვნა ამერიკელმა ექსპერტებმა გააბათილეს. აშშ-ში ჩატარებული ექსპერტიზის უარყოფითი პასუხის შემდეგ, მჭედლიძეს ბრალდება მოუხსნეს და გაათავისუფლეს. ამის შემდეგ, საქმე წლების მანძილზე, გაუხსნელი დარჩა.

მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მოკლულის მამამ, **ნოდარ ლომინაძემ** „გზის“ ფურცლებიდან თანამემამულეებს ასე მიმართა:

„ჩემი ნიკო 2002 წლის 13 აგვისტოს, შეკვეთილი მკვლელობის მსხვერპლი გახდა



ნოდარ ლომინაძე (ნიკას მამა): „ქვეყანაში თარეშობს ხალხის მიმართ ჩადენილი დანაშაულობებით და დაუსჯელობით გამხნევებული კასტა... და სანამ ასე გაგრძელდება, ქვეყნის აღმშენებლობის საქმე არ დაიძვრება მკვდარი წერტილიდან...“

ისე, რომ 30 წელიც ვერ შეასრულა და დაგვიტოვა ახალგაზრდა მეუღლე და მცირეწლოვანი ქალიშვილი. „ეი-ი-ეს თელასში“ თანამშრომლობისას, ის სერიოზულად დაუპირისპირდა ენერგოსისტემაში მოკალათებული მაფიოზური კლანების წარმომადგენლებს, რის გამოც, საკუთარ სახლში მოკლეს ცივსისხლიანმა მკვლელებმა და მათმა დამკვეთებმა... ჩემი ნიკო არც მაფიოზებს შეეკრა და არც ქვეყნიდან გაიქცა, არც გვერდზე გადგა... როცა ქვეყანაში თარეშობს ხალხის მიმართ ჩადენილი დანაშაულობებით და დაუსჯელობით გამხნევებული კასტა, რომელიც ღრღნის სახელისუფლებო სტრუქტურებსაც, საზოგადოებაში შერიგებისკენ მოწოდება ფუჭი ლაპარაკია და სანამ ასე გაგრძელდება, ქვეყნის აღმშენებლობის საქმე არ დაიძვრება მკვდარი წერტილიდან...“

ამგვარად, მკვლელობის მოტივს დაზარალებული ოჯახის წევრები თავიდანვე, სწორად ვარაუდობდნენ. სამართალდამცველები, რომელთაც მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრეს, მაშინაც აცხადებდნენ, რომ დანაშაულის რამდენიმე ვერსიაზე მუშაობდნენ, მათ შორის ერთ-ერთი, ნიკა ლომინაძის სამსახურებრივ საქმიანობასა და „ეი-ი-ეს-თელასში“ განხორციელებულ თუ დაგეგმილ ფინანსურ მაქინაციებსაც შეეხებოდა. თუმცა, გამოძიების მასალებში „თელასის“ იმუამინდელი ფინანსური დირექტორის გვარი მაინც არ ფიგურირებდა...

მართალია, 2003 წლის მაისში, გიორგი გვიჩიანი დააკავეს, მაგრამ სულ სხვა ბრალდებით და მალე ისიც მოუხსნეს: პროკურატურა გვიჩიანს „თელასში“ განხორციელებული ფინანსური მაქინაციების შედეგად კომპანიისთვის 3 მილიონი ლარის ოდენობით ზარალის მიყენებას ედავებოდა. მოგვიანებით გამოაცხადეს, რომ სინამდვილეში, კომპანიას გვიჩიანისგან არანაირი ზარალი არ მიუღია. ეს პოზიცია სასამართლომაც გაიზიარა და გვიჩიანს აღნიშნული ბრალდება მოუხსნა. მას მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების მუხლი წაუყენეს. პატიმრობიდან გვიჩიანი სამი დეპუტატის: აკაკი ბობოხიძის, გოჩა ჯოჯუასა და გუბაზ სანიკიძის თავდებობით გაათავისუფლეს. დღეს დეპუტატები მაშინდელ საქციელს პოლიტიკური მოტივით ხსნიან. აკაკი ბობოხიძის თქმით, გვიჩიანს ის თავდებში მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრების გამო ჩაუდგა, თორემ, პირადად არც იცნობდა მას.

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, 2006 წლის 7 მარტამდე, გვიჩიანი არავის შეუწუხებია. ნიკა ლომინაძის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, აქამდე, ის არც დაუკითხავთ. „თბილგაზის“ გენერალურ დირექტორად და გაკოტრების მმართველად გვიჩიანი 2005 წლის 25 ივლისს დაინიშნა. ამჯერად, მკვლელობის ბრალდებით დაკავებისას, მან აღნიშნა, რომ მისთვის ყოველივე ეს სრულიად მოულოდნელი და გაუგებარია. გვიჩიანმა მაშინვე განაცხადა, რომ ბრალდებას არ აღიარებდა. მოგვიანებით კი, თავის ადვოკატთან ერთად, სამართალდამცველებს ოფიციალურად განუცხადა ამის შესახებ. მან კანონით მინიჭებული, დუმილის უფლება გამოიყენა.

დიმიტრი ხაჩიძე, გიორგი გვიჩიანის ინტერესების დამცველი ადვოკატი:

„გიორგი გვიჩიანი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს. თავად ბრალდება კი, ყოვლად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა. ის მხოლოდ ერთადერთი მოწმის ჩვენებას ემყარება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული მოწმე, პატიმარი გახლავთ და მასზე ზემოქმედების მოხდენის მრავალნაირი შესაძლებლობა ჰქონდათ სამართალდამცველებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გვიჩიანისთვის ბრალის წაყენება, ისევე, როგორც მისი დაკავება, სრულიად უკანონოდ მოხდა. არ არის შედგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია და აშკარად დარღვეულია საპროცესო ნორმები. ბრალდებული ამ ეტაპზე, დუმილის უფლებას იყენებს, დარღვევებზე კი, ჩვენ შესაბამის რეაგირებას აუცილებლად მოვახდენთ“.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გვიჩიანის გარდა, ნიკა ლომინაძის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, კიდევ ოთხი ადამიანია დაკავებული. სამართალდამცველების თქმით, ისინი უშუალო შემსრულებლები არიან, მაგრამ მათი ვინაობის გამომზეურებისგან ჯერჯერობით, თავს იკავებენ.

■

შს სამინისტროს თანამშრომლებმა ნათესავი ცეცხლსასროლი იარაღით ჩახჩრილა

პოლიციელი განზრახ მკვლელობის მუხლით გასამართლებას მაინც გადაურჩა

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გადამწყვეტი სიტყვა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატას უნდა ეთქვა. სწორედ ამ მიზნით შეიტანეს დაზარალებული მხარის წარმომადგენლებმა სასამართლოში საჩივარი და იმ განაჩენის გაუქმება მოითხოვეს, რომელსაც ისინი მსჯავრდებულისადმი ზედმეტად ლოიალურად მიიჩნევდნენ. მათი აზრით, საქმეში ყველანაირი საფუძველი არსებობდა იმისთვის, რომ სასამართლო კოლეგიას 36 წლის მსჯავრდებული — შს სამინისტროს ერთ-ერთი სამმართველოს უფროსის მოადგილე დამნაშავედ გამოეცხადებინათ და ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის, კანონით გათვალისწინებული მკაცრი სასჯელი შეეფარდებინათ მისთვის.

თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეებმა განსასჯელი 108-ე (განზრახ მკვლელობა) მუხლის ნაცვლად, 111-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში (მკვლელობა, ჩადენილი უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში) ცნეს დამნაშავედ. განსასჯელს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს.

სწორედ ამ განაჩენმა განაპირობა დაზარალებული მხარის მორიგი საჩივარი. საჩივრით მათ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატას მიმართეს და ხელახალი სასამართლო განხილვისთვის, საქალაქო სასამართლოში საქმის დაბრუნება მოითხოვეს. *„მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მოვითხოვოთ განაჩენის გაუქმება და თან, ბრალდების დამძიმების მოტივით, საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება. ამ შემთხვევაში, მხოლოდ ის შეგვიძლია მოვთხოვოთ სასამართლოს, რომ სრულად იქნას გამოკვლეული მასალები და განსასჯელს სასჯელი დაუნიშნონ იმ ზომითა და სახით, რაც შეესაბამება ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და ბრალის ხარისხს“*, — აღნიშნა დაზარალებული მხარის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა.

საქმე პოლიციელის ოჯახში დაძაბულ ურთიერთობებსა და ამ კონფლიქტის შედეგად გამოწვეულ ტრაგიკულ დასასრულს ეხება. უფრო კონკრეტულად კი, ცოლ-ქმარსა და ქვისლს შორის შექმნილ უკმაყოფილებას, ჩხუბსა და

დავას, რომელიც თვეების მანძილზე გრძელდებოდა.

იმის გამო, რომ განსასჯელის ადვოკატის თქმით, მას ოჯახური სკანდალის დეტალების საქვეყნოდ გამომზეურება არ სურს, საქმეში მოქმედი ყველა პირის გვარ-სახელსა და წარმომავლობას ვცვლით.

საქმის მასალების მიხედვით, დანაშაული 2003 წლის გაზაფხულზე მოხდა. ნოდარ მაისურაძე შს სამინისტროში წლების მანძილზე მუშაობდა, ჯერ — ოპერატიულ მუშაკად, შემდეგ, რამდენიმე სამმართველო შეიცვალა და ბოლოს, უფროსის მოადგილედაც დანიშნეს. აწ გარდაცვლილს — გურამ დარსაველიძეს ის იცნობდა, ისინი ნათესავები იყვნენ. გურამ დარსაველიძე მაისურაძის ცოლისდის ქმარი გახლდათ. მაგრამ მიუხედავად ახლობლობისა, მათ შორის მუდამ დაძაბული ურთიერთობა იყო. როგორც ამბობენ, დარსაველიძე ცოლთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა, თუმცა, ოჯახი მას სიძედ აღიარებდა. ქვისლებს შორის ბოლო დროს, ურთიერთობა გამწვავდა, იმის გამო, რომ მაისურაძის ცოლისდამ მის სახელზე ოჯახის წევრებთან შეუთანხმებლად გადააფორმა დედისა და ძმის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა და იპოთეკის წესით დატვირთა იგი. საამისოდ, მან ნოტარიუსს ყალბი დოკუმენტები დაამოწმებინა. გამოაშკარავდა თუ არა, რა თქმა უნდა, ამ ამბავმა ოჯახის წევრების, კერძოდ, მოტყუებული დედისა და ძმის უკმაყოფილება გამოიწვია. დაიწყო დაუსრულებელი ჩხუბი და შეხლა-შემოხლა, ბოლოს, საქმე სასამართლომდეც მივიდა. როგორც ირკვევა, ამ კონფლიქტში მაისურაძე სიდედრსა და ცოლისძმას უჭერდა მხარს. ამან კი დარსაველიძე და მისი ცოლი კიდევ უფრო გაანაწყენა.

„გურამი, რა დროსაც და სადაც არ უნდა შემხვედროდა, სულ იმას მთხოვდა, ამ საქმეში დავხმარებოდი, მისთვის დამეჭირა მხარი და სიდედრზე ზეგავლენა მომეხდინა, რომ სასამართლოსთვის, მისთვის სასურველი ჩვენება მიეცა. საერთოდ არ მინდოდა, ამ დავაში ჩავრეულიყავი, ის კი გასაქანს და მოსვენებას არ მაძლევდა. ბოლო დროს, კატეგორიული ტონით მელაპარაკებოდა და მისმა მოთხოვნამაც კატეგორიული ხასიათი მიიღო. ამის ატანა ჩემთვის შეუძლებელი გახდა“, — აღნიშნა სასამართლო სხდომაზე განსასჯელმა.

მისი თქმით, შემთხვევის დღეს, დარსაველიძეს ის სრულიად მოულოდნელად შეხვდა. მასთან შეხვედრას არ აპირებდა და არც ელოდა, თუ ასეთი რამ მოხდებოდა. ამის გამო აცხადებს, რომ დარსაველიძის მოკვლა მას არ განუზრახავს და არც არასდროს ჰქონია ასეთი ჩანაფიქრი.

განსასჯელის ჩვენებიდან:

„...დაახლოებით დღის 2 საათი იქნებოდა. ჩემს მცირეწლოვან შვილებს ვაცილებდი სკოლიდან. სკოლიდან გამოსულს, სრულიად შემთხვევით, ქუჩაში გურამი შემხვდა. დამამცირებელი სიტყვებით, უცენზუროდ მომმართა და მკითხა — რა იყო, ბიჭო, არ მესალმებიო? — შენთან არაფერი მესაქმებამეთქი, — მივუგე და გზის გაგრძელებას ვაპირებდი, მაგრამ მან ამის საშუალება არ მომცა. დამიწყო ხმამაღლა, მთელი ქუჩის გასაგონად ლანძღვა-გინება, მუქარა, მაგინებდა ოჯახის წევრების მისამართითაც. შემდეგ დავინახე, როგორ ამოიღო ჯიბიდან იარაღი. რევოლვერის ტიპის, აირის იარაღი იყო. რა თქმა უნდა, ასეთ სიტუაციაში, მეც ამოვიღე ჩემი ტაბელური იარაღი, რადგან მისგან მაშინ ყველაფერი იყო მოსალოდნელი და მე მისი თავასხმისგან თავის დაცვას ვაპირებდი. ხმაურსა და ყვირილზე ქუჩაში გამვლელი მოქალაქეები მოგროვდნენ. შუაში ჩაგვიდგნენ და გაგვაშველეს. ჩვენს შორის კონფლიქტი იმ დღეს ამით ამოიწურა“.

თუმცა, მხოლოდ იმ დღეს. მაისურაძის თქმით, დარსაველიძეს ეტყობოდა, რომ გაჩერებას არ აპირებდა. *„ყველანაირი მეთოდითა და მუქარით ცდილობდა ჩემს აყოლიებას. მეორე დღესაც, სწორედ ამ მიზნით შემხვდა. აშკარა იყო, რომ სპეციალურად მისაფრდებოდა, რათა შემხვედროდა და ჩემზე ზეგავლენა მოეხდინა. მაშინაც აგდებით და დამცინავი ტონით მკითხა — მე რომ გითხარი, ის საქმე თუ მოაგვარეო? ანგარიშსწორებით მემუქრებოდა. მითხრა, ამ ურთიერთობას თუ არ მოაწესრიგებ, იცოდე, მწარედ გაგისწორდებიო“*, — ამბობდა განსასჯელი.

საქმის მასალების მიხედვით, ამ შეხვედრის შემდეგ, ის სიდედრის ბინაში მივიდა. იქ მას მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი ელოდებოდნენ. იქვე იყო გამომძიებელი, რომელიც მაისურაძის ცოლისდის მიერ ბინის ყადაღად მის სახელზე გადაფორმების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს იძიებდა და ამასთან დაკავშირებით, მაისურაძის სიდედრის დაკითხვას აწარმოებდა. სიძეს სიდედრისთვის არაფერი უთქვამს, დარსაველიძის დავალება მან არ შეასრულა.

გამომძიებლის წასვლის შემდეგ, ბინა მაისურაძემაც დატოვა. როგორც მოსალოდნელი იყო, დაკითხვის შედეგით დაინტერესებული დარსაველიძე მას კვლავ დახვდა ქუჩაში.

განსასჯელის ჩვენებიდან:

„ირონიულად მიყურებდა. დამცინავი სახით და აბუჩად აგდებით მკითხა — თუ შეასრულე ჩემი დავალებაო? კვლავ გავუმეორე, რომ ამ საქმეში ასე აშკარად და უხეშად ვერ ჩავერეოდი. მას ამის გაგონებაც არ სურდა, პირდაპირ ჩხუბზე გადავიდა“.

მაისურაძისა და დარსაველიძის ხმამაღალი კამათი, შელაპარაკებასა და ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. როგორც მაისურაძე ამბობს, დარსაველიძემ მას საყელოში წაავლო ხელი და მოჰქაჩა. მაისურაძეს იმ დროს, ცოლ-შვილიც ახლდა თან. მოჩხუბრებს შუაში სწორედ მისი ცოლი ჩაუდგა. დარსაველიძეს მან წესრიგისკენ მოუწოდა. ამით კიდევ უფრო გაღიზიანებულმა დარსაველიძემ ქალს ხელი მოუქნია.

„პირდაპირ გაარტყა ხელი და ჩემი ცოლი კედელს მიანარცხა. ამის დანახვაზე, ბავშვი შეშინდა და ტირილი მორთო. მაშინ საკუთარ თავზე ყველანაირი კონტროლი დავკარგე. ამის მოთმენა და თავის შეკავება ჩემთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. არც მახსოვს, დეტალურად რა როგორ მოვიმოქმედე“, — აღნიშნა განსასჯელმა.

სასამართლოს განაჩენის მიხედვით, მაისურაძე იმ დროს, უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში აღმოჩნდა და განზრახ მოკვლის მიზნით, მასზე სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გაპიროვნებული ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლის შედეგად, დარსაველიძე ჩაცხრილა. მძიმედ დაჭრილი, ადგილზევე გარდაიცვალა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, მოკლულის სხეულზე მრავალი ცეცხლნასროლი დაზიანება დაფიქსირდა. განაჩენის თანახმად, მაისურაძის სულიერი აღელვება დარსაველიძის მხრიდან არაერთგზის მძიმე შეურაცხყოფამ და ძალადობამ გამოიწვია.

თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით უკმაყოფილო დაზარალებულის ადვოკატმა განაცხადა, რომ განაჩენი უსაფუძვლო და უკანონოა. *„საქმეში არსებობს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მოსამართლის უკანონო დადგენილების საფუძველზე ჩატარდა. საქმე თავდაპირველად, 108-ე, განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა და არანაირი საფუძველი არ მოიპოვებოდა მის 111-ე მუხლზე გადასაკვალიფიცირებლად. გამოძიება სრულყოფილად არც ჩაუტარებიათ. მოწმეები არ დაუკითხავთ. საქმეში რამდენიმე ცრუჩვენება ჩადეს და განაჩენიც მის საფუძველზე გამოიტანეს. მკვლელობის მომენტში მაისურაძე რომ სულიერი აღელვების მდგომარეობაში არ იმყოფებოდა, ბევრი რამ მოწმობს. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ შემთხვევის მომენტში, დარსაველიძეს მაისურაძისთვის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია და არც იარაღი ამოუღია. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ გარდაცვლილს საავადმყოფოში, საქმრეში ჩადებული იარაღი უპოვეს. მაისურაძემ ჯერ ხელი გაარტყა დარსაველიძეს და წააქცია, შემდეგ კი წაქცეულს დაახალა იარაღიდან ტყვიები. მკვლელობამდე და მკვლელობის შემდეგაც, ის სავსებით გააზრებულად მოქმედებდა, რაც თავისთავად გამორიცხავს დანაშაულის, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენის ფაქტს“*, — აღნიშნა დაზარალებულის ადვოკატმა.

მისი სიტყვების საწინააღმდეგოდ,

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, მაისურაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა მოითხოვა იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულმა დანაშაული ჩაიდინა არა ძლიერი სულიერი აღელვების, არამედ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. აღნიშნული მუხლი კი, თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს.

განაჩენში ეჭვი შეიტანეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის მოსამართლეებმაც. ეჭვის საბაბი გახდა სასამართლო-სამედიცინო ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც როგორც გაირკვა, კანონის ნორმების დარღვევით იქნა ჩატარებული. ასევე, დასკვნა საფუძვლად დაედო იმ მოწმეების ჩვენებებს, რომლებიც თავის დროზე, სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებებად ცნო. არ იყვნენ სრულყოფილად დაკითხული მოწმეები და მათ შორის არ გახლდათ ჩატარებული დაპირისპირებები, მიუხედავად იმისა, რომ ამის აუცილებლობა არსებობდა. სწორედ ამის გამო, პალატის მოსამართლეებმა საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადასცეს, საქმის სრულყოფილად განსახილველად.

■

სასტიკი მკვლელობა — მეზობელი მეზობელმა გამოასალმა სიცოცხლეს

დანაშაული ურთიერთშელაპარაკებას მოჰყვა. დავამ და უთანხმოებამ მეზობლები საშინელ ტრაგედიამდე მიიყვანა. უთანხმოება მათ შორის, როგორც ირკვევა, ყოფითმა პრობლემებმა გამოიწვია. 1960 წელს დაბადებულ გიორგი ნადაშვილს, რომელიც წარსულში ყაჩაღობისთვის გახლდათ ნასამართლევი, ამჯერად, ბრალი განზრახ მკვლელობაში ედებოდა. დანაშაული მან ჩაქუჩით ჩაიდინა.

საქმის მასალების მიხედვით, იმ დღეს, აწ გარდაცვლილი, განსასჯელთან სტუმრად იმყოფებოდა. როგორც თავად გიორგი ნადაშვილმა განუცხადა მოსამართლეებს, დაზარალებულთან — მინდია ხაბაზაშვილთან მას ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მინდია მისგან ხშირად სესხულობდა მცირე თანხას, მალევე უბრუნებდა, რადგან მისი ცოლი ერთ-ერთი მეტროს სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ბაზრობაზე ვაჭრობდა და აქედან მცირე შემოსავალი ჰქონდათ. თავად მინდია ხაბაზაშვილი არსად მუშაობდა, ის საოჯახო საქმეებს აგვარებდა. როგორც ირკვევა, გიორგი ნადაშვილს ის ხშირად სტუმრობდა, რათა ერთად დაელიათ ალკოჰოლური სასმელი.

შემთხვევამდე რამდენიმე ხნით ადრე, თავად ნადაშვილმა სესხად, 40 ლარი სთხოვა ხაბაზაშვილს. ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ თანხას მეუღლეს გამოართმევდა და ასესხებდა. მეუღლემ ხაბაზაშვილს კატეგორიული უარი უთხრა ფულის გასესხებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მოკლულის ცოლის თქმით, მან არ იცოდა, თუ მისი ქმარი დროდადრო, ნადაშვილისგან ვალს იღებდა. ამბობს, რომ ეს მას არ სჯერა. *„პირიქით, სულ ნადაშვილისგან გვქონდა მოსვენება დაკარგული. კვირა არ გავიდოდა, ჩემი ქმრისთვის ფული რომ არ ეთხოვა, ისიც უარს არ ეუბნებოდა და აძლევდა. ფული, რამდენადაც ვიცი, უკან არასდროს დაუბრუნებია“*, — ამბობს მოკლულის მეუღლე. მისივე ინფორმაციით, მეზობელი მამაკაცები უბანში ხშირად იკრიბებოდნენ და სვამდნენ. იმის გამო, რომ მის მეუღლეს შინაგანი ორგანოები აწუხებდა და ამის გამო ხშირად ავადმყოფობდა, სმას უშლიდა. ხაბაზაშვილი თავისას მაინც არ იშლიდა და როგორც კი საშუალება მიეცემოდა, ცოლისგან მალულად, მეზობლებს უერთდებოდა. საქეიფოდ დასადებ ფულს, როგორც განსასჯელმა აღნიშნა, ის მისგან სესხულობდა.

მეუღლის უარის მიუხედავად, ხაბაზაშვილმა სახლიდან ფული მაინც წაიღო და ნადაშვილს დაპირებული 40 ლარი ასესხა. ნადაშვილმა მას ვალი დროულად ვერ დაუბრუნა. ამ ამბიდან დაახლოებით ორ კვირაში, მათ ერთად ქეიფი გადაწყვიტეს. სუფრა ნადაშვილის კუთვნილ ავტოფარეხში (რომელიც მამამისს სახელოსნოდ ჰქონდა გადაკეთებული) გაშალეს. ნასვამმა ხაბაზაშვილმა, ნადაშვილს ვალი მოსთხოვა. ნადაშვილი განაწყენდა, უსაყვედურა — ერთხელ გთხოვე და გადამაყოლეო!.. შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის დროს, ნადაშვილმა მაგიდიდან სამზარეულო დანა აიღო და რამდენჯერმე ძლიერად ჩაარტყა ხაბაზაშვილს თავის არეში. ორივენი წაიქცნენ. ხაბაზაშვილი ცდილობდა, ნადაშვილისთვის წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ ნადაშვილმა ძირს დაგდებულ ჩაქუჩს წამოავლო ხელი და ახლა ის ჩაარტყა მთელი ძალით თავში მეზობელს. მიყენებული დაზიანებების შედეგად, ხაბაზაშვილი იქვე გარდაიცვალა.

როცა დარწმუნდა, რომ მეზობელი მკვდარი იყო, ნადაშვილმა გვამი ავტოფარეხის კუთხეში გადაიტანა, მას ტომრები გადააფარა, შემდეგ, ხის ფიცრები და შეშის ნაჭრები მიაყარა, ხოლო გასისხლიანებული დანა და ტანსაცმელი შეშის ღუმელში შეაყარა და დაწვა; ჩაქუჩი გარეცხა და იქაურობა მოაწესრიგა...

ხაბაზაშვილის გაუჩინარება მაშინვე შესამჩნევი გახდა. იმავე დღეს, გაჩნდა ეჭვები ნადაშვილის მიმართაც. ეჭვს ისიც აძლიერებდა, რომ ის არსად ჩანდა: ნადაშვილმა მკვლელობის ჩადენისთანავე დატოვა შემთხვევის ადგილი და მიიმალა. მისი მცდელობა, დაეფარა დანაშაულის კვალი, რა თქმა უნდა, უშედეგოდ დასრულდა. არსებობდნენ მოწმეები, რომლებმაც იცოდნენ, რომ ხაბაზაშვილი და ნადაშვილი ერთად სვამდნენ ავტოფარეხში. აქედან გამომდინარე, პოლიციამ, რომელიც დაზარალებულმა ოჯახმა საქმის კურსში იმავე ღამეს ჩააყენა, გვამიც მალე იპოვა. დამნაშავე კი, შემთხვევიდან მესამე დღეს დააკავეს გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრები ახლობლის ოჯახში.

დაკავებულმა ნადაშვილმა ჩადენილი მკვლელობა არ უარყო, მაგრამ აღნიშნა, რომ დანაშაული მან აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩაიდინა. მის პოზიციას ეწინააღმდეგებოდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, მოკლულს სხეულზე, კერძოდ, თავის არეში მრავალი დაზიანება აღმოაჩნდა. დასკვნის მიხედვით, ხაბაზაშვილს აღენიშნებოდა ქალა-სარქვლისა და ფუძის მოტეხილობები, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ნადაშვილმა მას ზედიზედ რამდენჯერმე ძლიერად ჩაარტყა ჩაქუჩი — ასეთი ქმედება კი, აუცილებელი მოგერიების ფაქტს გამორიცხავს და განზრახ ჩადენილ დანაშაულზე მიუთითებს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, სიკვდილი თავის ტვინის ნივთიერების დაზიანებამ გამოიწვია.

ყოველივე აქედან გამომდინარე, სასამართლომ განსასჯელისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის პოზიცია არ გაითვალისწინა და ნადაშვილი განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ ცნო. ეს განაჩენი არც ზემდგომი ინსტანციების სასამართლოებმა შეცვალეს. მკვლელობისთვის ნადაშვილს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

■

დი-იდი კონკურენცია და „ჩატენილი“, „გემრიელი“ მესიჯები

ბევრ ჩვენგანს ცხოვრება მხოლოდ ერთხელ აძლევს შანსს და გამოვიყენებთ თუ არა, ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, ხშირად, ამას ვერ ვხვდებით. ზოგჯერ, მართლაც, ძნელი მისახვედრია, თუ რა ჯობს — გადაწყვეტილების მიღების დროს, „კი“ თქვა თუ — „არა“. თუ პირველს აირჩევთ და არ გაგიმართლებთ, მერწმუნეთ, ხშირად იტყვით: ეჰ, მაგარი შანსი მქონდა, რომ უკეთ მეცხოვრა, მაგრამ არ გამოვიყენეო... მეორე შემთხვევაშიც, იმავე ტექსტს გაიმეორებთ. ასე რომ, წინასწარ, არავინ იცის, რა ჯობს. ჩვენი პირველი რესპონდენტიც სწორედ ამას ჩივის.

მარი ჯაფარიძე

დაცინვას ყაცი არ მოუელავს

„საქმე ის არის, რომ სტუდენტობის დროს, ერთ ბიჭს შევუყვარდი. აჩრდილივით თან დამყვებოდა და სიყვარულის გამხელასაც კი ვერ ბედავდა. ერთი ჩვეულებრივი, სოფლიდან ჩამოსული ყმაწვილი გახლდათ და მე, თბილისში დაბადებულ და გაზრდილ გოგოს, მაინცდამაინც არ მომდიოდა თვალში. გარეგნობით ისეთი ვიყავი, რომ ათას გოგონაში გამომარჩევდით და მეც საუკეთესო ბიჭებისკენ მიმიწევდა გული. მას კი ყველას თანდასწრებით დავცინოდი და აბუჩად ვიგდებდი იმის გამო, რომ ასეთი მორცხვი და მორიდებული იყო. ხშირად, თუ სადმე ერთად აღმოვჩნდებოდით, სხვების გასაგონად ვეუბნებოდი — მითხარი, რომ ჩემი სიყვარულით იწვი-მეთქი. ის მორცხვად გაიღიმებდა და თითქოს არაფერი გაუგიაო, ისე იქცეოდა... უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ერთ ორგანიზაციაში გაგვანაწილეს, სადაც ცვლაში ვმუშაობდით და ისე მოხდა, რომ იქაც ერთსა და იმავე ცვლაში აღმოვჩნდით. ჩვენს საერთო მეგობრებს ახალი გასართობი გაუჩნდათ. მე კი, თითქოს ერთბაშად ამეხილა თვალი და მისი ყველა ღირსება დავინახე. თითქოს შემიყვარდა კიდეც, მაგრამ ამას როგორ გავამხელდი?! ვიცოდი, მეც მაგრად დამცინებდნენ. ამიტომ, ჩემი თავი ვაიძულე, რომ სხვაზე მეფიქრა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ჩემი თაყვანისმცემელი დააწინაურეს; შემდეგ, კიდევ ერთი საფეხურით წაიწია წინ და... ისეთ დროს გავთხოვდი, როცა ის უკვე ამ წარმოების დირექტორის მოადგილე გახლდათ. რა თქმა უნდა, ქორწილში სხვებთან ერთად, ისიც დავპატიჟე. მარტო არ მოსულა — სადა, მოხდენილი გოგონა უმშვენებდა გვერდს. გული დამწყდა, მაგრამ რაღა დროს მაგაზე ფიქრი იყო?!. გავიდა წლები და ახლა, ყველა ჩვენი საერთო ნაცნობი ისე დამცინის, რომ ლამის თავი მოვიკლა. მე ოჯახი ვერ შევინარჩუნე და 2 შვილი მარტომ გავზარდე. ბუნებრივია, ძალზე გამიჭირდა და ეს ჩემს გარეგნობასა და ჩაცმა-დახურვაზეც აისახა. ის ჩემი თაყვანისმცემელი კი, „დიდი კაცი“ გახდა და ამ რამდენიმე წლის წინ, როდესაც თანაკურსელები შევიკრიბეთ, ძვირად ღირებული ჯიპით, დაცვის თანხლებითა და „მეუღლის მშვენებით“ გემოგვეცხადა. ისეთი „გაფხორილი“ იყო და ისეთი მედიდური, ვინ გაბედავდა, შეეხსენებინა, როგორ დავცინოდით ერთ დროს?!. მისი სადა მეუღლისგან კი „აღარაფერი იყო დარჩენილი“: „მოხატულ“-მოპრანჭული, ტუშით დამძიმებულ წამწამებს აფახულებდა და ბრილიანტებით დამშვენებულ თითებს ხშირ-ხშირად ისვამდა საგულდაგულოდ, ღერა-ღერად დავარცხნილ თმაზე. მე კი ამ დროს, ჩემს ქუსლმოღრეცილ ჩექმას ნათხოვარი, გრძელი კაბის ქვეშ ვმალავდი. აი, ასეთი შანსი მომცა ღმერთმა და ვერ გამოვიყენე. ადამიანი შემიყვარდა და მეგობრების დაცინვას მოვერიდე. ახლა კი, ისე დამცინიან, რომ ჩემს შაყირში სძვრებათ სული, მაგრამ მე აღარ მეცინება...“

26 კილოგრამი სპილენძი და შანსი...

„დიდი ხანია გასული, რაც ოჯახი შევქმენი. უკვე მოზრდილი შვილები მყავს. მართალია, სიყვარულით გავთხოვდი, მაგრამ ჩემი ქმარი ერთი უნიათო კაცი აღმოჩნდა და მისი უსაქმურობის გამო, ოჯახში ისეთი პრობლემები შეგვექმნა, ვიღას ახსოვდა სიყვარული?!. სულ ჭმუბობდით, იმის გამო, რომ ფული არ გვქონდა, ბავშვები მშივრები და შიშვლები გვყავდა და ჯაბა მთელ დღეებს ეზოში, დომინოს თამაშსა და არყის სმაში ატარებდა. ამოვიდოდა გალეშილი და დაეგდებოდა. არც ოჯახი ახსოვდა და არც ცოლ-შვილი. მამამისის დატოვებული ქონებაც გაანიავა და გასაყიდიც აღარაფერი გვქონდა. ამდენი სმისგან ისე დაუშნოვდა, რომ იტყოდით, 100 წლის მოხუცია. არადა, ძალიან ლამაზი მამაკაცი იყო, როცა გავყევი და ბევრი გოგო შემომნატროდა, რომ ასეთი ქმარი მყავდა. ერთ დღეს, ვიჩხუბეთ და ვუთხარი — თუ ხვალ საღამომდე 50 ლარს არ მოიტან, შინ მოსული აღარ გნახო-მეთქი. წავიდა და საღამოს შემატყობინეს, რომ პოლიციას დაუჭერია, 26 კილოგრამი სპილენძის ქურდობისთვის. რამდენიმე თვის შემდეგ კი, სასამართლოც გაიმართა და 6 წლით „ჩააყუდეს“ ციხეში. ესლა უნდოდა ჩემს გაჭირვებულ ცხოვრებას! სხვა გამოსავალი არ მქონდა — ავდექი და შვილებიანად სოფელში წავედი საცხოვრებლად. ადრეც ვაპირებდი, ასე მოვქცეულიყავი, მაგრამ ჯაბა არ მომყვებოდა, მე კი მას უპატრონოდ ვერ ვტოვებდი... სოფელში დედამთილის გვერდით ვშრომობდი და თავი გაგვქონდა. წელში გავიმართეთ და ადამიანებს დავემსგავსეთ. ჯაბასაც ყურადღებას ვაქცევდი ციხეში. რაც დრო გადიოდა, მის სანახავად მისული, ჯერდავდი, რომ ისიც გამოკეთდა და დაიბრუნა ძველი გარეგნობა. 3 წელი მოიხადა, შემდეგ გამოვიდა. ძალიან შეცვლილი იყო. მთელი წელი ჩვენთან ერთად შრომობდა და ქალაქისკენ არც გაუხედავს. ერთ დღეს კი, ვიღაც კაცმა მოაკითხა. თურმე, ციხეში გაუცნიათ ერთმანეთი. ამის შემდეგ, ქალაქში სიარულს მოუხშირა, უკან უფულოდ არ ბრუნდებოდა. ამბობდა, მე და იმ კაცმა ბიზნესი წამოვიწყეთ და აღარაფერი გაგვიჭირდებაო. მერე, იმვიათად ჩამოდიოდა სოფელში. მეც მეურნეობას თავს ვერ ვანებებდი და ძალიან ვნერვიულობდი იმის გამო, რომ ჯაბა მარტო იყო... სოფლიდან ახალგაზრდები ხშირად ჩადიოდნენ მასთან, უკან დაბრუნებულები კი მეუბნებოდნენ — შენი ქმარი მაგარი შანსიანი ვინმე აღმოჩნდა, „ავტოპროფილაქტიკა“ გაუკეთებია და მაგარ ფულს ატრიალებს, მანქანაც ჰყავს და ბლომად ქალებიც ახვევია გარსო. ჩვენ ყოველთვიურად, მხოლოდ 100 დოლარს გვიგზავნიდა და სოფელშიც „მარშრუტკით“ ჩამოდიოდა ხოლმე... ერთხელ, რამდენიმე წუთით შემოირბინა, რადგან თურმე, მეგობრები ელოდებოდნენ მოშორებით და ბუნებაში საქეიფოდ წასვლას აპირებდნენ. მეზობელი მამაკაცი შემოვიდა, მე კი დრო ვიხელთე და იმის სანახავად წავედი, თუ ვინ ელოდა მანქანაში. ორღობეში ლურჯი „ოპელი“ იდგა. მძღოლის ადგილი თავისუფალი იყო, გვერდით ვიღაც გაპრანჭული ქალი იჯდა და უკან — ქალი და

მამაკაცი. ძალიან გავბრაზდი. უკან მობრუნებულმა, ჯაბა აივანზე გავიხმე და ჩხუბი დავუწყე. ვეუბნებოდი — ვერსად წახვალ, უფლებას არ მოგცემ, რომ თვალი ამიხვიო და მიღალატომეთქი. ჩხუბს შევყევით, ის მაინც წასასვლელად იწევდა, მე წინ გადავუდექი და ამ ჭიდაობაში ვიყავით, როცა უეცრად, კიბეზე ფეხი დამიცურდა და ზედა საფეხურიდან ისე „გადმოფრინდი", რომ თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი. ატყდა ერთი ამბავი. ფეხმოტეხილი ვეგდე და ვკვნესოდი, ის კიდევ, თავთან მეჯდა და — არ მოკვდე, მიყვარხარო, — ჩამძახოდა. ერთი სიტყვით, იმ დღესვე დავბრუნდი თბილისში და მას შემდეგ, სოფლისკენ აღარც გამიხედავს. ასეა, ეს ერთი შანსი მქონდა, რომ ქმარი არ დამეკარგა და ხელიდან როგორ გავუშვებდი?! ფეხი კი მოვიტეხე, მაგრამ მალე მომირჩა, სამაგიეროდ, ოჯახი შევინარჩუნე... შესაძლოა, ახლაც „დაძვრება" ქალებში, მაგრამ ოჯახს დანგრევა აღარ ემუქრება. ჯაბასგან თუ ასეთი შანსიანი კაცი დადგებოდა, ამას ვერც წარმოვიდგენდი. იმისმა მარჯვენამ გაიხაროს, ვინც ის ციხეში გაამწესა და ჭკუა ასწავლა".

ერთი... ორი... სამი...

„ბავშვობიდან ჩვენად მქონდა, რომ თუ რაიმის გადაწყვეტა მინდოდა, ბედს მივანდობდი ხოლმე. მაგალითად, თუ დედა ერთდროულად რამდენიმე კაბას მომიტანდა და მეტყოდა — აირჩიე და რომელიც მოგწონება, იმას გიყიდიო, ყველას მოვისინჯავდი, შემდეგ, საწოლზე ჩავამწკრივებდი, რიცხვს ჩავიფიქრებდი და კაბებს გადავითვლიდი. ასე ვაკეთებდი არჩევანს... როცა წამოვიზარდე, ეს ჩვეა უკვე სისხლში მქონდა გამჯდარი და ისევ ამ მეთოდით ვწყვეტდი თითქმის ყველა საკითხს. მაგალითად, პროფესია ასე ავირჩიე, ასე ვწვეტდი, დასასვენებლად, მთაში წავსულიყავი თუ ზღვაზე, პაემაწზე ვის დავთანხმებოდი და ა.შ. ერთი სიტყვით, ცხოვრებისგან მონიჭებულ შანსს ბედისწერას მივანდობდი ხოლმე. მინდა ისიც გითხრათ, რომ ეს მეთოდი საკმაოდ ამართლებდა. არასოდეს გამიკეთებია მცდარი არჩევანი. ამიტომ, პრაქტიკაში დავნერგე და ოჯახის შექმნის დროსაც, ასე მოვიქეცი, მაგრამ... ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მაშინ, როდესაც უზომოდ ვიყავი შეყვარებული ერთ ბიჭზე, დედაჩემის მეგობარმა ძალიან მოიწადინა, რომ თავისი ნათესავი გაერიგებინა ჩემთვის. ძალიან მკაცრი მამა მყავდა და ოჯახში ვერ ვამხელდი, რომ ლევანი მიყვარდა. მამაჩემმა კი, „შემოთავაზებული" სასიძო გაიცნო და აღფრთოვანებულიც დარჩა მისით. მამამისი კარგ ადგილზე მუშაობდა და საკმაოდ შეძლებული ოჯახი ჰქონდათ. არც ბიჭი იყო დასაწუნი, მაგრამ ჩემი გული უკვე დაკავებული იყო და მისი სახელის ხსენებაც კი არ მინდოდა. როდესაც მშობლებმა სერიოზული სახე მისცეს ამ ყველაფერს, ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე — არ მინდა გათხოვება, თანაც, იმ ბიჭს სულ არ ვიცნობ და უცხო კაცს ცოლად როგორ უნდა გავყვე-მეთქი?! ამის შემდეგ, მამამ მას უფლება მისცა, რომ ხშირად მოსულიყო ჩვენთან სტუმრად, რათა უკეთ გაგვეცნო ერთმანეთი. გიგა ყველგან თან დამყვებოდა, ხან სად დამპატიჟებდა, ხან — სად. სიყვარულს მეფიცებოდა და ჩემს ყველა კაპრიზს უსიტყვოდ ასრულებდა. მის მიმართ სიმპათიები გამიჩნდა. ასეთ მოქცევას შეყვარებულისგან ჩვეული არ ვიყავი და მსიამოვნებდა მდიდარი, სიმპათიური, ჩემზე შეყვარებული მამაკაცის ჩემ გვერდით ყოფნა. ჩემი მეგობრებიც აღფრთოვანებული იყვნენ მისით და ვგრძნობდი, რომ ბევრს შეშურდა კიდეც ჩემი. ამასობაში, ჩემს შეყვარებულსაც ვხვდებოდი. მან იცოდა გიგას არსებობის შესახებ და ძალიან ეჭვიანობდა. ვამშვიდებდი — ნუ გეშინია, შენ მიყვარხარ, ჩვენს სიყვარულს საფრთხე არ ემუქრება-მეთქი. ლევანი ცდილობდა, ქორწინება დაეჩქარებინა და ერთ დღესაც, საკითხი ასე დასვა — ან ხვალ საღამოს შეეხვდებით და გავიპარებით, ან სამუდამოდ დავემშვიდობებით ერთმანეთსო!.. შინ მისულმა, ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, ისევ ნაცადი ხერხით მიმეღო გადაწყვეტილება. ჩავიფიქრე რიცხვი და გადავთვალე. ჩემი ბედი, ლევანი აღმოჩნდა... მერე, ორივეს სახელები ქაღალდის ფურცლებზე დავწერე და თვალდახუჭულმა ავირჩიე ერთ-ერთი. ისევ ლევანი... კარტი მოვიშველიე: ამოვიღე „ვალეტები" და ორ მათგანს ლევანისა და გიგას სახელები დავარქვი, ორიც შევურიე. ისევ ლევანი ამოვიდა... ავიღე ტელეფონის ყურმილი, გიგას დავურეკე და სასწრაფოდ ჩემთან დავიბარე. ვთხოვე, სასეირნოდ ქალაქგარეთ წავყყვანე. კარგა ხანს ვიარეთ მანქანით. მერე მცხეთაში, ჯვარზე ავედით. უკან რომ დავბრუნდით, ვთხოვე — ერთ ადგილას გაჩერებულიყო. ავდექი და ვაკოცე. გადარეულივით ვკოცნიდი... თვითონვე შემომთავაზა — მაინც ჩემი საცოლე ხარ, მოდი, სიურპრიზი მოვუწყოთ მშობლებს და გავიპაროთო!.. ბათუმისკენ ავიღეთ გეზი. მაშინ, მობილური ტელეფონი არ არსებობდა, ამიტომ, ვიდრე ბათუმში არ ჩავედით, მშობლებს ჩვენი ადგილსამყოფელი ვერ შევატყობინეთ. თუმცა, ისინი უჩვენოდაც მიმხვდარან, რაში იყო საქმე. ერთი სიტყვით, დავქორწინდით და უნდა ვაღიარო, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ბედისწერის მიერ გაკეთებული არჩევანი შევცვალე... 2 წლის შემდეგ, ჩემი ქმარი უცხოეთში წავიდა. იქ ვიღაც პოლონელი ქალი გაიცნო და სამუდამოდ დაიკარგა. დავრჩი ასე, უპატრონოდ. შვილიც არ მყავდა, რომ დარდი გაექარვებინა. მშობლებთან დავბრუნდი. მამა გარდამეცვალა, ჩემმა ძმამ ცოლი მოიყვანა და ვინაიდან რძალი ვერ შეგვეწყო, მე და დედამ ბინა ვიქირავეთ. უმუშევარი დავრჩი და იძულებული გავხდი, მაღაზიაში გამყიდველად მემუშავა. 2 წლის წინ, მაღაზიაში ლევანი შემოვიდა. რომ დამინახა, გაუკვირდა. თვითონ მშვენივრად გამოიყურებოდა, ეტყობოდა, რომ საქმისთვის ალღო აეღო და ცხოვრებით ტკბებოდა. ძალიან შემრცხვა. ძეხვი იყიდა, მომიკითხა და 30 თეთრი ხურდა დამიტოვა... სიკვდილი მერჩივნა მასთან შეხვედრას, თანაც — ასე... ამის შემდეგ, ლევანი ხშირად შემოდიოდა. ერთ დღეს კი, რესტორანში დამპატიჟა. 2 ჭიქა რომ დალია, მითხრა — შენ ცხოვრებამ შანსი მოგცა, რომ ჩემი ყოფილიყავი, მაგრამ არ მოინდომე... ხომ არაფერში მადანაშაულებ?.. ახლა შენთვის ბევრი რამის გაკეთება შემიძლია, მაგრამ მხოლოდ იმას შემოგთავაზებ, რომ თუ სურვილი გაქვს, ერთი ღამე ჩემს მკლავზე დაგაძინოო... ხმა ვერ ამოვიღე, მხოლოდ ვთხოვე, რომ შინ წავეყვანე. მან კი ტაქსიში ჩამსვა, მძღოლს ფული გადაუხადა და ასე გამომიშვა. ამის შემდეგ, თვალით აღარ მინახავს... აი, ასე არ დავემორჩილე ბედისწერას და ახლა ძალიან ვნანობ".

„სოფლის შენებას რა უნდა?!"

„პირველად გიმესიჯებთ, თუმცა „გზავნილებს" ყოველთვის ვკითხულობ. რაც შეეხება შანსს — ცხოვრებამ ერთი შანსი მართლაც, მომცა და მეც გამოვიყენე. დავიწყებ იმით, რომ უკვე 35 წლის ვარ და ისევ გაუთხოვარი გახლავართ. ამის მიზეზებზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, ამიტომ, პირდაპირ საქმეზე გადავალ. ვმუშაობ ერთ-ერთ ბანკში. ერთი წლის წინ, სრულიად შემთხვევით გავიცანი ჩემი ასაკის მამაკაცი. ის ბანკში ფულის დასახურდავებლად შემოვიდა... რამდენიმე დღის შემდეგ, ბლომად ფული მოიტანა და დოლარზე გადაახურდავა. მერე — კიდევ... ასე გრძელდებოდა მთელი თვე. თან კომპლიმენტებს მეუბნებოდა, თვალს მიპაჭუნებდა და ჰაერონან კოცნას მიგზავნიდა. ეს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ჩემს თანამშრომლებს. მათვე მაცნობეს, რომ თურმე, ეს კაცი ძვირად ღირებული „მერსედესით" მოდიოდა. გული იმედით ამევსო და ყოველდღე მოუთმენლად ველოდი მის გამოჩენას. ერთხელ, ისეთ დროს მოვიდა, რომ ბანკში შესვენება იწყებოდა. მას მაინც დავუთმეთ რამდენიმე წუთი. მერე მისგან მიპატიჟება მივიღე, რომელზეც, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ დავთანხმდი. ერთ-ერთი სამინისტროს თანამშრომლად გამაცნო თავი. საკმაოდ ბევრ ფულს ხარჯავდა, როცა ერთმანეთს ვხვდებოდით. ძალზე უყვარდა კლასიკური მუსიკა და ხშირად, მანქანით საათობით ვსეირნობდით და თან მუსიკას ვუსმენდით. ეს კაცი სიგიჟემდე შემიყვარდა და ვოცნებობდი იმ დღეზე, როცა მისი ცოლი გავხდებოდი. ერთ მშვენიერ დღეს კი გამომიცხადა, რომ თურმე, ცოლიანი ყოფილა და ჩემთან სერიოზული, ოღონდ — არაოფიციალური ურთიერთობა სურდა, მოკლედ, საყვარელი სჭირდებოდა... ვუთხარი, რომ მამაკაცი არასოდეს მყოლია. სიხარულით გადაირია. მეც ავცუნდრუკდი, ამხელა ქალი, და ურთიერთობაზე დავთანხმდი. ვფიქრობდი — აბა, მე ვინღა მითხოვს, ვის რაში სჭირდება ჩემი უმანკოება? 20 წლის გოგონებს უჭირთ გათხოვება და მე რისი იმედი უნდა მქონდეს? ერთი შანსი მომეცა, რომ სერიოზული, მდიდარი, გემოვნებიანი კაცის გვერდით ვიყო და უარი რატომ უნდა ვთქვა-მეთქი?! ჰოდა, ავდექი და ლოგინში ჩავუგორდი. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ შევიტყვე: ეს ჩემი კავალერი ერთ-ერთი მინისტრის მოადგილის მძღოლი ყოფილა და ის „ფულებიც", რომლითაც ასე იწონებდა თავს, მისი უფროსის ყოფილა... რაღას ვიზამდი?! ცოტა წავუტირე და ბედს შევურიგდი. ახლაც ერთად ვართ და ისევ ისე მიყვარს, მაგრამ ხანდახან ვსაყვედურობ ტყუილის გამო. ის კი მეუბნება — ერთი შანსი მომეცა, რომ შენნაირი კარგი გოგო შემება და მაგისთვის, ტყუილს კი არა, რომ დამჭირვებოდა, საკუთარ სიკვდილსაც კი მოვიგონებდიო... ერთხელ მკითხა — მოდი, პირდაპირ მითხარი და არ დამიმალო — ჩემ შესახებ სიმართლე რომ

გცოდნოდა, მაინც ასე მოიქცეოდიო? დავფიქრდი და ვუპასუხე — არა-მეთქი. მაშინ მივხვდი, რისთვის დასჭირდა ტყუილი. აი, ასე მოხდა. ერთი შანსი მე გამოვიყენე, ერთი — მან და სოფელიც ავაშენეთ!“

მოტაცება „ბაკურიანულად“

„წელს ბაკურიანში ვისვენებდი. ისეთი რამ დამემართა, რომ ახლაც ვერ ვიჯერებ, თუ ეს ყველაფერი მე შემემთხვა. ლევანი სულ შემთხვევით გავიცანი. ის ტაქსის მძღოლი იყო და ტელეფონის ნომერი გამოვართვი, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამომეძახებინა. სულ 5-წუთიანი შეხვედრა იყო და მეორე დღეს, თვითონ რომ არ დაეძახა ჩემთვის, ვერც კი ვიცნობდი. კაფეში დამპატიჟა, ცხენით მასეირნა და ერთმანეთს დავშორდით. მისი გაცნობით ძალზე კმაყოფილი ვიყავი და მეორე დღეს, მისი დანახვა ძალიან გამიხარდა. ამჯერად ბარში დამპატიჟა. მართალია, სულ 2 დღის ნაცნობობა გვაკავშირებდა, მაგრამ უარი არ მითქვამს. რას წარმოვიდგენდი, რომ გულში ცუდი განზრახვა ედო?! ის კი, უეცრად გადმოვიდა იერიშზე. როდესაც მანქანაში ჩავუჯექი და ადგილიდან დაიძრა, მითხრა — თუ ხვდები, რომ ახლა მე შენ მოგიტაცეო?.. მეგონა, ხუმრობდა, მაგრამ გულში შიში მაინც შეეპარა. თან, ცუდი ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა და არ მეგონა, თუ რამეს დამიშავებდა. მანქანამ სისწრაფეს უმატა და ისეთ ადგილას აღმოვჩნდით, რომ ირგვლივ მხოლოდ ტყე იყო და სხვა არაფერი... ბევრი ვემუდარე, შინ რომ დავებრუნებინე, მაგრამ — ამაოდ. გზად მისი მეგობარი შემოგვიერთდა და სწორედ იმ მეგობრის სახლში მივედით. გარეთ საშინელი სიბნელე იყო, თანაც, შუაგულ ტყეში ვიყავით და გაქცევას აზრი არ ჰქონდა. გულამოსკვნილი ვტიროდი და ვემუდარებოდი, უკან დავებრუნებინე, მაგრამ არ შემიბრალა. ახლა, არ გამაგიჟოო!.. — ისე გამოცრა კბილებში, რომ შიშისგან ენა ჩამივარდა. როგორც შემეძლო, წინააღმდეგობას ვუწევდი, მაგრამ სახე ნამდვილად არ ჩამომიკაწრავს, რადგან შემეშინდა, ვფიქრობდი — ან მცემს, ან მომკლავს-მეთქი... მხოლოდ შიშის გამო დავნებდი. მეორე დღეს კი, გამოვეპარე... ხანდახან მირეკავს და მეუბნება, რომ თურმე, ვენატრები და მსაყვედურობს იმის გამო, რომ გამოვექეცი. მაგრამ ძალიან მიჭირს პატიება: ჩემი ნდობით ისარგებლა და გამაუბედურა. მხოლოდ ერთხელ ჩავჯექი მის მანქანაში და შანსი ხელიდან არ გაუშვა. ხან ვბრაზობ, ხანდახან — მენატრება... ლევან, ნეტავ, კიდევ შევხვდებით ოდესმე? თუ, სხვა შანსს დაელოდები? ქუდი დაგიტოვე სამახსოვროდ. მიცანი?..“

გაუმარჯოს „სტერვებს“!

„ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ 24 წლის ასაკში, ცოლიანი მამაკაცი შემიყვარდა და მისი საყვარელი გავხდი. სიმართლე რომ გითხრათ, ეს იყო ერთადერთი შანსი, რომ მის გვერდზე ვყოფილიყავი. უზომოდ მიყვარდა და მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომედგინა. ჩვენ შორის ურთიერთობის ინიციატივა მისგან მოდიოდა, მაგრამ ვგრძნობ, რომ არ ვუყვარვარ. უზომო პატივს მცემს, მისგან არასოდეს მომისმენია ხმამაღალი სიტყვა და ცდილობს, თბილად მომექცეს. მისი არაფერი მინდა. იმითიც კმაყოფილი ვარ, რომ ჩემ გვერდითაა. არასოდეს გამომითქვამს პრეტენზია მისი უყურადღებობის გამო და არც ჩემს განცდებსა და გულისტკივილზე მილაპარაკია. ყოველთვის იმას ვეუბნები — ისე მოიქეცი, როგორც შენ ჩათვლი საჭიროდ-მეთქი. არასოდეს მისაყვედურია იმის გამო, რომ ყველა დღესასწაულს მარტო ვხვდები და შესაძლოა, მოლოცვაც კი არ გაახსენდეს. ყველა ჩემს პრობლემას მარტო ვუმკლავდები და როგორი დაღლილიც არ უნდა ვიყო, მაინც არასოდეს ვამბობ მასთან შეხვედრაზე უარს... მას კი, არ ვუყვარვარ. ასე მგონია, რომ მამაკაცებს „სტერვა“ ქალები უფრო მოსწონთ, ვინც სისხლს უშრობს და საკუთარ პრეტენზიებს ახვევს თავზე. გიყვარვარ? — იშვიათად, მაგრამ მაინც მიკითხავს მისთვის და პასუხს გულისფანცქალით დავლოდებივარ, მაგრამ ის ცდილობს, თავი აარიდოს პირდაპირ პასუხს და ხან რას მეუბნება, ხან — რას. მაგალითად — რაღა დროს ჩვენი სიყვარულია? — ან — იმდენი პრობლემა მაქვს, მე თვითონ ვერ გამიგია, ვინ მიყვარს და ვინ — არაო, — და რა ვიცი, კიდევ, ათასგვარი პასუხი აქვს მზად. დავიღალე ასე ცხოვრებით და მინდა, საკუთარ მომავალზე ვიზრუნო. ამას წინათ, გადავწყვიტე, საბოლოოდ მეკითხა მისთვის, რას ფიქრობდა ჩემზე და კითხვაც სწორი ფორმით ჩამოვაყალიბე — რატომ არ გიყვარვარ? ეს მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა და დაიბნა. კარგა ხანს, ხმა არ ამოუღია. შემდეგ კი, უკანმოუხედავად წავიდა. თუმცა, სულ კი არა — დროებით წავიდა და რამდენიმე დღის შემდეგ მთხოვა, მისთვის კიდევ ერთი შანსი მიმეცა, რომ კარგად დაფიქრებულიყო, რა უნდოდა ჩემგან, თავისი ოჯახისგან და საერთოდ — ცხოვრებისგან... ახლა ველი მის პასუხს და ვნახოთ, რა განაჩენს გამომიტანს ჩემი დაუვიწყარი სიყვარული. პატივისცემით, კატო“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

სიყვარული ბრმა ყოფილა

„29 წლის მანძილზე, არც ერთი შანსი არ მოუცია ცხოვრებას. ახლა კი, 2 შანსი ერთად მომცა. 1 — ვუყვარვარ ადამიანს, რომელიც ერთად ცხოვრებას მთავაზობს, მაგრამ იმდენჯერ მეტკინა გული ცხოვრებაში, რომ უკვე მეშინია; 2 — ბიძაშვილი საზღვარგარეთ წაყვანას მპირდება, მე კი არჩევანი ვერ გამიკეთებია. არ ვიცი, ვენდო საყვარელ ადამიანს თუ წავიდე და გული დავიმშვიდო იმით, რომ კაცის ნდობა არ შეიძლება და სწორი არჩევანი გავაკეთე?..“

„მეც მომცა ცხოვრებამ შანსი, რომ ბუდისტის ცოლი გავმხდარიყავი, მაგრამ დროზე გამოვფიხზლდი. უფრო სწორად, გამომაფიხზლეს და ის შანსიც დავკარგე. ისე, ხომ მაგარი იქნებოდა — ბუდისტი ქმარი და წუპაკი ცოლი?! „ვოტ ტაკ!“ მახრა“.

„ცხოვრებამ მომცა უნიკალური შანსი, რომ ძალიან მაგარი შეყვარებული მყოლოდა, მაგრამ რად გინდა? ჩემი სულელური საქციელის გამო დავკარგე... ვაი, ჩემო „შანსო“, დამიბრუნდი, იქნებ ახლა მაინც გამოგიყენო?!“

„ვეძებ ჩემს ძუძუმტეს, კაკო ვაშაძეს. ჩვენ დავიბადეთ 1985 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში, ქალაქ თბილისში, ფილარმონიის უკან მდებარე სამშობიარო სახლში. მის შესახებ ვიცი მხოლოდ ის, რომ მშობლები არიან ამბროლაურის რაიონიდან და ცხოვრობენ სტალინის ქუჩაზე. დედა — ზინაიდა ჯაფარიძეა. ძალიან მინდა მათი ნახვა და თუ ჩემს მესიჯს ვინმე გამოეხმაურება, ტელეფონის ნომერი მარისთან იქნება დატოვებული და გთხოვთ, დამიკავშირდეთ“.

„ეჰ, „უიღბლობის დედოფალი“ ვარ. ირაკლი ჩემი შანსი მეგონა, მაგრამ დედა უფრო ჰყვარებია და მასთან მიდის, საბერძნეთში. თავისთავად, ჩემს შანსს ვკარგავ. როგორ მოვიქცე? თუ ცოლად გავყვები, მპირდება, რომ აღარ წავა. მე კი ჯერ 19 წლის ვარ და გათხოვება არ მინდა. გასაშვებადაც არ მემეტება. ვიცი, უზომოდ მომენატრება. ნაკო“.

„მობილურების გამყიდველი შემიყვარდა, რომელიც „ვაგზალზე“ მუშაობს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ალექსი ჰქვია და მეგრელია. ალექს, მიყვარხარ! მინიშნება, რომ მიცნო: მე შენი ფოტოები მაქვს. სოფო“.

„ეჰ, ვერ გამოვიყენე შანსი, თორემ, რომ გამომეყენებინა, გუშინ, იკას შეყვარებული თეონა, რუსთაველზე საცვლების ამარა ირბენდა... ვიკა“.

„ათასიდან ერთ შანსშიც კი არ გამიმართლა. კიდევ კარგი, რომ ბევრჯერ გვეძლევა შანსი, მაგრამ როგორ მივხვდე, იმ ერთმა უკვე ჩაიარა თუ ჯერ კიდევ წინაა?.. იცი, ჩემო ლონდრე, რას გეტყვი? შენ გქონდა ერთი დიდი შანსი, რომელიც ვერ გამოიყენე, გული არ გაულე და დაკარგე. ჩემსავით ლამაზად ვერავინ შეგიყვარებს. მე კი, „შანსების დედოფალი“ ვარ და მეშველება რამე... ელისო“.

„რამდენჯერაც მომეცა შანსი, რომ რაიმე მომეყოლა, იმდენჯერ გამოვგზავნე მესიჯი, მაგრამ სულ ტყუილად. ძა-ალიან დი-იდი კონკურენციაააა?.. მარი, ეს მესიჯი მაინც „ჩატენე“ სადმე, რა-ა!“

„20 წელი ვიყავი ბედნიერი, მხიარული, ხალისიანი. მქონდა უბედნიერესი ოჯახი. გავზარდე 3 ულამაზესი და უჭკვიანესი შვილი. ერთ მშვნიერ დღეს კი აღმოჩნდა, რომ ბედნიერების ლურჯი ფრინველი ჩემს ქმარს მოშინაურებული ჰგონებია და მეორეს, ცაში ეძებდა... დღეს აღარ არსებობს ჩემი ლამაზი ოჯახი და მხოლოდ ახლა დავინახე ჩემი ქმრის მორგვივით ტანი და სულიერი სიმახინჯე. მართლაც ბრმა ყოფილა სიყვარული!.. ახლა, ჩემს ქმარს არ უნდა დაიჯეროს, რომ სიყვარული მოკვდა... როგორ ფიქრობთ — ასეთ სიტუაციაში ღირს კი, კიდევ ერთი შანსი მივცე?“

„ერთი შანსი ნამდვილად მომცა ცხოვრებამ, მაგრამ ვერ გამოვიყენე. ერთ ბიჭს ვუყვარდი და დაბადების დღეზე „ბე-ემ-ვეს“ გასაღებს მაძლევდა საჩუქრად, მაგრამ აბა, როგორ გამოვართმევდი?! პატარა ვიყავი და სახლში რას ვიტყოდი, ასეთი მანქანით რომ მივიდოდი? დათო, ახლა მაჩუქე და დედას გეფიცები, გამოგართმევ. თოჯინა“.

დღევანდელ „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: სასაცილო სიტუაცია. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61, მოგვიყვეთ თქვენსა და თქვენი ახლობლების თავს გადახდენილი კურიოზები. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

„ეს გენეტიკურად ჩვენ ქალების არ მჯერა...“

მსახიობი, მოცეკვავე, მწერალი — გივი სიხარულიძე მართლაც მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება გახლავთ. ბატონ გივის ჩვენი დროის და თაობის ბევრი რამ არ მოსწონს და როგორც თავად ამბობს, დრომოჭმული, არამოდური შეხედულებები აქვს. ამის გამო ერთხელ მეგობარს უსაყვედურია კიდეც და ასეთი რამ უთქვამს — ეჰ, რაებს ლაპარაკობ, ამ ცხოვრებას ჩამორჩიო?!. ბატონი გივი კი გამოსულ ტიპობას მაინც „ქაჯობას“ ამჯობინებს და ამაყობს, რომ არასდროს ცუდი რამ არ გაუკეთებია და არც ის დავიწყებია, ქართველი რომ არის და ტრადიციებს პატივი რომ უნდა სცეს. ამისთვის დღემდე მშობლების, განსაკუთრებით კი — დედის მადლიერია.

ნინო ჯავახიშვილი

— დედაჩემი პატარაობიდანვე მასწავლიდა ერთ რამეს, რისთვისაც დღემდე მისი მადლიერი ვარ — შვილო, ცუდი არავის გაუკეთო, არ მოიპარო, ტყუილი არ თქვა და სიკეთით სავსე იყავიო. მამაჩემი ბუნებით ძალიან თბილი და კეთილი კაცი იყო. საერთოდ, ხომ ისე ხდება, რომ ქართულ ოჯახში მამაა ავტორიტეტი, ის არის უფრო მომთხოვნი და მკაცრი შვილებთან ურთიერთობისას. ჩვენს ოჯახში სხვანაირად ხდებოდა — დედაჩემის უფრო მეშინოდა. სწორედ მისი წყალობით ვარ დღეს ის, რაც ვარ — არასდროს ცუდი რამ არ ჩამიდენია. ცუდი საქციელისთვის ღმერთი დაგსჯისო, — მეტყოდა ხოლმე დედა. ალბათ, ყველა მშობელი არიგებს შვილს, თუმცა ჩემი აზრით, ბავშვს არ უნდა მიუთითო, რა არის კარგი და რა — ცუდი. ის თვითონ უნდა მიხვდეს რაღაცებს, თვითონ უნდა გამოიტანოს დასკვნები...

— ბატონო გივი, რა ითვლებოდა თქვენი ახალგაზრდობისას ცუდ საქციელად?

— რა ითვლებოდა და ადამიანის დაბეზღება. მამაჩემმა მითხრა ერთხელ — თუ შენ ისეთი კაცი გამოხვალ, რომელსაც სხვისი დაბეზღება შეუძლია, ამას სჯობს, მოკვდე და საერთოდ არ გაიზარდოო. რა თქმა უნდა, მამა მართალი იყო... იცით, მაშინდელი მასწავლებლებიც სულ სხვანაირები იყვნენ. ერთხელ, ერთმა ბავშვმა თანაკლასელი დააბეზღა — ასე და ასე მოიქეცაო. იმ მასწავლებელს ეყო ჭკუა და ასე დაგვარიგა — ეს ბავშვი შეცდა, რა მოხდა, ხდება ასეთი რამეები, თქვენ ის ჩვეულებრივ უნდა გიყვარდეთო. მაბეზღარა ბავშვი კი ცალკე გაიხმო და იცით, რა უთხრა? — თუ გინდა, კაცად იქცე და კაცის სახელი გქონდეს, არასდროს არავინ დააბეზღო. შეიძლება, ამით მე მავნო, მაგრამ მეგობარს და თანაკლასელს ნურასდროს უღალატებო. ერთი მასწავლებელი მყავდა, ლევან ჩიქვანაია, არაჩვეულებრივი კაცი. მასთან რომ მისულიყავი და ვინმეზე რაიმე ამბავი მიგეტანა, ამისთვის არ შეგიძულებდა, მაგრამ ეცდებოდა, სწორ გზაზე დაეყენებინე.

— ერთმანეთის დასმენა ჩვენს თაობაში განა კარგ საქციელად ითვლება?!

— ხშირად ვუყურებ ჩვენს ტელეარხებზე პოლიტიკურ შოუებს — სხედან პარლამენტარები თუ ხელისუფლების წარმომადგენლები და რას არ აკადრებენ ერთმანეთს. ვფიქრობ, ამაზე საზიზღარი საყურებელი არაფერია — ორივე მხარეს მამაკაცები კი არა, კაბაგახდილი, მამაკაცის კოსტიუმში გამოწყობილი პოლიტიკოსები სხედან! მიდის ერთმანეთის დადანაშაულება — შენ რომ ეს თქვი, შენ რომ ის თქვი... სამწუხაროდ, ყველანი ვუყურებთ, როგორ აბეზღებენ ქალის მსგავსი მამაკაცები ერთმანეთს. კარგით რა, ხალხო, ეს ხომ სამარცხვინოა?!. ასე არ ხდებოდა ჩვენ დროს, დასმენა გმირობად არ ითვლებოდა. ქალისთვის ღირსეულ საქციელად მამულიშვილობა და კარგი დედობა ითვლებოდა. ყველა გოგონა იზრდებოდა პოტენციურ დედად, მეუღლედ, რომელიც უნდა ყოფილიყო სათნოების განსახიერება, ქმრის დამჯერი, მისი ავისა და კარგის გამზიარებელი. არამც და არამც არ უნდა ყოფილიყო ცოლი ისეთი, რომელიც უბრძანებდა თავის ქმარს — ასე და ასე მოიქეცი. მამაკაცის სიტყვა ოჯახში კანონი იყო. მე იმას კი არ ვამბობ, რომ ყველაფერში უნდა დაუჯერო ქმარს და რასაც ის გეტყვის, თვალდახუჭულმა გააკეთო. იქნებ, ქმარი სულელი და იდიოტია, მაგრამ რა ვქნა, არ მომწონს ქალები, რომლებიც ქმრებს თავის ჭკუაზე ატრიალებენ. იცით, როგორია ამერიკელი ქალი ოჯახში? ამერიკელი ქალი არის როზგიანი, „შემსრულებელი“ და არა მეუღლე. ამიტომაც არის, რომ ამერიკელები გარბიან და რომელი ქვეყნიდან აღარ მოჰყავთ ცოლები — მალაიზიიდან, ვიეტნამიდან, ჩინეთიდან, აზიის ქვეყნებიდან. ეზიზღებათ ამერიკელი ქალი ცოლის ამპლუაში.

— უფროს-უმცროსობის ტრადიციაზე რას იტყვით?

— ერთი მეგობარი მყავს — თამაზ ჩიხლაძე, ცნობილი კალათბურთელი. მისი ბიჭი ამერიკაში ცხოვრობს. ამას წინათ გახლდათ საქართველოში და ვიდრე შევხვდებოდი, ვფიქრობდი, ალბათ ძალზე შეიცვლებოდა-მეთქი. მოლოდინი, საბედნიეროდ, გამიცრუვდა — რა ზრდილობა, როგორი პატიოსნება, როგორი მოკრძალება უფროსის მიმართ. ვუყურებდი მას და ვფიქრობდი — ქართული ჯიში და გენი არ გადაშენდება-მეთქი. რაინდობა ბუნებით უნდა მოგდგამდეს.

ზოგს რაინდობა ის ჰგონია, მუშტს რამდენად კარგად იქნევს. ჩემს თაობაში იცით, როგორ იყო? ერთი წლით უფროსიც რომ ყოფილიყო ჩვენზე, უდიდესი მოკრძალებით ვეპყრობოდით, რა თქმა უნდა, თუ ის კაცი იყო და ასეთ მოქცევას იმსახურებდა. შენიღბულად, ჩუმ-ჩუმად მაშინაც ხდებოდა რაღაცები, მაგრამ მაინც ყველამ იცოდა ქალაქში, ვინ ვინ იყო. მალე გამოიცემა ჩემი ახალი რომანი, რომელშიც ასეთ რაიმეს ვამბობ — ნურავინ იტყვის, რომ დღევანდელი თაობის აღვირახსნილობა, დღეს დაიწყო და სულ მათი ბრალია. ასე არ არის, ჩვენს დროშიც იყვნენ მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, ჩვენს დროშიც იყვნენ კაცები, რომლებსაც ცოლებისთვის სახლში მიჰყავდაც კაცები... იყვნენ ჰომოსექსუალისტებიც, მაგრამ ამ ყველაფრის აფიშირება არ ხდებოდა. ცუდ საქციელად ითვლებოდა და ამის გამომჟღავნების რცხვენოდათ. დღეს კი, თუ ასეთი ხარ, მაშინ „სვეტსკი“ და პრივილეგირებული ხარ...

— როგორ ექცეოდით მათ, ვისზედაც ამბობდნენ — ცისფერიაო?

— ცისფრების მტერი არ ვარ — ხომ შეიძლებოდა, მეც მათნაირი ვყოფილიყავი? ისინი ხომ ღმერთმა გააჩინა ასეთებად, მაგრამ ძალიან მაღელვებს ის ამბავი, ჰომოსექსუალისტები რომ გამოდიან, თუნდაც ტელევიზიით და უკიჟინებენ ჩვენს ახალგაზრდობას, რომ ეს ჩვეულებრივი და კარგია... ჰომოსექსუალისტობისთვის არც ოსკარ უაილდი დაუხვრეტიათ, არც მიქელანჯელო, არც ჩაიკოვსკი, რომელი ერთი ჩამოგითვალოთ, მაგრამ შენ როცა არასწორად ცხოვრობ, აღარ უნდა ეცადო, სხვაც შენს გზაზე დააყენო. აი, ეს მაგიუებს, თორემ ვინმეს განსჯის უფლება არ მაქვს. ცისფრებს ავადმყოფებად ვთვლი და მეცოდებიან იქამდე, ვიდრე სხვასაც არ უკიჟინებენ, არ აცდუნებენ... აი, მაშინ უკვე ძალიან მეზიზღებიან, თუმცა, ძალადობის მომხრე მაინც არ ვარ.

— როგორც ვიცი, ახალგაზრდობისას ჩხუბი ხშირად გიწევდათ და კარგ დამრტყმელადაც ითვლებოდით?

— საჩხუბრად უბნელები მივდიოდით, ოღონდ, კაცურად — ერთი ერთზე ვჩხუბობდით, მერე ერთმანეთს გადავეხვეოდით და ვრიგდებოდით. უბნობანა მერე წამოვიდა — დაესეოდა მთელი ბირჟა ერთს და ურტყამდა. ეს უკვე აღარ მომწონდა და ამიტომაც ვუთხარი ქუჩას უარი. სხვა უბნელი ვაჟკაცი მერჩივნა ჩემს უბნელ ნაძირალას. ძალიან ხშირად მიწევდა ჩხუბი და მართლაც კარგი დამრტყმელი ვიყავი. მაგრამ თუკი ოდესმე მუშტი გამიქნევია, დღემდე ვნანობ — ეს იდიოტიზმია. აბა, რა კაცობაა, ვიღაცას შეურაცხყოფა მიაყენო და სცემო, არ ვგულისხმობ ისეთ შემთხვევებს, როცა შეიძლება, შეურაცხყოფილი ადამიანი დაიცვა და ამის გამო ვიღაცას თავ-პირი გაუერთიანო.

— ქალის გამოც ჩხუბობდით ხოლმე?

— ქალის გამო არასდროს მიჩხუბია და გეტყვით, რატომ. ბიჭებს, რა თქმა უნდა, უყვარდათ გოგონები და მათ არც კი ეკითხებოდნენ, რას განიცდიდნენ თვითონ. იმ გოგონებს კი სულ სხვა რჩეულები ჰყავდათ და ცოლად მათ მიჰყვებოდნენ. ჩხუბი კი ამაოდ ჩაივლიდა ხოლმე... ადრეც ასე ვფიქრობდი და დღესაც ასე ვფიქრობ, რომ ქალი არ არის ის არსება, ვისთვისაც ადამიანს გაიმეტებ... თუ ქალს უნდიხარ, ისედაც შეგიყვარებს და თუ არა, 200 კაციც რომ დაჭრა და 15 ხიდიც რომ ააფეთქო, მაინც სხვას გაჰყვება. ასე ხდება ცხოვრებაში. ნუ გეწყინებათ და ქალების არ მჯერა... მე მჯეროდა ერთადერთი ქალის — ჩემი მეუღლის, რომელიც აღარ მყავს, მაგრამ დღემდე მისით ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე. ჩემი თაობის ბიჭებმა და გოგონებმა უზადო და უსაზღვრო სიყვარული იცოდნენ. ქალები ხშირად ერთგულები რჩებოდნენ თავიანთი სიყვარულის და არ თხოვდებოდნენ. ბიჭები კი იწვოდნენ ქალის სიყვარულით, მაგრამ სიტყვის თქმასაც ვერ უბედავდნენ და წითლდებოდნენ. აი, ეს იყო ნამდვილი სიყვარული. მოკრძალება სიყვარულში და თუ გნებავთ, სექსში, გრძნობას ალამაზებს. ჩემნაირ კაცებს, ჩემი თაობის მამაკაცებიც კი, ვისაც „სვეტი“ ცოლები ჰყავთ, მასხრად იგდებენ, ერთმა ჩემმა მეგობარმა, როდესაც ვურჩიე — ეგეთი ქალი ცოლად არ გამოგადგებამეთქი, პირდაპირ მითხრა — ამ ცხოვრებას ჩამორჩი, „სიმონო“... გული მტკივა, ის ძალიან კარგი კაცია და ასეთი ცოლი რომ ჰყავს, მაგრამ რას იზამ? — მე ხომ „სიმონა“ ვარ, ქაჯი ვარ, ის კი გამოსული ტიპია...

— ბატონო გივი, იქნებ თქვენი თაობის თბილისიც გაიხსენოთ. რას ნიშნავდა თქვენთვის მშობლიური ქალაქი, თბილისელობა?

— ნოსტალგია მაქვს მაშინდელი თბილისის. ახლაც ჩემს ქალაქში დავდივარ და მაინც ჩემი ქალაქის ნოსტალგია მაქვს. თბილისი იყო სისუფთავის, სიწმინდის და პატიოსნების ქალაქი. მაქვს ასეთი მოთხრობა — „აკეთეთ სიკეთე“, რომელშიც ვამბობ, რომ არსებობს ეროვნება — თბილისელი. თბილისში რომ დაიბადები და გაიზრდები, გინდ სომეხი იყავი და გინდ ებრაელი, კარგავ შენს ეროვნებას და ხდები, უბრალოდ, თბილისელი. თბილისელობა კი ძალზე ბევრს ნიშნავს. შარდენის უძველეს ქუჩაზე დღეს არაერთი ბარი და რესტორანია. იქ ხშირად ქეიფობენ მილიონერები, რომლებიც მეზიზღებიან — სირცხვილია, შენს ქვეყანაში მდიდარი კაცი რომ ხარ, ერთ ჭიქა ნაყინში 15 ლარს რომ იხდი, მაშინ, როცა ხალხი სანაგვეზე ეძებს საჭმელს. საუბედუროდ, ქართველების ბუნებაში ყოფილა „პაკაზუხობა“. დავრწმუნდი, რომ როგორც ღარიბს სჭირდება მდიდარი, ასევე მდიდარს სჭირდება

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რაზე ხატავდა ხშირად ნიკო ფიროსმანი?

ა) მუყაოზე;
ბ) ეტლებზე გადასაკრავ დერმატინზე;
გ) ჯვალოზე.

2. სხვა ნადავლთან ერთად გერმანელ ოკუპანტებს რუსეთიდან გაჰყავდათ ორლოვის ჯიშის...

ა) ძროხები;
ბ) ცხენები;
გ) ქათმები.

3. ლევან გერძენიშვილი ჰყვებოდა: ციხეში უფრო ნაციონალისტური განწყობილებით წავედი და იქიდან შედარებით უფრო... დავბრუნდი“. რომელია გამოტოვებული სიტყვა?

ა) დემოკრატიული;
ბ) დიქტატორული;
გ) ოპოზიციური.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ღარიბი. ღარიბები რომ არ იყვნენ, მდიდრები ვისზე იმეფებენ?

— ამ ყველაფრის შესახებ შვილიშვილებს თუ ესაუბრებით ხოლმე?

— რა თქმა უნდა, მაგრამ დიდი იმედი არ მაქვს, რომ ჩემი ლაპარაკი რაიმე შედეგს გამოიღებს...

— დასასრულს, ქართულ სუფრაზეც ვისაუბროთ. თუ დაიკარგა ქართული სუფრის ტრადიციებიც?

— ქართული სუფრა მარაზმად გადაიქცა. ვიკრიბებით ჩემი ხნის ხალხი და ვქეიფობთ, ვამბობთ სადღეგრძელოებს — გაუმარჯოს მშობლებს, დედმამიშვილებს და ა.შ. ყოველთვის ერთი და იგივე მეორდება. ეს უკვე უინტერესოა. მსიამოვნებს ქეიფი. თუ სუფრას უძღვება ისეთი თამადა, როგორებიც არიან: ზაალ კახიანი, გენო ონაშვილი, ვახტანგ ცხადაძე, ჩემი მეგობარი ზვიად კოვზირიძე, ასეთ ხალხთან ქეიფი ბედნიერებაა. ზოგი მარტო სვამს და მერე გიჟდება. ადამიანმა იმდენი უნდა დალიოს, რამდენიც შეუძლია, რომ თვითონაც ისიამოვნოს და სხვაც ასიამოვნოს. სუფრიდან ხშირად წამოვსულვარ იმის გამო, რომ თანამესუფრენი არ მომწონებია. როგორ შეიძლება ვიქეიფო კაცთან, რომელმაც არ იცის მოსმენა, სიმთვრალეში შარზეა და ჩხუბობს? მე თვითონ ძალიან ცოტას ვსვამ — შემიძლია, დავლიო ერთი ბოთლი კონიაკი, ან ვთქვათ — ორი ბოთლი შამპანური. ღვინოც მიყვარს, ოღონდ — მსუბუქი დასალევი...

— დაბოლოს, რომელი სადღეგრძელოს თქმა გსიამოვნებთ ყველაზე მეტად?

— ქალის სადღეგრძელოს ყოველთვის ვამბობ ხოლმე — მთელი ჩემი ცხოვრება ვაფასებ ქალს, როგორც დედას, როგორც მეუღლეს. ხშირად მიფიქრია, რომელი უფრო ადრე შექმნა უფალმა — ქალი თუ ყვავილი, ყვავილი თუ ქალი. მე მივხვდი, რომ ჯერ ყვავილი შექმნა და მერე ქალი, ყვავილის გასალამაზებლად. ქართველ ქალს დიდ პრიორიტეტს ვანიჭებ — ულამაზესები არიან, ვთვლი, რომ ქართველმა ქალებმა მზეს სხივები მოსტაცეს, ვარსკვლავებს — სიკაშკაშე, მთვარეს — სიელვარე, შხაპუნა წვიმას — წვიმის წვეთები, რომლებიც გადააქციეს სიხარულის, სევდისა და სიყვარულის ცრემლებად...

■

„გემოვნება ინტელექტიდან მოდის“, — ამბობს მოდელი და სამოდელო სააგენტოს ხელმძღვანელი, ლალი ტოტიკაშვილი. უყვარს „შოპინგებზე“ სიარული და ფულის ხარჯვა. აქსესუარებიდან, ყველაზე მეტად — ბეჭედი, საათი და სათვალე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რესპონდენტი კომფორტულ, კარგად გარემონტებულ ბინაში ცხოვრობს, ოცნებობს კერძო სახლზე, რომელსაც გარშემო დიდი ეზო და აუზი ექნება.

ლალი ტოტიკაშვილი: მამაკაცი უნდა იყოს ინტელექტუალური და სიმპათიური

ეკა მინდაძე

— გემოვნება თანდაყოლილი ნიჭია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, ადამიანი ოჯახისა და გარემოს წყალობით ხვეწს მას.

— შენი აზრით, ბევრი წიგნის კითხვა მნიშვნელოვანია გემოვნების ჩამოსაყალიბებლად?

— რა თქმა უნდა, ადამიანის ინტელექტის ჩამოყალიბებაში უდიდესი ადგილი უჭირავს ლიტერატურას. ალბათ ამიტომაცაა, რომ განათლებული ადამიანი უფრო ერუდირებული და ინტელექტუალურია.

— ბავშვობაში ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რომელმა ნაწარმოებმა მოახდინა შენზე?

— ბავშვობიდან მიყვარს წიგნის კითხვა. უფრო მეტად სერიოზული ნაწარმოებებით ვინტერესდები. გამორჩეულად მიყვარდა მიხაილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“. სხვათა შორის, მას დღესაც დიდი სიამოვნებით ვკითხულობ.

— რომელი ჟანრის მუსიკას ანიჭებ უპირატესობას?

— მიყვარს ჯაზი, ბლუზი და სოული.

— დასახელე შენი აზრით ყველაზე გემოვნებიანი ქართველი მომღერალი?

— იმის გამო, რომ მე ყველას კარგად ვიცნობ და მიყვარს, ვფიქრობ, რომელიმეს გამოყოფა ჩემი მხრიდან არაკორექტული იქნება. ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებ.

— რა ასაკიდან დაიწყე დამოუკიდებლად ჩაცმა?

— დამოუკიდებლად ვიცვამდი პატარაობიდან. ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ტანსაცმლის ხშირად გამოცვლა. მახსოვს, დღე არ გავიდოდა ისე, რომ ხუთჯერ მაინც არ გამომეცვალა ტანსაცმელი...

— ყველაზე მეტად რა სტილის სამოსის ჩაცმა გიყვარს?

— ყოველდღიურად, სპორტულად ჩაცმა მიყვარს. კლასიკურად ვიმოსები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წვეულებასა და ოფიციალურ შეხვედრაზე მივდივარ.

— შენს ჩაცმულობაში ყველაზე მეტად რომელი ფერი ჭარბობს?

— ძალიან მიყვარს შავი ფერი. ალბათ ამიტომაც, ჩემს გარდერობში ყველაზე მეტი, სწორედ ამ ფერის სამოსია. ჩემი აზრით, შავი საკმაოდ ელეგანტური ფერია. გარდა ამისა, სხვა ფერს სეზონის მიხედვით ვირჩევ: გაზაფხულსა და ზაფხულში ღია და ნათელ ფერებს ვანიჭებ უპირატესობას, შემოდგომასა და ზამთარში კი — მუქ ფერებს.

— როცა რაიმეს იძენ, ფასს ანიჭებ უპირატესობას თუ ხარისხს?

— ხარისხს. დარწმუნებული ვარ, რომ იმ მაღაზიებში, სადაც მე დავდივარ, კარგი ხარისხი გარანტირებულია.

— გიყვარს „შოპინგზე“ სიარული და ფულის ხარჯვა?

— ძალიან.

— როცა ფული გაქვს, პირველ რიგში, რას ყიდულობ?

— გააჩნია. ყველაზე მეტად, მაინც ტანსაცმლის და სახლისთვის აქსესუარების შეძენა მსიამოვნებს.

— ქართველ დიზაინერებს არ აკითხავ ხოლმე ტანსაცმლის შესაკერად?

— კი, როგორ არა! ავთო ცქვიტინიძის და სალომე ტყაბლაძის ძალიან ბევრი ნამუშევარი მაქვს შეძენილი.

— აქსესუარებიდან ყველაზე მეტად

რა გიყვარს?

— ძალიან მიყვარს საათი, ბეჭედი და სათვალე.

— მაკიაჟის გაკეთება თუ გიყვარს?

— მიყვარს, მაგრამ გააჩნია მაკიაჟს. არ შეიძლება, ყოველდღიურად და წვეულებაზე ერთი და იმავე მაკიაჟით იარო. ამის გამო ვცდილობ, ყოველდღიურად მსუბუქი მაკიაჟი გავიკეთო.

— სუნამოს ხშირად იცვლი?

— საკმაოდ. არასოდეს ვჩერდები ერთ სუნამოზე. მიყვარს მათი ხშირი ცვლა და ამიტომაც, არ შემიძლია რომელიმე სუნამოს გამოყოფა.

— სარკის წინ ბევრ დროს ატარებ?

— მთელ დღეს სარკესთან არ ვატარებ, მაგრამ როცა საჭიროა, ვიხედები...

— შენი აზრით, რამდენად გემოვნებიანად იცვამენ დღეს საქართველოში? რა შეფასებას მისცემდი დღევანდელი ქართველი გოგონების ჩაცმულობის სტილს?

— დადებითს. ეს ბუნებრივიცაა: ქართველებს ხომ ოდითგანვე გემოვნებიანად ჩაცმა სჩვეოდათ.

— მუდამ ფორმაში ყოფნას როგორ ახერხებ?

— რა ვიცი, ბუნებრივად *(იცინის)*..

— არ ვარჯიშობ?

— არა. როცა დრო მაქვს, აუზზე დავდივარ ხოლმე. თუმცა, იმისათვის, რომ ფორმაში ვიყო, არ მჭირდება აუზზე სიარული...

— დიეტას ხომ არ იცავ?

— არა და არც არასოდეს ვყოფილვარ დიეტაზე. შემიძლია, ნებისმიერ დროს ვჭამო იმდენი, რამდენიც მინდა. სხვათა შორის, არაერთხელ მიჭამია ღამითაც.

— საკუთარ გარეგნობაში თუ შეცვლიდი რაიმეს?

— არაფერს.

— ამბობენ, გემოვნებაზე არ დაობენო. შენ რას ფიქრობ?

— რა გითხრა?! შეიძლება, ასეც არის, მაგრამ ვფიქრობ, ბევრი რამ მაინც სადავოა.

— ლალი, შენი და შენი მეუღლის გემოვნება ემთხვევა თუ არა ერთმანეთს?

— რა თქმა უნდა. რომ არ ემთხვეოდეს, ალბათ, ერთად ვერც ვიცხოვრებდით...

— საერთოდ, როგორი მამაკაცები მოგწონს?

— მამაკაცი უნდა იყოს ინტელექტუალური და სიმპათიური. სწორედ ასეთია ჩემი მეუღლე *(იცინის)*..

— მამაკაცში ყველაზე მეტად, რა გაღიზიანებს?

— არ მიყვარს ნარცისები — აი, ამან შეიძლება ძალიან გამაღიზიანოს.

— რამდენი ხანია, რაც ამ ბინაში ცხოვრობ?

— მას შემდეგ, რაც გავთხოვდი.

— ბინის რემონტში აქტიურად ერეოდი?

— კი, რა თქმა უნდა. რემონტის დროს სისტემატურად მოვდიოდი და ვაკონტროლებდი სიტუაციას.

— ეი. ინტერიერის დიზაინი შენი კარნახით გაკეთდა?

— რა თქმა უნდა. კედლების ღია ფერებად შეღებვაც ჩემი დამსახურებაა. ფარდები და ჭაღებიც ჩემი გემოვნებით შევარჩიე.

— ავეჯი სად შეიძინეთ?

— მაღაზიებში, სადაც თანამედროვე სტილის ავეჯი იყიდება.

— სახლში ბევრ სურათია. გიყვარს სახვითი ხელოვნება?

— ძალიან. განსაკუთრებით თანამედროვე სტილის სურათები მიყვარს.

— თქვენს პატარას თუ მოუწყვეთ ოთახი?

— ბოლომდე — არა. მას ჯერ ოთახი არ სჭირდება: 4 თვის ბავშვს მარტო ხომ ვერ დავაწვენთ! სანამ ის წამოიზრდება, ჩვენ აუცილებლად ძალიან ლამაზ ოთახს გავუკეთებთ.

— საოჯახო საქმეებსა და ბავშვის გაზრდაში ვინ გეხმარება?

— დედაჩემი.

— საოჯახო საქმეებიდან ყველაზე მეტად რა გიყვარს?

— რა ვიცი, ვაკეთებ ყველაფერს, რაც საჭიროა. ყველაზე მეტად, სახლის დალაგება და ბავშვის მოვლა მიყვარს.

— კერძების მომზადება თუ გეხერხება?

— კი. სხვათა შორის, რასაც კი ხელს მოვკიდებ, ყველაფერი გემრიელი გამომდის. ჩემს ქმარს ჩემი გაკეთებული სალათები უყვარს. ისე, მართლაც, გემრიელი სალათების გაკეთება ვიცი.

— ეს ლამაზი ძაღლი ვინ გაჩუქა?

— ეს ძაღლი მეუღლემ ქორწინებამდე მაჩუქა. მან იცოდა, რომ დიდი სათამაშოები მიყვარს და ალბათ, ამიტომ გადაწყვიტა ჩემთვის ამ ძაღლის ჩუქება.

— მომავალში როგორი ბინა გინდა რომ გქონდეს?

— ძალიან მინდა, მქონდეს კერძო სახლი, დიდი ეზოთი და აუზით.

■

იმისათვის, რომ ფორმაში ვიყო, არ მჭირდება აუზზე სიარული...

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე

1. მდინარე მტკვრის ყველაზე დიდი მონაკვეთი გადის

ა) აზერბაიჯანზე;
ბ) საქართველოზე;
გ) თურქეთზე.

2. ვინმე აფერისტმა ლასტიკმა ეიფელის კოშკი ორჯერ გაყიდა როგორც:



ა) სატელევიზიო ანძა;
ბ) ჯართი;
გ) სათვალთვალო კოშკი.

3. ალ კაპონე დადიოდა დაჯავშნული:

ა) „ფოლკსვაგენით“;
ბ) „მერსედესით“;
გ) „კადილაკით“.

4. რა ერქვა გადაცემას, რომელიც შალვა რამიშვილს დაკავებამდე მიჰყავდა:

ა) „დებატები-202-ზე“;
ბ) „ტელედებატები-202-ზე“;
გ) „ტელეპონტები — 202-ზე“

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

კადრი ფილმიდან „აკაკის მოგზაურობა“

უკვე კარგა ხანია, რაც საქართველოში დოკუმენტური ფილმები თითქმის აღარ იქმნება. არადა ქართულ დოკუმენტურ კინოს ბევრი რამით შეუძლია მოიწონოს თავი. როგორი იყო ქართული კინოდოკუმენტალისტიკის „კლასიკა“, რით იყო ის საინტერესო და ვინ გადაიღო პირველი ქართული დოკუმენტური ფილმი — ამ ყველაფერზე თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროორექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, კინომცოდნე გიორგი დოლიძე გვესაუბრება.

დოკუმენტური კინო: სანდოვანი წარსული, „საჩიენელი“ აწეული და უნდოვანი მომავალი

ნათია ქევიძე

— პირველი ქართული დოკუმენტური ფილმი გახლავთ „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, რომელიც 1912 წელს, ვასილ ამაშუკელმა გადაიღო. ეს არის ქართული კინოს საწყისი და იმდროინდელი მსოფლიო კინემატოგრაფის უნიკალური ფილმი. ცოტათი წინ გავუსწრებ მოვლენებს და გეტყვით, რომ 2008 წელს, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ქართული კინოს 100 წლისთავი. გაისად, გვინდა ჩავატაროთ მსოფლიო კონფერენცია, სადაც უნდა მოვიწვიოთ ყველა კინემატოგრაფიული ქვეყნის წარმომადგენლები, ვთხოვოთ მათ, ჩამოიტანონ თავიანთი პირველი ფილმები და ვიმსჯელოთ ამ ფილმების ღირსებებზე. „აკაკის მოგზაურობის“ პირველი და უმთავრესი ღირსება ის გახლავთ, რომ ის იყო სრულმეტრაჟიანი ფილმი და ისეთი მაღალი პროფესიული დონით გამოირჩეოდა, რომლის მსგავსი 1912 წლამდე, არც ერთ ქვეყანაში არ შექმნილა. ეს ჩემი ნათქვამი კი არ არის — ეს თქვა ჟორჟ სადულმა, რომელსაც მსოფლიო კინოს ისტორიის ექვსტომეული ეკუთვნის... საერთოდ, ყველა ქვეყანაში, როცა ფეხს იკიდებს კინემატოგრაფი, ჯერ ვითარდება დოკუმენტური კინო, შემდეგ კი — მხატვრული. აიღებს ვიღაც კაცი აპარატს, გადაუღებს დედამისს, ბიძამისს, ბაღში მომუშავე მებაღეს ან შვილს და ამის შემდეგ, იწყება ფიქრი იმაზე, რომ რაღაც გაითამაშოს, რადგან აღარ აკმაყოფილებს მხოლოდ იმის ფიქსაცია, რასაც ცხოვრება მზამზარეულად სთავაზობს, რაღაცის გათამაშების (ანუ დადგმის) სურვილი უჩნდება... ასე დაავალა ლუმიერმა თავის მებაღეს — შენ ახლა მებაღის როლს ითამაშებ, ხელში გეჭირება წყლის სარწყავი შლანგი, საიდანაც წყალი მოედინება, შენ კი ყვავილებს მორწყავ; ამ დროს, მოვა პატარა ბიჭი, რომელიც შლანგს ფეხს დააბიჯებს, ბუნებრივია, წყლის ნაკადი შეწყდება; მებაღეს გაუკვირდება — რა არისო? — და შლანგს ჩახედავს; ამ დროს, ბიჭი ფეხს აუშვებს და წყლის ნაკადი მებაღეს სახეში შეესხმება... რაოდენ პრიმიტიულიც არ უნდა იყოს, ეს პირველი მხატვრული ფილმია... მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, ადამიანები უბრალოდ, აფიქსირებდნენ რეალურ სინამდვილეს... ყოველი წლის 14 მარტს (ეს უკვე 29-ჯერ მოხდა), მე და ჩემი სტუდენტები, განსაკუთრებით პირველკურსელები, ჩავდივართ ქუთაისში, გავდივართ სასაფლაოზე, სადაც ვასილ ამაშუკელი განისვენებს, რათა აღვნიშნოთ ქართული კინოს პიონერის, უკვდავი ქართული ფილმის — „აკაკის მოგზაურობის“ ავტორის დაბადების დღე. წლეულს, მისი დაბადებიდან 120 წელი სრულდება. ამასთან დაკავშირებით, ახლა ვაპირებთ, მთელი საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების შეკრებას. ეს გეგმა უკვე გავაცანი ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდის, თელავის, ახალქალაქის, ახალციხის უნივერსიტეტების რექტორებს. ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა გავიაზროთ, თუ ვინ იყო ქართული კულტურისთვის ვასილ ამაშუკელი და რა ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანაში კინემატოგრაფის განვითარებას... ოთხი წლის წინ, „აკაკის მოგზაურობის“ გამოსვლიდან 90 წელი შესრულდა. ამ თარიღის აღსანიშნავად, ვიმოგზაურეთ რაჭა-ლეჩხუმში, იმავე მარშრუტით, რომელიც დიდმა აკაკიმ და ვასილ ამაშუკელმა გაიარეს. ამან იმდენად დიდი გამოხმაურება პოვა მთელ მსოფლიოში, რომ ამერიკის ერთ-ერთ ცნობილ ვებსაიტზე გამოქვეყნდა წერილი, სადაც ეწერა: „თუ ამერიკა ტრაბახობს უდიდესი სატელევიზიო გადაცემებით (იგულისხმება „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონიალი), ხოლო საფრანგეთი — უდიდესი კინოფესტივალით (იგულისხმება მსოფლიოში პირველი, კანის საერთაშორისო ფესტივალი), მაშინ საქართველო მთელ მსოფლიოში არის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ფილმის იუბილე ეროვნულ დღესასწაულად აქცია“. ამაზე დიდი შეფასება რა უნდა ყოფილიყო?!. რით გამოირჩევა დოკუმენტური ფილმი და რატომ იჩენენ ასეთ ყურადღებას მის მიმართ?! ერთმა, ძალზე ჭკვიანმა კაცმა თქვა, რომ დოკუმენტური კინო არის კინოს სინდისი: დროის, ეპოქის ნიშანი არსად ისე არ ჩანს, როგორც დოკუმენტურ ფილმში. ის სიუჟეტები, რომლებსაც ყოველდღიურად, ტელევიზიის მეშვეობით ვნახულობთ, დროის, ეპოქის ნიშანს და ქვეყნის მატიანის ერთ-ერთ ფურცელს წარმოადგენს. ამიტომაც, ბუნებრივია, ის, რაც ხდება ქვეყანაში და საერთოდ, მსოფლიოში და ფირზე აღიბეჭდება, ზოგადად, დოკუმენტურ კინოს შეიძლება მივაკუთვნოთ. სწორედ ამიტომ, ყველგან და ყოველთვის, ძალზე დიდი ყურადღება ექცეოდა დოკუმენტურ კინოს. ქრონიკების გადამღები ადამიანები მატიანის ფურცლებს (კადრებს) იღებდნენ და ამ კადრებს შემდეგ, ნიჭიერი ადამიანები თავისებურად გაიაზრებდნენ და დოკუმენტურ ფილმებს ქმნიდნენ... როგორც უკვე აღვნიშნე, ვასილ ამაშუკელი იყო ამ საქმის მამამთავარი საქართველოში. როცა დოკუმენტურ კინოზე ვლაპარაკობთ, იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ როგორც ახლა, ისე ადრეც, საქართველო ყველა ქვეყნისთვის საინტერესო ქვეყანა იყო. მაშინაც, ბევრი ფირმა აქ აგზავნიდა თავის წარმომადგენლებს, რომლებიც იღებდნენ ვთქვათ, ქართულ ჭიდაობას, ქართული ტრადიციების ამსახველ რიტუალებს, ჩვენს განუმეორებელ ბუნებას... აქ გადაღებული კადრები ხვდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და აცნობდა სხვა ხალხებს იმას, თუ როგორ ცხოვრობს ქვეყანა, რომელიც შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის მდებარეობს... დოკუმენტურმა კინომ ძალზე დიდი როლი შეასრულა

ვასილ ამაშუკელი

მენშევიკების დროს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ სხვადასხვა ქვეყნისთვის ინფორმაციის მიწოდებაში: მაშინ, უამრავი უნიკალური კადრი იქნა გადაღებული. ფირზე ასევე ასახულია ბოლშევიკური რუსეთის ჯარის შემოჭრა საქართველოში... გასული საუკუნის 20-იან წლებში, იმდენი მასალა დაგროვდა, რომ 1928 წელს გადაწყდა, შექმნილიყო დოკუმენტური ფილმების სტუდია, რომელსაც ცნობილი რეჟისორი, შემდგომში ბევრი მხატვრული ფილმის შემქმნელი, სიკო დოლიძე ჩაუდგა სათავეში. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მხატვრული კინოს ბევრი ოსტატი თავდაპირველად, დოკუმენტურ ფილმს იღებს. მაგალითად, რეზო ჩხეიძის, თენგიზ აბულაძის, ოთარ იოსელიანის სადიპლომო ნამუშევრები, დოკუმენტური ფილმები იყო... 50-იან წლებში, ჩვენი სტუდია ასე ვთქვათ, გამსხვილდა და დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიად გარდაიქმნა. ყოფილ საბჭოთა კავშირში ეს უძველესი და დიდი ისტორიის მქონე სტუდია დღესდღეობით, სამწუხაროდ, უმოქმედოდაა, დაუფინანსებლობის გამო. იმედია, მომავალში, რაღაცნაირად წამოდგება ფეხზე და გააგრძელებს იმ ტრადიციებს, რომლებსაც ათწლეულების მანძილზე უყრიდა საფუძველს.

— ალბათ, საბჭოთა კავშირის დროინდელი ფილმები დიდი ცენზურის პირობებში იქმნებოდა...

— რა თქმა უნდა. უფრო სწორად, არა მარტო ცენზურის — უბრალოდ, ხელისუფლება თვითონ უკვეთდა ამა თუ იმ დოკუმენტურ ფილმს. მაგალითად, არსებობდა ყოველწლიური კინოჟურნალი — „საბჭოთა საქართველო“, რომელშიც უნდა ასახულიყო ყველაფერი ის, რაც იმ დროს, საბჭოთა საქართველოში ხდებოდა. მაგრამ ჩვენი გამოჩენილი კინოდოკუმენტალისტები ახერხებდნენ დოკუმენტური კინოს გამორჩეული ნიმუშების შექმნას, რომლებიც არა მარტო მოვლენების აღბეჭდვით, არამედ დიდი მხატვრული ღირებულებითაც გამოირჩეოდა. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მწერლისა და დრამატურგის, რეზო თაბუკაშვილის შემოქმედება, რომელმაც სხვადასხვა დროს, საზღვარგარეთ მოღვაწე, გამოჩენილი ქართველების შესახებ გადაღებული, დოკუმენტური ფილმების მთელი სერია შექმნა. დოკუმენტური კინოს ცნობილი ოსტატია გია ჭუბაბრია, რომელიც წლების მანძილზე, ჩვენს უნივერსიტეტში ამ სფეროს შემოქმედებით სახელოსნოს უძღვება. მაგალითად, წელს, ჩვენმა სტუდენტებმა ძალზე საინტერესო დოკუმენტური ფილმები გადაიღეს. ზოგიერთი მათგანი ტელეეკრანითაც იქნა ნაჩვენები. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტური კინო ამჟამად, საქართველოში ძალზე „დაჩაგრულია“, მჯერა, რომ ის კვლავ ფეხზე დადგება და ამ ჟანრის ახალ საინტერესო ნიმუშებს წარმოგვიდგენს. მანამდე კი, გაჩენილ სიცარიელეს ძალზე წარმატებულად ავსებს ზოგიერთი ტელეკომპანია, რომლებმაც ბოლო წლებში, სხვადასხვა თემაზე, ვიდეოფირზე გადაღებული ფილმები შექმნეს. ■

განათლებით ისტორიკოსი და პროფესიით ჟურნალისტი თომა ჩაგელიშვილი 5 წელია, რაც დოკუმენტურ ფილმებზე მუშაობს. მისი წვლილი თანამედროვე ქართულ კინოდოკუმენტალისტიკაში საკმაოდ შთამბეჭდავია: 25-ზე მეტი ფილმი, სადაც ახალი და უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების, აქამდე უცნობი ფაქტების ანალიზია მოცემული. თომა ახლაც, ერთდროულად რამდენიმე ფილმზე მუშაობს და კმაყოფილია იმით, რომ კარგი დოკუმენტური კინოს კეთების უტყუარ რეცეპტს მიაგნო. როგორ იწყება დოკუმენტურ სურათზე მუშაობა, როგორ უნდა ათქმევინო რესპონდენტს ის, რაც ჯერ არავისთვის უთქვამს და რა გზით მოახერხა მოსკოვის არქივში უნიკალური კინოქრონიკის აღმოჩენა და იქიდან წამოღება, — ამ ყველაფერზე თომა ჩაგელიშვილი, ინტერვიუში მოგვითხრობს.

ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი სამყოფელი, ედუარდ შევარდნაძის განუხორციელებელი მკვლელობა, სიკვდილმისჯილთა საკანი და რუსულ კინოარქივში შემორჩენილი უნიკალური კადრები

ემა ტუხიაშვილი

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისტორიის ფაკულტეტი დავამთავრე და დიდი სურვილი მქონდა, სწავლა ასპირანტურაში გამეგრძელებინა. მოხდა ისე, რომ მეცნიერებათა აკადემიამ გადაწყვიტა, იმ წელს, კათედრისთვის, რომელზეც მე ვსწავლობდი, ასპირანტთა ადგილები არ გამოეყო და ასე აღმოვჩნდი უნივერსიტეტის კედლებს მიღმა. ჩემი ძმა ერთ-ერთ საინფორმაციო საააგენტოში მუშაობდა და შემომთავაზა, რომ ჟურნალისტიკაში მომესინჯა ძალები. თავიდან უარზე ვიყავი: ჩემი მოწოდება, სამეცნიერო სამუშაოა-მეთქი, — ვუთხარი, მაგრამ ბოლოს, მაინც დამიყოლია — იმ პირობით, რომ როგორც კი უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას შევძლებდი, ჟურნალისტობას თავს დავანებებდი. ასე გავხდი რეპორტიორი ახალი ამბების განყოფილებაში. მოგვიანებით, რამდენიმე ქართულ გაზეთშიც ვაქვეყნებდი სტატიებს. ერთხელ კი, შევადგინე პროექტი, რომელიც სწორედ დოკუმენტურ ფილმებზე მუშაობას ითვალისწინებდა. მივიტანე ეს პროექტი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში და მის მაშინდელ ხელმძღვანელს, ეროსი კიწმარიშვილს გავაცანი. მან პროექტი მომიწონა, მაგრამ მაშინვე მითხრა — ამბიციურიაო და საცდელი ფილმის გადაღება შემომთავაზა. არადა, გაცილებით ადრე, ვიდრე ეს პროექტი დაიწერებოდა, მქონდა შემოთავაზება, რომ „კურიერში“ კორესპონდენტად მემუშავა, მაგრამ ვიცოდი, თუ როგორი დაძაბული სამუშაო გრაფიკი ჰქონდათ და მაშინვე, უარი ვთქვი ამ შემოთავაზებაზე. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი, თვითონ მივედი ამ არხზე...

— ვიდრე პროექტს შეადგენდით, თუ გაეცანით ცნობილი კინოდოკუმენტალისტების ნამუშევრებს?

— ფილმზე მუშაობის არანაირი გამოცდილება არ მქონდა, ერთადერთი, რითიც ვიყავი შეიარაღებული, ამბიცია გახლდათ... არ ვიცი, რამდენად კარგი ფილმები გამომდის, მაგრამ როდესაც ამ საქმეს ვიწყებდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ შევძლებდი. ერთადერთი ინფორმაციის წყარო, საიდანაც ვცდილობდი, რაღაც მესწავლა, ტელეარხი „დისქავერი“ გახლდათ. სხვათა შორის, „დისქავერის“ დოკუმენტურ ფილმებს ახლაც სიამოვნებით ვუყურებ. ჩემი პირველი საცდელი ფილმი იყო „სიკვდილით დასჯა“. აქვე მინდა გითხრათ, რომ თემის შერჩევისას ვხელმძღვანელობდი პრინციპით — ვყოფილიყავი პირველი, ვინც ამ თემაზე დოკუმენტურ ფილმს გადაიღებდა. ვფიქრობ, რომ სწორედ ამგვარი მიდგომა გახდა ჩემი ფილმების წარმატების საწინდარი: ხომ იცით, ექსკლუზიური მასალა და გაუხმაურებელი ფაქტების გამომზეურება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში. როდესაც „სიკვდილით დასჯაზე“ ვმუშაობდი, პირველი ჟურნალისტი ვიყავი, ვინც სიკვდილმისჯილთა საკანში შევიდა. მეტიც, მხოლოდ ჟურნალისტი კი არა, პირველი ადამიანი ვიყავი, ვინც უკანასკნელი სიკვდილმისჯილის დახვრეტის შემდეგ, ამ საკნის კარი შეაღო... მახსოვს, იქ უკუნი სიბნელე იდგა და როცა შევედით, საპა-

...ისტორიული წყაროების მოძიებაში ასევე ძალიან მიწყობს ხელს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა...

ტიმროს უფროსმა გაზეთს წაუკიდა ცეცხლი, რომ კამერაში რაიმე დამენახა. როდესაც საკანი განათდა, გავოგნდი. რადგან დახვრეტილი ადამიანების ფეხსაცმელები ჯერ კიდევ იქ ეყარა... ხშირია შემთხვევა, როდესაც ფილმზე მუშაობისას, დეპრესიაშიც კი ჩავვარდნილვარ: ძნელია, არ გაიზიარო იმ ადამიანების ტანჯვა, ვისი ცხოვრების აღწერა და ეკრანზე გადმოცემაც გსურს. საშინელი შეგრძნება იყო, როდესაც 1937 წელს დახვრეტილი ადამიანების სიებს ვათვალიერებდი. ეს იყო თითო ფურცელზე დატეული ადამიანის ბიოგრაფია და დიდი ტრაგედია, რომელიც მისი სასიკვდილო განაჩენით მთავრდებოდა... მსგავსი განცდები მქონდა, როდესაც ვიღებდი ფილმს ზვიად გამსახურდიას სიცოცხლის უკანასკნელი დღეების შესახებ. მუშაობა 2001 წელს დავიწყე და პირველ რიგში, იმან გამაოგნა, რომ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან უკვე 8 წელი იყო გასული და ჩემამდე ამ ფაქტის შესახებ ფილმის გადაღება არავის მოსვლია აზრად... ახლაც მახსოვს, როგორ ვიდექი იმ საწოლთან, სადაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი გარდაიცვალა და დავცქეროდი სისხლის კვალს, რომელიც ნატყვიარს დღემდე აქვს შემორჩენილი...

— ყველაფერი ეს ფილმზე მუშაობის ბოლო ეტაპია, მანამდე კი ისეთი რთული ბარიერებია გადასალახავი, როგორიცაა: ინფორმაციის მოპოვება, ინტერვიუზე რესპონდენტის დაყოლიება და სხვა...

— ჩემი, როგორც რეპორტიორის, გამოცდილება ამ ყველაფერში ძალიან მეხმარება. ისტორიული წყაროების მოძიებაში ასევე ძალიან მიწყობს ხელს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა. ადამიანებთან ურთიერთობას რაც შეეხება — აქ მთავარია, იყო გულწრფელი, არასდროს არ უნდა მოატყუო რესპონდენტი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შესაფერისი განწყობილება შექმნა, რათა ადამიანი გაიხსნას და ისეთი რამ გიამბოს, რაც ჯერ არავისთვის უთქვამს. არასდროს მივსულვარ რესპონდენტთან ტელეკამერით პირველსავე შეხვედრაზე — ვიდრე გადაღებებს დავიწყებდე, ჩემი ფილმის გმირებს რამდენჯერმე ვხვდები, ვესაუბრები... მაგრამ არ იფიქროთ, რომ კინოდოკუმენტალისტისთვის შეუვალი რესპონდენტი არ არსებობს. მაგალითად, ერთი კაცის ჩასაწერად, მოსკოვში ჩავფრინდი; ვეხვეწე, ვემუდარე, მაგრამ შეხვედრაზეც კი ვერ დავითანხმე. არადა, ვფიქრობდი — ოღონდ შემხვდეს და დანარჩენი მე ვიცი-მეთქი... ისეთი რესპონდენტებიც მყოლია, რომლებსაც უამრავი საჭირო ინფორმაცია მოუწოდებიათ, მაგრამ ინტერვიუზე უარი უთქვამთ. როდესაც ედუარდ შევარდნაძეზე ვიღებდი ფილმს, შევხვდი ადამიანს, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა ყველა მისი ნაბიჯი — ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობამდე და მას შემდეგაც. ამ ადამიანმა ყველაფერი მიამბო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის შესახებ, მაგრამ ინტერვიუზე უარი მითხრა. რა დასამალავია, რომ ეს გახლდათ შოთა გორგოძე *(შინაგან საქმეთა მინისტრი 80-იან წლებში. — ავტ.)* იმის თქმა მინდა, რომ ფილმის მონაწილეები მხოლოდ ისინი როდი არიან, ვინც ეკრანზე ჩანს. ხშირად, ეკრანს მიღმა გაცილებით დიდი შრომა იმალება. ისეთი შემთხვევებიც მქონია, როდესაც ადამიანს ჩემთან ლაპარაკში, ჩადენილი დანაშაული უღიარებია. ხდება ისე, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში ეს ადამიანები ატყუებენ სასამართლოს, საზოგადოებას, შენთან საუბრისას კი, აღიარებენ ჩადენილს და გთხოვენ, რომ მათი ბრალეულობა ფილმშიც ასახო... ძალიან კარგი რესპონდენტი იყო ჯაბა ოსელიანი, არასდროს თამაშობდა კამერის წინ და ყოველთვის იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა. ბევრი ისეთი რამ უთქვამს, რისი საიდუმლოდ შენახვაც მთხოვა და მიცემულ სიტყვას დღემდე ვასრულებ.

— როგორ ფიქრობთ — თქვენს ფილმებს შორის, ყველაზე დიდი რეზონანსი რომელს მოჰყვა?

— პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ დოკუმენტური ფილმის რეზონანსს მისი „პრომოუშენიც“ განსაზღვრავს. ის, რომ ჩემი ფილმები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გადის, სანახევროდ უკვე განსაზღვრავს მათ რეიტინგს. საერთოდ კი, საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევს ფილმები, სადაც თანამედროვე მოვლენების ჯერ კიდევ უცნობი ფაქტებია აღწერილი, მაგრამ არანაკლები პოპულარობით სარგებლობს დოკუმენტური კინო, რომელიც ისტორიულ მოვლენებს ასახავს. მაგალითად, ხალხს ისევე მოეწონა ჩემი ფილმი ნიკიტა ხრუშჩოვზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, როგორც ფილმი, სადაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ვერსიებია განხილული. ვფიქრობ, რომ საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა ჩემს ბოლო ნამუშევარს, სადაც ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტია აღწერილი. სხვათა შორის, შევნიშნე, რომ ისტორია თითქოს, გარკვეულ ეტაპზე მეორდება. მაგალითად, როდესაც ვმუშაობდი ფილმზე საქართველოს პირველი (1918-21 წლების) რესპუბლიკის შესახებ, თვალწინ მედგა 1990-იანი წლების საქართველო. მაშინაც ჰქონდა ადგილი მაროდიორობას, ძარცვას, შიმშილს, გაჭირვებას; გვარდია და არმია ისევე იყვნენ ერთმანეთთან დაპირისპირებულნი, როგორც წლების წინ — „მხედრიონი“ და კიტოვანის გვარდია. მაყურებელი ამგვარ ისტორიულ პარალელებს იოლად ავლებს, რაც ფილმს კიდევ უფრო საინტერესოს და აქტუალურს ხდის.

— როგორც ვიცი, ხრუშჩოვზე თავდასხმის მცდელობის შესახებ, ფართო საზოგადოებისთვის პირველად, თქვენ ფილმიდან გახდა ცნობილი...

— ეს ინფორმაცია შემთხვევით, უშიშროების კომიტეტის არქივში აღმოვაჩინე. მანამდე, ამ დოკუმენტს გრიფი — „საიდუმლო“ ედო, წლების შემდეგ კი, შესაძლებელი გახდა, ამ ფაქტის საზოგადოდ გამჟღავნება. თქვენ წარმოიდგინეთ, ხრუშჩოვზე თავდასხმა რომ მზადდებოდა საქართველოში, ამის შესახებ რუსებმაც კი არ იცოდნენ. როდესაც ეს ფილმი ეთერში გავიდა, რუსეთის ყველა ტელეარხმა გაავრცელა ინფორმაცია...

საქართველოს არქივებს უკვე კარგად ვიცნობ, ამიტომ ხშირად, ახალი ინფორმაციის მოსაპოვებლად, მოსკოვში მივემგზავრები. მოსკოვთან ახლოს ერთი საინტერესო არქივი აღმოვაჩინე, სადაც საქართველოს შესახებ უამრავი უნიკალური ინფორმაცია ინახება. მთავარია, ფული გადაიხადო და რას არ წამოიღებ იქიდან!

ხშირია შემთხვევა, როდესაც ფილმზე მუშაობისას, დეპრესიაშიც კი ჩავვარდნილვარ: ძნელია, არ გაიზიარო იმ ადამიანების ტანჯვა, ვისი ცხოვრების აღწერა და ეკრანზე გადმოცემაც გსურს

მაგალითად, იმ არქივიდან წამოვიღე უნიკალური კინოქრონიკა სტალინის დედის — კეკეს შესახებ: კინოფირზე აღბეჭდილია, თუ როგორ უხარშავს კეკე შვილს მურაბას, როგორ უკერავს შვილიშვილებს სამოსს... ამ არქივიდან წამოვიღე ასევე სტალინის ხმის ჩანაწერი, სადაც ის თავისი გორული აქცენტით ლაპარაკობს.

— ახლა რაზე მუშაობთ?

— ერთდროულად რამდენიმე ფილმს ვიღებ, მათ შორის ერთ-ერთი, მაჰმადიან მესხებზეა, რომლებიც აზერბაიჯანის მივარდნილ მხარეში ცხოვრობენ. მესხებს ჭაობები დაუშრიათ და იქ დასახლებულან. მე და ჩემმა გადამღებმა ჯგუფმა იმ მხარეში ერთი კვირა ვიცხოვრეთ, რათა უკეთ შეგვეგრძნო მათი ყოფის ჭირ-ვარამი. ჩვენი მასპინძელი, მაჰმადიანი მესხი, უწინ გვარად ლაზიშვილი ყოფილა. მოხუცებს ჯერ კიდევ ახსოვთ ქართული ენა, ზოგი გაჭირვებით, რუსულადაც მეტყველებს. ძირითადად კი, იქაურები თურქულად ლაპარაკობენ. ჩვენი გადამღები ჯგუფი შედარებით ნორმალურ პირობებში ცხოვრობდა, მაგრამ სოფლებში უმეტესად, სიბნძურე, სინესტე და მალარია მძვინვარებდა... იქ ყოფნისას, ერთი უხერხული კურიოზიც გადამხდა თავს. როგორც ცნობილია, მაჰმადიანებში მიღებულია, სახლში შესვლისას ფეხსაცმლის გახდა. ჩვენც, რა თქმა უნდა, ვემორჩილებოდით მათ წესებს. ერთხელაც, ერთ-ერთ ოჯახში გავემგზავრეთ ინტერვიუს ჩასაწერად, იქ კი, რესპონდენტის გარდა, სოფლის გამგებელი და მისი 50-კაციანი „ამალა“ დაგვხვდა. ყველა პატივისცემით გვეპყრობა, ხოლო მე, როგორც გადამღები ჯგუფის ხელმძღვანელს — განსაკუთრებით. როგორც წესი, ოჯახში შესვლამდე, ფეხსაცმელი იქაც გავიხადე და რას ვხედავ?!. წინდა მაქვს გახეული. საშინლად დავკომპლექსდი: როგორია, — პირველი გადამღები ჯგუფი ვართ, ვინც აზერბაიჯანის იმ მხარეში ჩავიდა, მაგარი ტიპი ვარ იქაურების თვალში და გახეული წინდა მაცვია!.. თავიდან, ხარვეზის დასაფარავად, უხერხულად მივათრევდი ფეხს, ხოლო მოგვიანებით, რესპონდენტის წინ, მუსლიმანური წესისამებრ, ფეხმორთხმული დავჯექი. ისე ვნერვიულობდი, რომ არ მახსოვს, რაზე მელაპარაკებოდა ის კაცი — მხოლოდ ჩემს გახეულ წინდაზე ვფიქრობდი...

— დასასრულს მინდა გკითხო — რამდენად ხელსაყრელია დოკუმენტური კინო ფინანსური თვალსაზრისით?

— დოკუმენტური ფილმის გადაღება, საკმაოდ დიდ ხარჯებს მოითხოვს. ერთი ფილმის გადასაღებად, შესაძლოა, დაიხარჯოს 5.000, 50.000 და ნახევარი მილიონი დოლარიც კი. მართალია, ნახევარი მილიონი დოლარი ჩემი ფილმების გადასაღებად, ჯერ არ დამიხარჯავს, მაგრამ სოლიდური ბიუჯეტი ნამდვილად მქონია. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვი, რომ ჩემი დოკუმენტური ფილმები ფინანსურ მოგებაზეა გათვლილი. როგორც ამბობენ, ეს უფრო „საიმიჯო“ ფილმებია, რომელთა გაყიდვის სერვისი ჩვენს არხს არ გააჩნია.

■

როდესაც გიორგი კალანდიას შეხვედრაზე შევუთანხმდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ სიურპრიზი მელოდა. მიუხედავად იმისა, რომ მას რამდენჯერმე შევხვედრივარ, ლამის ვერ ვიცანი. თმაშეთხელებული გიორგის ნაცვლად, გრუზაქოჩრიანი დამხვდა. ვიფიქრე, თმის გაზრდის საიდუმლო რეცეპტისთვის მიუგნია-მეთქი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ 7 თვის წინ თმის გადანერგვის ოპერაცია გაუკეთებია და ახლა, უზომოდ კმაყოფილი, ცხოვრებისეულ სიახლეებსაც იოლად ეგუება. გიორგის მაყურებელი, ლაზეთზე გადაღებული, დოკუმენტური ფილმებით იცნობს, რომლებიც წინათ, ტელეკომპანია „მზეზე“ გადიოდა, ახლა კი „იმედის“ ეთერში ვნახულობთ. ბუნებრივია, მოგზაურობის დროს, უამრავი თავგადასავალი გადახდებოდა თავს, მაგრამ ვიდრე ამის შესახებ ვისაუბრებთ, ორიოდე სიტყვით მის ახალ სამსახურს შევეხოთ.

„ერთი ჭოროხის შვილები“, ქვითევან წამეკულის თვალებდათხრილი ფრესკა და თეკალეს სიხვეზე ნაპეში სიმაღლის ციხე

მარი ჯაფარიძე

— სულ ერთი კვირაა, რაც ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის პრესსამსახურს ვხელმძღვანელობ. აქ მოვხვდი ჩემი მეგობრის, ბუბა კუდავას მეშვეობით, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ დანიშნეს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. მე და ბუბა დიდი ხნის მეგობრები ვართ. ჯერ კიდევ იმ დროიდან ვიცნობთ ერთმანეთს, როდესაც ჩვენი მამები მეგობრობდნენ. ერთად ვაკეთებთ იმ ფილმებს, რომელსაც საზოგადოება უკვე იცნობს. საქმის გამო ხშირად ვკამათობთ, მაგრამ მადლობა ღმერთს, არასოდეს ვჩხუბობთ. თუ მეგობრებს ყველაფერზე ერთი და იგივე აზრი აქვთ, ერთმანეთი ძალიან მალე მოჰბეზრდებათ.

— შენ მუშაობდი ტელეკომპანია „მზეში“, ჟურნალისტად. რამ გადაგაწყვეტინა, რომ დოკუმენტური ფილმები გადაგეღო?

— ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ დოკუმენტური ფილმების გადაღებას დავიწყებდი. ამაში დიდი წვლილი ისევ ბუბას მიუძღვის. ისტორიკოსი ვარ. ტელევიზიაში მუშაობა დავიწყე იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში მძიმე სოციალური პირობები იყო. ჩემი პროფესიით თავის გატანას ვერ შევძლებდი. ამის გამო გადავწყვიტე, ჟურნალისტად მემუშავა. ამ პროფესიამ დიდი გამოცდილება შემძინა, მაგრამ ეს არ მაკმაყოფილებდა. ჩემს სამეგობრო წრეში, ბუბა იყო პირველი და ერთადერთი ადამიანი, ვინც თავისი თვალით ნახა ის ისტორიული ძეგლები, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზეა და მხოლოდ ისტორიის სახელმძღვანელოში გვქონდა ნანახი. ის აღფრთოვანებული იყო ნანახით და ჩემშიც უდიდესი ინტერესი გააღვივა. თანაც, უნდა ვაღიარო, რომ მაინც, კალანდია ვარ — მეგრელი და ძალიან მიზიდავდა საზღვარს იქით დარჩენილი ლაზების ცხოვრება. ეს არის ხალხი, რომელიც ჩემი კუთხის ენაზე ლაპარაკობს. სამწუხაროდ, ჩვენ უკეთესად ვიცნობთ თურქეთის იმ ნაწილს, რომელიც სამხრეთ საქართველოსთან არის დაკავშირებული და ძალზე მწირი ინფორმაცია გვაქვს ლაზეთზე. ბუბამ შემომთავაზა, რომ წავსულიყავით ლაზეთში და გაგვეკეთებინა სიუჟეტი საინფორმაციო გადაცემისთვის. ჩემი პირველი დოკუმენტური ფილმი, „მზერა ლაზეთიდან“, ჩაფიქრებული იყო, როგორც სიუჟეტი, მაგრამ როდესაც ადგილზე ჩავედით, იმდენი მასალა დაგვხვდა, რომ ამას სიუჟეტში ვერ ჩავტევდი. ჩვენი მიზანი იყო, რამდენიმე ტაძრის გადაღება, მაგრამ ჩვენთან მოდიოდა უამრავი ადგილობრივი მცხოვრები, რომლებმაც პირველად ნახეს საზღვარს იქიდან, ტელეკამერებით მოსული ქართველები, რომლებიც ისტორიული ძეგლებით იყვნენ დაინტერესებულნი. ძალიან გვიჭირდა მათი სასაუბრო ენის, ლაზურის გაგება. ქართული სიტყვა მათგან არ გაგვიგონია. იქ მოვხვდით ჩვენი აქაური მეგობრის, მეჰმედ მელექის ოჯახში. ამ ოჯახის წევრებმა მიგვასწავლეს ძალზე მაღალი სოფელი, სადაც 100 წლის ბებო ცხოვრობდა. მისგან გავიგონე პირველად ქართული სიტყვები. — ლამაზი გოგო გინდაო? — შემეკითხა... ასეთმა ნიუანსებმა გადამაწყვეტინა, რომ გამეკეთებინა ფილმი ლაზეთზე. სხვათა შორის, როდესაც ეს

ფილმი გავიდა ეთერში, მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და მაღალი რეიტინგი ჰქონდა. მაგრამ, როდესაც ბუბამ უკვე დამონტაჟებული ფილმი ნახა, არ მოეწონა და დაუფარავად მითხრა კიდეც ეს. მე აღფრთოვანებული ვიყავი ჩემი ნამუშევრით და არ დავეთანხმე, მაგრამ ახლა, წლების შემდეგ, ვხვდები, რომ ჩემი მეგობარი სამართლიანად მაკრიტიკებდა.

— რატომ? რა დააკლით ფილმს?

— არაფერი დაგვიკლია, პირიქით, ძალიან დიდი შრომა ჩავდეთ, მაგრამ სრულყოფილად ვერ გადმოვეცით ეკრანზე ის, რაც ვნახეთ. ჩვენ ხომ სიუჟეტის გასაკეთებლად წავედით, ამიტომ მხოლოდ 4 დღე გვქონდა. ვერ მოვასწარით ყველაფრის გადაღება. ჩვენი თურქეთში ყოფნის პერიოდი დაემთხვა ბზობას. გვინდოდა, ავსულიყავით ციხეზე, რომელსაც ჯიხა ჰქვია და მანამდე გადაღებული არ ყოფილა, მაგრამ უცებ დიდი თოვლი მოვიდა და ვერ შევძელით. მართალია, თოვლმა ფილმი საყურებლად უფრო მიმზიდველი გახადა და ჩანს, როგორ ვცდილობდით თოვლში, სამი გზით ციხემდე მისვლას, როგორ გაგვიჭერდა მანქანა და გვეხმარებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი, რომ თოვლიდან ამოვეყვანეთ, მაგრამ ციხე მაინც ვერ გადავიღეთ. ახლა ფილმს რომ ვუყურებ, ვხვდები, რომ ტექსტს ზედმეტად სწრაფად ვკითხულობ — როგორც ჟურნალისტი სიუჟეტის დროს. მაშინ გამოცდილება არ მქონდა. ახლა უკვე გამოვასწორე ის ხარვეზები, რომლებიც პირველ ფილმში მქონდა. იქ არის ისეთი ხარვეზებიც, რომლებსაც ჩვეულებრივი მაყურებელი ვერ ამჩნევს, მაგრამ ჩვენ, შემქმნელები ვხვდებით ჩვენს შეცდომებს. მიუხედავად იმისა, რომ „მზერა ლაზეთიდან“ იყო პირველი ფილმი და ჩვენ უკმაყოფილონი ვართ, დანარჩენ ფილმებთან შედარებით, მაინც ყველაზე რეიტინგულია. ამის გამო ძალიან მწყდება გული. ამ ფილმის პოპულარობა იმით კი არ არის გამოწვეული, რომ ჩვენ პროფესიონალები ვართ და ყველაფერი უმაღლეს დონეზე გავაკეთეთ, არამედ იმით, რომ ეს იყო ეკრანზე ლაზეთის თემაზე გადაღებული პირველი ფილმი. ამის შემდეგ გადავიღეთ: „მზერა ჰერეთიდან“, „გელინო“, „ერთი ჭოროხის შვილები“...

— კიდევ აპირებ ფილმებზე მუშაობას?

— რა თქმა უნდა. ახლა მაქვს გამზადებული 26 პროექტი. ქართველები ცხოვრობენ ძალიან „მოულოდნელ“ ადგილებში... ვეცდებით, მივაწვდინოთ მათ ხმა და ქართველ მაყურებელს დავანახვოთ მათი ყოფა. როდესაც ვიღებდით ფილმს — „მზერა ჰერეთიდან“, გაოგნებული დავრჩი საინგილოში მცხოვრები ქართველების ყოფით და მივხვდი, რომ მადლიერი უნდა ვიყოთ თანამედროვე თურქეთის ხელისუფლების, რომ იქ ჩვენი თანამემამულენი ასეთ კარგ პირობებში ცხოვრობენ, რასაც ვერ ვიტყვი საინგილოში მცხოვრებ ქართველებზე. ისინი უსასტიკეს პირობებში არიან. მსგავსი რამ არ მინახავს არც ირანში და არც თურქეთში. საინგილოში ხალხს ეშინია იმის თქმის, რომ ქართველები არიან. გადამღები ჯგუფი ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდა, რადგან აზერბაიჯანის საზღვარი სულ 15 წუთის გადაკვეთილი გვქონდა, როდესაც იქაურმა ძალოვნებმა დაგვაკავეს და კარცერში ჩაგვსვეს. ჩვენ გვქონდა საზღვრის გადაკვეთისა და გადაღების ნებართვა, რასაც ადასტურებდა აზერბაიჯანის საელჩოს ოფიციალური წერილი, მაგრამ ამან არ გაჭრა. რა თქმა უნდა, გავაპროტესტეთ, ვეუბნებოდით, რომ ჩვენი დაკავების ფაქტს აუცილებლად მოჰყვებოდა მწვავე რეაქცია, მაგრამ ყურსაც არავინ იბერტყავდა... საინგილოს ტერიტორიაზე ცხოვრობს 70 ათასი ქართველი. არის უამრავი ეკლესია, რომელიც შუა საუკუნეებშია აშენებული და წარმოიდგინეთ, რომ მხოლოდ ერთადერთი მოქმედი. ჩვენ ვნახეთ სახელგანთქმული, ჩვენს „დასაბოლოებლად“ არსებული ქართული თეატრი. თანამედროვე ქართველი ასეთი ბოსელის არსებობასაც კი არ იკადრებს. თეატრში ვნახეთ თბილისიდან გაგზავნილი სკამები, რომლებიც შენობაში უნდა დაემონტაჟებინათ და ადგილობრივი ხელისუფლება არ აძლევდა ამის უფლებას. ისინი ამბობდნენ, რომ აპირებდნენ ამ სკამების დამონტაჟებას რომელიმე აზერბაიჯანულ თეატრში, ხოლო იქიდან წამოღებულ სკამებს ქართულ თეატრში დადგამდნენ: წარმოიდგინეთ, იქაურ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ქართულ თეატრში სკამებიც კი „აზერბაიჯანული“ უნდა იდგეს.

— საბოლოოდ, როგორ მოახერხეთ ფილმის გადაღება?

— გადაწყვეტილი მქონდა, როგორც კი გამოგვიშვებდნენ, უკან დავბრუნებულიყავი და საქართველოს ტერიტორიიდან გამომეხატა მწვავე რეაქცია მომხდარზე, მაგრამ ბუბამ მირჩია, რომ გზა გაგვეგრძელებინა. პოლიციიდან გამოგვიშვეს, აპარატურაც დაგვიბრუნეს, მაგრამ გაგვაფრთხილეს, რომ არაფერი გადაგვღო. კახში ჩასვლამდე ვგრძნობდით, რომ ვიღაც უკან მოგვყვებოდა. იქ კი ქართველები დაგვეხმარნენ და ფილმის გადაღება მათი წყალობით მოვახერხეთ. ჩემი იქ ჩასვლის მიზანი იყო, მეჩვენებინა აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების მეგობრობა, როგორც ეს გავაკეთეთ თურქეთში ყოფნის დროს, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ შევძელი და ეს ჩემი ბრალი არ იყო. არსად მინახავს ისეთი გაჩანაგებული და განადგურებული ქართული ისტორიული ძეგლები, როგორიც ვნახე საინგილოში. ასეთი დაჩაჩანაკებული ხალხი და არც ხელისუფლების მიმართ ასეთი გამძაფრებული შინაგანი წინააღმდეგობა მიგრძნია სადმე. არსად მინახავს შოთა რუსთაველის დასახიჩრებული ძეგლი. აზერბაიჯანში — ვნახე... როგორც ამბობენ, ამ ბოლო დროს, ყინული დაძრულა და ძალიან მიხარია, რომ საინგილოში, ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის ურთიერთობა გამოსწორდება. ახლა განათლების სამინისტროს იქ ქართული წიგნები შეაქვს. ჩვენი იქ ყოფნის დროს კი, ქართულ წიგნებს, განსაკუთრებით — საქართველოს ისტორიას ვერსად იშოვიდით. თუ იყო — აუცილებლად რუკაამოხეული და განადგურებული. ფილმის ეკრანზე გამოსვლას აზერბაიჯანის საელჩოსა და ხელისუფლების მწვავე რეაქცია მოჰყვა და რამდენიმე იქაურ ადამიანს პრობლემებიც შეექმნა...

— წელან თქვი — ასეთი მძიმე მდგომარეობა ირანშიც კი არ მინახავსო. იქ მცხოვრებ ქართველებზეც გადაიღე ფილმი?

— ირანში საქართველოს პრეზიდენტთან ერთად ვიყავი. მასალის ნაწილი გადაღებულია, მაგრამ ფილმი ჯერ არ დაგვიმთავრებია. არ დამავიწყდება ირანელი ბიჭი, რომელიც ჩვენთან მოვიდა, ხელში ხუთჯვრიანი დროშა ეჭირა, რომელზეც ჯვრები ხელით იყო ამოქარგული და გვითხრა — მე ქართველი შაჰიდი ვარ და ქართველებს გადაეცი, რომ თუ საქართველოს, აფხაზეთისა და ოსეთის დასაბრუნებლად, დახმარება დასჭირდება, ირანელი შაჰიდები მზად ვართ, დავეხმაროთო. ასე-

ახლა, წლების შემდეგ, ვხვდები, რომ ჩემი მეგობარი სამართლიანად მაკრიტიკებდა

ისინი უსასტიკეს პირობებში არიან. მსგავსი რამ არ მინახავს არც ირანში და არც თურქეთში

თი მძაფრი ემოცია არსაიდან გამომყოლია. ირანელ ქართველებს დავურიგეთ, რაც კი რამ ქართული გაგვაჩნდა: სუვენირები, საჩუქრები და ლამის ტანისამოსიც კი, მაგრამ ძალიან ბევრნი იყვნენ და ყველას ვერ გავაწვდინეთ. ხალხი მოდიოდა და ხელისგულებს გვიშვერდა. გვთხოვდნენ, კალმით რამე დაგვწერა. ქართული ასოებით სხვადასხვა სიტყვას ვაწერდით. მათ ხელისგულები ტუჩებთან მიჰქონდათ და კოცნიდნენ. როგორ შეიძლებოდა, რომ ყოველივე ამისთვის უემოციოდ გეყურებინა? ასეთ გამძაფრებული ეროვნული გრძნობა არსად გამოუხატავთ... იქიდან წამოსვლის წინ, ერთმა ირანელმა, პრეზიდენტის დაცვას წერილი მიაწოდა. შემდეგ ბატონმა მიხეილმა წერილი ჟურნალისტებს წაგვიკითხა. ეს გახლდათ ხელოვნების ნიმუში. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი ადგილი, სადაც ავტორი წერდა: მინდოდა, თავი თქვენს მხარზე დამედო და მეტირა, ეს 400 წლის განმავლობაში დაგროვილი ცრემლი იქნებოდაო...

— რა ენაზე ლაპარაკობენ ირანელი ქართველები?

— ისინი ლაპარაკობენ ხანმეტი ქართულით. დაახლოებით 10 საუკუნის წინ ქართველები სიტყვებს წინ უმატებდნენ ასო-ბგერა „ხ“-ს. სწორედ ასეთი, არქაული ქართულით ლაპარაკობენ ირანში და უცხო სიტყვებს ხმარობენ. მათი სიმღერა ერთხმიანია, რაც ქართული სიმღერისთვის არ არის დამახასიათებელი. ერთი სიტყვით, ამ ქვეყანამ და იქაურმა ქართველებმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს.

— დოკუმენტური ფილმის შექმნას სათანადო ცოდნა და კვალიფიკაცია სჭირდება. ხომ არ გადაგიხედავს დოკუმენტური კინოს საფუძვლებისა და პრინციპებისთვის?

— მუდმივად ვუყურებ რეზო თაბუკაშვილისა და გურამ პატარაიას ფილმებს, მაგრამ ვცდილობ, არ ჩავუღრმავდე მათ. ჩემი მიზანი არ არის მხოლოდ დოკუმენტური მასალის აღნუსხვა და დაარქივება. მაგალითად, ბაიარ შაჰინ-გუნდარიძე საქართველოში რამდენჯერმე იყო ნამყოფი მანამ, ვიდრე მას ჩვენს ფილმში გადავიღებდით. მისი სიმღერების დისკიც დიდი ხნის წინ იყო ჩაწერილი, მაგრამ მისი არსებობის შესახებ არავინ იცოდა. ალბათ იცით, რომ ის ლამაზი სიმღერა — „გელინო“ სწორედ მისი შესრულებით ჟღერს ფილმში. ის, რომ დღეს საქართველოში ბაიარს თითქმის ყველა ქართველი ცნობს და მან ამ რამდენიმე დღის წინ, საქართველოს მოქალაქეობა მიიღო, სწორედ ჩვენი ფილმის წყალობით მოხდა. ქართულ დოკუმენტურ ჟანრში პირველად ჩვენს ფილმში — „ერთი ჭოროხის შვილები“ — მოხდა ბანას და ბასიანის ბრძოლის რეკონსტრუქცია. შესაძლოა, ბევრი ხარვეზი აღმოაჩინოს პროფესიონალმა ამ რეკონსტრუქციაში, მაგრამ მთავარია, რომ პირველი ნაბიჯები გადავდგით. ჩვენ ვცდილობთ, თაბუკაშვილისეულ და პატარაიასეულ პრინციპებს შევუხამოთ თანამედროვე პრინციპები. ჩვენი ფილმები მაყურებელმა მოიწონა და შეიყვარა. კიდევ ერთხელ მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს არ არის დაკავშირებული ჩემთან ან გადამღებ ჯგუფთან. პოპულარობა ფილმებს მოუტანა თემამ. ამავე დროს, კარგად მახსოვს რეაქცია „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“. როდესაც ტელეკომპანია „მზიდან“ წამოვედი და პროექტი 4 თვის განმავლობაში გაჩერებული იყო მივხვდი, არსებობდა საშიშროება, რომ საერთოდ დახურულიყო. ბევრი ადამიანი ცდილობდა, რომ ეს ფილმები აღარ გასულიყო ეთერში და არქივიდანაც კი არ გამოსულიყო. „ერთი ჭოროხის შვილები“ ჩემსა და გარკვეულ პიროვნებებს შორის სადავო

რამდენიმე დღის განმავლობაში შესაძლოა, მშიერიც იყო, უნდა იარო ფეხით და თან მძიმე ტვირთი ზიდო. ეს არ არის „პაუზდკა“. ეს არის ძნელი გზა, რომელიც უნდა დასძლიო...

საგნად იქცა. ამან ძალიან დამწყვიტა გული. ეს ფილმი ტელეკომპანია „მზის“ მიერ არ იყო დაფინანსებული. ის „საქართველოს რკინიგზის“ დახმარებით შეიქმნა და ისეთივე „ტანჯვა-წამება გამოიარა“, როგორიც მისმა გმირებმა... როგორც კი „მზიდან“ წამოვედი, ეს ფილმებიც წამოვიღე და არც ერთ მათგანზე საავტორო უფლება არ დამითმია. მეუბნებოდნენ, რომ ფილმის გაყიდვის შემდეგ, გარკვეულ თანხასაც მივიღებდი, მაგრამ მე უარი ვთქვი მოგებაზე. მერე გაირკვა, რომ ქართული კანონმდებლობით თურმე, საავტორო უფლებები ჩემი იყო, მაგრამ ქონებრივი უფლებები ტელეკომპანიას ეკუთვნოდა, მიუხედავად იმისა, რომ მას არანაირი ფინანსური ხარჯი არ გაუწევია. ძალიან ბევრი ვინერვიულე ამის გამო და არა მარტო ამის გამო. ეს ფილმები გახდა ჩემსა და ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის საშუალო ფენას შორის დაპირისპირების მიზეზი. მე არასოდეს მითხოვია, რომ გავეშვი საფრანგეთში, იტალიაში, ამერიკაში... ფინანსებსაც თვითონ ვშოულობდი და კლდე-ღრეშიც დავძვრებოდი. თუ სხვები საპატიო დელეგაციაში მოხვედრაზე ოცნებობდნენ, მე ამის სურვილი არასოდეს მქონია. როდესაც ასეთ ფილმს იღებ, უარი უნდა თქვა კომფორტზე, ზოგჯერ ტყეში უნდა დაგიღამდეს და გაგითენდეს ან რამდენიმე დღის განმავლობაში შესაძლოა, მშიერიც იყო, უნდა იარო ფეხით და თან მძიმე ტვირთი ზიდო. ეს არ არის „პაუზდკა“. ეს არის ძნელი გზა, რომელიც უნდა დასძლიო... საბოლოოდ, ფილმებზე ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ, როგორც იქნა, ჩემს 2 ფილმზე საავტორო და ქონებრივი უფლება გადმომეცა. ამისთვის მადლობელი ვარ ტელეკომპანია „მზის“ ხელმძღვანელობის. ჩემი მხრივ, ჩემი ყველა უფლება გადავეცი ტელეკომპანია „იმედს“, რომ ფილმები ეთერში გასულიყო.

— ახლა ალბათ, შენს დანარჩენ პროექტებსაც „იმედი“ დააფინანსებს, ხომ?

— საქმე ისაა, რომ ფილმების რეიტინგიდან გამომდინარე, არ გაგვიჭირდება სპონსორის მოძიება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი ჩემი და „იმედის“ ურთიერთობა. ძალზე დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ ხელმძღვანელობისგან და იმედია, მოლაპარაკებები კარგად დამთავრდება.

— ახლა რომელიმე ფილმზე უკვე მუშაობ?

— პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში, არის ერთი კათოლიკური, დეგრასას ტაძარი, რომლის კედელზეც ქეთევან წამებულის 9-მეტრიანი ფრესკაა გამოსახული. საქართველოში ამ ფრესკის არსებობის შესახებ იციან, მაგრამ მისი ფოტო არ არსებობს. ფრესკაზე ასახულია დედოფლის წამების მთელი სცენა და გზა — შირაზში მისი ჩასვლიდან დაწყებული, წმინდა ნაწილების საქართველოში ჩამოტანით დამთავრებული. რაც არ უნდა საინტერესი იყოს თემა, მთელი საათის განმავლობაში ერთი და იმავე საკითხზე ლაპარაკი მოსაწყენი იქნება მაყურებლისთვის. ამიტომ გადავწყვიტეთ, ფილმში ჩავრთოთ კრიმინალისტები და ფსიქოლოგები, რადგან გვინდა, რომ ის, რაც შირაზში 400 წლის წინ მოხდა, ქართველმა მაყურებელმა მთელი სიმძაფრით განიცადოს. ფრესკაზე დეტალურად არის ასახული წამების ყველა ნიუანსი, ისიც კი, თუ სად რა ჭრილობა ჰქონდა მიყენებული დედოფალს. ამ სურათის მიხედვით კრიმინალისტები მოგვცემენ დასკვნას, თუ რომელი ჭრილობა იყო სასიკვდილო ქეთევანისთვის, როდის დადგა სიკვდილის მომენტი, რას განიცდიდა დედოფალი ფსიქოლოგიურად. დღევანდელი გადასახედიდან, შესაძლოა, იოლი მოგვეჩვენოს, მაგრამ ის ფრესკა რომ ნახოთ, ძარღვებში სისხლი გაგეყინებათ იმის დანახვისას, თუ როგორ აწამებენ წვერიანი და ჩალმიანი კაცები, მაკრატლებით ჩეხენ, ფრჩხილებს აძრობენ და შანთავენ მას; ამავე დროს, ქვევიდან ცეცხლი აქვს შენთებული. ფრესკაზე გამოსახულია ისიც, თუ როგორ ჩამოაქვთ პორტუგალიელ ბერებს ქეთევანის წმინდა ნაწილები ყუთით. საქართველოში მათ ხვდება ქეთევანის შვილი — მეფე თეიმურაზი და ფრესკაზე ჩანს, რომ თეიმურაზი ტირის. სწორედ ამ ბერებმა გამოსახეს ტაძრის კედელზე ის, რაც საკუთარი თვალით ნახეს. ეს იმდენად შემაძრწუნებე-

ლი ფაქტი იყო, რომ მთელი ევროპა შეძრა. მაშინ ევროპა მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდა... ჩვენ პორტუგალიაში გვახლდა წმინდა შუმანიკის სახელობის ეკლესიის მოძღვარი, მამა გიორგი, რომელსაც კათოლიკე მლოცველები ხელზე ემთხვეოდნენ. ქეთევან დედოფალს იქაურები „გატევანდას“ ეძახიან და როდესაც იგებდნენ, რომ ჩვენ გატევანდას ქვეყნიდან ვიყავით, ცდილობდნენ, სითბო გამოემჟღავნებინათ. ქეთევანი არის ქართველი, მართლმადიდებელი დედოფალი და მისი ფრესკა გამოსახულია კათოლიკური ტაძრის კედელზე — ასეთი რამ იშვიათად ხდება. სწორედ ამის გამო იყო, რომ თავდაპირველად, დიდ წინააღმდეგობას წავაწყდით. როგორც იქნა, ტაძარში შეგვიშვეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ ფლიგელში, სადაც ფრესკა იყო, გახსნილი ყოფილა სამრევლო სკოლა. კედელთან მიდგმული იყო ავეჯი და ზედ ბავშვების ნახატები იყო მიკრული. ფილმში ნაჩვენები იქნება, თუ როგორ მოიხსნა ეს ყველაფერი. ფრესკა მინანქრით არის გაკეთებული და პორტუგალიის რევოლუციის დროს ამ ტაძარში დაფუძნებულმა ჯარისკაცებმა ქეთევანის გამოსახულებას თვალები დასთხარეს. ჩვენ ჩავიფიქრეთ, რომ ამ ფრესკის ასლი შევქმნათ და საქართველოში, ქეთევანის ეკლესიაში მოვათავსოთ. ეს ფილმი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით იქმნება.

— მახსოვს, „ერთი ჭოროხის შვილებში“, თოკებით ადიოდით ციცაბო კლდეზე. წინასწარ გაიარეთ მომზადება კლდეზე ცოცვაში?

— როდესაც თეკალეს, იმავე კავკასიძეების ციხეზე ასვლა გადავწყვიტეთ, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასე იოლად დავძლევდი სიმაღლეს. პირველი, ბუბა ავიდა. დანარჩენებიც მან აგვიყვანა. მართალია, მშიშარა არა ვარ და არც სიმაღლის მეშინია, მაგრამ მაინც ძალიან განვიცადე. ფილმში ჩანს ჩემი ასვლა და მართლაც იოლად ავედი, მაგრამ არ ჩანს ჩემი ჩამოსვლა. ეს იყო კატასტროფა. წარმოიდგინეთ, წვეტიან კლდეს რომ თავი მოანგრიოთ, დარჩება მცირე ზომის მოსწორებული ადგილი. სწორედ ასეთ ადგილზეა აშენებული თეკალეს ციხე. ბუბა შევიდა ციხეში და დაიწყო მისი ძირფესვიანად შესწავლა. მე კი გარეთ ვარ და ვცდილობ, ქვევით მიწა დავინახო, მაგრამ არაფერი ჩანს. პანიკამ შემიპყრო. გავაცნობიერე, რომ ძალიან მაღლა ვარ. დავჯექი ციხის ძირში, რადგან უფრო დახურული ადგილი იყო და ეს გაშლილი სივრცე იქიდან არ ჩანდა. მერე ამეკვიატა იმის შიში, რომ ციხე არ ჩამონგრეულიყო. გადმოვცოცდი ისეთ ადგილზე, სადაც ციხის დანგრევის შემთხვევაში, უვნებელი დავრჩებოდი, მაგრამ ახლა იმის შემეშინდა, მიწისძვრა არ მომხდარიყო და კლდე არ მონგრეულიყო. ეს ყველაფერი რომ გავაცნობიერე, ბუბასთან ყიჟინით შევვარდი და ვიყვარე — ახლავე ძირს ჩამიშვი-მეთქი! ბუბამ მშვიდად მთხოვა, რომ ცოტა მომეცადა, მაგრამ ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე. თან მიკვირდა, როგორ შეიძლებოდა, რომ ბუბა ასე მშვიდად ყოფილიყო. მივედით თოკთან, რომლითაც ძირს უნდა დავშვებულიყავი. ბუბას ვთხოვე, აეხსნა, როგორ უნდა ჩავსულიყავი. ის ისევ მშვიდად მიხსნიდა და არც კი მაფრთხილებდა, რომ აქედან დაშვება საშიშია და ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი. რამდენჯერმე გავუმეორე კითხვა — კარგად ამიხსენი, როგორ ჩავიდე-მეთქი... ბუბა იხსენებს ხოლმე — ბოლოს რომ შემეკითხე, განწირული მოზვრის თვალები გქონდა და მივხვდი, რომ მაგრად შეგეშინდაო... კლდეზე ასვლა გაცილებით იოლი ყოფილა, ვიდრე ჩამოსვლა. ძლივს ჩამოვაღწიე ძირს. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ ამ ასვლა-ჩამოსვლის დროს ერთი ნაკაწრიც არ დამტყობია და უკვე მიწაზე მყარად რომ დავდექი, შტატივის დაკეცვის დროს თითი მომყვა და ძალიან გავმწარდი. ტრავმა მაინც მივიღე. ამის შემდეგ უნდა ავსულიყავით სოფლებში, რომლებიც 2300 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობდა. მანქანით ციცაბო კლდეზე მივდიოდით და ძირს გადახედვისაც კი მეშინოდა. მაგრამ ღირდა... სოფლებში ისეთ უცნაურ ქართულს ვისმენდი, რომ გაოცებული ვიყავი. მაგალითად, გამოთქმა „ჭკუაში მიზიხარ“, ნიშნავს — შენზე ვფიქრობ. იქ საერთოდ არ ხმარობენ სიტყვას „ლაპარაკი“. მის ნაცვლად ამბობენ „ხვარატს“: მოდი, ვიხვარატოთ, — ნიშნავს — მოდი, ვილაპარაკოთ. ინტერნეტით ბევრი ლაზი გავიცანი და მათთან ვმეგობრობ კიდეც. მყავს ერთი ვირტუალური მეგობარი, ნური. ერთმანეთს ყოველდღე ვესაუბრებით. ერთხელ, დამშვიდობებისას მივწერე — „ღამე მშვიდობისა“. მან კი მომწერა — „ფერიანი სიზმრები“. ძალიან მომეწონა ეს გამოთქმა და ამის შემდეგ, ჩემს სასაუბრო ლექსიკონში მტკიცედ დამკვიდრდა. ნურის ჰყავს ერთი მეგობარი, ომარი, რომელსაც მეც ვიცნობ ინტერნეტით. ომარი ქართველი გოგოს გაცნობას ცდილობდა და ერთ საიტზე გაუცნია კიდეც. შემდეგ მე გამიმხილა, რომ ვიღაც ქართველი გოგო მოეწონა და მკითხა — მუსლიმანი რა არისო? მივწერე, რომ ეს მაჰმადიანს ნიშნავს. შემდეგ მეუბნება — გამაბეცებს აგი გოგოო... — რატომ-მეთქი? — რატომ და ასე მითხრა, რჯული გამოიცვალე და მერე დაგელაპარაკებიო... მე ვურჩიე, რომ თავი დაენებებინა ამ გოგოსთვის, მაგრამ როგორც ჩანს, ომარი მაინც აგრძელებდა მიწერ-მოწერას და რამდენიმე ხნის შემდეგ, გახარებულმა მაუწყა — იცი, ჩემი საქმე ძალიან კარგად არის, თაკოს შევუყვარდიო. — საიდან დაასკვენი-მეთქი? — მართალია, ყველაფერი ვერ გავიგე, მაგრამ ისეთი წერილი მომწერა და ისეთი სიტყვები, რომ ნამდვილად მაგრად ვუყვარვარო. შემდეგ, იმ გოგონას წერილი გადმომიგზავნა, რომ დავრწმუნებულიყავი მის ნათქვამში. წერილში კი ეწერა: ომარ, მაგარი უჯიშო, უჯილაგო და უინტერესო ტიპი ხარო... „უჯიშო“ და „უჯილაგო“ ვერ გაიგო. მხოლოდ გაიგო „მაგარი“ და „ინტერესი“ და დაასკვნა, რომ თაკოს შეუყვარდა. მე ვუთხარი — რბილად რომ გითხრა, შენკენ მოხედვაც არ უნდა-მეთქი... აი, ასეთი ქართული იციან ლაზებმა.

— ბოლოს, ისიც გვიამბე, როგორ გადაწყვიტე, რომ თმა გადაგენერგა?

— შენ არ იცი, ეს რა ბედნიერებაა: არასოდეს გამოგიცდია, რას ნიშნავს სიმელოტე. იცი, როგორი ბედნიერი ვარ? წამდაუწუმ სარკეში ვიყურები და კიდევ არ მჯერა, რომ ქოჩორი მაქვს. ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს ის ხალხი, ვინც იმ კლინიკაში მუშაობს, სადაც თმის გადანერგვა გავიკეთე. ჩემი ოპერატორი, ბესო გაფრინდაშვილი სულ შეკლული მყავდა: ისე გადამიღე, რომ თმიანი გამოვჩნდე-მეთქი. რაც არ მქონდა, რას გადაიღებდა?!. ჰოდა, ახლა ბედნიერი ვარ. დედაჩემი სასტიკი წინააღმდეგი იყო, რომ თმის გადანერგვა გამეკეთებინა, მაგრამ არ დავუჯერე. ნაოპერაციები, შინ თავდასისხლიანებული რომ მივედი, სულმთლად გადაირია, მაგრამ ახლა ისიც კმაყოფილია.

■

ამ ასვლა-ჩამოსვლის დროს ერთი ნაკაწრიც არ დამტყობია და უკვე მიწაზე მყარად რომ დავდექი, შტატივის დაკეცვის დროს თითი მომყვა და ძალიან გავმწარდი

იქ საერთოდ არ ხმარობენ სიტყვას „ლაპარაკი“. მის ნაცვლად ამბობენ „ხვარატს“

საკურნებელი წყალი

საქართველოში რამდენიმე წმინდა წყარო არსებობს, რომელიც ამა თუ იმ წმინდანის ლოცვითაა აღმოცენებული და სასწაულმოქმედების ძალა შესწევს. თითოეული სასწაულმოქმედი წყაროს აღმოცენება, სრულიად განსხვავებულ ამბავს წარმოადგენს.

მორენა მერკვილაძე

ერთ-ერთი მათგანი — **ნინოს წყარო** — ბოდბეში, მონასტრის ქვემოთ, ხეობაში მოჩქეფს. ისტორიული გადმოცემის თანახმად, სასწაულმოქმედი წყარო წმინდა ნინოს ლოცვით აღმოცენდა. წყაროს წყალი მრავალ სასწაულს ახდენდა. კომუნისტური მმართველობის ჟამს, როდესაც მონასტრის შენობაში საავადმყოფო გახსნეს, წმინდა წყაროს წყალს საყოფაცხოვრებო დანიშნულებით იყენებდნენ. წყალი უკვალოდ გაქრა. მოგვიანებით იგი, ბოდბის მონასტერში რუსეთიდან ჩამოსულმა, მალულად მოღვაწე მონაზვნებმა იპოვეს იმ ფერდობის ძირში, რომელზეც ბოდბის მონასტერი დგას.

2000 წლამდე, წმინდა ნინოს წყაროსთან მხოლოდ რკინის გეჯა იდგა — წყარო მოუვლელი იყო. შემოდგომაზე ფოთლებით იყო დაფარული და ის მილიც არ ჩანდა, საიდანაც წმინდა წყალი მოწანწკარებდა. შემდეგ, მონასტრის მოღვაწეთა თაოსნობითა და მართლმორწმუნეთა შემოწირულობებით, ნინოს წყაროზე ემბაზი (განსაბანი) მოეწყო, იქვე ახლოს კი, წმინდა ნინოს მშობლების — წმინდა ზაბულონისა და სუსანას სახელობის პატარა ტაძარი ააგეს. ნინოს წყაროს რამდენიმე მონაზონი პატრონობს.

წმინდა ნინოს საწაულმოქმედი წყაროს წყლის ძალითა და მადლით არაერთი სასწაული აღსრულებულა. განსაკუთრებით ხშირია სნეულთა განკურნება. მოგითხრობთ რამდენიმე მათგანის შესახებ: ერთ ბავშვს ექიმებმა სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს, მისი განკურნების არავითარი იმედი აღარ არსებობდა. მშობლებმა სნეული შვილი ბოდბეში წაიყვანეს, გარკვეული დროის მანძილზე ყოველდღიურად დაჰყავდათ ნინოს წყაროზე და ემბაზში აბანავებდნენ. მალე გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ბავშვი სრულიად გამოჯანმრთელდა. იყო ასეთი შემთხვევაც: მძიმედ დასნეულებული გოგონა, რომელსაც თავბრუსხვევა აწუხებდა და წონასწორობას კარგავდა, ახლობლების დახმარების გარეშე ვერ გადაადგილდებოდა. დედამ ბოდბის მონასტერში ჩაიყვანა. წმინდა წყაროსთან მონასტერში მოღვაწე დედა ქსენიამ ჩაიყვანა. რადგან ზამთარი იყო, მან სნეულ გოგონას, ბოთლში აღებული წყაროს წყალი ჩაცმულს გადაავლო. მოხდა სასწაული — გოგონა წყაროდან დამოუკიდებლად, საკუთარი ფეხით ამოვიდა. მალე კი, სრულიად გამოჯანმრთელდა.

ერთ-ერთი საკვირველმოქმედი წყაროს ისტორია, რომელიც **„ბერის ცრემლების“** სახელითაა ცნობილი, საქართველოში ქრისტიანობის განსამტკიცებლად ჩამოსული 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთის — წმინდა შიოს, შემდგომში შიომღვიმელად წოდებულის სახელს უკავშირდება. „ბერის ცრემლები“, შიომღვიმის მონასტრის ტერიტორიაზე შესასვლელთან მოედინება.



შიომღვიმის მონასტერი

წმინდა წყარო, შიო მღვიმელის ლოცვით აღმოცენებულა: ქართლში მოსვლის შემდეგ, ასურელი მამა რამდენიმე წლის განმავლობაში, მამა იოანესთან ერთად მოღვაწეობდა ზედაზნის მთაზე. მოგვიანებით, მან თავისი სულიერი მამისგან უდაბნოში წასვლის ნებართვა ითხოვა, რათა დაყუდებული ცხოვრება დაეწყო. იოანე ზედაზნელისგან კურთხევის მიღების შემდეგ, მცხეთის დასავლეთით, კლდოვან და მუვალ ადგილას მღვიმე იპოვა და იქ დამკვიდრდა. მალე, მამა შიოსთან სამოღვაწეოდ მრავალი მორწმუნე მივიდა. მონასტრის ტერიტორიაზე წყალი არ იყო, ამიტომ ბერები მას მტკვრიდან ეზიდებოდნენ, რაც მძიმე ფიზიკურ შრომას მოითხოვდა. ერთხელ, ერთ-ერთმა ბერმა მდინარიდან წყალი მოიტანა, მოულოდნელად წაიქცა, ჭურჭელი გაუტყდა და წყალი დაიღვარა. ბერს ცრემლები წამოუვიდა. როდესაც ეს წმინდა შიომ დაინახა, ბერს ნუგეში სცა: უფალმა შენი ცრემლების სანაცვლოდ, ანგელოზი წარმოგზავნა, რომელიც წყაროს აღმოაცენებსო. იმ ადგილზე მართლაც, ამოხეთქა წმინდა წყარომ, რომელსაც „ბერის ცრემლები“ უწოდეს. ამ წყაროს წყლის ძალით, არაერთი სასწაული აღსრულებულა. ის დღემდე კურნავს ყველას, ვინც რწმენითა და სასოებით მიიღებს. წყაროს წყალს ბერები კასრებში აგროვებენ და შემდეგ, იქ მისულ მორწმუნეებს ურიგებენ.

სასწაულმოქმედი წყარო ზედაზნის მონასტრის ტერიტორიაზეცაა: მთაზე, სადაც ის მდებარეობს, არის წყარო, რომელიც ერთ-ერთი ასურელი მამის იოანე ზედაზნელის ლოცვით აღმოცენებულა. მას შემდეგ, რაც ასურეთიდან ჩამოსული წმინდა მამები სხვადასხვა კუთხეში წავიდნენ სამოღვაწეოდ, ზედაზენზე მამა იოანესთან, დიაკვანი ილია დარჩა. ის წყალს საკმაოდ შორი მანძილიდან — მტკვრისა და არაგვის შესართავიდან ეზიდებოდა. ერთხელ, მას წმინდა იოანესთვის უთქვამს — კარგი იქნებოდა, ზედაზნის მთაზე წყალი რომ იყოსო. წმინდანს მიწაზე კვერთხი დაურტყამს და ლოცვა აღუვლენია. ამის შემდეგ, იმ ადგილზე წყალი აღმოცენებულა. წმინდა წყალი, მამა იოანე ზედაზნელის საფლავთან ახლოს მდებარეობს. ზედაზნობის დღესასწაულზე, წყალი იმატებს და ჭიდან გადმოდის ხოლმე. წმინდა მამის ლოცვით აღმოცენებულ წყალს, კურნების ძალა შესწევს; მისი ძალითა და მადლით სხვა სასწაულებიც აღესრულება.

სასწაულმოქმედი, მაკურნებელი წყარო მოედინება დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზეც, მას **„დავითის ცრემლები“** ეწოდება: საქართველოში ჩამოსულმა ერთ-ერთმა ასურელმა მამამ — დავითმა თავდაპირველად, სამოღვაწეოდ თბილისი აირჩია, მაგრამ მალე მას ერთ მეძავთან მრუშობა დასწამეს. საბოლოოდ, წმინდა მამა, გამართლდა, მაგრამ მაინც დატოვა ქალაქი და კახეთში, უდაბნოში გავიდა სამოღვაწეოდ. ის კლდეში გამოკვეთილ პატარა გამოქვაბულში დაემკვიდრა. შემდგომში, წმინდა მამასთან მრავალი მორწმუნე მიდიოდა. ბევრი მათგანი იქვე დარჩა სამოღვაწეოდ. ასე ჩაეყარა საფუძველი სამონასტრო ცხოვრებას. გარეჯის უდაბნოში მოღვაწე ბერებთან ხშირად მიდიოდა მამა დავითი, რათა გაემხნევებინა ისინი. ერთხელ, ერთ-ერთმა ბერმა უთხრა, რომ კლდის ძირში მწარე გემოს წყალი მოწანწკარებდა. მამა დავითმა ლოცვა აღავლინა და შესთხოვა უფალს, რომ წყალი დაეტკბო. შემდეგ, კლდიდან მომდინარე წყლით ჭურჭელი აავსო, ჯვარი გადასახა და წყალი დაატკბო. ამ სასწაულის გამო, წყაროს „დავითის ცრემლები“ უწოდეს. ერთხელ, უსჯულოებს გარეჯის მონასტერი დაურბევიათ და იმ გამოქვაბულშიც შეჭრილან, სადაც წმინდა წყარო მოედინებოდა. თათრებს საკუთარი სარწმუნოებრივი რიტუალი აღუსრულებიათ, რომლის შემდეგაც, წყალს დინება შეუწყვეტია. როდესაც ამის შესახებ მონასტერში მოღვაწე ბერებმა შეიტყვეს, წყაროსთან დავით გარეჯელის სახელზე პარაკლისი აღავლინეს, წმინდა მამას შემწეობა შესთხოვეს და ნაკურთხი წყალი აპკურეს, რომლის შემდეგაც წყალმა კვლავ დაიწყო წვეთა.

მაკურნებელი წყალი დღემდე უწყვეტად მოედინება. მისი ძალითა და მადლით, არაერთი ადამიანი განკურნებულა სხვადასხვა სნეულებისგან. „დავითის ცრემლებს“ განსაკუთრებით თვალის დაავადებებისგან განკურნების ძალა შესწევს. ამ წყაროს წყალს მორწმუნენი უზმოზე იხმევენ.

■

ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე იღბლიანები...



წვიმების რეკორდი

ინდოეთის შტატ მეგხალაიაში მდებარე, მონსირამის დაბლობზე წელიწადში 11873 მმ ნალექი მოდის. სიტყვა „მეგხალაია“ — ღრუბლების მიწას ნიშნავს. ნალექის უმეტესი ნაწილი იქ მუსონების სეზონში — ივნისიდან სექტემბრამდე პერიოდში მოდის. წვიმის ყოველთვიური რაოდენობით, ამავე შტატის ჩერაფუნჯის რაიონი ლიდერობს. 1861 წლის ივლისში, იქ 9300 მმ ნალექი მოვიდა.

უმსხვილესი წვიმის წვეთები

8,6 მმ დიამეტრის წვიმის წვეთები ორჯერ — 1995 წლის სექტემბერში ბრაზილიაში და 1999 წლის ივლისში მარშალის კუნძულებზე დაფიქსირდა. პიტერ ჰობსი და არტურ რენგო (ორივე — აშშ) წვეთებს ზომავდნენ ლაზერის ხელსაწყოთი, რომელიც ვაშინგტონის უნივერსიტეტის კუთვნილ სამეცნიერო-კვლევით თვითმფრინავზე იყო დამონტაჟებული.

უძველესი გაქვავებული წვიმის ნაკვალევი

2001 წლის 15 დეკემბერს, ინდოელმა გეოლოგმა, ჩირირანდა დემ გამოაცხადა, რომ ვინდხიას მთების (შტატი მადხია-პრადეში) ქანებში წვიმის წვეთების უძველესი გაქვავებული ნაკვალევი აღმოაჩინა.

ყველაზე ძვირად ღირებული მწერი

1999 წლის 19 აგვისტოს, ვეებერთელა, 80-მილიმეტრიანი ხოჭორემი (Dorcus hopei) იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში 10.035.000 იენად (90.000 დოლარად) გაიყიდა. უნიკალური მწერი საკუთარი კოლექციისთვის ინკოგნიტოდ დარჩენილმა, ერთ-ერთი მსხვილი კომპანიის 36 წლის პრეზიდენტმა შეიძინა.



უდიდესი ობობა



მსოფლიოში უდიდესი — Theraphosa blondi-ს ჯიშის ობობას ფამრია, რომელიც 1965 წელს, ვენესუელაში მყოფმა მეცნიერთა ექსპედიციის წევრებმა მოინადირეს. მისი თათების სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში 28 სმ-ს აღწევდა, რაც საშუალო ზომის თეფშის დიამეტრს უდრის. ამ სახეობის ობობები სურინამის, გვიანისა და ფრანგული გვინეის ჯუნგლებში ბინადრობენ, თუმცა, მათი ცალკეული ეგზემპლარები ვენესუელასა და ბრაზილიაშიც შეგხვდებათ.

მეტეორიტის დაცემისგან გაჩენილი უდიდესი კრატერი

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ იოჰანესბურგის მახლობლად მდებარე, ვრედეფორტის კრატერის დიამეტრი 300 კმ-ს შეადგენს და უდიდესია იმ 150-ს შორის, რომელიც დედამიწაზე მეტეორიტების დაცემის შედეგს წარმოადგენს. 2 მლრდ წლის წინ გაჩენილი, ვრედეფორტის ფართობზე 270 ათასი საჩოგბურთო კორტი დაეტევა.

უძლიერესი შეჯახება

ასტრონომთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ 4,5 მლრდ წლის წინ, დედამიწას მარსისხელა პლანეტა შეეჯახა. ამის შედეგად გაჩენილი ქანების ნატეხები დედამიწის ორბიტაზე გაიფანტა და გრავიტაციის მოქმედების შედეგად, მთვარის წარმოქმნა განაპირობა. მეცნიერთა ვარაუდით, აღნიშნულმა შეჯახებამ დედამიწა იავარქმნა: მისი ქერქი კოსმოსში გაიფანტა და პლანეტის ზედაპირზე მხოლოდ მდუღარე მაგმის ოკეანე დარჩა.

წიგნი თავგადასავლების მოყვარულთათვის!



„მე ერთი მოგზაურობაზე თავგადაკლული კაცი ვარ..." — ამ სიტყვებით დაამახსოვრა თავი წიგნის ავტორმა ჟურნალ „გზის" მკითხველს. თანაც, ამ სიტყვებს დროდადრო არა მხოლოდ ეფექტის მოსახდენად იმეორებდა, არამედ მართლაც ასე იყო...

აკაკი გეგენავა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობის ჩანაწერებით დატვირთული მოვიდა რედაქციაში. ასე გაჩნდა რუბრიკა „მოგზაურის დღიურები", რომელიც იმთავითვე მოუვიდა თვალში მკითხველს. მეტიც, პუბლიკაციათა ბეჭდვა „დაგეგმილი" ხანმოკლე ციკლის ნაცვლად, მთელი ოთხი წელიწადი გაგრძელდა. მის თითოეულ გამოშვებას მოუთმენლად ელოდნენ სათავგადასავლო ჟანრის მოყვარულნი, ხოლო როცა რუბრიკის „დასკვნითი" ნაწილი გამოქვეყნდა, გვისაყვედურეს, ასე მალე(!) რატომ დამთავრეთო.

ახლაც გვწერენ და გვირეკავენ, რუბრიკის განახლებას გვთხოვენ. აკაკის კი დღესაც აჩერებენ ქუჩაში მადლობის გადასახდელად, იმ ფოტოებით ცნობენ, მის „მძაფრსიუჟეტიან" ჩანაწერებს რომ ახლდა. ერთი სიტყვით, ჩვენი მოგზაური-პუბლიცისტი ამავდროულად ჟურნალ „გზის" პოპულარულ სახედაც იქცა.

2002 წლის თებერვლიდან მოყოლებული, აკაკი გეგენავამ მკითხველს ახალი თვალით (თანაც ძალზე ორიგინალურად) დაანახვა არგენტინა თუ ბრაზილია, ჰოლანდია თუ საფრანგეთი, იტალია, თურქეთი, ირანი... და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატები. გასაოცარი კომუნიკაბელობის, ინტუიციისა და მოგზაურისთვის დამახასიათებელი ხედვის წყალობით აკაკი უამრავ მეგობარს იძენს ყველგან, სადაც კი ფეხი დაუდგამს. შტატებში, რუსული სასტუმროს მეპატრონე ქალიდან დაწყებული, პრესტიჟული უნივერსიტეტის პროფესორით და ოლბანის ციხის „მეთვალყურით" დამთავრებული. დიახ, ჩვენი გმირი ამერიკულ ციხეშიც მოხვდა სრულიად უდანაშაულო და...

თუმცა, უმჯობესია, ყველაფერ ამის შესახებ თავად წაიკითხოთ. ჟურნალ „გზის" მკითხველები კი ალბათ კიდევ ერთხელ სიამოვნებით გადაავლებენ თვალს ნაცნობი მოგზაურის ერთად თავმოყრილ ჩანაწერებს. აკი, სწორედ ისინი გვთხოვდნენ, წიგნად გამოეცით აკაკი გეგენავას „მოგზაურის დღიურებიო"...



წიგნები სახლში მიჯანით ფასნამატის გარეშე!
ტელ: 42-43-40; 33-26-73

| | | |

ბოგეტიეგა

შიო გვეტაძე

ქალაქის მილიციის უფროსი, პოლკოვნიკი დავით ბალანჩივაძე და გამომძიებელი ლევან მინდელი ერთ-ერთ ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისა და ამ დროს მომხდარი მკვლელობის საქმეს იძიებენ. იმ ღამესვე, ორი უცნობი, ქუთაისში განთქმულ ქირურგს, გრძელიძეს გაიტაცებს და თვალახვეულს მიიყვანს ბინაში, სადაც დაჭრილი ახალგაზრდა კაცისთვის ოპერაციას გააკეთებინებენ. მუქარის მიუხედავად, გრძელიძე მილიციაში მიდის და თავს გადამხდარ ამბავს დაწვრილებით უყვება ბალანჩივაძესა და მინდელს.

(დასაწყისი იხ. „გზა“ №8-9)

კვლავ გადაუღებლივ თოვდა.

ეძინა ქუთაისს, შრომით დაღლილი ქალაქი ისვენებდა, ღონეს იკრებდა. არ ეძინა მხოლოდ მილიციის საქალაქო განყოფილებას, სადაც თავი მოეყარა მთელ აპარატს. ბალანჩივაძის კაბინეტში თათბირი მიმდინარეობდა. აქ იყო პროკურორი ხომერიკიც.

მინდელმა შეკრებილთ გააცნო ქირურგ გრძელიძის მოტაცების ამბავი და მისი დაკითხვიდან გაკეთებული დასკვნები.

— საქმე ძალზე სერიოზულადაა, — თქვა მან ინფორმაციის დასასრულს. — მართალია, ჯერჯერობით, არავითარი იურიდიული მონაცემები არ გაგვაჩნია, რომ გრძელიძის მოტაცება ტყეშელიაძის მკვლელობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ვფიქრობ, სწორედ ეს დაჭრილი დაესხა თავს ტყეშელიაძის ოჯახს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას — ბოროტმოქმედნი გამოცდილი, მოხერხებული და გამბედავი ნაძირალები არიან. მაგრამ როგორი ძლიერი და ჭკვიანიც არ უნდა იყოს დამნაშავე, როგორც არ უნდა ფრთხილობდეს იგი, კვალს მაინც ტოვებს. უნდა შევძლოთ ამ კვალის პოვნა, უნდა შევძლოთ მოვლენათა ჯაჭვში მთავარი რგოლის მოძებნა. ექიმ გრძელიძის ჩვენება ძალიან საინტერესო მონაცემებს შეიცავს, რაც სასწრაფოდ შემოწმებას და მთელი ოპერატიული ჯგუფის დაძაბულ შრომას მოითხოვს. დამნაშავენი ძალზე ფრთხილობენ. დაჭრილი ოპერირებულია და პირველი შესაძლებლობისთანავე შეეცდებიან, დატოვონ ქუთაისი. დიახ — ქუთაისი, რადგან დარწმუნებული ვარ, ისინი ქუთაისში იმყოფებიან, თუმცა გრძელიძე ამტკიცებს, რომ ის ქალაქგარეთ ჰყავდათ წაყვანილი. საჭიროა, დაუყოვნებლივ მივიღოთ ზომები ბანდიტების ბუნაგის აღმოსაჩენად. ეს არის მთავარი რგოლი ტყეშელიაძის საქმეში და ჩვენც მას უნდა ჩავჭიდოთ ხელი. ჩვენ გვაქვს სამი დამნაშავის თუმცა არასრული, მაგრამ მაინც საკმაოდ ნათელი სიტყვიერი პორტრეტი. ვიცით, რომ სახლი, რომელშიც ისინი იმალებიან, ორსართულიანია, შესასვლელი ეზოდან აქვს და ბინას უკავშირდება ორმარშიანი კიბით. კიბე გადაუხურავია, ქვის 39 საფეხურს შეიცავს; მეორე მარშის ერთ-ერთი საფეხური — მარცხენა მხარეს — ჩამოტეხილია... ასეთი მწირი მონაცემებით სახლის პოვნა არცთუ ისე ადვილია. თანაც, ქუთაისი საკმაოდ დიდი ქალაქია და ორსართულიანი სახლიც ბევრია. მაგრამ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება: დიდი თოვლის გამო, გარეუბნებში ტრანსპორტი თითქმის არ მოძრაობს. აქედან დასკვნა: ჩვენთვის საინტერესო სახლი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და ძებნაც იქ უნდა ვაწარმოოთ, — მინდელმა პაპიროსს მოუკიდა, ღრმად მოქაჩა, შემდეგ საათს დახედა და განაგრძო: — ახლა ღამის 3 საათია. არ უნდა დავკარგოთ არც ერთი წუთი. საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი ღონისძიების გატარება: უნდა შემოწმდეს ქუჩებში მოძრავი ყველა მსუბუქი მანქანა. ეჭვგარეშეა, რომ ბანდიტებს საკუთარი მანქანა ჰყავთ, ეს დადასტურებულია ექიმის ჩვენებით. დამნაშავეთა მანქანის უკანა სავარძელი, მარცხენა მხარეს, დაზიანებულია — ზამბარა აქვს ამოვარდნილი. აღმოჩენის შემთხვევაში, მანქანა და შიგ მსხდომნი დაკავებული უნდა იქნენ რაღაც უმნიშვნელო საბაბით. გარდა ამისა, საჭიროა, ახლავე დავუკავშირდეთ ქალაქის საარქიტექტურო სამმართველოს და ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს: ხვალისთვის, ჩვენს ხელთ უნდა იყოს ჩემ მიერ აღწერილი სახლების სია, რის შემდეგაც, მოვახერხებთ ამ სახლებში შესასვლელად საბაბის პოვნას. გახსოვდეთ — ჭაღარა და მისი დამქაშები ჩვეულებრივი ქურდბაცაცები როდი არიან და მცირედი ეჭვიც კი, რომ ჩავარდნის საფრთხე ემუქრებათ, მათთვის საკმარისი იქნება ახალი მკვლელობის ჩასადენად. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, — დაამთავრა მინდელმა. შემდეგ, ისევ პაპიროსს მოუკიდა და დაჯდა.

— შეიძლება? — წამოდგა ოპერატიული ქვეგანყოფილების უფროსი, მაიორი თედიაშვილი.

ბალანჩივაძემ უსიტყვოდ დაუქნია თავი.

— რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენთვის საინტერესო სახლი ქუთაისში მდებარეობს? გრძელიძე ამტკიცებს, მანქანამ დაახლოებით 30 კმ გაიარაო. ამტკიცებს აგრეთვე, რომ გადალახეს საკმაოდ დამრეცი დაღმათი და ეს მან წნევის ცვალებადობით იგრძნო. ავტოინსპექტორ დევდარიანის ნახაზიდანაც ჩანს, რომ ჩიხში გრძელიძის მიტოვების შემდეგ, მანქანა წერეთლის ქუჩით, ლითოფონის ქარხნის — ე.ი. მაიაკოვსკის მიმართულებით წასულა. განა ყველაფერი ეს არ გვაფიქრებინებს, რომ ექიმი ქალაქგარეთ ჰყავდათ წაყვანილი?

— არა! — უპასუხა პროკურორმა ხომერიკმა. — ჩვენთვის საინტერესო სახლი ქუთაისში მდებარეობს. ეს დასკვნა მე, ამხანაგმა ბალანჩივაძემ და მინდელმა ლოგიკური ფაქტების სწორი ანალიზის შედეგად გავაკეთეთ. როგორც ირკვევა, ტყეშელიაძის მკვლელი საკმაოდ მძიმედ არის დაჭრილი, ისე მძიმედ, რომ ჭაღარა ჩავარდნასაც არ მოერიდა და დაჭრილის საოპერაციოდ ქალაქის ერთ-ერთი ცნობილი ქირურგიც კი მოიტაცა, თანაც — დანაშაულის ჩადენიდან დაახლოებით ერთ-ნახევარი, ორი საათის შემდეგ. ხოლო ამ დროის განმავლობაში, ბანდიტები რაიონში ჩასვლას და უკან დაბრუნებას ვერ მოასწრებდნენ. ნუ დაგავიწყდებათ აგრეთვე, ისიც, რომ ვიდრე ექიმის მოტაცებას გადაწყვეტდნენ, ჭაღარამ თვითონ აღმოუჩინა დაჭრილს სამედიცინო დახმარება — ამასაც დრო სჭირდება. ლოგიკურია ისიც, რომ ჭაღარამ, დიდი ყოყმანის შემდეგ და უკიდურესი აუცილებლობის გამო, ექიმის წაყვანის რისკი გასწია და ვიდრე ეს გადაწყვეტილება მიიღო, საკმაო დრო გავიდა. თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, უეჭველად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ბანდიტები ქუთაისში იმყოფებიან.

— გარდა ამისა, პროფესიონალი დამნაშავენი ყოველთვის ერიდებიან სოფელ-დაბაში დაბინავებას: კარგად იციან, იქ უცხო ხალხი ადვილი შესამჩნევია. ესეც მინდელის დასკვნის სასარგებლოდ მეტყველებს, — დაუმატა პოლკოვნიკმა.

— რაც შეხება დაღმართსა და 30-წუთიან მგზავრობას, — განმარტა მინ-

დელმა, — ეს ჭაღარას ჭკვიანი მოსაზრების ნაყოფია. მიუხედავად მუქარისა, ის უეჭველად გაითვალისწინებდა გრძელიძის მოტაცების გამჟღავნების შესაძლებლობას, ამიტომ შეეცადა, კარგად აებნია კვალი. მანქანა ქალაქში ატარა, ხოლო ჯაფარიძის, მიასნიკოვის, მახარაძისა და თბილისის ქუჩებს ისეთი დაქანება აქვს, რომ ჰიპერტონიით დაავადებულ კაცს უეჭველად აგრძნობინებს წნევის ცვალებადობას. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც სრულიად გამორიცხავს დამნაშავეთა ბუნაგის ქალაქის ფარგლებს გარეთ არსებობას: ნებისმიერი დამნაშავე, რაოდენ მოხერხებულიც არ უნდა იყოს იგი, აუცილებლად უშვებს ერთი შეხედვით მცირე, თითქმის შეუმჩნეველ შეცდომას. ასე მოუვიდა ჭაღარასაც: მან ჩიხში მიტოვებულ გრძელიძეს, მოკვლის მუქარით აუკრძალა 30 წუთის განმავლობაში თვალსახვევის მოხსნა. ეს დრო სავსებით საკმარისია წერეთლის ქუჩის IV ჩიხიდან ქალაქის ცენტრალური ნაწილის ნებისმიერ ქუჩაზე მისასვლელად, მაგრამ ძალზე ცოტაა რაიონში ჩასასვლელად.

კაბინეტში ცოტა ხნით სიჩუმემ დაისადგურა.

— მაშ ასე, ამხანაგებო, — წამოდგა პოლკოვნიკი, — ამოცანა ნათელია. თუმცა დაჭრილი მძიმე მდგომარეობაშია და ექიმმაც მისი განძრევა აუკრძალა ჭაღარას, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ისინი ამაღამვე შეეცდებიან ქალაქიდან გასვლას. ქალაქის ყველა მისასვლელი უნდა ჩაიკეტოს, შეიკრას! ქუთაისიდან არც ერთი მანქანა არ უნდა გავიდეს შეუმოწმებელი!

— ამხანაგო გრიგოლ! — მიმართა მან მელოტ მაიორს, ერთ-ერთი განყოფილების უფროსს. — დაუკავშირდით სამტრედიას, ჩოხატაურს, ზესტაფონსა და ხაშურს, სთხოვეთ, შეამოწმონ ქუთაისიდან მიმავალი ყველა მანქანა: გამორიცხული არ არის, რომ დამნაშავეთა ჯგუფი უკვე გავიდა ქალაქის ტერიტორიიდან. საქმის საერთო გამოძიებას ამხანაგი მინდელი ხელმძღვანელობს, მილიციის ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელობას კი, კაპიტან ჩრდილელს ვავალებ. თუ შეკითხვები არ არის, შეუდექით დავალების შესრულებას.

ყველა წამოდგა.

— ამხანაგო შალვა, თქვენ ცოტა ხნით დარჩით, ზოგიერთ საკითხზე უნდა მოგელაპარაკოთ, თან, ჩიკვაიძის დაკითხვის მასალებს გაგვაცნობთ, — მიმართა მინდელმა კაპიტანს.

— ახლავე, — უპასუხა ჩრდილელმა, — ამხანაგებს დავალებებს გავუნაწილებ და დავბრუნდები.

კაბინეტში ბალანჩივაძე, ხომერიკი და მინდელი დარჩნენ.

ბალანჩივაძემ „ბორჯომის“ ბოთლი გახსნა, წყალი ჭიქებში ჩამისხა, ხომერიკსა და მინდელს შესთავაზა და თვითონაც დალია. შემდეგ, ტელეფონის ყურმილი აიღო და შინ დარეკა.

— ნინო, დავითი ვარ, როგორ არის ბავშვი?.. ჰო, კარგი, კარგი... მე დამაგვიანდება, შეიძლება, დილამდე ვერ მოვიდე... ნუ დარდობ, შიმშილით არ მოვკვდები, — დაუმატა მან ბოლოს და ყურმილი დაკიდა.

კაბინეტის კარი ჩრდილელმა შემოაღო.

— შეიძლება? — იკითხა მან.

— შემოდი, შალვა, შემოდი, — უპასუხა პოლკოვნიკმა.

ჩრდილელი მაგიდასთან ლევანის გვერდით დაჯდა, საქაღალდიდან რამდენიმე ფურცელი ამოიღო და გამომძიებელს გაუწოდა.

— დაკითხვის ოქმებია, — განმარტა მან.

ლევანმა ქაღალდები ჩამოართვა, უხმოდ გადაიკითხა, რამდენიმე სტრიქონი წითელი ფანქრით გახაზა და შემდეგ, ჩრდილელს ჰკითხა:

— როგორ იქცეოდა ჩიკვაიძე დაკითხვაზე?

კაპიტანი ერთხანს დუმდა, შემდეგ უპასუხა:

— ჩიკვაიძე პირველად, დღის 6 საათზე დავკითხე. ცოტა უხერხულიც იყო მისი გამოძახება, რადგან ის ახლა, ერთადერთი ნუგეშია დაქვრივებული ქალისა და ტყეშელიაძის დაკრძალვამდე არ მინდოდა ოჯახის შეწუხება, მაგრამ მაინც გავუგზავნე უწყება. მოვიდა. ძალზე შეწუხებულია. მხოლოდ ეს არის, რატომღაც მომეჩვენა, რომ მისი მწუხარება უფრო ღრმაა, ვიდრე მოკლულის ნათესავს ან შვილს შეიძლება ჰქონდეს... დაწვრილებით გამოვკითხე ყველაფერი: სოფელ იანეთიდან, სადაც დედამისი ცხოვრობს, დეპეშა მიუღია, დედის ავადმყოფობის შესახებ. ბინის გასაღები მეზობელ გორდელაძისათვის დაუტოვებია და ავტობუსით სოფელში წასულა. სოფლიდან 13 იანვარს უნდა დაბრუნებულიყო, ასე დაუბარებია გორდელაძისათვის. მეორე დღის 2 საათზე შეატყობინეს ალექსანდრე ტყეშელიაძის სიკვდილის შესახებ. არაფრით დაეჯერებინა, რადგან დეიდამისი და ალექსანდრე თბილისში იყვნენ წასულები და იცოდა, რომ 15 იანვრამდე არ დაბრუნდებოდნენ. შემდეგ, როდესაც დაურწმუნებიათ, დედასთან ერთად ჩამოსულა.

— დედასთან ერთად?! — გაუკვირდა მინდელს.

— დიახ, დედასთან ერთად! ამას მეც მივაქციე ყურადღება. მაგრამ ჩიკვაიძისათვის არ მიგრძნობინებია. გავუშვი. შემდეგ, სასწრაფოდ, ტელეგრაფში წავედი და იანეთიდან 11 იანვარს მოსული დეპეშის ასლი მოვითხოვე. არ აღმოჩნდა. ჩემი თხოვნით, ტელეგრაფის უფროსი მაშინვე დაუკავშირდა იანეთის საფოსტო განყოფილებას, საიდანაც გვიპასუხეს, რომ არავითარი დეპეშა არც ტყეშელიაძის, არც ჩიკვაიძის სახელზე საფოსტო განყოფილებაში არ შემოსულა.

— შემდეგ? — იკითხა ხომერიკმა, რომელიც ბალანჩივაძესთან ერთად, ყურადღებით უსმენდა ჩრდილელს.

— მე უკვე ეჭვი დამებადა ჩიკვაიძის ჩვენების სისწორეში და გადავწყვიტე, მისი პიროვნების შესახებ ცნობები შემეკრიბა. პირველ რიგში, ინსტიტუტში წავედი... კომკავშირის კომიტეტის მდივანმა არასახარბიელოდ დაახასიათა ჩიკვაიძე: ცუდად სწავლობს, ხშირად სვამს, ინსტიტუტში არავისთან მეგობრობს, სტილიაგობს. გასული წლის ოქტომბერში, უღირსი საქციელისათვის, რაც მისივე სოფელი სტუდენტი ქალიშვილის გალახვაში გამოიხატა, ჩიკვაიძის საკითხი დირექციისა და კომკავშირის კომიტეტის მსჯელობის საგანი გამხდარა. ინსტიტუტში პირობით დაუტოვებიათ, ხოლო კომკავშირის კომიტეტს სასტიკი საყვედური ჩაუწერია სააღრიცხვო ბარათში.

— რატომ უცემია ქალიშვილი ჩიკვაიძეს? — გააწყვეტინა მოხსენება პოლკოვნიკმა ჩრდილელს.

— საბედნიეროდ, გალახული გოგონა ინსტიტუტში აღმოჩნდა, ვესაუბრე, შემდეგ დავკითხე, — ჩრდილელმა საქაღალდიდან რამდენიმე ფურცელი ამოიღო და განაგრძო: — ვფიქრობ, ეს გოგონა გულგრილი არ არის ანზორ ჩიკვაიძისადმი. მაგრამ ამის თაობაზე არაფერი მიკითხავს, მოვერიდე. როგორც ჩანს, თამარ ლეჟავას — ასე ჰქვია სტუდენტ ქალიშვილს — არ მოსწონდა ჩიკვაიძის ქცევა, სისტემატური სმა და საეჭვო პირებთან მეგობრობა. ანზორი გატაცებული ყოფილა „პოკერის“ თამაშით. ერთხელ, ნასვამს, თვითონვე დაუტრაბახია ქალიშვილთან — გუშინ 2.000 მანეთი მოვიგეო. ლეჟავა აღშფოთებულა და დამუქრებია — თუ ამ სისაძაგლეს არ მოეშვები, დეიდაშენს ვეტყვიო. ანზორმა პირობა მისცა, მაგრამ არ შეასრულა. რამდენიმე დღის შემდეგ, თამარს მუქარა აუსრულებია და ანზორის დეიდისთვის უთქვამს ყველაფერი. რა ზომები მიიღო ტყეშელიაძის მეუღლემ, ეს ლეჟავასთვის უცნობია, მაგრამ მეორე დღეს, ინსტიტუტში მისულ ანზორს საჯაროდ გაულანძღავს ქალიშვილი და ხელითაც შეხებია. კომკავშირის კომიტეტმა და რექტორატმა არ იციან საქმის ნამდვილი არსი, რადგან „პოკერის“ თამაშის შესახებ ლეჟავას არაფერი გაუმხელია, ამიტომ, ცემა რაღაც სხვა გარემოებით აუხსნიათ და საქმე იმით დამთავრებულა, რომ ჩიკვაიძეს ბიუროზე ბოდიში მოუხდია და პატიება უთხოვია.

— გამოარკვიეთ, ვისთან მეგობრობს ჩიკვაიძე? — იკითხა მინდელმა.

— ვერა. ლეჟავა, ჩიკვაიძის მეგობრებს არ იცნობს. უნახავს რამდენჯერმე, ორ ახალგაზრდასთან ერთად ქალაქში, მაგრამ მათი ვინაობა არ იცის. სახით ორთავეს იცნობს, ხოლო ვინ არიან, ქუთაისში ცხოვრობენ თუ სხვაგან ან რა საქმიანობას ეწევიან, — მისთვის ცნობილი არ არის... როცა ეს ცნობები შევკრიბე, ხელმეორედ გამოვიძახე ჩიკვაიძე. მან კატეგორიულად უარყო ყველაფერი. ლეჟავას ცემა კი დაადასტურა და თქვა: გასაქანს არ მაძლევდა, სულ კუდში დამდევდა, საშინლად ეჭვიანობდა ყველა ქალიშვილის გამო და პრეტენზიებს აცხადებდა ჩემზე, თუმცა ამის საბაბი არ მიმიციაო. მოვთხოვე დეპეშა. მიპასუხა, დავკარგეო... გადავწყვიტე, ჩიკვაიძე დამეკავებინა კიდეც, მაგრამ საამისო საფუძველი ჯერ არ მქონდა და შევყოყმანდი, მერე უხერხულადაც ჩავთვალე ეს ღონისძიება: შეიძლება, ჩემი ვარაუდი არ გამართლებულიყო და ტყუილად მოვცხებდი ჩირქს ახალგაზრდა კაცს, ზოგიერთის თვალში ის თავისი აღმზრდელი ბიძის, დეიდის ქმრის მკვლელი დარჩებოდა და ეს სამუდამოდ დაუმახინჯებდა მას ცხოვრებას. ამიტომ, დავამთავრე თუ არა დაკითხვა, ჩიკვაიძე გავუშვი.

— რომელ საათზე გაუშვით ჩიკვაიძე? — მოუთმენლად იკითხა მინდელმა.

— პირველს ხუთი წუთი აკლდა.

— არასწორად მოქცეულხართ, ამხანაგო შალვა. ჩვენი თანხმობის გარშე, მეორედ არ უნდა დაგებარებინათ ჩიკვაიძე — ეს შეცდომაა. ხოლო მეორე შეცდომა ის გახლავთ, რომ არ დააკავეთ. როგორ ფიქრობთ — თუ ჩიკვაიძე, ტყეშელიაძის მკვლელობის მონაწილეა, თანამზრახველები თვალყურს არ ადევნებენ? ეს ხომ ჩვენი მუშაობის სრული გაშიფვრაა! როგორ დაუშვით ასეთი რამ?! — მკაცრად უსაყვედურა ხომერიკმა.

ჩრდილელი შეკრთა. კაბინეტში შემოსვლამდე, დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი ჩინებულად გააკეთა, სწრაფი ოპერატიული მოქმედებით ამხილა ჩიკვაიძის სიყალბე. საჭმელიც არ გახსენებია, მთელი დღე, საჭირო ცნობების შეკრებასა და ლეჟავას დაკითხვას მოანდომა. ახლა კი... ხომერიკის მკაცრი შენიშვნის შემდეგ მიხვდა, თუ რა დიდი ვნება შეეძლო მოეტანა საქმისათვის მის თვითნებურ მოქმედებას.

— მკვლელობაში ჩიკვაიძის მონაწილეობა წარმოუდგენლად მიმაჩნია. აფთარი უნდა იყო, რომ აღმზრდელი ბიძა ასე ვერაგულად გაიმეტო. მერე და, რისთვის უნდა მოეკლა? თუ გაძარცვა სურდა, ბინა მის განკარგულებაში იყო, შეეძლო, თავისუფლად გაეტანა, რაც უნდოდა. გარდა ამისა, შეგროვილი მასალებიდან ჩანს, რომ ტყეშელიაძეს ფული და ძვირფასეულობა ჩაკეტილი ჰქონდა. 25.000 მანეთის სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები, რომლებიც ბოროტმოქმედებმა საათებთან ერთად გაიტაცეს, დაუკეტავ კარადაში ინახებოდა. ეს ანზორმაც იცოდა, მაგრამ ობლიგაციისათვის ხელი არ უხლია. არა, მე არ ვამართლებ ჩრდილელის მოქმედებას, ეს, ოპერატიული თვალსაზრისით, შეცდომაა, დიდი შეცდომა, მაგრამ არა მგონია, ჩიკვაიძეს რაიმე კავშირი ჰქონდეს ტყეშელიაძის მკვლელობასთან, — თქვა პოლკოვნიკმა და მინდელს შეხედა.

მინდელი დუმდა. პაპიროსის ნამწვავი საფერფლეში ჩასრისა, შემდეგ, ახალს მოუკიდა.

— მე... არ მეგონა, ამხანაგო პროკურორო, თუ ჩემი მოქმედება საფრთხეს შეუქმნიდა საქმის გახსნას. ახლა კი ვგრძნობ, რომ შეცდომა დამიშვია, — სინანულით ჩაილაპარაკა ჩრდილელმა.

— ეს მარტო ჩრდილელის შეცდომა არ არის, მეც ვარ დამნაშავე — ჩიკვაიძის დაკითხვა სხვისთვის არ უნდა მიმენდო. ამ საქმისთვის მე თვითონ უნდა მომეკიდა ხელი. მით უმეტეს, რომ...

ტელეფონის ზარმა მინდელს სიტყვა გააწყვეტინა.

ბალანჩივაძემ ყურმილი აიღო.

— გისმენთ... სად, რომელ საათზე?.. კარგი, გასაგებია, — ყრუდ თქვა მან ბოლოს.

— რა მოხდა? — შეეკითხა ხომერიკი გაფითრებულ პოლკოვნიკს.

— 35 წუთის წინ, წულუკიძის ბაღში საბაგირო გზის სადგურთან, შემოვლისას, გუშაგმა მილიციელმა გვამი აღმოაჩინა; როგორც ჯიბეში ნაპოვნი საბუთებით დასტურდება, მოკლული ახალგაზრდა, ანზორ ილიას ძე ჩიკვაიძეა.

ხომერიკს ასანთის ასაღებად გაწვდილი ხელი გაუშეშდა. ჩრდილელი მოწყვეტით დაეცა სკამზე.

— კიდევ ერთი მსხვერპლი! კიდევ ერთი მკვლელობა! ჭაღარას ბანდა გაბედულად მოქმედებს, — დაიგმინა მინდელმა.

გათენდა. მთელი ღამის უძილო, დაღლილი მინდელი თავის საწერ მაგიდასთან იჯდა და გვამის აღმომჩენი მილიციელის ჩვენებას აფორმებდა.

მილიციის უფროსი სერჟანტი, ახვლედიანი დინჯად და დალაგებით გადასცემდა მომხდარ ამბავს:

— ცვლა ღამის 12 საათზე ჩავიბარე. მოგეხსენებათ, ჩემი საპატრულო უბანი არცთუ ისე მცირე ტერიტორიას მოიცავს. დაახლოებით ღამის 12 საათსა და 40 წუთზე, სასტუმრო „ქუთაისიდან“ თეთრი ხიდის მიმართულებით წავედი. ხიდთან მდებარე სკვერი და საბაგირო გზის სადგური დავათვალიერე, შემდეგ ქუჩის მეორე მხარეს გადავედი და მაღაზიები შევამოწმე. რადგან საეჭვო არაფერი შემიმჩნევია, უკან, სასტუმროსკენ დავბრუნდი.

გადაუღებლივ თოვდა. ქუჩაში თითქმის არავინ იყო.

როდესაც სასტუმროს მივუახლოვდი, ორი ახალგაზრდა დავინახე, ერთმანეთს ათიოდე მეტრით დაშორებულნი, თეთრი ხიდის მიმართულებით მიდიოდნენ. ყურადღებასაც არ მივაქცევდი ალბათ, მაგრამ როგორც აღვნიშნე, დაცარიელებულ ქუჩაში სხვა არავინ იყო. უხმოდ ამიარეს გვერდი და შესახვევში თვალს მიეფარნენ. დაახლოებით ერთი საათი სასტუმროსთან დავყავი, შემდეგ, ისევ გავაგრძელე საპატრულო უბნის შემოვლა. როცა სკვერთან მივედი, საათს დავხედე — 3 სრულდებოდა. აქ ჩემი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიქცია — გზის მარჯვენა მხრიდან სკვერის მიმართულებით გაუტეხავ თოვლში აშკარად ჩანდა ფეხის კვალი. გამიკვირდა, საბაგირო გზა არ მუშაობდა, რა საქმე უნდა ჰქონოდა ვინმეს სკვერში? გულდასმით დავაკვირდი თოვლის ფიფქებით თითქმის ამოვსებულ ნაკვალევს. აშკარა იყო, რომ ორ ადამიანს გაევლო. მაგრამ საკვირველი ის უფრო იყო, რომ მათი უკან დაბრუნების დამადასტურებელი კვალი არ ჩანდა. მაშასადამე, ისინი, ვინც რამდენიმე ხნის წინ, სკვერში შევიდნენ, ჯერ ისევ იქ იმყოფებოდნენ. გადავწყვიტე, გამომერკვია, რაში იყო საქმე და კვალს მივყევი. ბევ-

რი არ მივლია — მივუახლოვდი თუ არა საბაგირო გზის სადგურს, ვაგონის გასაჩერებელი ბაქნის ქვეშ, თოვლისგან დაუფარავ ადგილას, რაღაც შავი საგანი შევამჩნიე, მწოლიარე ადამიანად აღვიქვი და შევეხმიანე. არ განძრეულა. ახლოს მივედი. მართლაც, ადამიანი აღმოჩნდა, ცემენტის იატაკზე გულაღმა მწოლიარე. მთვრალია-მეთქი, — გავიფიქრე და ხელი შევახე, მაგრამ უცებ დავრწმუნდი, რომ უკვე მკვდარი იყო. რაღა უნდა მექნა. საგანგაშოდ გავისროლე. რამდენიმე წუთში, მეზობელი საგუშაგოდან მილიციელი მოვიდა. ის გვამთან დავტოვე, მე კი, ყოველივე, ტელეფონით ვაცნობე მილიციის განყოფილების მორიგეს, — დაასრულა ახვლედიანმა.

— ხომ არ დაჰკვირვებიხართ სასტუმროსთან შეხვედრილ ორ მოქალაქეს? — შეეკითხა მინდელი.

— არა, არ დავკვირვებივარ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ისინი ერთად იყვნენ?

უფროსი სერჟანტი ცოტა ხანს დუმდა.

— არა, არ ვფიქრობ. მე მგონი, ისინი ერთმანეთს არ იცნობდენ და თავთავისი გზით მიდიოდნენ. არ ვიცი, ვინ იყვნენ გამვლელები, მაგრამ ჩემი აზრით, მოკლული, რომელიმე მათგანი არ არის.

— რატომ გგონიათ?

— ამის ახსნა არ შემიძლია, მაგრამ ვფიქრობ, მოკლული არც ერთ მათგანს არ ჰგავს.

— განა თქვენ დააკვირდით უცნობებს?

— არა, არ დავკვირვებივარ, მაგრამ მოკლულს მაინც ვერ ვამგვანებ რომელიმე მათგანს.

— კეთილი.

მინდელს მეტი კითხვა აღარ დაუსვამს, სწრაფად გააფორმა ჩვენება და ახვლედიანი გაუშვა. შემდეგ, შუბლი მოისრისა და ჩაფიქრდა.

უფროსი სერჟანტის ჩვენებას ახალი არაფერი მოუტანია უკვე შეკრებილი მასალებისათვის...

ჯერ კიდევ გათენებამდე, მინდელმა, ხომერიკმა და ბალანჩივაძემ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთან ერთად, გულდასმით დაათვალიერეს მკვლელობის ადგილი. ამ საქმით გართულებს, შეუმჩნევლად შემოელიათ ღამე და ალიონის მკრთალ, ნაცრისფერ სინათლეზე ოთხივემ კარგად გაარჩია — ბებერი ჭადრისაკენ წასული მკვლელი, ქვის გალავანზე აფოფხებულიყო და გალავნის იქით მდებარე სკოლის ეზოდან უკვალოდ გამქრალიყო...

მკვლელობის ადგილზე რაიმე თვალსაჩინო კვალი ვერ აღმოაჩინეს. მინდელმა ისიც კი არ იცოდა, თუ რამდენ ხანს იდგნენ საბაგირო გზის სადგურთან მკვლელი და მოკლული, რადგან ბაქნის ცემენტის იატაკი თოვლით არ იყო დაფარული. მხოლოდ ერთი რამ დაადგინა უთუოდ: ჩიკვაიძის მკვლელი მარტო იყო — ჭადრისაკენ მხოლოდ ერთი ადამიანის კვალი მიდიოდა.

...ადგილზე მისვლამდე, მინდელს კიდევ ჰქონდა მცირე იმედი — იქნებ, მოკლული, სხვა იყოსო, მაგრამ ეს იმედი მალე გაქრა: ჩრდილელმა ამოიცნო, რამდენიმე საათის წინ მასთან დაკითხვაზე ნამყოფი ჩიკვაიძე.

გვამის დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ: ცხედარს თვითნაკეთი ბებუთის ტიპის დანა ბოლომდე ჰქონდა ჩასობილი მარცხენა ძუძუში, პირისა და ტარის გამყოფი ჩანგალიც კი ჭრილობაში იყო შესული. ექსპერტმა იქვე ივარაუდა: დარტყმა დიდი ძალით იყო მიყენებული, სიკვდილი ელვისებურად დადგებოდა... გვამის გაკვეთამ დაადასტურა ექსპერტის მიერ წინასწარ გამოთქმული მოსაზრება. დანას ნეკნი გაეტეხა და ანზორისთვის გული გაეგლიჯა.

ყველაფერი ეს ლოგიკურად მიუთითებდა, რომ ჩიკვაიძე მკვლელობის მსხვერპლი იყო. მაგრამ როდესაც ჭრილობიდან ამოღებული დანა დაათვალიერეს, გამომძიებლის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: დანის ტარზე გარკვევით ჩანდა ამოჭრილი წარწერა — „ანზორი“.

„ვისია დანა? ნუთუ ანზორის? ხოლო თუ დანა ჩიკვაიძისაა, საიდან გაჩნდა ის მკვლელის ხელში? იქნებ, ჩიკვაიძემ ვერ აიტანა ბიძის სიკვდილი და თავი მოიკლა? — ერთიმეორის მიყოლებით გაუელვა ამ კითხვებმა გონებაში გამომძიებელს დანის დათვალიერებისას. — არა, — დაასკვნა მან, — ყველაფრის დაშვება შეიძლება, მაგრამ თვითმკვლელობისა კი — არა: დანის დარტყმის მიმართულება და ჭრილობა ამას არ გვაფიქრებინებს. ასეც რომ არ იყოს, ანზორს არ შეეძლო, თავი მოეკლა. მაგრამ დავუშვათ, ჩიკვაიძე ბიძის სიკვდილში იყო გარეული და ჩრდილელის მიერ მეორე დაკითხვისას დარწმუნდა, რომ გამოძიებამ რაღაც კვალს მიაგნო; იქნებ, საშინელი სინამდვილის გამომჟღვანებას სიკვდილი არჩია?.. მაგრამ მაშინ, რა უნდოდა სკვერში? ან ვინ არის ის, ვინც საბაგირო გზის სადგურზე შეჰყვა? — ფიქრობდა გამომძიებელი. — თოვლში დარჩენილი კვალის დათვალიერებისა და გაზომვის შედეგად აშკარა იყო, რომ ჩიკვაიძე და მასთან მყოფი უცნობი, ქვაფენილიდან ერთად, გვერდიგვერდ მიმავალნი გადავიდნენ გაუკვალავ თოვლში, ასევე ერთად მივიდნენ ბაქნამდე და იქ ცემენტის იატაკზე გაჩერდნენ. ჩიკვაიძე სამუდამოდ დარჩა ადგილზე, დანით გულგანგმირული, მასთან ერთად მყოფი კი, უკვალოდ გაქრა... მარტოოდენ ეს ფაქტი სავსებით გამორიცხავდა თვითმკვლელობის ვერსიას, მაგრამ დანა!.. როგორ მოხვდა ანზორის დანა მკვლელის ხელში? თუკი დანა მართლაც ანზორისაა, — განაგრძობდა ფიქრს გამომძიებელი, — ბუნებრივია, უნდა დავასკვნათ, რომ მკვლელი, ახლო ნაცნობია ჩიკვაიძისა და როცა მკვლელობა განიზრახა, კვალის დაფარვის მიზნით, წინასწარ ითხოვა იარაღი ანზორისაგან. ასეთ შემთხვევაში, დამნაშავე, ჩიკვაიძის ახლობელთა წრეში უნდა მოიძებნოს. უცნობს ხომ არ ათხოვებდა იგი დანას?!“

გაგრძელება შემდეგ ნომერში

საშკა ჩერქეზი 80-იან წლებში ქუთაისში დაბრუნდა და უხმაუროდ ცხოვრობდა...

რამდენიმე დღის წინ, რედაქციაში თიანეთელი, 80 წელს მიტანებული შალვა ჭოლიკაური გვესტუმრა, რომელიც „გზის“ ფურცლებზე „მონანიების“ ბეჭდვას გამოეხმაურა. ბატონი შალვას მამა, სტალინის მმართველობის პერიოდში, „ხალხის მტრად“ გამოაცხადეს და დააპატიმრეს. „ტრიცკისტის შვილი“ ათეული წლების განმავლობაში ცდილობდა, მამის კვალი ეპოვა. ამ ძიებამ მიიყვანა, ჯერ კიდევ 20 წლის ბიჭი, ლავრენტი ბერიას კაბინეტამდე, მაგრამ სიმართლის პოვნის იმედი მისთვის ტაიგაში გადასახლებით დამთავრდა... სწორედ იქ შეხვდა შალვა ჭოლიკაური, შიო გვეტაძის რომანის მთავარი მოქმედი პირის პროტოტიპს — საშკა ჩერქეზს, იმავე საშკა „ზვერს“...

ბატონი შალვა დეტალურად იხსენებს, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დამნაშავესთან და ავტორიტეტთან შეხვედრებს და საკუთარ ცხოვრებისეულ გზასაც, „ტრიცკისტის შვილის“ იარლიყის მიკერებიდან — „ლაგერებამდე“...

ხათუნა მაღრაძე

— 1937 წელს, მამაჩემი დააპატიმრეს და მე, როგორც „ხალხის მტრის“ ნაშიერი, დიდი ხნის განმავლობაში, საზოგადოებისგან გარიყული ავლმოვჩნდი. 8 წლის ბავშვმა უკვე ვიგრძენი უსამართლობისა და ობლობის ტკივილი. დედასთან ერთად, მამაჩემის კვალს არაერთი წელი უშედეგოდ ვეძებდი. ვის არ მივმართეთ, მაგრამ მამის ადგილსამყოფელს არავინ გვეუბნებოდა. ის დასმენის მსხვერპლი გახდა... 1949 წელს, როცა უკვე მოსკოვის მახლობლად, ჯარში სამსახური დავიწყე, გადავწყვიტე, ბერიასთვის წერილი მიმეწერა, კიდევ მჯეროდა, რომ მშობლის პოვნაში ქვეყნის მეთაურები დამეხმარებოდნენ. არ ვიცი, რა ეშმაკი შემიჩნდა, ბერიასთან გასაგზავნი წერილი ჩემ მიერ გამოგონილი შიფრის საშუალებით რომ შევადგინე. ეს შიფრი გამოვიგონე. ქართული დამწერლობა იყო, თუმცა, თითოეულ ასოს სრულიად განსხვავებული დატვირთვა ჰქონდა.

— რატომ გადაწყვიტეთ, წერილი ამ ფორმით შეგედგინათ?

— დარწმუნებული ვიყავი, რომ მას ბერია ვერ გაარჩევდა და მის გასაშიფრავად, თავისთან მიმიხმობდა. ეს საშუალებას მომცემდა, პირადად მისთვის მეთქვა, თუ რაოდენ უსამართლოდ მოიქცა მთავრობა, როცა სრულიად უდანაშაულო მამა დამიპატიმრეს. წერილს ქვემოთ ჩემი სახლის მისამართი მივაწერე ქართულად, შემდეგ, სამხედრო ნაწილის ნომერი და — „მოსკოვი, კრემლი, ლავრენტი ბერიას“ — კონვერტზე რუსული ასოებით გამოვიყვანე და საფოსტო ყუთში ჩავაგდე. დიდხანს უშედეგოდ ველოდი პასუხს, ბოლოს, ჩემი წერილის ამბავი თითქმის დავიწყებული მქონდა, როცა 6 თვის თავზე, სამხედრო ნაწილის შტაბში გამომიძახეს, სადაც ჩემთვის უცნობი მაიორი დამხვდა. ოჯახთან მიმოწერა თუ გაქვსო? — მკითხა. — კი-მეთქი, — დავუდასტურე. შემდეგ მკითხა — წერილებს სხვაგან თუ აგზავნიო? — არა-მეთქი, — დაუფიქრებლად მივუგე. — არც მთავრობის წევრებისთვის გაგიგზავნიაო? — მკითხა ორაზროვნად. მაშინვე მივხვდი, რომ შტაბში, ბერიასთან გაგზავნილი წერილის გამო მიმიყვანეს. ერთხელ, გავუგზავნე წერილი, მაგრამ აღარ მახსოვს-მეთქი. მაიორმა მთხოვა — დაწვრილებით მომიყევი, რა ეწერა ბარათშიო. ბერიას დაშიფრული ტექსტი სპეციალურად იმიტომ გავუგზავნე, რომ მასთან შეხვედრის შესაძლებლობა მომცემოდა, მაიორისთვის იმ წერილის შინაარსი რომ გამეცნო, კრემლში შეღწევის შანსს ხელიდან გავუშვებდი, ამიტომ არაფერი ვუთხარი... რამდენიმე დღის შემდეგ, ნაწილში ვიღაც პოლკოვნიკი სპირიდონოვი გვეწვია. დამიძახა და მითხრა — სუფთა ტანსაცმელი ჩაიცვი, მნიშვნელოვან საქმეზე უნდა წაგიყვანოო. მალე, ფრუნზეს 19 ნომერში მდებარე ვეებერთელა შენობასთან ვიდექით. კომენდატურაში შევედით, სპირიდონოვი ვიღაცას ტელეფონით ელაპარაკა. როცა საშვი გამოგვიწერეს, სწორედ ამ დროს ჩამჩურჩულა პოლკოვნიკმა — ლავრენტი ბერიასა და მარშალ ვარილევსკის უნდა შეხვდეო. მოულოდნელობისგან ლამის გული გამისკდა. ვიფიქრე — ნეტავ, ცოტა ადრე ეთქვა, წინასწარ თავს გავიმაგრებდი-მეთქი, — მაგრამ უკანხომ ველარ გამოვიქცეოდი!.. რამდენიმე წუთში, უკვე უშველებელ დარბაზში აღმოვჩნდი. მრგვალ მაგიდასთან თვით ლავრენტი ბერია იჯდა, მის გვერდით — მარშალი. იქვე იყო ჩემი თანმხლები სპირიდონოვიც. ბერიამ თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა, შემდეგ, დამსწრე საზოგადოებას ბოდიში მოუხადა — როგორც ვიცი, ჩვენი სტუმარი რუსულს ცუდად ფლობს, ამიტომ ქართულად დაველაპარაკებიო, მომიბრუნდა და მკითხა — ეს შენ გამომიგზავნეო? — და რაღაც ფურცლები გამომიწოდა. წერილის შინაარსის ამოცნობა ვერ მოვახერხეთო, — აუწყებდნენ ბერიას. ჩემმა მასპინძელმა ჰენსნე მოიხსნა, ხელში შეათამაშა და ირონიულად მკითხა — რაში დაგჭირდა ამ თავსატეხის გამოგზავნა? ჰიტლერის შემოჭრას არ მოჰყოლია ისეთი აჟიოტაჟი, შენმა წერილმა რომ გამოიწვიაო... ბერიას ბარათი ხმამაღლა წავუკითხე, თან ავუხსენი, რომ მამის ბედი მაინტერესებდა... ბოლოს, ლავრენტი პავლოვიჩმა თვალი თვალში გამიყარა და მკითხრა — რა განათლება გაქვს მიღებულიო? — დაწყებითი სკოლის ოთხი კლასი-მეთქი, — ვუპასუხე. კარგია, რომ მეტი არ გისწავ-

1951 წელს, ტაიგაში „უქლაგის“ მეშვიდე კოლონიაში შევხვდი, იმ დროისთვის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ კანონიერ ქურდს, საშკა „ზვერს“ — იმავე საშკა ჩერქეზს

ლია, თორემ ალბათ, ქვეყანას დააქცევდიო...

— მამასთან დაკავშირებით, ვერაფერი გაარკვიეთ?

— ბერია სიტყვაძუნწი იყო: ჯარისკაცო, საბჭოთა კავშირში პარტია ყველაფერს ხედავს, აქ მხოლოდ დამნაშავეებს სჯიანო, — მითხრა. ამით ჩემთვის დამთავრდა სიმართლის ძიება: მალე, ბერიასთან გაგზავნილი წერილის გამო, გამასამართლეს, გადამცეს სამხედრო ტრიბუნალს და 5-წლიანი განაჩენით, მოსკოვის ცნობილ ციხეში, „ბუტირკაში“ გამისტუმრეს...

— თქვენ ისეთი მუხლით იყავით მსჯავრდებული, რომ პატიმრებთან ურთიერთობისას, პრობლემები არ უნდა შეგექმნოდათ.

— „ბუტირკაში“ ყოფნის პერიოდიდან, ერთი ეპიზოდი დამამახსოვრდა. პატიმრებთან, ზედამხედველთან ერთად, ხანში შესული ქალი შემოვიდა, მან მსჯავრდებულებთან წიგნები შემოიტანა. მე რუსული იმდენად კარგად არ ვიცოდი, რომ მხატვრული ლიტერატურა წამეკითხა და დავინტერესდი, ქართული წიგნები ხომ არ გაქვთ-მეთქი? როცა ბიბლიოთეკარმა ჩემი წარმომავლობის შესახებ გაიგო, გაიცინა და თქვა — როგორ, თქვენი „ულვაშა“, თავისიანებსაც აპატიმრებსო?!. გარშემო სიცილი ატყდა. როცა ქალი საკნიდან გავიდა, პატიმრებმა ამიხსნეს — იცი, ვინ არის ეს ბიბლიოთეკარი ქალი? კაპლანია, 1919 წელს, ლენინი რომ დაჭრა; ხალხს ჰგონია, რომ დახვრიტეს, ის კი აქ არის, „ბუტირკაში“ ეს ყველამ იცისო... მალე, „ბუტირკიდან“ ქალაქ ნაგინსკის ციხეში გადამიყვანეს. მას შემდეგ, კარგა ხანს, კაპლანის ქალზე არაფერი მსმენია, მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ, მოსკოვიდან გადმოყვანილი პატიმრების მეშვეობით გავიგე, რომ „ბუტირკაში“ გარდაცვლილიყო... ნაგისნკის ციხეში დიდხანს არ ვყოფილვარ. მალე რამდენიმე კაცი სამორიგეოში გამოგვიძახეს და გაგვაფრთხილეს — ეტაპით გასამგზავრებლად მოემზადეთო. ყოველთვის ასე ხდებოდა: მორიგე ოფიცერი გამოგვიძახებდა, მაგრამ სად ან რატომ გვაგზავნიდნენ, არავინ იცოდა, სპეცნაწილის წარმომადგენელის გარდა, რომელიც ამ საქმეს განაგებდა... დამქანცველი მგზავრობის შემდეგ, როგორც იქნა, მივადექით ელექტრონათურებით განათებულ საკმაოდ დიდ ზონას. იმ პატიმრებს შორის, რომლებმაც ეს გზა გამოვიარეთ, მხოლოდ 3 მოვხვდით მეშვიდე ბანაკში. იმ დროს ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან არ ვიცოდი, რას ნიშნავდა მეშვიდე ბანაკი. მაგრამ როგორც შემდგომში შევიტყვე, თურმე, ამ „ლაგერში“ ყველაზე საშინელ, ურჩ, გამოუსწორებელ პატიმრებს ამყოფებდნენ. როცა უფროსობას რომელიმე პატიმრის გატეხა, დაშინება უნდოდა, მეშვიდე ბანაკში შესახლებით ემუქრებოდა. ეს ბანაკი ორ სექციად იყო გაყოფილი: ერთი სექცია მთლიანად ქურდებს ეკავათ, მეორე კი, სხვადასხვა „ბნელი პროფესიის“ ხალხს. მე მათთან ერთად მოგიწია ცხოვრებამ. ჩემთვის ქურდებს არასდროს არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ იქ ცხოვრება მაინც ორმაგ პატიმრობას ნიშნავდა. მთელი ღამის განმავლობაში, ბანქოსა და ზარის თამაში ჰქონდათ გაჩაღებული, ამ გზასაცდენილ ხალხს. ყვიროდნენ, იგინებოდნენ — აბა, მე ხომ ვერ ვეტყოდი, ნუ ხმაურობთ, მეძინება-მეთქი?! ეს რომ გამებედა, ალბათ, საიქიოში გამისტუმრებდნენ... თან, ამას ერთვოდა 55-60-გრადუსიანი ყინვა. წარმოიდგინეთ, ისეთი სიცივე იყო, მანქანაში ბენზინს ვერ ასხამდნენ — საწვავსაც ყინავდა. ამ პირობებში ვმუშაობდით ტაიგაში. ყოველდღე, რამდენიმე კილომეტრს გვატარებდნენ, საამქრომდე და უკან. ერთადერთი, ვისაც ვერ ეხებოდნენ, ესენი იყვნენ კანონიერი ქურდები. რადგან ციხის ხელმძღვანელობას მათი გაკონტროლება უჭირდა, ცდილობდნენ, თავიდან მოეშორებინათ. შეძლებისდაგვარად, ეტაპში აგზავნიდნენ ხან აქეთ და ხან იქით.

ერთ დღესაც, სამუშაოდან დაბრუნებულმა, ბანაკში შევიარე და ჩემს საწოლს რომ მივუახლოვდი, ბალიში აღარ დამხვდა...

— ტაიგაში ყველაზე საშიშ დამნაშავეებს ისტუმრებდნენ, თქვენ თუ გქონიათ კანონიერ ქურდებთან რაიმე შეხება?

— პირველი, ჩემი საქმით დაინტერესდა სარატოველი ქურდი, ბერიკა ივანოვი, რომელსაც მეტსახელად „ზალატოი მალიშს“ ეძახდნენ. მეც მოვუყევი ყველაფერი — თუ როგორ მოვხვდი პატიმრობაში. ის ძალზე დაინტერესდა ამ საქმით. საღამოს, როცა ქურდები შეიკრიბნენ, დამსვა და მათ

ბერია სიტყვაძუნწი იყო: ჯარისკაცო, საბჭოთა კავშირში პარტია ყველაფერს ხედავს, აქ მხოლოდ დამნაშავეებს სჯიანო, — მითხრა. ამით ჩემთვის დამთავრდა სიმართლის ძიება...

მოსასმენად ხელახლა მომაყოლა ჩემი ტრაგიკული თავგადასავლის შესახებ. მას შემდეგ, ყველა იქაური ქურდი პატივისცემით მექცეოდა. ერთხელ, ერთ-ერთმა პატიმარმა, სუბოტინმა ტანსაცმელი მომპარა, ისეთ დღეში ჩააგდეს, ისე სცემეს, საბრალო ქურდი, ლოგინად ჩავარდა, კარგა ხანს მკურნალობდა „ლაგერის“ სტაციონარში, მაგრამ ვერაფერი უშველეს და სადღაც დიდ საავადმყოფოში გადაიყვანეს... ერთ დღესაც, სამუშაოდან დაბრუნებულმა, ბანაკში შევიარე და ჩემს საწოლს რომ მივუახლოვდი, ბალიში აღარ დამხვდა. წარმოუდგენელი იყო, რომ სუბოტინის ცემის შემდეგ, კიდევ ვინმე გაბედავდა ჩემი ნივთის მოპარვას. ალბათ, ვინმეს დასჭირდა და დროებით აიღო-მეთქი, ვიფიქრე. მაგრამ ჩემს ბალიშს ვერსად მივაგენი. მერე, ნარის ქვეშაც შევიხედე, იქ კი, საწოლის ქვეშ, ხის ვედრო იდგა და მას ზემოდან ჩემი ბალიში ჰქონდა დაფარებული. ვედრო გამოვწიე, ბალიში ავიღე და შიგ, გატყავებული ძაღლის ლეში აღმოჩნდა. თათებზე შერჩენილი ტყავის ნაგლეჯებით ამის შეცნობა ადვილი იყო. მის დანახვაზე, ღამის გული ამერია. ვედრო ისევ ქვეშ შევაცურე და გარეთ გამოვვარდი. ჭამის დრო იყო, მაგრამ თვალწინ ის გატყავებული ძაღლი მედგა და პირში ლუკმის ჩადება არ შემეძლო. ბოლოს, ისევ ბანაკში დავბრუნდი, სხვა გზა არ მქონდა — ზედამხედველი დამინახავდა და კარცერი არ ამცდებოდა. როცა შიგნით შევედი, გაშლილი სუფრა დამხვდა — ხის ტაბაკზე ეწყო მოხარშული ნაჭრები იმ ძაღლის ხორცისა, რომელიც ჩემი საწოლის ქვეშ ვნახე... რამდენიმე წუთში გავიგე, რომ შურიკა ივანოვი „სვაბოდაზე“ მიდიოდა და ეს „ჰურმარილიც“ მის გასაცილებლად მოეწყოთ... მეც სუფრასთან ჩამოვჯექი, წინააღმდეგობას როგორ გავბედავდი?!. ბოლოს, შურიკასთვის გზის დალოცვა დამავალეს. ჭიქაში ოდეკოლონი ჩამისხეს და მომაწოდეს. სიმწრისაგან სახე მომექცა. არ ვიცოდი, ის საზიზღრობა როგორ უნდა დამელია. ბოლოს, ისევ ქურდები „დამეხმარნენ“, გაგზავნებთო, — მითხრეს, ნახევრად სავსე ჭიქა წყლით გაავსეს, სასმისში ოდეკოლონი საპონივით აქაფდა... გამოვართვი, თვალდახუჭულმა, შიშით გადავკარი ქაფიანი სითხე... ისეთი შეგრძნება მაქვს, იმ ოდეკოლონის გემო დღემდე პირიდან ვერ მოვიშორე...

— სწორედ ტაიგაში გინახავთ „მონანიების“ გმირის პროტოტიპი, საშკა ჩერქეზი. რას გაიხსენებთ ამ შეხვედრიდან?

— 1951 წელს, ტაიგაში „უნჟლაგის“ მეშვიდე კოლონიაში შევხვდი, იმ დროისთვის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ კანონიერ ქურდს, საშკა „ზვერს“ — იმავე საშკა ჩერქეზს, როგორც მას მწერალი გვეტაძე გვაცნობს თავის „მო-

ნანიებაში“. მახსოვს, ერთ საღამოს, სამუშაოდან რომ დავბრუნდი, ბრიგადირმა დამიძახა და მითხრა — დღეს ჩვენს „ლაგერში“ შენი ცნობილი თანამემამულე მოიყვანეს. ქურდი საშკა „ზვერის“ სახელი ალბათ, გაგონილი გექნებაო. მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც ციხეში გავატარე, კანონიერი ქურდებისგან სიკეთის მეტი, არაფერი მახსოვდა. მაგრამ იმ ჯოჯოხეთურ პირობებში ყოფნით დაღლილსა და გაწამებულს, ფათერაკებიანი თავგადასავლების მოსმენა და ცქერა ისე მქონდა მობეზრებული, ზედამხედველთან ლაპარაკისას, საშკას შევუკურთხე — ერთი, მაგის დედაც, არ ვიცი, ვინ არის და არც მაინტერესებს-მეთქი!.. ზედამხედველს ფერი დაეკარგა, პირზე ხელი ამაფარა — რას ბოდიალობ, შენ „ლაგერებში“ ბევრი ქურდი გეყოლება ნანახი, მაგრამ იცოდე, „ზვერი“ მათ შორის, ყველაზე საშიშიაო. თან, ისიც დაამატა — საშკას ერთი ბრძანებით, მთელი კავშირის ნებისმიერ კუთხეში შენნაირებს თვალის დახამხამებაში თავს წააგდებინებენ, ქართველობა ვერ გიშველის, ენას ამოგაძრობს და საიქიოში ჯიბით წაგაღებინებსო... დილით, ზონაში ჯერ ფეხი არ მქონდა შედგმული, რომ ერთი ამბავი ატყდა. ერთ-ერთ ბანაკში საგანგებოდ გამოყვეს ადგილი, იქაურობა დააკრიალეს და მხოლოდ ამის შემდეგ შევიდა საშკა შიგ... ჩურჩულით ლაპარაკობდა ბრიგადირი, რომელმაც ისიც დასძინა, რომ „ზვერს“ ზოგიერთების ცოდვები გაუგია, და ისინი ჩუმად თავიანთ ადგილებზე მოსვა. ჯერ ჩისტოპალოვს გასწორებია, მერე ვასია ნემცევი უცემია „პოლის“ ჯოხითო (ორივე, ცნობილი ქურდები იყვნენ), — გაოცებას ვერ ფარავდა ბრიგადირი. მოკლედ, ისეთი ამბები გავიგე მასზე, უკვე იმას ვნატრობდი, ნეტავ, ჩემს „დიდ თანამემამულეს“ ერთხელ მაინც მოვკრა თვალი-მეთქი!.. ნატვრის ასრულებამდე დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია.

მარტის დასაწყისი იყო. ტაიგისთვის შეუფერებლად თბილი დღე იდგა. ყველა პატიმარი გარეთ გამოვედით და მზეზე ვთბებოდით. ბიჭები იცინოდნენ, გუნდაობდნენ, სახალისო ამბების მოყოლით ცდილობდნენ თავის გართობას. სწორედ ამ დროს, კვლავ ბრიგადირი, ივანე მომიახლოვდა და ჩუმად ყურში ჩამჩურჩულა — შენი თანამემამულე, საშკა „ზვერი“ ეზოშიაო. იმ მხარეს გავიხედე, საითაც ივანემ მიმითითა და სწორედ მაშინ შევნიშნე, რომ იქ მყოფი ყველა პატიმრის ყურადღება სწორედ იმ მხარეს იყო მიპყრობილი. ჩემგან რამდენიმე მეტრის მოშორებით, სამი პატიმარი იდგა. ორს, კანონიერ ქურდებს — ბლიზნეცოვსა და ბარათაშვილს, რომელსაც მეტსახელად შავ ვეფხვს ეძახდნენ, კარგად ვიცნობდი; მივხვდი, რომ მესამე, სწორედ „ზვერი“ უნდა ყოფილიყო. გადავწყვიტე, საშკასთან ახლოს ჩამევლო, რომ კარგად დავკვირვებოდი მის სახეს. „ზვერი“ მაშინ 35-36 წლის იქნებოდა, მაღალი, მრგვალი პირისახის კაცი იყო, ფართო შუბლით, ხშირი წარბებით და ქერა თმით. ერთი შეხედვით, ადამიანი იფიქრებდა, რომ ეს კაცი ქურდი კი არა, ინტელიგენტი, განსწავლული ადამიანი იყო — არადა, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ქურდულ სამყაროს შიშის ზარს სცემდა, მასთან დაპირისპირებას კოლონიების თანამშრომლები და ხელმძღვანელებიც კი ვერ ბედავდნენ... როცა მათ მივუახლოვდი, — როგორ ხარ, ჩვენებურო, ხომ არაფერი გიჭირსო? — გამიღიმა ბარათაშვილმა. პასუხი დამთავრებული არც მქონდა, როცა საუბარში საშკა ჩერქეზი ჩაერთო — მართლა ჩვენი თანამემამულეაო? — იკითხა მან რუსულად. — ჩვენი თანამემამულეა, თანაც, იცი, რატომ ზის? ბერიას დაუპირისპირდა, ლავრენტი პავლოვიჩსო! — კვლავ გაიღიმა ბარათაშვილმა. — როგორ? — გაოცებით იკითხა „ზვერმა“. — ზუსტად მეც არ ვიცი, დაწვრილებით თვითონ მოგვიყვებაო, — მიუგო შავმა ვეფხვმა. ჩემმა ამბავმა „ზვერიც“ დააინტერესა. თუ წინააღმდეგი არ იქნები, ამ დღეებში, ბიჭს გამოგიგზავნი, ჩემთან ბანაკში მოდი და ვილაპარაკოთო, — მითხრა ჩერქეზმა. მისმა თავაზიანობამ გამაოცა და სიმხნევე შემმატა. შევპირდი, როცა დამიბარებდა, მაშინ მივიდოდი და მოვუყვებოდი, რაც გადავიტანე. როცა საშკა წავიდა, მე ისევ დაბნეული, გაუნძრევლად ვიდექი იმავე ადგილას. შემდეგ, პატიმრები დამესივნენ. საიდან იცნობ ჩერქეზს? თუ შეგიძლია, სიტყვა შეგვაწიეო... — მოკლედ, ბანაკში ძალიან პოპულარული ადამიანი გავხვდი. მაგრამ სამწუხაროდ, საშკასთან შეხვედრა ვეღარ მოხერხდა: ის უფრო მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაიყვანეს.

— რატომ? რაიმე დააშავა?

— ჩვენს „ლაგერში“ ეტაპით მოიყვანეს ერთი კრიმინალი, ვინმე კუდბეევი. მან იმავე ღამეს დაჰკრა ფეხი და გაიქცა. ქარბუქით უსარგებლია, ხელებით ჩამოკიდებული, ბოძებზე გაბმულ სატელეფონო კაბელს გაჰყოლია, კოლონიის კედელზე გადამხტარა და „პაბეგი აუწევია“. ყველანი გაოცებული იყვნენ კუდბეევის საქციელით, რადგან ტაიგიდან გაქცევას აზრი არ ჰქონდა: გარს გაუვალი ადგილები და გამყინვარება იყო, იქ შეიძლება, ზედამხედველებსა და მდევრებს თავი დააღწიო, მაგრამ უკაცრიელ ტაიგაში ადრე თუ გვიან, ყველას სიკვდილი ელის... ორი დღის შემდეგ, ტყეში მხეცების მიერ დაგლეჯილი კუდბეევის ცხედარი ჯარისკაცებმა იპოვეს. გვამი ციხეში მოათრიეს და სხვა პატიმრების დასაშინებლად, იქვე ეზოში დააგდეს... როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ადამიანს რაღაც ისეთი ჰქონდა დაშავებული, რის გამოც, ჯოჯოხეთურად ეშინოდა საშკასთან შეხვედრის; როგორც კი ეტაპით „უნულაგის“ მეშვიდე კოლონიაში მოიყვანეს და გაიგო — იქ მოვხვდი, სადაც საშკა ჩერქეზი იხდის სასჯელსო, — ოთხფეხა მხეცებთან შეყრა არჩია, „ზვერთან“ შეხვედრას, დაჰკრა ფეხი და გაიქცა... სხვა ქურდებიც ამართლებდნენ მის საქციელს, ამბობდნენ — ასეც უნდა მოქცეულიყოო... ამ ინციდენტის შემდეგ, საშკა ჩერქეზი სხვა კოლონიაში გადაიყვანეს.

— საშკას „ზვერს“, დაუნდობელი ხასიათის გამო ეძახდნენ?

— იმ წლებში, რუსეთში ქართველი რომ მოხვდებოდა, მისთვის ეს „წოდება“ გამზადებული ჰქონდათ: ისინი ყველა ქართველს „ზვერს“ ეძახდნენ, საშკას კი ეს „კლიჩკად“ შემორჩა.

— რაც კოლონიიდან წავიდა, მის შესახებ აღარაფერი გსმენიათ?

— ციხეში — არა. მოგვიანებით, როცა სასჯელი მოვიხადე და საქართველოში დავბრუნდი, აქ შევიტყვე, რომ საშკა 80-იან წლებში უკვე საქართველოში წამოვიდა საცხოვრებლად. ის ქუთაისში, იორდანის ქუჩაზე, ერთ ჩვეულებრივ ბინაში ცხოვრობდა, ისე ჩუმად და უხმაუროდ, რომ მეზობლებმა არც იცოდნენ, ეს თავაზიანი კაცი საშკა „ზვერი“ რომ იყო.

— „მონანიების“ ავტორი წერს, რომ ჩერქეზი 50-იან წლებში დაილუპა...

— როცა თავად ავტორს ამასთან დაკავშირებით ჰკითხეს, მან უპასუხა, რომ ამის დაწერა აუცილებელი იყო, რათა საზოგადოება მშვიდად ყოფილიყო — იცოდნენ, რომ მათ გვერდით საშიში დამნაშავე, საბჭოთა ქურდების მეფე აღარ იმყოფებაო... იმ ადამიანმა, ვინც საშკას ქუთაისში ცხოვრების შესახებ ინფორმაცია მომაწოდა, ისიც მითხრა — თუ გინდა, შეგახვედრებო... საშკას მიმართ შიშსა და პატივისცემას ერთდროულად ვგრძნობდი, მაგრამ ეს შეხვედრა მაინც არ ვინდომე... შიო გვეტაძის „მონანიება“ ერთხანს, აკრძალული წიგნების სიაში იყო მოხვედრილი. ალბათ იმიტომ, რომ საშკა ბევრი მკითხველისთვის ავტორიტეტულ, მისაბაძ ფიგურად შეიძლებოდა ქცეულიყო. კანონიერი ქურდობის და ამ სამყაროს წარმომადგენელთა ცხოვრება „ლაგერებში“ ჩემი თვალით მაქვს ნანახი, ეს საშინელებაა. თუმცა, საშკა „ზვერი“ მაინც ყველასგან გამორჩეული ფიგურა იყო. წიგნის პოპულარობაც ამან განაპირობა.

■

ჯემალ ცერცვაძე «ხელბურთის პელე» საქართველოდან



არსებული რეალობიდან გამომდინარე, ქართული სპორტის გამარჯვებებზე ლაპარაკი მეტწილად, წარსულ დროში გვიხდება, რადგან დღესდღეობით, ბევრით ვერაფრით დავიკვეხნით ისეთ სახეობებშიც კი, რომლებშიც არაერთი წარმატებისთვის მიგვიღწევია. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ხელბურთია, სადაც მხოლოდ ძველი დიდება შემოგვრჩა, თორემ, ამჟამად, უსახსრობის გამო, შეკრებას ხშირ შემთხვევაში, ქვეყნის ნაკრებიც ვერ ახერხებს. არადა, პოსტსაბჭოურ სივრცეში და არა მარტო იქ, ჩვენ ხელბურთელების სახელი საყოველთაოდ ცნობილი იყო და თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ თბილისის „ბურევესტნიკში“ თამაშობდა კაცი, რომელსაც „ხელბურთის პელე“ უწოდეს?! ეს, ჯემალ ცერცვაძე გახლავთ, რომელიც თავადაც შეწუხებულია სპორტის ამ სახეობაში შექმნილი მდგომარეობით და საკუთარ კარიერასთან ერთად, დღევანდელ პრობლემებზეც გვესაუბრა.

გიორგი ლანჩავა

წარმატებული დებიუტი სპორტის უცნობ სახეობაში

— თბილისის პირველ, რკინიგზელთა სკოლაში სწავლისას, კალათბურთს მივდევდი და საქართველოს რკინიგზელთა სკოლების ნაკრებშიც მოვხვდი. ჩვენმა გუნდმა საკავშირო მოსწავლეთა სპარტაკიადაზე იასპარეზა და საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც ამიყვანეს. სკოლის დამთავრების შემდეგ, ვლადიმერ უგრეხელიძესთან ერთად, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდში მიმიწვიეს. ჩვენთან ერთად იყო ასევე, ჩემი თანაკლასელი ალექსანდრე ოდიშვილი, რომელმაც ერთხელ მითხრა — წამოდი, გაჩვენო ახალი თამაში, ოღონდ, ბურთს ხელში კარგად ვერ ვიჭერო... თურმე, ხელბურთს გულისხმობდა და ვინაიდან პატარა ხელის მტევანი ჰქონდა, ბურთის შეკავება უჭირდა. მართლაც, „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა ვარჯიშზე მივედით და საკმაოდ კარგად ვითამაშე. გუნდის მთავარ მწვრთნელს, გიორგი შარაშიძეს ისე მოვეწონე, რომ ცოტა ხანში, ლენინგრადში საკავშირო ტურნირზე სათამაშოდ წამიყვანა, სადაც საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოვიპოვე — 47 გატანილი გოლით. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატი გავხდი და თუ გუნდში მოვხვდებოდი, ხელფასის სახით, „ძველი ფულით“ 2.200 მანეთს დამინიშნავდნენ. არადა, „დინამოში“ სულ 800 მანეთი მქონდა ანაზღაურება და ამ ფაქტმაც განაპირობა, რომ არჩევანი ხელბურთის სასარგებლოდ გავაკეთე. სხვათა შორის, ამის გამო, „დინამოს“ მაშინდელი მწვრთნელი, გოგი ავალიშვილი, შარაშიძეს დაუპირისპირდა და პასუხს სთხოვდა — კალათბურთელი რატომ წამართვიო?! შარაშიძემ მას უთხრა — მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, თავად გადაწყვიტოსო. საბოლოოდ, „ბურევესტნიკში“ დავრჩი და ქვეყნის ნაკრებშიც დავმკვიდრდი, სადაც მწვრთნელთა საბჭოშიც შემიყვანეს. პირველი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი საბჭოთა კავშირის გუნდში პოლონელებთან ჩავატარე. მაშინ ხელბურთს ჯერ კიდევ 11/11-ზე თამაშობდნენ და ერთი მატჩი მოვიგეთ, ხოლო მეორეში დავმარცხდით. წაგების მიზეზი ის იყო, რომ ღია სტადიონზე დაპირისპირებისას, წვიმა წამოვიდა და ვინაიდან მეტოქეებს ბუცები ეცვათ, ჩვენ კი — კედები, ფეხები გვისრიალებდა. 1960 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე მოსკოვში რუმინეთს 12:9 მოვუგეთ და რადგან მეტოქეს ძალზე ძლიერი გუნდი ჰყავდა, ეს გამარჯვება იმის ტოლფასი გახლდათ, დღეს საქართველომ ჰოკეიში კანადა რომ დაამარცხოს. განმეორებითი თამაში ჩვენთვის არასასურველი სხვაობით წავაგეთ და შემდეგ ეტაპზე ვერ გავედით. მაგრამ მე ორივე მატჩში 5 გოლი გავიტანე, რითიც ხელბურთის სპეციალისტები ავალაპარაკე. მახსოვს, რუმინელთა მეკარეს, რომელიც მაშინ, მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლებოდა პენალტის დარტყმისას ისეთი ცრუმოძრაობა გავუკეთე, რომ ნახტომის შედეგად, თავი ძელს მიარტყა...

როცა თბილისის სპორგის სასახლე გაიხსნა, ახალ არენაზე პირველად, ჩვენმა გუნდმა ითამაშა

უნგრელთა მოხტუნავე მეკარე და დათმობილი ბომბარდირობა

— როცა თბილისის სპორტის სასახლე გაიხსნა, ახალ არენაზე პირველად, ჩვენმა გუნდმა ითამაშა უნგრეთის ხელბურთელთა ნაკრების წინააღმდეგ. იმ პერიოდში, საქართველოში ხელბურთი პოპულარული არ გახლდათ და მაყურებელთა უმრავლესობა, სასახლეში ალბათ, მის დასათვალიერებლად უფრო მოვიდა. მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ და ის ამხანაგური თამაში მოვიგეთ. ერთ-ერთ ეპიზოდში, ბურთის ტყორცნის იმიტაცია გავაკეთე და უნგრელთა მეკარე კარის კუთხისკენ გადახტა. ფეხზე რომ წამოდგა, იგივე გავიმეორე და ამჯერად, ის საპირისპირო კუთხისკენ გადახტა, მე კი ბურთი კარში შევაგორე. ამის შემხედვარე, ტრიბუნაზე მჯდომი მაყურებელი სიცილით დაიხოცა. ჩვენმა თამაშმა იმხელა აჟიოტაჟი გამოიწვია, რომ მეორე დღეს, იმავე უნგრელებთან დაპირისპირებისას, დარბაზი გაივსო. თამაშამდე, ხელბურთელებს 100-100 ბილეთი დაგვირიგეს და გუნდის ხელმძღვანელობას ვუთხარი — ხალხს ისე აინტერესებს მატჩის ნახვა, 100 ბილეთი „პლეხანოვის ბირჟაზე“ დასარიგებლად არ მეყოფა-მეთქი... იმავე წელს, კაუნასში საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი ჩატარდა, რომლის დაწყებამდე, საქართველოში იყო ლაპარაკი, რომ თუ

პირველ სამეულში მოვხვდებოდით, ეს კარგ შედეგად ჩაითვლებოდა. კაუნასში წასვლამდე, თბილისში ჩეხურ პლზენის „სპარტაკთან“ ჩავატარეთ ორი ამხანაგური მატჩი და სათამაშო ტაქტიკა მთლიანად მათგან გადმოვიღეთ, რაც შემდეგ, ძალიან გამოგვადგა. ლიტვაში ყველა მეტოქე დავამარცხეთ და ოქროს მედლების მოსაპოვებლად, უკანასკნელ მატჩში მასპინძლებთან ფრეც გვყოფნიდა. კაუნასელებმა ყველაფერი იღონეს, რომ მოეგოთ და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენს კარში პენალტი რომ ინიშნებოდა, ჩვენს მეკარეს, აბაიშვილს თვალებში დარბაზში დამონტაჟებულ პროჟექტორებსაც კი ანათებდნენ, რომ ბურთი ვერ მოეგერიებინა... ერთ-ერთ ეპიზოდში, ბურთი აუტში გადადიოდა და ის მოედანზე გამოსულმა ლიტველმა გულშემატკივარმა დაიჭირა, მაგრამ მსაჯმა სადავო გდება დანიშნა. მიუხედავად ამისა, თამაში ჩვენთვის სასურველი ანგარიშით დავასრულეთ და ჩემპიონები გავხდით. ტურნირზე 7 მატჩში 68 გოლი გავიტანე და საუკეთესო ბომბარდირის წოდებასთან ერთად, ყველაზე ტექნიკური მოთამაშის პრიზიც დავისაკუთრე. ჩემპიონატის ორგანიზატორებს ორივე ჯილდოს ერთი ადამიანისთვის მიცემა არ უნდოდათ და მთხოვეს — ან ერთი აირჩიე, ან მეორეო. მე ტექნიკური ხელბურთელის პრიზს დავჯერდი და ბომბარდირად აღიარეს მოთამაშე, რომელსაც 37 გოლი ჰქონდა გატანილი... საერთოდ, იქიდან მოყოლებული, ვიდრე ხელბურთის თამაშს თავს დავანებებდი, ყოველთვის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ვხდებოდი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონები მეორედ, 1964 წელს გავხდით, ერთი წლით ადრე კი, მე-3 ადგილი დავიკავეთ. სამჯერ — 1965, 1966 და 1967 წლებში — ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ.

სამი პრიზი და არც ერთი ჯაპიჯი

— ჩეხოსლოვაკიაში დაგეგმილი მსოფლიო ჩემპიონატის წინ, საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში დანიის საერთაშორისო ტურნირზე ვითამაშე. აღნიშნულ შეჯიბრებაში მასპინძელთა მიერ დაწესებული იყო საუკეთესო მოთამაშის, ბომბარდირის, ასევე მაყურებელთა სიმპათიის პრიზი და სამივე მათგანი მე დავისაკუთრე. ამისთვის საკმად დიდი თანხა მეკუთვნოდა და მაშინ იმ თანხით, მინიმუმ 4 ავტომანქანას მაინც შევიძენდი. მაგრამ გასახდელში შემოსულმა, საბჭოთა კავშირის საკონსულოს წარმომადგენელმა ჩემთვის განკუთვნილ ჩეკს ხელი მოაწერა და ფული ისე ჩაიჯიბა, რომ მე კაპიკიც არ მიმიღია. დანიის ტურნირზე შვედებს საკმაოდ მაღალი დონის მეკარე ჰყავდათ, რომელიც პენალტის დროს, წინ იწეოდა. პენალტი რომ შევასრულე, მას უნებლიეთ, ბურთი სახეში მოვარტყი და წაიქცა. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ მეკარემ ნოკდაუნი მიიღო და ფეხზე წამომდგარი, თავისი კარისკენ სახით, ხოლო ჩემკენ — ზურგით დადგა, რამაც მაყურებლები



„ხელბურთის პელე“ პირველად, გერმანელმა ჟურნალისტმა მიწოდა...

ძალიან გაამხიარულა. მე კი ბურთი კარში უპრობლემოდ გავიტანე... რაც შეეხება მსოფლიო პირველობას — იქ წარუმატებლად ვიასპარეზეთ, რადგან გუნდს ფაქტობრივად, მწვრთნელი არ ჰყავდა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ნაკრების თავკაცის ასისტენტი მეტოქეთა თამაშის სანახავად გაუშვეს და მან ამბავიც კი ვერ მოიტანა, თუ რა ტაქტიკით ასპარეზობნენ ჩეხები ან გერმანელები. სამაგიეროდ, კარგად შეფასდა ჩემი გამოსვლა და ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში დამასახელეს. მსოფლიო პირველობის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, საკავშირო სპორტკომიტეტს გერმანელებმა 70.000 მარკა გადაუხადეს და რამდენიმე ამხანაგური თამაშის ჩასატარებლად დაგვპატიჟეს. ამ მატჩებს ის პლუსი ჰქონდა, რომ მათი ორგანიზატორები თითოეულ ხელბურთელს 400 მარკას გვაძლევდნენ, რაც ჩვენთვის საკმაოდ სოლიდურ თანხად ითვლებოდა. მახსოვს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანმა, მილიონერმა გერმანელმაც კი მიგვიწვია სათამაშოდ და სხვა ვეტერანები დარბაზში უფასოდ შეუშვა... ზედიზედ 3 წელი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საახალწლო ტურნირზე ვიასპარეზეთ და გუნდის მესვეურები გვეუბნებოდნენ — გერმანელების გარდა, თუ გინდათ, ყველასთან წაგაგეთო... ერთ-ერთი ასეთი ვიზიტისას, მასპინძლებს ორჯერ დავუპირისპირდით და პირველ მატჩში დავმარცხდით, ხოლო მეორეში, ბოლო წუთზე გავიმარჯვეთ ჩემი „საფირმო“ — „უკანა“ ტყორცნის წყალობით, რომელსაც, მეტოქის კარისკენ ზურგით მდგომი, მოულოდნელად ვახორციელებდი ხოლმე. ჩვენმა გამარჯვებამ დარბაზში მყოფი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის ელჩი, ცარაპკინი ისე გაახარა, რომ მოედანზე შემოვარდა და გადამეხვია.

მოსყიდული რუმინელი მსაჯები

— თბილისის „ბურევესტნიკმა“ ევროტურნირებზე პირველად, 1965 წელს იასპარეზა და მეტოქედ იუგოსლავიის „მედვეშჩაკი“ შეგვხდა. სტუმრად 13:21 წავაგეთ, მაგრამ იუგოსლავიელებს ნამდვილად არ ჰყავდათ ისეთი გუნდი, რომ ჩვენთვის ამხელა სხვაობით მოეგოთ. იმ მატჩში მსაჯებმა „გადაგვიარეს“ და დიდწილად სწორედ ამან განაპირობა ჩვენი მარცხი. იუგოსლავიაში რომ გავფრინდით, ჩვენთან ერთად, ტანმოვარჯიშე შახლინი წამოვიდა, რომელიც სასტუმროში, ჩვენი მატჩის არბიტრების გვერდით ცხოვრობდა. თამაშის შემდეგ, თბილისში რომ ვბრუნდებოდით, მან გვითხრა — ორმა რუმინელმა მსაჯმა საკუთარი ნომრიდან 5 ჩემოდანი საჩუქრები ძლივს გაიტანაო. ცხადი იყო, რომ მასპინძლებმა მათ ქრთამი მისცეს. თბილისში განმეორებითი შეხვედრის დასრულებამდე წუთ-ნახევრით ადრე, დღესაც არ ვიცი, მსაჯმა რისთვის გამაძევა. მატჩის შემდეგ, მას ამის მიზეზი რომ ვკითხე, მიპასუხა — დარბაზში ისეთი ალიაქოთი იდგა, რომ კარგად ვეღარ ვარჩევდი, მოედანზე რა ხდებოდაო. ცხადია, ეს აბსურდი გახლდათ... თამაშის დასრულებამდე 12 წამით ადრე, ანგარიში 21:12 იყო ჩვენს სასარგებლოდ და ბურთი ტრიბუნაზეც რომ გადაგვეგდო, შემდეგ ეტაპზე მაინც გავიდოდით. მაგრამ ლენინგრადის გუნდიდან დამატებულმა კლიმოვმა კარში ტყორცნა გადაწყვიტა, არაზუსტად შეასრულა და საპასუხო შეტევისას გატანილი გოლით, მეტოქემ ორი მატჩის ჯამური ანგარიში გაათანაბრა. გამარჯვებული, კენჭისყრას უნდა გამოევლინა და ბედმა იუგოსლავიელებს გაუღიმა.

ინტრიგანი ევტუშენკო

— საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი, ევტუშენკო ძალიან ცუდი პიროვნება გახლდათ. თავის დროზე, მას მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი იმიტომ დააატოვებინეს, რომ ხელბურთელებს შორის შუღლს აღვივებდა. მაგალითად, ამ კაცს არაფრად უღირდა, მისულიყო რომელიმე მოთამაშესთან და ჩუმად ეთქვა, რომ მისი ცოლი თანაგუნდელთან ღალატობდა... ინტრიგანობისთვის კლუბიდან გაგდებული ევტუშენკო, გიორგი შარაშიძემ, რომელიც მაშინ საბჭოთა კავშირის პირველი და სტუდენტთა ნაკრების თავკაცი გახლდათ, თანაშემწედ აიყვანა. სტუდენტები მსოფლიო ჩემპიონატზე მიდიოდნენ და გუნდს ერთი მწვრთნელი უნდა გაჰყოლოდა. ევტუშენკო საკავშირო სპორტკომიტეტის ერთ-ერთ ჩინოვნიკთან შევიდა და უთხრა — გუნდი შარაშიძემ კი არა, მე მოვამზადეო. ამის შედეგად, მსოფლიო ჩემპიონატზე სწორედ ევტუშენკო გაემგზავრა. სხვათა შორის, ზემოთ ნახსენებ კლიმოვს ხელბურთის თამაში ნორმალურად „ბურევესტნიკში“ ვასწავლეთ, ევტუშენკომ კი მის მშობლებს მისწერა — თქვენი შვილი ბანდიტებში მოხვდაო. ცხადია, მათ უმალვე ლენინგრადში წაიყვანეს იგი, ხოლო ევტუშენკომ შემდეგ, თავის გუნდში გადაიყვანა... 1970 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე ყოფნისას, თანაგუნდელები სკამზე ვისხედით და ევტუშენკო სპორტულ კოსტიუმებს გვირიგებდა. მან განგებ, ტანსაცმელი ყველას მისცა, ჩემ გარდა, და ისე გავბრაზდი, რომ სპორტულები თანაგუნდელს გამოვართვი და მწვრთნელს სახეში შევაყარე... ერთხელ, ქვეყნის პირველი გუნდის შეკრებაზე რომ გამომიძახეს, თბილისიდან საკავშირო სპორტკომიტეტში ვიღაცამ წერილი გაგ-

ზავნა — ცერცვაძეს საქართველოში დროს ტარების გარდა არაფერი გაუკეთებია და მოუმზადებელიაო. ევტუშენკოსაც მეტი რა უნდოდა და ჩემს შესამოწმებლად, სპორტკომიტეტიდან 10-კაციანი კომისია მოიწვია, რის შესახებაც ხელბურთის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარემ მაცნობა. ეს ამბავი რომ გავიგე, გუნდში მყოფ რამდენიმე უკრაინელ ხელბურთელს ვუთხარი — ხვალ 12 საათზე, მატჩია დანიშნული პირველსა და მეორე შემადგენლობას შორის, თქვენს შესამოწმებლად-მეთქი. თან დავამატე, რომ მე მათთან ერთად, მეორე გუნდში ვითამაშებდი. მართლაც, მეორე დღეს, ევტუშენკომ შემადგენლობა რომ გამოაცხადა, ვთქვი — მოუმზადებელი ვარ და მირჩევნია, სათადარიგოთა გუნდში ვიასპარეზო-მეთქი. ამან მთავარი მწვრთნელი გაახარა. მაგრამ თამაშის დაწყებიდან 20 წუთი იყო გასული, რომ პირველ გუნდს 12 ბურთით ვუგებდით და ჩემი გაჩერება ვერავინ შეძლო. კომისიის წევრების ნახევარი წამოდგა და დარბაზიდან გავიდა, თან გაიძახოდნენ — ეს არის მოუმზადებელიო?!.

პელეს ტრიუკები

— „ხელბურთის პელე“ პირველად, გერმანელმა ჟურნალისტმა მიწოდა, რომელმაც ჩემი თამაში 1967 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე ნახა. ის ერთ-ერთ გაზეთში წერდა, რომ შეუჩერებელი ვიყავი და იუწყებოდა — ნაძლევს ვდებ, მას ვერავინ დაიჭერსო... ამის შემდეგ, ჩეხურ ჟურნალში — „ხაზენა“ — გამოქვეყნდა მსოფლიოს 6 საუკეთესო ხელბურთელის ფოტო, რომელთა ზემოთ, ჩემი სურათი იყო მოთავსებული და ეწერა: „მსოფლიოს ვარსკვლავთა შორის, ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი“. მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში ორჯერ ვითამაშე გერმანიაში, საახალწლო ტურნირზე. მესამედ ეს, გარკვეულ მიზეზთა გამო, ვერ მოვახერხე. აქვე გეტყვით, რომ 3 მსოფლიო ჩემპიონატში მაქვს მონაწილეობა მიღებული და ყოველთვის, ასპარეზობის სიმბოლურ ნაკრებში ვხვდებოდი. 1964 და 1967 წლის მსოფლიო პირველობებზე ყველაზე ტექნიკურ ხელბურთელად მაღიარეს. საერთო ჯამში, ნაკრებში ჩატარებულ 78 მატჩში 276 გოლი გავიტანე. თავს არ ვიქებ, მაგრამ ნებისმიერი მეტოქის მწვრთნელი ცდილობდა, ჩემთვის პერსონალური მეურვე მოემაგრებინა. ევტუშენკოს საკუთარ გუნდში, მასავით ხისთავა ხელბურთელი, ზუბოვი ჰყავდა, რომელიც მუდამ ჩემს აყვანას ცდილობდა. ერთხელ, თამაშის მსვლელობისას, ზუბოვს ხელი გავუწოდე ჩამოსართმევად და რომ მომკიდა, აღარ გავუშვი — ისე გავიქეცი. ამის დანახვაზე, მსაჯმა მეტოქე ორი წუთით გააძევა, რადგან ეს წესის დარღვევაა. ზუბოვს იგივე მეორედაც გაუკეთე და ევტუშენკო გარედან უყვიროდა: „დურაკ, ოტპუსტი რუკუ!“ მახსოვს, ჩვენთან სტუმრად იყვნენ ჩამოსული შვედი ხელბურთელები და ერთ-ერთი მათგანი მოედანზე გვერდიდან არ მცილდებოდა. მე განგებ, კარის უკან გავედი, რაც წესებით აკრძალულია და შვედი იქაც კი გამომყვა. ამის დანახვაზე, მსაჯმა სიცილი ვერ შეიკავა და მოედნიდანაც არ გამაძევა, თუმცა ამას ვიმსახურებდი... კარიერის განმავლობაში, „ჩაწყობილი“ თამაში ერთხელ ვითამაშე, როდესაც პროფკავშირების პირველობაზე ერევნის გუნდს დავუთმეთ. ჩვენ გამარჯვება არაფერში გვჭირდებოდა, ხოლო მეტოქეს მოგება აუცილებლად უნდოდა, რომ სომეხ ხელბურთელებს სპორტის ოსტატის წოდება მიეღოთ. მე და ექსეულიძე ერევნელების წინააღმდეგ მოედანზე არ გამოვედით, რამაც მოწინააღმდეგეს გამარჯვების საშუალება მისცა. სამაგიეროდ, მათ სომხური კონიაკი მოგვართვეს...

გაშიფრული საბჭოელები

— საქართველოს სოცუზრუნველყოფის ყოფილი მინისტრი, თენგიზ გაზდელიანი საკმაოდ პერსპექტიული ხელბურთელი იყო და თავის დროზე ტრავმა რომ არ მიეღო, კარგი მომავალი ჰქონდა. მას ცუდად გაუკეთეს ოპერაცია ფეხზე და კარიერაც დაასრულა. ერთხელ, „ბურევესტნიკი“ ტურნირზე რუმინეთში იმყოფებოდა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, ბანკეტი გაიმართა. მაგრამ ამ დროს, მე, გაზდელიანი და რამდენიმე თანაგუნდელი საქეიფოდ გოგოებთან ერთად რესტორანში წავედით. თავი იგოსლავიელებად გავასაღეთ, რადგან რუმინელები საბჭოელებს ვერ იტანდნენ და ვცდილობდით, რუსულად არ გველაპარაკა. რესტორანში ქეიფის დროს, ვიღაც რუმინელმა გამოიარა და მე რომ დამინახა, მაგიდასთან მოსულმა, მკითხა: ცერცვაძე?.. გოგოები ამან გააკვირვა და მას აუხსნეს, რომ ჩვენ იუგოსლავიელები ვიყავით. თუმცა, თანამემამულემ მათ აცნობა, თუ რომელ ქვეყანას წარმოვადგენდით და ამის გაგონებაზე, გოგონები გაგვექცნენ. გაზდელიანმა კი მითხრა — რა არის, აქაც გიცნესო?!.



პენალტი რომ შევასრულე, მას უნებლიეთ, ბურთი სახეში მოვარტყი და წაიქცა. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ მეკარემ ნოკდაუნი მიიღო

დაპირისპირებას გარიდებული ნოვატორი

— კარიერა რომ დავამთავრე, საბჭოთა კავშირში პირველმა, გლდანში ოლიმპიური რეზერვების ხელბურთის სპეციალიზებული სკოლა გავხსენი. იქ მწვრთნელებს საუკეთესო პირობები შევუქმენი და ხელფასის სახით, 500 მანეთს ვუხდიდი. დასამალი არაა, რომ ფინანსთა სამინისტროში ჩემს ნაცნობებს თანხის 7%-ს ვუტოვებდი და ღონისძიებების ჩასატარებლად, წელიწადში 250-300 ათასი მანეთი გამომქონდა... სხვადასხვა ასაკის სპორტსმენებს შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ჩვენი სკოლიდან 14 გუნდს ვაგზავნიდი. სამწუხაროდ, ბოლოს, საქმე ისე წარიმართა, რომ ჩემი ადგილის დაკავება სხვამ მოინდომა და ვიღაცასთან „ჭიდაობას“, თანამდებობის დატოვება ვარჩიე... ეს სკოლა, რომელიც ამჟამად საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში იმყოფება, დღემდე ჩემს სახელს ატარებს... დღესდღეობით, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, 10-მდე ქართველი ხელბურთელი გამოდის, რომლებიც გერმანიაში, საბერძნეთში, სერბეთსა და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში თამაშობენ. მეკარე როლანდ ერაძემ ისლანდიის მოქალაქეობა მიიღო და ამ ქვეყნის ნაკრებთან ერთად, ათენის ოლიმპიადაზეც იასპარეზა. რამდენიმე წლის წინ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრები ფლეიოფში გავიყვანეთ და ფული არ მოგვცეს, რომ დანიელებთან თამაში თბილისში ჩაგვეტარებინა, ამიტომ, ორივე შეხვედრა სტუმრად გავმართეთ... ამა წლის აპრილში, აღნიშნულ ტურნირში ისევ უნდა ვითამაშოთ, მაგრამ უსახსრობის გამო, შეიძლება, ეს ვერ მოვახერხოთ. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ნორვეგიაში ქალ ხელბურთელთა ნაკრების წლიური ბიუჯეტი 18 მილიონ ევროს შეადგენს, ხოლო ჩვენ მიზერული თანხაც კი არ გვაქვს ვაჟთა ნაკრების მოსამზადებლად. ერთხელ, როგორც საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ვენაში ორგანიზებულ ფორუმს დავესწარი, რომელშიც 97 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ხელბურთის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა, ეგვიპტელმა ჰასან ჰუსეინმა 20 წუთით დაიგვიანა. მის მოლოდინში, ფოიეში რომ ვიდექით, ამ დროს, უკნიდან ვიღაც მომიახლოვდა და ჰაერში ამიტაცა. განათლების, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ამჟამინდელმა მოადგილემ, თამაზ თევზაძემ მითხრა — ეგ არის, ეგ არისო!.. მე საერთოდ არ მახსოვდა, ჰუსეინი ვინ იყო და ის კი, საკმაოდ თბილად მომესალმა. თავის დროზე, მსოფლიოს პირველი ნაკრების წევრებს უფლება გვქონდა, მეორე ნაკრების ის მოთამაშეები დაგვესახელებინა, რომლებთანაც შემდეგ, ამხანაგურ შეხვედრას ვატარებდით. აღმოჩნდა, რომ მაშინ, სწორედ მე ამირჩევია ჰუსეინი, რაც ეგვიპტელს კარგად დამახსოვრებია... ფორუმის დასრულების შემდეგ, მან კიდევ დამპატიჟა შეხვედრაზე, რომელზეც უსახსრობის გამო, ვერ წავედი. ■

თირკმლები საფრთხეშია

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

სისხლისა და შარდის საერთო ანალიზები — ეს ის აუცილებელი გამოკვლევებია, რომლებიც უფროსებმაც და ბავშვებმაც უნდა ჩაიტარონ თუნდაც ბანალური გაცივების შემდეგ, რომ აღარაფერი ვთქვათ, სერიოზულ ინფექციებზე. მათი მეშვეობით არა მხოლოდ შევაფასებთ ორგანიზმის მდგომარეობის მრავალ პარამეტრს, არამედ შევძლებთ, დასაწყისშივე აღმოვაჩინოთ მთელი რიგი დაავადებები. შარდის ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, თირკმლების მდგომარეობის შეფასებაში გვეხმარება. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ბოლო ათწლეულის განმავლობაში შარდ-სასქესო სისტემის ორგანოთა დაავადების შემთხვევები 64,3%-ით, ხოლო 14 წლამდე ასაკის ბავშვებში — 27,5%-ით გაიზარდა.

შარდგამომტანი გზების ინფექციებია: ცისტიტი (შარდის ბუშტის ანთება), **ურეთრიტი** (შარდსადენის ლორწოვანი გარსის ანთება), **პიელონეფრიტი** (თირკმლის მენჯფიალათა სისტემის ანთება). ეს დაავადებები უფრო ხშირად გოგონებს ემართებათ შარდსადენის აგებულების თავისებურებების გამო. როცა დაავადება ბიჭებს ემართებათ, აუცილებელია მათი საგულდაგულო გამოკვლევა, რადგან მსგავსი პრობლემები საკმაოდ ხშირად საშარდე გზების თანდაყოლილი ანომალიების ფონზე ვითარდება.

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, თანდაყოლილი ანომალიური შემთხვევები საკმაოდ გახშირდა. ეს დაკავშირებულია არა მხოლოდ იმასთან, რომ დიაგნოსტიკის მეთოდები გაუმჯობესდა და დაავადებათა გამოვლენის შესაძლებლობები გაიზარდა, არამედ იმასთანაც, რომ ადამიანს მეტი შეხება აქვს ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედ გარემო ფაქტორებთან: ქიმიური წარმოების ნარჩენებთან, ნიტრატებთან, საყოფაცხოვრებო ქიმიასთან, რადიაციასთან. დაავადებათა სიხშირე შეიძლება აიხსნას აგრეთვე ბავშვებში საერთო და ადგილობრივი იმუნიტეტის დაქვეითებით.

როგორ მივხვდეთ, რომ ბავშვს თირკმელთან დაკავშირებული პრობლემები აქვს

შარდის გამოყოფის დარღვევა (მტკივნეულობა, გახშირება, წვეთ-წვეთად გამოყოფა, შეკავება), შარდის ფერისა და გამჭვირვალობის შეცვლა, უსიამოვნო სუნის გაჩენა, თირკმლის პათოლოგიის ნიშნებია. ამ ორგანოს დაზიანებაზე მეტყველებს აგრეთვე ტკივილი მუცლისა და წელის არეში, ტემპერატურის არამოტივირებული მატება, შეშუპების განვითარება, გამოყოფილი შარდის მოცულობის შემცირება.

თირკმლის დაავადების დროს აღინიშნება ზოგადი სიმპტომებიც: დაღლილობა, სისუსტე, მადის დაქვეითება. არ-

ტერიული ჰიპერტონია, რომელიც თირკმლის პათოლოგიებს ახლავს თან, იწვევს თავის ტკივილს, ღებინებას, ზოგჯერ კრუნჩხვას.

ზოგ შემთხვევაში საკმაოდ სერიოზული დაავადებები უსიმპტომოდ მიმდინარეობს. მაგალითად, ჰიდრონეფროზი შეიძლება არაფრით ავლენდეს თავს, ვიდრე დაავადება ისეთ დონემდე არ განვითარდება, რომ თირკმლის ამოკვეთის გარდა სხვა გამოსავალი აღარ არსებობს. ზოგჯერ თირკმლის ქრონიკული უკმარისობაც უსიმპტომოდ მიმდინარეობს ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამიტომ, დაავადების დასაწყისი რომ არ გამოგვეპაროს, პერიოდულად, შარდისა და სისხლის ანალიზები უნდა გავიკეთოთ და ექოსკოპიური გამოკვლევაც ჩავიტაროთ. დაღლილობის, მადის დაქვეითების და ხანგრძლივი ანემიის შემთხვევაში, სისხლის ბიოქიმიური გამოკვლევაცაა საჭირო.

შარდვის გახშირება

ადამიანს ყველა ასაკში შარდის გამოყოფის შესაბამისი ნორმები აქვს. რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით ხშირად შარდავს. ერთი წლის ასაკში ბავშვი შარდს დღე-ღამეში 10-12-ჯერ უნდა გამოყოფდეს, 10 წლისა — 6-7-ჯერ. რა თქმა უნდა, ეს რიცხვი დამოკიდებულია სითხის მიღების რეჟიმზე, გარემოს ტემპერატურაზე, მაგრამ თუ ჩნდება ჩივილები შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფაზე, ტკივილზე — ეს უკვე დაავადების ნიშნებია. თუ ბავშვი ტუალეტში ყოველ საათში ერთხელ დარბის, თუნდაც ვერ ახერხებდეს მოშარდვას და შარდვის სურვილი ცრუ იყოს, ეს უკვე საკმაო მიზეზია იმისათვის, რომ იგი ექიმ-ნეფროლოგს გაასინჯოთ.

საშარდე გზების ინფექცია რომ განვითარდეს, სამი ფაქტორის არსებობაა საჭირო:

- საერთო იმუნიტეტის დაქვეითება;
- ადგილობრივი იმუნიტეტის დაქვეითება;
- მიკრობის არსებობა.

მემკვიდრული დაავადებები

არსებობს მემკვიდრული დაავადებები, რომლებიც გენეტიკურ პათოლოგიებს უკავშირდება (მემკვიდრული ნეფრიტი, თირკმლების პოლიკისტოზი, ტუბულოპათია). მემკვიდრულად გადაეცემა აგრეთვე დაავადებისადმი წინასწარი განწყობაც. ასეთ დროს სიტუაციაზე გავლენის მოხდენა შესაძლებელია, თუ ოჯახში პიელონეფრიტის მქონე ავადმყოფია, მეტი ყურადღებით უნდა მოვეპყროთ ბავშვებს და არ დავუშვათ დაავადების მაპროვოცირებელი ფაქტორები. უპირველეს ყოვლისა, ყოველმხრივ ეცადეთ, თავიდან აიცილოთ ნაწლავთა დისბაქტერიოზი, გადაცივება, არ აბანაოთ ბავშვი აუზში, დაბინძურებულ წყალსაცავში. ყურადღება მიაქციეთ კუჭის მოქმედების რეგულარობას: ყაბზობისადმი მიდრეკილებისას, იმ ბავშვებსაც კი, რომელთაც არა აქვთ თირკმლის პათოლოგიებისადმი წინასწარგანწყობა, ნაწლავის მიკროფლორის შეცვლის გამო, ეცვლებათ სწორ ნაწლავთან ახლოს მდებარე ორგანოების მიკროფლორა, უქვეითდებათ ადგილობრივი იმუნიტეტი. ამის შედეგად კი, არახელსაყრელი პირობების შექმნისას შეიძლება ადვილად განვითარდეს ცისტიტი, ვულვოვაგინიტი (საშოს ლორწოვანის ანთება). თუ მათ დროულად არ ვუმკურნალებთ, მოსალოდნელია პიელონეფრიტის განვითარება, გოგონებში კი — სამომავლოდ რეპროდუქციული ფუნქციების დარღვევა.

დროულად ვიმკურნალოთ

იმუნიტეტი ადამიანს თანდათანობით უყალიბდება და ასაკის მატებასთან ერთად, შარდგამომტანი გზების ინფექციათა სიხშირეც კლებულობს. უკვე განვი-

თარებული ცისტიტის დროული მკურნალობისას, დაავადება პრაქტიკულად უკვალოდ ქრება. მაგრამ უმკურნალებელ შემთხვევებში, ინფექციური პროცესი რთულდება და შედეგად, თირკმლის უკმარისობა ვითარდება.

როგორ შევამციროთ თირკმლის დაავადებათა განვითარების რისკი:

- არ გავცივდეთ;
- თვალი ვადევნოთ, რეგულარულია თუ არ კუჭის მოქმედება;
- ასევე, ყურადღება მივაქციოთ შარდის გამოყოფის რეგულარულობას;
- დავიცვათ გარეთა სასქესო ორგანოების ჰიგიენა;
- არ შეიძლება ბანაობა დაბინძურებულ წყალსაცავებში.

■

შიმშილის მეცნიერება

ყოველდღიურად მიღებული კალორიების 40%-ით შემცირება სიცოცხლის გახანგრძლივებას უწყობს ხელს — ასე მიაჩნიათ დიეტოლოგებს.

დიეტა, რომელიც დიეტოლოგთა აზრით, ასეთ ეფექტს იძლევა, ადამიანთა უმრავლესობის რაციონისაგან განსხვავდება მასში შემავალი პროდუქტების (მარცვლეული, ხილი, ბოსტნეული, ნაკლები ცხოველური ცილა და ნაჯერი ცხიმები, რაც შეიძლება ცოტა რაფინირებული კვებითი პროდუქტები, ტკბილეული და გაზიანი სასმელი) კვებითი თავისებურებებით.

კალორიების შემცირება სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. შედარებით მსუბუქი ვარიანტი გვთავაზობს კალორიების შემცირებას 10-15%-ით, ამ დროს ადამიანი ჭამს ყველაფერს, რასაც ჩვეულებრივ მიირთმევდა. ეს წონის დასაკლებ დიეტას ჰგავს, მაგრამ მთავარი განსხვავება ისაა, რომ პირველ შემთხვევაში, ადამიანი კვების ასეთ რეჟიმზე სამუდამოდ უნდა გადავიდეს.

უფრო სერიოზულ შეზღუდვებს მოითხოვს კალორიის 40%-ით შემცირება. მაგალითად, 81 კგ წონისა და 1.86 მ სიმაღლის ზომიერად აქტიურმა მამაკაცმა დღეში 2640 კკალ-მდე უნდა მოიხმაროს. კალორიების შეზღუდვის მეთოდის გამოყენებისას კი ეს ციფრი 2370-მდე ან 1585 კკალ-მდე შემცირდება. თავდაპირველად, ასეთი ადამიანები წონაში იკლებენ, მაგრამ შემდგომ, მათი ორგანიზმი ეგუება და წონის კლება ჩერდება.

ისინი ნაკლებ კალორიას იღებენ, მაგრამ მიირთმევენ ბევრ საკვებს — ხილს, ბოსტნეულს, მარცვლეულს, რომლებიც ავსებს კუჭს და უკარგავს შიმშილის შეგრძნებას. მსგავსი დიეტის მიმდევარნი თავიან „კვების ბიუჯეტს“ სამი დღისთვის გამოითვლიან ხოლმე. მაგალითად, ადამიანმა, რომელიც დღეში 2000 კკალ-ს იღებს, სამ დღეში 6000 კკალ უნდა მიიღოს. თუ საქმიან სადილზე ან ოჯახურ დღესასწაულზე მას მოუხდება შედარებით მეტი საკვების მიღება, შემდგომ დღეებში შეძლებს ჭარბი კალორიების კომპენსირებას. ასეთი დიეტა მოითხოვს თვითდისციპლინას, მაგრამ სულაც არ არის მტანჯველი შიმშილი.

შიმშილის შეგრძნება თავდაპირველად წარმოადგენს პრობლემას, მაგრამ ადამიანი თანდათანობით ეგუება დიეტას და შეუძლია დაბალკალორიული პროდუქტებით დანაყრება.

ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შესწავლილი ასეთი დიეტის უპირატესობები და შესაძლოა, მას მოჰყვეს გართულებები. კალორიების შემცირების კონცეფცია სამეცნიერო გამოკვლევათა იმ მონაცემებს ეყრდნობა, რომელთა მიხედვითაც, კალორიების შემცირება კვების ხარისხის გაუარესების გარეშე ანელებს დაბერების პროცესს. ეს გამოკვლევები ამომწურავი არ არის, მაგრამ მათი შედეგები ემთხვევა ცხოველებზე ჩატარებული ანალოგიური გამოკვლევების შედეგებს.

ჯერჯერობით უცნობია, რასთან არის დაკავშირებული ასეთი ეფექტი. ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ კალორიების შემცირებით თავიდან ვიცილებთ ცხიმის სიჭარბით გამოწვეულ დაავადებებს.

■

მობილური უსაფრთხოება

დღეს უკვე წარმოუდგენელია ჩვენი ცხოვრება მობილური ტელეფონების გარეშე. მსოფლიოში ყოველთვიურად მილიონობით ტელეფონი იყიდება. „ყურმილებით“ უკვე მხოლოდ საქმიანი უფროსები კი არა, ბავშვები და მოხუცებიც სარგებლობენ. და მაინც დღემდე არ ცხრება კამათი იმ მავნებლობის შესახებ, რომელსაც ჩვენს ჯანმრთელობას აყენებს თუნდაც არააქტიურ რეჟიმში მომუშავე მობილური ტელეფონიდან ამომავალი ელექტრომაგნიტური ველი. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ტვინის კიბოს განვითარება მობილურს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ფიჭური ტელეფონით უწყვეტად 600 წლის განმავლობაში ვისარგებლებთ. მაგრამ შესწავლილი იქნა მხოლოდ ის სიტუაცია, როცა ტელეფონი ლაპარაკის რეჟიმშია ჩართული (ელექტრომაგნიტური ველი ძლიერდება, იწყება სითბური ზემოქმედება). მაგრამ ჩვენი ცენტრალური ნერვული სისტემა რეაგირებს დაბალ, ე.წ. ინფორმაციული დონის ელექტრომაგნიტურ გამოსხივებაზეც, თანაც უფრო სწრაფად, ვიდრე სითბურ ზემოქმედებაზე. შედეგად კი შეიძლება განვითარდეს სმენის დარღვევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემები და სხვა.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ უმჯობესია, არ დაველოდოთ „მეხის გავარდნას“ და მოვძებნოთ მავნე გამოსხივებებისგან თავდაცვის საშუალებები. რუსეთში უკვე შექმნეს ფიჭური ტელეფონების მავნე გამოსხივებათა ნეიტრალიზატორი „გამა-7.6“, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. სიახლე უკვე გამოიცადა კატასტროფათა მედიცინის ცენტრში და დადგინდა, რომ ნეიტრალიზატორი საიმედოდ იცავს ადამიანს რადიოტელეფონების ყველა სახის გამოსხივებისაგან. მოწყობილობა ტელეფონს უკანა მხრიდან უმაგრდება და არ საჭიროებს რემონტს ან ელემენტების გამოცვლას.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

ეზის წიგნაკიდან:

1. სანდალი — მომცრო ნავია.
2. ფერდის ქონს რცმელი ჰქვია.
3. „ბრინჯაო“ და „რვალი“ სინონიმებია.
4. „ჟიუმატი“ ძალზე წვრილს ნიშნავს.
5. ველური პუმა 12 წელიწადს ცოცხლობს.
6. ბონი — ბეთჰოვენის მშობლიური ქალაქი იყო.
7. შინ ნაქსოვ ხევსურულ კაბას, სადიაცოს ეძახდნენ.
8. ძველ დროში, გლოვის ნიშნად, ციხეს ქონგურებს ანგრევდნენ.
9. უდაბნოში მობინადრე კურდღლისებური ბუ სოროში ცხოვრობს.
10. „შეშლილი მელი“, — ასე ეძახდნენ მელ გიბსონს ახალგაზრდობაში.
11. ფსიქოლოგთა მტკიცებით, პეტრე პირველი ნარცისიზმით იყო შეპყრობილი.
12. ამას წინათ, ვიღაცამ იკითხა — ინდოელები სასამართლოში „კამასუტრაზე“ იფიცებენო?..
13. ქალებში წარმატების მისაღწევად, აუცილებელია მსუბუქი მიდგომა და მყარი... ზრახვები.
14. „კტო სტაროე პომიანიოტ, ტამუ გლაზ ვონ, ა კტო ზაბუდეტ, ტამუ — დვა“, — ამბობენ რუსები.
15. როდესაც რომელიმე უკრაინულ ტელეარხზე პირდაპირი ეთერი მიმდინარეობს, ეკრანის კუთხეში ჩნდება წარწერა: „ნაჟივო“.
16. ერთხელ, ბირმის მეფემ ომი გამოუცხადა სიამის მეფეს, რადგანაც საშინლად შურდა მისი, საბრძოლო სპილოთა ჯოგის გამო.
17. „ბოინგ-747“ იმხელა თვითმფრინავია, რომ დაშვებისას, მის მიერვე შეკუმშული ჰაერი ერთგვარ უხილავ საჰაერო ბალიშებს ქმნის და „ბოინგიც“ ძალზე რბილად ჯდება.

18. ვატიკანის საფეხბურთო პირველობაზე ისეთი გუნდები ასპარეზობენ, როგორებიცაა: „ტელეფოსტა“, „არმიელები“, „ბანკი“, „ბიბლიოთეკა“ და „მუზეუმის“ ნაკრები.
19. მათხოვრები უმეტესად, თავჩაღუნული სხედან. ფულის აღების დროს, თავს ზემოთ სწევენ და მოწყალების გამღებს თვალებში ჩახედავენ ხოლმე. ამ დროს, მათ შორის, თავისებური, ინდივიდუალური კონტაქტი მყარდება.
20. ბოლივიელ ფეხსაცმლის მწმენდავებს თეთრი საყელოს გარეშე მუშაობას კანონი უკრძალავთ. თაკარა

„ეკ წაიდა კოსტის ჯვილზე სახლ ეკეთებ და ეკი იჭვეა იგი“

თამუნა კვინიკაძე

ნადიმი საღორიის ტყეში; აკაკის დალოცვა

ვერიკო ანჯაფარიძე საუკუნის მიწურულს დაიბადა — 1897 წლის 23 სექტემბერს. ქუთაისის ნოტარიუსი, ივლიანე ანჯაფარიძე იყო მისი მამა, დედა — მარიამ მესხი. ანჯაფარიძეები იმ დროს ქუთაისში თეთრი ხიდის მახლობლად ცხოვრობდნენ.

საღორიის ტყეში აღნიშნა ქუთაისის ინტელიგენციამ XX საუკუნის მობრძანება. რუსეთიდან მიქელაძის მოგონებიდან ცნობილია, რომ იქ შეკრებილთ შორის ყოფილან: ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ღოღობერიძე, დავით მიქელაძე, ლადო მესხიშვილი და აკაკი წერეთელი. 3 წლის ვერიკოს ლექსი წაუკითხავს. აკაკი იმდენად მოხიბლულა მისი ნიჭიერებით, რომ ხელში აუყვანია და უთქვამს: „შენ უნდა ასახელო ჩვენი საყვარელი სამშობლო მეოცე საუკუნეში, კარგად დაიხსომე“.

ვერიკო მშობლებმა, ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში მიაბარეს. ის მეტისმეტად ცელქი და მოუსვენარი ყოფილა, დერეფანში წყნარად გავლილი არავის უნახავს, მუდამ ქარიშხალივით დაქროდა თურმე. მაგრამ დროდადრო, ამ დიდთვალება გოგონას სულ სხვა განწყობილება ეუფლებოდა. შემდგომში, თვითონ ჰყვებოდა: „ბავშვობაში მიყვარდა ტრაგიკული ვითარებების წარმოდგენა: ძილის წინ, გულზე ხელებს დავიკრეფდი, ვითომ მოვკვდი, საათობით ვიჯექი სიბნელეში, რაღაც საშინელებას წარმოვიდგენდი და როცა მართლა შემეშინდებოდა, კივილით გამოვვარდებოდი“.

საუკუნის დასაწყისში ქუთაისი მაღალი კულტურის კერა იყო. ივლიანე ანჯაფარიძის ოჯახში ხშირად საუბრობდნენ ქუთაისის თეატრზე და მის მესვეურებზე. ვერიკომ, 10 წლის რომ გახდა, თეატრში წაყვანა ითხოვა. იმ საღამოს ნახა პირველად ალექსანდრე იმედაშვილი ოტელოს როლში. 70 წლის შემდეგ, ასე გაიხსენებს ქუთაისსა და იმ დღეს: „ჩემი უსაყვარლესი ქალაქია ქუთაისი — აქ დავიბადე, აქ ვსწავლობდი... აქ მივიღე პირველი საკვირველი შთაბეჭდილება თეატრში — ეს იყო ოტელო ალ. იმედაშვილის შესრულებით. ამან გადაწყვიტა ჩემი მომავალი, სამუდამოდ დამაკავშირა თეატრს“.

დაამთავრა თუ არა 7 კლასი, ვერიკო მოსკოვში გაემგზავრა სასწავლებლად. მაგრამ დიდხანს არ მოუწია იქ ყოფნამ. რევოლუცია დაიწყო, სასწავლებელში სწავლა შეწყდა და 1918 წელს, ვერიკო საქართველოში დაბრუნდა.

საბედისწერო შეხვედრა

იმ წელს, როდესაც ვერიკო ანჯაფარიძე რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნდა, საფრანგეთიდან საქართველოში ჩამოვიდა ცნობილ ფრანგი რეჟისორისა და თეატრალური მოღვაწის, ანდრე ანტუანის მოწაფე, გიორგი ჯაბადარი. ჩამოსვლისთანავე, ქართული თეატრალური სტუდიის ხელმძღვანელად მიიწვიეს. მან თავის გარშემო შემოიკრიბა მაშინდელი საზოგადოებისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილი მსახიობები, მათ შორის — მიხეილ ჭიაურელი. მალე ყველა სტუდიელმა სალაროში შეიტანა 200 მანეთი და ამ თანხით გაემგზავრნენ საგარეჯოში. ცოტა მოგვიანებით, იქ ჩავიდა ვერიკო ანჯაფარიძეც.

მიხეილ ჭიაურელი იმ დღეს ასე იხსენებს: „რეპეტიციებს გავდიოდით ხის ღობით შემოვლებულ მშვენიერ ეზოში. აქ ვიკრიბებოდით დილით და საღამოს... და აი, შემოდგომის ერთ დღეს ყველანი მოუთმენლად ველოდით, ახალგაზრდა მსახიობი ქალის, ვერიკო ანჯაფარიძის ჩამოსვლას, რომელსაც არავინ იცნობდა... საღამო ხანი იყო. ჩვენი ჯგუფი ჩვეულებრივ მოგროვდა. ვუსმენდით ჯაბადარს... გვიხსნიდა, როგორ ჰქონდა ჩაფიქრებული ბრიეს „სარწმუნოება“. მოსაღამოვდა. ვიღაცამ დაიძახა — აი, მგონი, ვერიკო მოდისო. რამ ამაღელვა მაშინ, ვერ ავხსნი... თვითონ ვარ გაკვირვებული... ალბათ არსებობს რაღაც აუხსნელი წინასწარი გრძნობა, რომლის დაძლევა ძნელი ხდება. ვცდი-

ლობდი, ოდნავადაც არ შემმჩნეოდა მღელვარება. შეუმჩნევლად გავიხედე და... მოდიოდა ქალი... ეცვა აბრეშუმის გრძელი კაბა. უკან მოსდევდა რამდენიმე კაცი. მოახლოვდნენ... აი, თურმე როგორი ყოფილა... არაჩვეულებრივი მაღალი ყელი. ვერ გაიგებდი, თვალებით ვის უყურებდა. ოდნავ მოზრდილი ცხვირი, უწესრიგოდ გადმოყრილი თმა. ყველას მოგვესალმა და მომეჩვენა, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მე შემომხედა. მას პირველად ვხედავდი... ვხედავდი მხოლოდ მას!..“

1918 წლის 18 ნოემბერს, თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე შედგა სტუდიის პირველი სპექტაკლი — ეუენ ბრიეს „სარწმუნოება“. ვერიკომ და მიხეილმა ამ

ვერიკო ანჯაფარიძე საუკუნის მიწურულს დაიბადა — 1897 წლის 23 სექტემბერს. ქუთაისის ნოგარიუსი, ივლიანე ანჯაფარიძე იყო მისი მამა, დედა — მარიამ მესხი

სპექტაკლში შეყვარებულები განასახიერეს. მათ არა მარტო სცენაზე, არამედ ცხოვრებაშიც შეუყვარდათ ერთმანეთი. მაგრამ ამ სიყვარულის უფლება თითქოს არც ერთს ჰქონდა და არც მეორეს. მიხეილი იმ დროს უკვე დაოჯახებული იყო.

ჯვრისწერა

სწორედ იმ დროს, როდესაც ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედებით ცხოვრებაში მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიცაა მსახიობად აღიარება, — შეიცვალა მისი პირადი ცხოვრებაც. იგი გახდა მეუღლე გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის, ეროვნულ-დემოკრატის, პოეტისა და ჟურნალისტის — შალვა ამირეჯიბისა. 1991 წლის ზაფხულში, მათ ჯვარი დაიწერეს ქვიშხეთის ეკლესიაში, რომელიც დიმიტრი ყიფიანის სახლის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა. გერონტი ქიქოძის ცნობით (შალვა ამირეჯიბი, მისი ცოლისძმა გახლდათ), საქორწილო სუფრა ყიფიანების ულამაზეს ეზოში გაშლილა. ზეპირი გადმოცემით, ისიც ცნობილია, რომ ეკლესიიდან გამოსულ პატარძალს გული შეუღონდა. ყველამ თავისებურად ახსნა ეს უჩვეულო მოვლენა. ნამდვილი მიზეზი მხოლოდ პატარძალმა და მისმა უახლოესმა მეგობრებმა იცოდნენ.

ბედნიერი იმ დღეს, მხოლოდ შალვა ამირეჯიბი იყო. მას განუზომლად უყვარდა ვერიკო. ეს უკანასკნელი კი, ამ გრძნობას ვერ პასუხობდა. თუმცა უდიდეს პატივს სცემდა და აღტაცებული იყო მისი პიროვნებით, მაგრამ არ უყვარდა. უყვარდა სხვა, უკვე ცოლშვილიანი კაცი — მიხეილ ჭიაურელი.

მაშ, რატომ იქორწინა შალვა ამირეჯიბზე?.. ამაზე ლაპარაკი არ უყვარდა. ეს საქციელი თავისთვის ვერც ეპატიებინა, შიგადაშიგ, ისიც ძუნწად წამოსროლილი სიტყვებიდან ირკვეოდა, რომ მისმა სათაყვანებელმა მამამ სიკვდილის წინ უთხრა — ამ ქვეყნიდან მშვიდად წავალ, თუ შენი პატრონი, შალვა ამირეჯიბი იქნებაო... შეიძლება ვივარაუდოთ: ამას ისიც ემატებოდა, რომ ეგონა — სხვისი მეუღლე თუ გავხდები, ეგებ, ჩავიხშო ეს გაუმხელელი და მტანჯველი სიყვარულიო?.. შეცდომა იყო ამის გაფიქრება ისეთი უკომპრომისო ადამიანისგან, როგორიც ვერიკო ანჯაფარიძე იყო. მისი და შალვას ერთად ცხოვრების ამსახველი მოგონებები არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ გამოცემულ შალვა ამირეჯიბის კრებულს — „მინანქარები“. ამ კრებულში არის ვერიკოსადმი მიძღვნილი ერთი ლექსი, რომლის მცირე მონაკვეთიც კი, ნათლად მიგვანიშნებს, თუ როგორი იყო მათი ურთიერთობა.

„თქვენ სიყვარულზე მითხარით „არა“
და მომიხურეთ გულის კარები,
მაგრამ მე მაინც ცბილ არმაღანად
მოგართვით ლურჯი მინანქარები...“

1924 წლის ცნობილი ამბოხების ჩახშობის შემდეგ, შალვა ამირეჯიბი უცხოეთში გადაიხვეწა. ადვილი არ აღმოჩნდა ვერიკოსთვის ამის გადატანა. დამნაშავედ გრძნობდა თავს მის წინაშე. სულიერი საზრდოც მოაკლდა — ჯაბადარის სტუდია დაიხურა. ქართული თეატრი კვლავ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა...

ფიქრის გორაზე

2005 წლის 24 დეკემბერს, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის თეატრში გაიმართა პრემიერა სპექტაკლისა „პლანეტების დაბადება“, რომელიც სოფიკო ჭიაურელმა მშობლების ნათელ ხსოვნას მიუძღვნა.

თუ როგორ გაგრძელდა ვერიკოსა და მიხეილის ურთიერთობა, — ამაზე სპექტაკლის სცენარის ავტორები — ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი მოგვითხრობენ.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

მზეში მუშაობისას, როდესაც კისერი დაუცველია, ამ პროფესიის ადამიანებს ხშირად უჩნდებათ კანის კიბო.

21. სამამულო ომის დასაწყისში, ლენინგრადიდან მხატვრულ შედევრთა მთლიანად ევაკუირება ვერ მოხერხდა. დარჩენილი განძი ქალაქის მესვეურებმა ისაკიევის ტაძრის სარდაფში დამალეს. ერთი შეხედვით უცნაურია, თუ საამისოდ რატომ აირჩიეს ასეთი თვალში საცემი შენობა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ტაძრის გუმბათი იმ დროს, ქალაქში ყველაზე მაღალ წერტილს წარმოადგენდა: ლენინგრადელთა ვარაუდით, გერმანელები არ გაანადგურებდნენ, საარტილერიო ცეცხლის კორექტირებისთვის საჭირო ორიენტირს. ასეც მოხდა. ბლოკადის განმავლობაში, სრულიად შემთხვევით მოხვედრილ რამდენიმე ჭურვს შენობა მნიშვნელოვნად არ დაუზიანებია და განძიც ომის დამთავრებამდე, მის სარდაფში ინახებოდა.

22. ცნობილ მათემატიკოსს, გეორგ დანციგს სტუდენტობისას, ასეთი რამ შეემთხვა: ერთ-ერთი ლექციის დასასრულს, მისმა პედაგოგმა დაფაზე დაწერა მსოფლიოში ცნობილი 8 მათემატიკური ამოუხსნელი ამოცანა. მეორე დღეს, დანციგი პროფესორთან მივიდა, რვეული გაუწოდა და მოუბოდიშა — ამ 8 ამოცანიდან, მხოლოდ ოთხის ამოხსნა შევძელიო. პროფესორმა გაკვირვებისგან პირი დააღო. საქმე ისაა, რომ დანციგს ლექციაზე ჩაეძინა, გაღვიძებულმა კი, დაფაზე გამოსახული ამოცანები საშინაო დავალებად მიიჩნია.

23. კომუნისტური მმართველობის დროს, საკმარისი იყო, ლენინგრადში ადგილობრივი ტაქსის მძღოლისთვის ორი სიტყვა — „ს ბარადი ნა ლისინუ“ — გეთქვათ, რომ ის მარქსის პროსპექტიდან ლენინის მოედანზე ულაპარაკოდ წაგიყვანდათ.

24. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრის“ პერსონაჟი, აზდაკი, სოფლის მწერალი იყო, მერე, მოსამართლე გახდა. P.S. „კანონს არღვევდა, ვით ძველ ღობეს, ხალხს არხეინად რომ ებალახა...“

25. წელს, როდესაც რუსეთის ტერიტორიაზე მომხდარი აფეთქების გამო, საქართველოს შეუწყდა გაზის მოწოდება და გადატვირთვის გამო, ელექტროენერგიაც გაითიშა, ჩემმა 4 წლის ქალიშვილმა, მეგიმ შემომჩივლა — მოდი, რაჭაში წავიდეთ, იქ სულ ზაფხულიაო.

ინგა გარუჩავა:

— მიხეილი ვერიკოთი პირველი დანახვისთანავე მოიხიბლა. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება. მაგრამ ამ სიყვარულისთვის მათ ბევრ ვინმესთან და რამესთან მოუწიათ შეჯახებამ... 22-23 წლის იქნებოდა მიშა, როდესაც გერმანიაში სასწავლებლად წასვლა გადაწყვიტა. მეც წამოვალო! — შესთავაზა ვერიკომ და ორივენი გაემგზავრნენ, ეს იყო სენსაცია, დაინგრა მთელი თბილისი, ასეთი რამ როგორ შეიძლებოდა — გათხოვილი ქალი უცხოეთში გაჰყვა ცოლიან კაცს!..

— ვინ იყო მიხეილის პირველი მეუღლე ან სად იმყოფებოდა იგი ამ დროს?

— მიხეილის მეუღლე გახლდათ მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობი. მასზე მეტი არაფერია ცნობილი.

— გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ, როგორ გაგრძელდა მათი ურთიერთობა?


გაგეცინება, მაგრამ თენგიზ
აბულაძე - ჭგონი შენი მოწაფეა,
თავის ფილმში ხოლს მოთავაზობს.
ხოლი უნდა ნახო! სულ ეხლი ფრა-
ზაა: „ეს საყვარია გზა, ხომელიც
ცაძახთან ან მიმიყვანს?" ეგ
წუწუნაძე, ეგა! შეეძლო ჩემთვის
ცოცა უფრო ლიდი ხოლი შემოთა-
ვაზებინა. თუ შენ წინააღმდეგ
ხარ უარს ვეტყვი. თუმცა მაინც
ისე გავაკეთებ, ოგორც მინდა.
ოჯახში ყველაფერი ხიგზეა. ყველ
ჯან მოთელიდა.
მიყვარხარ... ჭინაცხენი!

— გერმანიიდან მიშაზე ადრე ვერიკო ჩამოვიდა. მიშამ მას წერილი გამოატანა თავის მშობლებთან. ედიშერი და სოფია მემწვანილეები იყვნენ და ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. მწვანილს ალაგებდნენ კონებად, როდესაც მათთან ეზოში ვერიკო შევიდა, წერილით ხელში... მიშა მშობლებს სწერდა, რომ ის გოგონა, რომელიც ახლა მათთან იმყოფებოდა, მისი მეუღლე იყო და სთხოვდა, რომ მის ჩამოსვლამდე მოჰფერებოდნენ...

— როგორი იყო დედ-მამის რეაქცია?

— გაგიჟებულა ედიშერი, თურმე, ვერიკო არ მოსწონებია. გერმანიიდან მიშას ჩამოსვლის შემდეგ, ერთმანეთს მშობლები გააცნეს. იმ დროს, ვერიკოს მამა აღარ ჰყავდა.

— ვერიკოს დედა არისტოკრატიული ოჯახიდან იყო. რამდენად მოსაწონი იყო მისთვის ახალი ნათესავები?

— არც ვერიკოს დედას მოსწონებია ეს ოჯახი. მაგრამ მიშას პიროვნებით მოხიბლულა. იქ, სადაც ნამდვილი სიყვარულია, ყველაფერის დაძლევაა შესაძლებელი... 1935 წლიდან, ეს ოჯახი ფიქრის გორაზე დაბინავდა.

— როგორც ვიცი, ამ სახლს რომანტიკული ისტორია აქვს...

პეტრე ხოტიანოვსკი:

— დიახ. იმ ადგილზე, სადაც ახლა სახლია, გაცნობის შემდეგ განმარტოვებულან ახალგაზრდები. პირველად, იქ უკოცნია მიხეილს ვერიკოსთვის და დაპირებია: „ამ წმინდა კოცნის ადგილზე სახლს ავაშენებ და შენი იქნება იგი"... მიხეილმა დანაპირები შეასრულა. ამ სახლში დაიბადა სოფიკო...

— რას გვეტყოდით მიხეილის გადასახლებასთან დაკავშირებით?

— მიხეილი ძალიან ახლოს იყო სტალინთან. საზოგადოების გარკვეული ნაწილი დაბოღმილი იყო ამის გამო. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, მიხეილ ჭიაურელი 4 წლით გადაასახლეს. გადასახლებამდე კი, კინოსტუდიიდან დაითხოვეს... როდესაც 4 წელი გავიდა და მიხეილი სამშობლოში დაბრუნდა, არც მაშინ მისცეს სტუდიაში მუშაობის საშუალება. ცოტა ხნის შემდეგ კი, ნება დართეს, გადაეღო მულტფილმები. სწორედ მაშინ გადაიღო ფილმი — „როგორ მარხავენ თაგვები კატას". მოგვიანებით კი, დაბრუნდა სტუდიაში და შექმნა „ოთარაანთ ქვრივი", „რაც გინახავს ვეღარ ნახავ" და ა.შ.


19 აგვისტო 1.
ბიოლოგ ფეიოსყვალეგას! გუშინ შენი
ქალიშვილი ვენეციიდან ჩამოვიდა, ხალვ
ზრიზი მოიტანა. ფილმის სახელწოდება ან
მახსოვს, ძალიან აქებენ სოფიოს.
ვენეციას ეს ან დაკინყებიხარ. გამუდ-
ში ისსენებდნენ 1947 წლის ფესტივალს.
შენს ფილმს, შენს გვარს და ზრიზს.
მეც ეს გამიხსენეს, ოგორც შენი მეუ-
ღლე, ქალი ოომელიც ნახი, ფალოდიუ-
ხი ხმალ, წამლეხებით ლაპარაკობდა.
ნელავ ახლა მოახმენინათ ეს ზემი
ნახოხმა. ბეჭური ყვავი... ოჯახში
ყველაფერი ოიგზეა.
ძალიან მენაცხენები,
მიყვარხარ!

მძიმე წლები

ვერიკო ანჯაფარიძე დიდი განცდების გამოხატვის საოცარი უნარის მქონე მსახიობი გახლდათ. განცდები მას არც ცხოვრებაში აკლდა. მაგრამ ამის გამო წუწუნი არ სჩვეოდა, არც ვინმესგან თანაგრძნობას ელოდა... 1975 წლის მიწურულს, შვილი დაეღუპა. თვითონ აიძულა ეგნატე ფიფია, გაეკეთებინა ოპერაცია, რომელზეც ექიმი უარს ამბობდა, რადგან არ ჰქონდა ავადმყოფის გადარჩენის იმედი. მაგრამ ვერიკო დედა იყო და არ შეიძლებოდა, იმედი დაეკარგა. სამწუხაროდ, გარდაუვალი მოხდა.

არც მტირალი, არც ცრემლიანი ვერიკო არავის უნახავს. ძაძებით შეიმოსა. მომხდარზე დალაპარაკებას მისი უახლოესი ადამიანებიც კი ერიდებოდნენ. მოგვიანებით, როდესაც გაიცნო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია და დაუახლოვდა მას, უწმინდესს გაანდო: ძალიან გამიჭირდა შვილის დაკარგვის გადატანა; მოთხოვნილება მქონდა, რაღაც მეთქვა ამის გამო ხმამაღლა და ფრაუ ალვინგის როლი ამას მივუძღვენიო... ვერიკომ კნუტ ჰამსუნის გმირის ენით, სცენიდან თქვა თავისი სათქმელი...

ვერიკო ძილის წინ თავის ოთახში განმარტოვდებოდა ხოლმე და წერდა. ერთხელ, კოტე მახარაძეს მისთვის უკითხავს, თუ რას სწერდა? ისე, ჩემთვის, ხან რაზე, ხან — რაზეო, — უპასუხია სიძისთვის. მოგვიანებით კი, გაანდო: ეს იყო ყოველდღიური თხრობა — თუ როგორ მიედინება ცხოვრება ოჯახში; შვილზე, შვილიშვილებზე, თეატრზე. თითოეული ჩანაწერი ერთი და იმავე სიტყვით იწყება და მიმართულია ერთი კონკრეტული ადამიანისადმი. „ძვირფასო მიშა!" — ან უბრალოდ — „მიშა!" — ასე იწყება ყოველი წერილი, წუხილს დადარდს, სიხარულსა და ოჯახურ სიახლეებს თავის მეუღლეს — მიხეილ ჭიაურელს უზიარებს...

ანდერძი

1987 წლის 26 იანვარს შედგა საქართველოს თეატრალური საზოგადოების X ყრილობა. ის გახსნა ვერიკო ანჯაფარიძემ. ეტყობოდა, რომ უჭირდა... იმ დღეს, ყრილობის დასრულებას არ დალოდებია. ამგვარი რამ არასოდეს მომხდარა. უძლური ვერიკო არავის უნახავს...

გვიან ღამით აღმოაჩინეს თავის ოთახში სავარძელში მჯდომი — უკვე მძიმე მდგომარეობაში. სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში. ლაპარაკი არ შეეძელო. რვეულში წერდა მხოლოდ — აქ არ მინდა, შინ წამიყვანეთო.

...ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მაყურებელს მისდამი ინტერესი ოდნავადაც არ განელებია. 90 წლის იყო და მაინც ყველა კითხულობდა — რა მოუვიდაო?..

დედის გარდაცვალებიდან 40 დღის შემდეგ, ქალბატონმა სოფიკომ იპოვა ანდერძი, სადაც ვერიკო შვილს სთხოვდა, რომ იგი დაეკრძალათ მისი შვილის გვერდით; იმ შემთხვევაში, თუ ცუდად გახდებოდა, საავადმყოფოში არ წაეყვანათ, რადგან, არ სურდა, რომ ვინმეს დაუძლურებული ენახა...

ვერიკოს კინოზე მეტად, თეატრი უყვარდა. სწორედ ამის გამო ამბობდა უარს ბევრ ფილმში მონაწილეობაზე. „არ მიყვარს კინო, იმიტომ, რომ მორჩილებას ითხოვს, ფილმი მთლიანად რეჟისორის ქმნილებაა", — დიდმა მსახიობმა ეს მაშინ თქვა, როდესაც შექმნილი იყო მისი კინოშედევრები, მათ შორის — ბოლო, უსახელო ქალის როლი, ტაძრისკენ მიმავალ გზას რომ კითხულობს და როდესაც ვერ პასუხობენ, გულწრფელად გაიკვირვებს: „მაშ, რის მაქნისია გზა, თუ ტაძართან არ მიგიყვანს?!." ■

„შევიძენ დედას“

ანუ „სუპის“ „თხხლეებით“ გამართული კინოჩვენება

3 მარტს, დედის დღეს, კინოთეატრ „რუსთაველში“ ახალგაზრდა რეჟისორის, ნიკა გელაშვილის ახალი ფილმის — „დედა“ — პრემიერა გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ სურათი მოკლემეტრაჟიანია, მის ჩვენებაზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. როგორც ჩანს, ქართველ მაყურებელს მშობლიურ კინემატოგრაფთან შეხვედრა მოსწყურდა...

ნიკა გელაშვილი **თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. „დედა“, მის მიერ გადაღებული მეოთხე მოკლემეტრაჟიანი ფილმია. ჯერჯერობით, ახალ სურათზე მუშაობას, დაუფინანსებლობის გამო, ვერ იწყებს...**

ნათია ქივიძე

— როგორც ვიცი, ამ ფილმის პროექტმა კონკურსში გაიმარჯვა და მისი გადაღება ამ კონკურსის ორგანიზატორთა წყალობით გახდა შესაძლებელი. უფრო დაწვრილებით მოგვიყევი ამ კონკურსის შესახებ.

— ეს იყო ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსი, რომელიც თითქმის ყოველწლიურად ტარდება. ამგვარად წყდება, როგორც სრულმეტრაჟიანი, ასევე მოკლემეტრაჟიანი, ანიმაციური და სხვა ფორმატების ფილმების დაფინანსების საკითხი, შესაბამისად, ის რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენას ითვალისწინებს. ჩვენ ეს პროექტი გვქონდა შეტანილი, გავიმარჯვეთ, გამოიყო შესაბამისი ფინანსები და ფილმიც გადავიღეთ. ფილმი დედაზე იმის გამო არ გადამიღია, რომ დედაჩემთან ცუდი ურთიერთობა მაქვს, პირიქით — საუცხოოდ ვუგებთ ერთმანეთს. არავინ იფიქროს, თითქოს ეს ფილმი ავტობიოგრაფიულია. თანაც, სცენარის მიხედვით, დედასთან რთული ურთიერთობა ფილმში, გოგონას აქვს, გოგონას და ბიჭის ურთიერთობები კი, დედასთან ძალზე განსხვავდება ერთმანეთისგან...

— ფილმის აფიშაზე გამოტანილი იყო ერთგვარი სლოგანი: „შევიძენ დედას“. რატომ გადაწყვიტეთ, რომ მაინცდამაინც ეს სიტყვები გამოგეტანათ?

— ამას ვოგლაინს ეძახიან. ყველა ფილმის აფიშაზე გამოტანილი უნდა იყოს რამდენიმესიტყვიანი ანოტაცია, რომელიც ფილმის მთავარ იდეაზე უნდა მიანიშნებდეს. ვფიქრობ, „შევიძენ დედას“, ამ ფილმის განმსაზღვრელი ნაწილია, მთავარი კითხვაა — შეიძლება თუ არა დედის ყიდვა, შეცვლა და ა.შ. მთელი ფილმი ამ კითხვებსა და მასზე პასუხების ძებნაზეა აგებული.

— იქნებ, ფილმის მოკლე შინაარსი გვიამბო, რათა მკითხველს მასზე წარმოდგენა შეექმნას...

— ფილმის მთავარი გმირია, თბილისში მცხოვრები გოგონა, რომელსაც პრობლემები აქვს — მას დედასთან გარკვეული გაუცხოება აქვს, არ მოსწონს ისეთი დედა, როგორიც ჰყავს. დედა ლმობიერი, თბილი და დამყოლი ქალია, მაგრამ მას არ ესმის შვილის. მათ „სუპის“ გამო მოსდით კამათი, თუმცა ეს „სუპი“, მთავარი თემა როდია — უბრალოდ, ეს კამათის ბოლო წვეთია და მთავარი გმირი ანუ ლიზა, დედას ეტყვის — მე დედას ვიყიდიო, — და გაზეთში გამოაქვეყნებს განცხადებას: „შევიძენ დედას“. მას სურს, ისევე იყიდოს დედა, როგორც ავეჯს ან ავტომობილს ყიდულობენ... გამოჩნდებიან მსურველები, მაგრამ, რა თქმა უნდა, ლიზა მათ შორის, ვერც ერთს ვერ ამოარჩევს — ეს ხომ შეუძლებელია!.. ბოლოს, სამსახურში მიაკითხავს ნამდვილი დედა და შინ წაიყვანს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ლიზამ დედის ყიდვა ვერ შეძლო. მაგრამ შინ მას უკვე სხვა, უცნაური პრობლემა დახვდება: ორი დედა, ორივე — ერთნაირი გარეგნობისა და ხასიათის ადამიანი... თუ რატომ გაორდა ლიზას დედა, ამის ინტერპრეტაცია, რა თქმა უნდა, არსებობს, თანაც — რამდენიმე, მაგრამ არ ვიტყვი, რადგან მაყურებელმა ეს თავად უნდა განსაჯოს და სიამოვნებით მოვისმენ მის აზრსაც... მოკლედ, ლიზა გადაწყვეტს, რომ ერთი დედა მოიშოროს თავიდან და ისევ ძველებურად, ერთი დედა ჰყავდეს. ვერ არჩევს, რომელია მოსული და რომელი დახვდა შინ. მაგრამ ამას არც აქვს მნიშვნელობა: ორივე — ნამდვილი, ბიოლოგიური დედაა... სწორედ თავიდან მოცილების მიზნით, ლიზა ერთ-ერთ მათგანს წვნიანში საწამლავს ჩაუყრის. დედა წვნიანს რომ დახედავს, ჩაილაპარაკებს — რა ცოტა დაუსხამსო! — და იმ დროს, როცა ლიზა საპირფარეშოშია გასული, თეფშებს შეცვლის. შესაბამისად, დედის ნაცვლად, თავად ლიზა მოკვდება. დედები კი, მშვიდი სახეებით, მის დაკრძალვას ესწრებიან...

— კიდევ თუ გაქვთ დაგეგმილი თქვენი ფილმის ჩვენება?

— რა თქმა უნდა. კონკურსში გამარჯვებული სხვა ფილმების გადაღებაც რომ დასრულდება, მერე ერთობლივად მოვაწყობთ ჩვენებებს. მაყურებელი ამ ფილმს ტელევიზიის საშუალებითაც ნახავს. სხვადასხვა ფესტივალზეც გავიტანთ — მაგალითად, ქართული კინოს ფესტივალებზე: „პრომეთე“, „სესილი“ და ა.შ.

— ამ ფილმის პრეზენტაციის დროს, კინოთეატრის ფოიეში იყო სადილი, სადაც სტუმრებს წვნიანით უმასპინძლდებოდით. რატომ გადაწყვიტეთ ასე?

— ეს ფილმის თემიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ. თვითონ მთავარმა გმირებმა, ლიზამ და მისმა დედამ მოამზადეს წვნიანი და სტუმრებს უმასპინძლდებოდნენ. ეს ის წვნიანი იყო, რომელმაც ამ ფილმში ამხელა პრობლემა წამოჭრა, ამიტომ მოვიქეცით ასე. მაყურებელს, ვიდრე ის ფილმს იხილავდა, უნდა გაესინჯა „სუპი“, რათა მისი გემო თავად გაეგო და ენახა, თუ რამდენად შესაძლებელია ამ უბრალო რამის გამო ამხელა პრობლემის წამოჭრა... ამასთანავე, სტუმრები ამით გავართეთ კიდეც, რადგან, როგორც წესი, ასეთ პრემიერებზე ა-ლა-ფურშეტი იმართება, ჩვენ კი, თუ ვინმე მშიერი იყო, „სუპით“ დავანაყრეთ.

— ალბათ, პრემიერა დედის დღეს სპეციალურად დაამთხვიეთ...

— დიახ, სპეციალურად დავამთხვიეთ... კიდევ აღვნიშნავ იმასაც, რომ ფილმში ჩანს მძაფრი, ირონიული, ცინიკური, უხეში დამოკიდებულებები იმ ფასეულობების მიმართ, რომლებსაც დედა-შვილის ურთიერთობა ჰქვია. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ფილმმა დასმულ კითხვებზე პასუხი გასცა: დედა — ერთია, შეუცვლელია და მას ვერ იყიდი...

■

ᲐᲮᲐᲚᲘ «ᲝᲡᲙᲐᲠᲝᲡᲐᲜᲘ» ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘ

ქალის მთავარი როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის — რიზ უიზერსპუნი, რეჟისორ ჯეიმს მენგოლდის ფილმში — „ზღვარს მიღმა“ — ქანთრის შემსრულებლის, ჯონი კეშის ცოლის, ჯუნ კარტერის განსახიერებისთვის. „ოსკარისთვის“ კონკურენციას უწევდნენ: კეირა ნაიტლი, ფელისიტი ჰაფმანი, ჯუდი დენჩი და შარლიზ ტერონი.

საინტერესოა, რომ ამ როლზე უიზერსპუნის დამტკიცებას თავად ჯუნ კარტერმა დაუჭირა მხარი — 2003 წელს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე...

მამაკაცის მთავარი როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის — ფილიპ სეიმურ ჰოფმანი — რეჟისორ ბენეტ მილერის ფილმში — „კაპოტე“ — ამერიკელი მწერლის, ტრუმენ კაპოტეს განსახიერებისთვის. „ოსკარისთვის“ ბრძოლისას, კონკურენციას უწევდნენ: ჰით ლეჯერი, დევიდ სტრეტერნი, ტერენს ჰოვარდი და ჰოაკინ ფენიქსი.

ფილმზე „კაპოტე“, ჰოფმანი თანაკურსელებთან — სცენარისტ დენ ფატერმანთან და რეჟისორ ბენეტ მილერთან ერთად მუშაობდა. კაპოტეს განსახიერებას, ფილიპმა 16 კგ საკუთარი წონა შესწირა, ამასთანავე, ექსტრავაგანტური მწერლის წვრილი ხმის იმიტირების ხელოვნებასაც დაეუფლა.

„ოსკარამდე“, მსახიობი „ოქროს გლობუსით“, რამდენიმე პრემიითა და კრიტიკოსთა ასოციაციის პრიზებით დააჯილდოეს.

ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის — ინგლისელი რეიჩელ ვაისი — რეჟისორ ფერნანდ მეირელიშის „ერთგულ მებაღეში“ შესრულებული როლისათვის. ვაისის კონკურენტები ამჯერად იყვნენ: ემი ადამსი, ქეთრინ კინერი, მიშელ უილიამსი და ფრენსის მაკდორმანდი.

რეიჩელ ვაისი მაყურებლისთვის ცნობილია ფილმებით — „მუმია“ და „მუმიის დაბრუნება“, „მტერი კარს მოგვადგა“, „კონსტანტინი — ბნელეთის მოციქული“.

მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის — ჯორჯ ქლუნი — რეჟისორ სტივენ გეჰანის ფილმში — „სირიანა“ — შესრულებული როლისათვის. მისი კონკურენტები იყვნენ: უილიამ ჰერტი, პოლ ჯიამატი, ჯეიკ გილენჰაალი, მეთ დილანი. აღსანიშნავია, რომ ეს, ჰოლივუდის ერთ-ერთი პლეიბოისთვის პირველი „ოსკარია“, რომელიც, სხვათა შორის, მას მშვენიერმა ნიკოლ კიდმანმა გადასცა.

პოლონელი რეჟისორის კიდევ ერთი აღიარება

კინოფესტივალის — „ბერლინალე-2006“-ის უმაღლესი ჯილდო — „ოქროს დათვი“, კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ცნობილ პოლონელ კინორეჟისორს, ანჯეი ვაიდას გადაეცა. სხვათა შორის, ოქროს „თანამომძმეს“, ვაიდას სახლში, პოლონეთში, თაროზე შემოდებული „ვერცხლის დათვიც“ ელოდა, რომლითაც კინოოსტატი 1986 წელს, ასევე ბერლინის კინოფესტივალზე დაჯილდოვდა. „ბერლინალე-2006“-ზე ანჯეი ვაიდამ მიხაილ ბულგაკოვის რომანის — „ოსტატი და მარგარიტა“ — მიხედვით გადაღებული სურათი — „პილატე და სხვები“ წარმოადგინა. ■



გირი „ოქროს კარდალით“ დააჯილდოეს

ყოველწლიურად, ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტები თავიანთ უსაყვარლეს მსახიობსა თუ რეჟისორს, პატივისცემის ნიშნად, ფრიად უცნაურ ჯილდოს გადასცემენ. წლეულს, ჰარვარდის უნივერსიტეტის პრემიის — „სწრაფი პუდინგის“ ლაურეატი, ჰოლივუდის ვარსკვლავი, რიჩარდ გირი გახდა. ამიერიდან, მსახიობის საოჯახო ნივთებს, მცირე ზომის „ოქროს კარდალიც“ მიემატა, რომელიც ტრადიციული მოხარშული პუდინგის მოსამზადებლად გამოიყენება. მაყურებლის ყურადღებითა და სიყვარულით გათამამებული 56 წლის მსახიობის თქმით, ის განსაკუთრებულად გაახარა ამ არაფორმალური ჯილდოს მიღებამ. ■

დენიელ რედკლიფმა როულინგის ნახატი შეიძინა



„ჰარი პოტერის“ წიგნების ავტორმა, ჯოან როულინგმა საქველმოქმედო აუცქიონის — Book Aid International — ორგანიზატორებს გადასცა მის მიერ შესრულებული ნახატი, რომელზედაც ბლეკების ოჯახის საგვარეულო ხე გახლდათ გამოსახული. სათავგადასავლო ეპოპეის მკითხველებისთვის, ეს გვარი კარგადაა ცნობილი. ჯადოქართა ოჯახის უკანასკნელი პირდაპირი შთამომავალი — სირიუს ბლეკი — ჰარი პოტერის ნათლიაა და ფილმში — „ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე“, მის როლს მსახიობი გერი ოლდმანი ასრულებს.

ჰარი პოტერის როლის შემსრულებელმა, 16 წლის დენიელ რედკლიფმა როულინგის ნახატში 30 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა. გარდა ამისა, საქველმოქმედო აუქციონზე მსახიობმა 4.850 გირვანქა სტერლინგად კიდევ ორი ლოტი შეიძინა (რომლებიც აუქციონს მწერალმა იენომ ბენქსმა და დრამატურგმა ტომ სტოპარდმა გადასცეს). რედკლიფის დედის თქმით, რომელიც აუცქიონზე თავისი არასრულწლოვანი შვილის ნაცვლად აკეთებდა განაცხადს, „ამიერიდან ვერავინ იტყვის, რომ დენიელს კითხვა არ უყვარს. მან არა მარტო „ჰარი პოტერის“ პირველი წიგნი წაიკითხა, არამედ ბენქსისა და სტოპარდის შემოქმედებასაც გაეცნო“.

აფრიკის ქვეყნების ბიბლიოთეკების სასარგებლოდ გამართულ საქველმოქმედო აუცქიონზე თავ-თავიანთი ლოტები წარმოადგინეს ბობ გელდოფმა, სიუ თაუნსენდმა, ფრედერიკ ფორსაიტმა, იენომ რენკინმა და სხვებმა. აუცქიონის ორგანიზატორებმა 63 ათას გირვანქა სტერლინგზე მეტი თანხის მოგროვება შეძლეს. ■

ემინემს შეუძლია, აშშ-ის ხელისუფლებას

ემინემს სრული უფლება აქვს, აშშ-ის ხელისუფლებას მოსთხოვოს კომპენსაცია, გუანტანამოს ციხეში მისი მუსიკის წამების იარაღად გამოყენების გამო. ამის შესახებ განაცხადა მაიკლ უინტერბოტმა, რომელიც გახლავთ რეჟისორი გუანტანამოს ბანაკზე გადაღებული ფილმისა, სადაც, როგორც ყველასთვის ცნობილია, სასტიკად აწამებდნენ და შეურაცხყოფდნენ პატიმრებს. უინტერბოტომის თქმით, მის სურათში — „გზა გუანტანამოსკენ“ — ნაჩვენები იქნება კადრები, რომლებიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ემინემის

სიმღერების მეშვეობით, მეციხოვნენი პატიმრებზე მორალურ ზეწოლას ახორციელებდნენ.

რეჟისორის მტკიცებით, ადამიანის უფლებათა ცნობილი დამცველი, კლაივ სტაფორდ სმიტი, რომელიც გუანტანამოს 4 ტყვექმნილის ინტერესებს იცავს, მიიჩნევს, რომ ემინემს ამერიკის ხელისუფლების წინააღმდეგ საქმის აღძვრის შემთხვევაში, მოგების დიდი შანსი აქვს.

როგორც ცნობილია, ციხე — საზოგადოებრივი დაწესებულებაა და ასეთ ადგილას მუსიკალური ნაწარმოების ტრანსლაცია, მხოლოდ საავტორო უფლების მქონე პირის თანხმობითა და მისთვის განსაზღვრული ჰონორარის გადახდის შემთხვევაშია შესაძლებელი. ბუნებრივია, ემინემის შემთხვევაში, არანაირ თანხის გადარიცხვას ადგილი არ ჰქონდა. თუმცა, ძალზე საეჭვოა ისიც, რომ რეპერს საწამებელ იარაღად თავისი მუსიკის გამოყენების უფლება ვინმესთვის მიეცა — თუნდაც იმიტომ, რომ არ არსებობს ქვეყნად მუსიკოსი, რომლის დარწმუნებაც შესაძლებელია იმაში, რომ მისი შემოქმედება ადამიანის ტანჯვის იარაღად გამოდგება.

მაიკლ უინტერბოტომის სიტყვებთან დაკავშირებით, თავად ემინემსა და მის ლეიბლს კომენტარი არ გაუკეთებიათ. ეს გასაგებიცაა: საკმაოდ რთული და სადავო საქმე ჩანს... ■

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. გზა №42-9)

ახალგაზრდა ექიმი ლანა მესხი კოლეგის, გიზო ვაშაკიძის მეგობრის, გივი გიგაურის ფარმაცევტულ ფირმაში მუშაობს. გივის სურს, ლანას ბებიის, რაჭაში ცნობილი სახალხო მკურნალის რეცეპტებით დამზადებული წამლები გამოუშვას. ლანა სოფელში ბებიის სანახავად მიდის... მანამდე, მის ცხოვრებაში ახალგაზრდა ბიზნესმენი ლევან ქართველიშვილი გამოჩნდება, რომელიც მალე გერმანიაში სტაჟირებაზე მიდის. ლევანი ქვრივია და 6 წლის ქალიშვილი ჰყავს...

ლანასა და გივის მდივანს, თინიკოს ეჭვი აქვთ, რომ გიგაური ნარკოტიკებით ვაჭრობს და ფიქრობენ, რომ ის მალე, მახეში გაებმება, მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდება: გიგაურის კვალში ჩამდგარი პოლიციელები ნარკოტიკებს რატომღაც, მის კაბინეტში შემთხვევით დარჩენილ ლანას პიჯაკში იპოვიან... თუმცა, ლევანის ფირმის ადვოკატისა და თინიკოს საქმროს ძალისხმევისა და გირაოს გადახდის შედეგად, ლანას მალევე გაათავისუფლებენ პატიმრობიდან. მაგრამ იქ გატარებული რამდენიმე დღეც, მის სულს იმდენად მძიმე დაღს დაასვამს, რომ ყველაზე ახლო და ერთგულ ადამიანებთან ურთიერთობაც კი აღარ სურს. თამარი შვილს ცოტა ხნით რაჭაში, ბებიასთან წასვლას ურჩევს... ერთ დღეს, ლანა შემთხვევით გადაეყრება ლევანს, მასთან შინ მისვლას დათანხმდება და ბოლოს, მის ლოგინშიც აღმოჩნდება...

დილით კი, მის კარადაში შემთხვევით, საკუთარ ლიფს გადააწყდება. ლევანი ცდილობს, აუხსნას, თუ როგორ მოხვდა ეს ნივთი მასთან და არწმუნებს ქალს — შენს პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარებაო. ამ დროს, ლანას დედა ურეკავს და ბებიის ავად გახდომის ამბავს ატყობინებს. ლევანი საკუთარი მანქანით წაიყვანს ლანას სოფელში, მაგრამ ქეთოს ცოცხალს ვეღარ მიუსწრებენ... თამარი ალმაცერად უყურებს ლევანს და შვილისგან მოითხოვს, რომ კაცმა იქაურობა დატოვოს. თამარის ძმისშვილი გოგა კი, მამიდას ახარებს — სიძე გიშოვეო!.. თამარი გოგას დატუქსავს, ლანას კი მკაცრად გააფრთხილებს, ლევანი აქ აღარ ვნახოო. მაგრამ ლევანი ქეთოს გასვენებაში მაინც მივა, თან, თავის ბებიასაც მიიყვანს. თამარი აღშფოთებას ვეღარაფრით დაფარავს, ლანას ძმა — რეზო კი, ლევანს განზე გაიხმობს და „საქმის გარჩევას“ დაუპირებს... მთელი დღის ორომტრიალით დაღლილ თამარსა და ლანას საღამოს, გოგა გაღმასოფლელ ნიკოლოზ დვალს მიაყენებს კარზე.

სუფრასთან დვალი ლანას წამითაც არ აშორებს თვალს. მეორედ სტუმრობისას კი, პირდაპირ გამოუცხადებს, ძალიან მომწონხარო. ჩემს შვილს ოფიციალური საქმრო ჰყავსო, — სასწრაფოდ საქმის კურსში ჩააყენებს მას დაზაფრული თამარი. მაგრამ დვალი უკან მაინც არ დაიხევს: ლევანს კარგად ვიცნობ და თავად მოველაპარაკებიო...

დედა-შვილს ლევანიც მოულოდნელად ესტუმრება. საუბრისას, ლანა შეიტყობს, რომ ლევანი და ნიკოლოზი ერთად მსხდარან გერმანიის ციხეში...

— რას გადეირიე, შე ქალო?! — შეუძახა გოგამ მამიდას. — ციხეში ხანდისხან, უდანაშაულო ადამიანიც ქე ხვდება... ასე იყო, ხომ? — მიუბრუნდა ის შემდეგ, ლევანს.

— პრინციპში, ასე იყო, — დაეთანხმა ლევანი. — ორი წლის წინ, გერმანიაში პირველად ჩავედი მივლინებით. იქიდან წამოსვლის წინადღეს კი, ფულთან ერთად, ჯიბიდან საბუთებიც ამომაცალეს და სანამ ჩემს ვინაობას დაადგენდნენ, დროებით დამაკავეს.

— ნიკოლოზა რაფერღა მოხვდა შენს კამერაში? — ცნობისმოყვარეობამ სძლია გოგას.

— ეტყობა, ისიც დროებით დააკავეს, — ირონიულად გაეღიმა ლანას.

— არა, — არაფერი შეიმჩნია ლევანმა, — დვალი ძალიან სერიოზულ დანაშაულში იყო ეჭვმიტანილი, მაგრამ ეტყობა, ვერ დაუმტკიცეს, თორემ, ახლაც ციხეში იჯდებოდა.

— რას გეტყვით, იცით?.. — სუფრიდან წამოიწია თამარი.

— რა იყო? — შეშფოთდა ლანა. — მართლა ცუდად ხომ არ ხარ?

— რომ გითხრა, კარგად ვარ-მეთქი, დამიჯერებ?.. — საყვედურნარევი ხმით ჰკითხა თამარმა შვილს. — ასეთი რა დავუშავე დალოცვილ ღმერთს, რომ ციხის კარს აღარაფრით მომაცილა?..

— დედა! — გააწყვეტინა მას გაღიზიანებულმა ლანამ.

— რა „დედა“, რა? — მაინც არ შეეპუა შვილს თამარი.

— შენ რომ ციხის უბრალო ხსენებაც კი გაღიზიანებს, მაშ, იმათ რაღა ქნან, ვინც იქ მართლა უდანაშაულოდ იყო გამომწყვდეული? — ხმას აუწია ლანამ.

— კარგი, კარგი... — დანებების ნიშნად, ხელები ასწია თამარმა. — აღარ გააგრძელო... ეტყობა, ძალიან დავიღალე, ამიტომ, თქვენ ისაუბრეთ, მე კი ცოტა დავისვენებ, თუ, რა თქმა უნდა, სტუმარი არ მიწყენს... — ალმაცერად გახედა მან ლევანს და მძიმედ წამოდგა ფეხზე. ლევანიც მაშინვე მას აჰყვა.

— შენ სადღა მიდიხარ? — შეშფოთდა გოგა.

— ლევანი — არა, მაგრამ შენ კი მართლა, ის დროა, მიბრძანდებოდე! — მიუბრუნდა თამარი ძმისშვილს. — აცალე ხალხს ლაპარაკი! — მრავალმნიშვნელოვნად გადახედა მან შემდეგ ლანას.

— ვაცლი, აპა, რას ვიზამ?! — იხტიბარი არ გაიტეხა გოგამ. — მომიყვება ლევანა, ნიკოლოზა დვალის ჩრდილოეთ პოლუსზე ყოფნის ამბავს და მაშინვე წავალ.

— აბა, შენ იცი, არაფერი გამოგრჩეს! — კიდევ ერთხელ დატუქსა იგი თამარმა. — ნეტავ, ის მაინც თუ იცი, ჩრდილოეთ პოლუსი სად არის?

— რა არ ვიცი, შე ქალო! — დაადევნა გოგამ ოთახის ზღურბლთან მისულ მამიდას. — დედამიწაზეა.

— კარგი ერთი! — სიცილი ვეღარ შეიკავა ლანამ. — მე კი, რატომღაც, მთვარეზე მეგონა.

— რას გეტყვი, იცი?.. — თვალები გადაუბრიალა მას გოგამ. — მთლად კი ნუ გეიკრიფები ენად თუ არა...

— დახეთ ერთი, კიდეც რომ მემუქრება! — სიცილს განაგრძობდა ლანა.

— ლევანა, ბიჭო! — მიუბრუნდა ნირწამხდარი გოგა ლევანს. — შენ მაინც უთხარი ამ გადარეულს რამე!

— კი ვეტყოდი, ჩემო გოგა, მაგრამ ჯერ რომ უფლება არ მაქვს?! — ბოლო იმედი გადაუწურა მას ლევანმა.

— გადამრევს ეს კაცი! — ხელები დანანებით გაშალა გოგამ.

— მე კიდევ — ეს ქალი! — უეცრად, მთელი ტანით გადაიხარა ლანასკენ ლევანი და თვალებში ისე ჩახედა.



ოთახში წამით სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც მხოლოდ ლევანის ხშირი სუნთქვა არღვევდა.

— მეიცათ, ახლა! — კინაღამ შუაში ჩაუხტა ქალ-ვაჟს გოგა. — ჯერ ნიკოლოზას ამბავი გამაგებინეთ და მერე უბრიალეთ ერთმანეთს თვალები...

— კარგი, მოგიყვები, — როგორც იქნა, ლანას თვალი მოსწყვიტა ლევანმა, სკამის საზურგეზე დაუდევრად გადაწვა და დაიწყო: — „ტყუპის“ აფეთქების შემდეგ...

— რა თქვი, ვისი აფეთქებისო? — სასწრაფოდ გააწყვეტინა მას გოგამ.

— ხომ გახსოვს, ტერორისტებმა ამერიკაში ორი ერთნაირი ძალიან მაღალი სახლი რომ ააფეთქეს? — „უთარგმნა“ მას ლევანმა.

— რავა არ მახსოვს, შე კაცო?! — იწყინა გოგამ. — მარა ისე, თავიდან ეს ამბავი ძაან მაგარი კინო კი მეგონა, — დაიმორცხვა მან.

— მარტო შენ არა, ბევრს ეგონა ასე... — დაამშვიდა ლევანმა და განაგრძო: — ჰოდა, იმ ამბის შემდეგ, ბევრ ქვეყანაში დაიწყეს არალეგალების დევნა და გამოყრა. და რადგანაც დვალი და მისი ორი ძმაკაციც უნებართვოდ ცხოვრობდნენ გერმანიაში, სასწრაფოდ კანადაში გადასვლა გადაწყვიტეს...

— ა! — ისევ გააწყვეტინა ლევანს გოგამ და თან, ლანას მიუბრუნდა: — ხომ გეუბნებოდი, ნიკოლოზას მთელი მსოფლიო აქვს მოვლილი-თქვა...

ლანამ გოგას შენიშვნა უყურადღებოდ დატოვა, ლევანმა კი განაგრძო:

— ჰოდა, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, სამმა რაჭველმა გერმანიიდან გემით გადაწყვიტა გაღწევა. ჩავიდნენ საპორტო ქალაქ ჰამბურგში, გაიარ-გამოიარეს პორტში და კანადისდროშიანი გემიც დაინახეს.

— მერე იქოური მეზღვაურიც გაიცნეს, ხომ? — შეაშველა გოგამ.

— გცოდნია, შე კაცო, და რაღაც მაყოლებ?! — უხალისოდ ჰკითხა მას ლევანმა.

— მიდი, მიდი, გააგრძელე, — მაინც არ მოეშვა მას გოგა. — ნიკოლოზას მონაყოლს ჩემი მტერი ენდო...

— მოკლედ, მიდგნენ, მოდგნენ ბიჭები და მართლა გაიცნეს ის გემის მეზღვაური, ერთი გემრიელადაც გამოათვრეს და მერე სთხოვეს — ძმურად, იქნებ, როგორმე კანადამდე ჩაგვიყვანოო. — რა პრობლემაა? — უპასუხა მეზღვაურმა. — თითომ თითო ათასი დოლარი მომეცით და თუ გინდათ, მთვარეზეც გაგაფრენთო... ბიჭებს ბევრი აღარ უფიქრიათ, ისე დათანხმდნენ და ფულიც წინასწარ ჩაუთვალეს. ამის შემდეგ, მეზღვაურმა ისინი კანადისდროშიან გემთან მიიყვანა და ის ადგილიც აჩვენა, საიდანაც გვიან ღამით თოკის კიბეს გადმოჰკიდებდა. დვალი და მისი ძმაკაცები იმ კიბით გემზე შეუმჩნევლად უნდა ამძვრალიყვნენ და ტრიუმში დამალულიყვნენ. მეზღვაურმა სამივე მკაცრად გააფრთხილა: გემი პორტიდან რომ გავა, დრო დანიშნეთ და მხოლოდ რვა საათის ანუ ნეიტრალურ წყლებში შესვლის შემდეგ ამოდით გემბანზე, თორემ, თუ მანამდე აღმოგაჩინეს, გემს უკან მიაბრუნებენ და თქვენს თავს გერმანიის პოლიციას გადასცემენო... შუაღამისას, დვალი და ძმანი მისნი გადავიდნენ სანაპიროზე, მონახეს ნაცნობი გემი, კიბეც იქვე დახვდათ და სხვა ყველაფერიც ისე გააკეთეს, როგორც კანადელმა მეზღვაურმა დაარიგა. მაგრამ ტრიუმში რვასაათიანი ყურყუტის შემდეგ გემბანზე ამომძვრალებმა, პირველი, რაც შენიშნეს, გემის ანძაზე დამაგრებული დროშა იყო, რომელიც კანადისას არაფრით ჰგავდა... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ბიჭებმა სიბნელეში ვერ გაარჩიეს და კანადის კი არა, დანიის გემზე ამოყვეს თავი, რომელსაც გრენლანდიაზე მდებარე ერთ-ერთი სეისმოლოგიური სადგურისთვის სურსათსანოვაგე და აპარატურა მიჰქონდა. გემის კაპიტანმა ჩვენი ვაი-მოგზაურები ისევ ტრიუმში ჩაკეტა, ადგილზე რომ ჩავიდნენ, ტვირთთან ერთად, ნაპირზე გადაუძახა და თან „დააიმედა“ — ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ორი თვის თავზე აქ გერმანიის გემი შემოივლის და უკან ის დაგაბრუნებთო... თეთრ დათვებთან „დაძმობილებული“ სამი რაჭველი, ორი თვის შემდეგ, გერმანიაში მართლაც დააბრუნეს, მაგრამ ვაი იმ დაბრუნებას... — დაამთავრა თხრობა ლევანმა.

— ეტყობა, მაგისთვის მოხვდა ნიკოლოზა ციხეში, ხომ? — როგორც იქნა, ფეხზე წამოდგა და წასასვლელად მოემზადა გოგა.

— პრინციპში, კი. თუმცა, ეს დვალის ყველაზე უწყინარი კანონდარღვევა იყო... — ფეხზე წამოდგა ლევანიც.

— შენ სადღა მომდევ? — გაუკვირდა გოგას.

— შენთან მოვდივარ სტუმრად, — თვალები ეშმაკურად მოჭუტა ლევანმა. — არ მიმიღებ?

— რავა არა! — ხელები ფართოდ გაშალა გოგამ. — შენ ოღონდ გვიკადრე და გოუჩენელს გაგიჩენ!

— დიდი მადლობა, ჩემო გოგა, მაგრამ დრო არ მაქვს, — საათს დახედა ლევანმა.

— ჩვენთან ჩამორბენას და ჭიქის აწევას რა დრო უნდა, შე კაცო?! — არ მოეშვა გოგა.

— ქართული სუფრის ამბავი ხომ იცი: ერთ ჭიქას მეორე მოჰყვება, მეორეს — მესამე და ძალიან დამაგვიანდება...

— შენ რა, მართლა აპირებ წასვლას? — გააწყვეტინა ლევანს ლანამ.

— ჰო, — უპასუხა ლევანმა, — რა იყო?

— გოგა რომ წავა, მერე გეტყვი, რაც იყო... — ბოლმიანად ჩაილაპარაკა ლანამ.

— ძაან კი გემუქრება, ხო იცი! — ხმადაბლა გადაულაპარაკა გოგამ ლევანს და შემდეგ, ლანას მიუბრუნდა: — ბოშო, ლანაუკა, მუშტი მაინც არ იხმა-

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 42 55 44
822 006 005
822-006-099

ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

რო!..

— მუშტს შენ მოგდებ ახლა ყბაში, თუ აქედან არ გამქრალხარ! — შეუღრინა მას ლანამ.

— ეჰ, ლევანა, ბიჭო, ეტყობა, სიყვარულმა მართლა ძაან დაგიყენა თვალები თუ არა, რავა ვერ ხედავ, ვის ხელში იგდებ თავს? — სანამ კარს გაიხურავდა, მაინც მოასწრო და მიაძახა ლევანს გოგამ...

გოგას წასვლის შემდეგ, ლანამ ოთახში რამდენჯერმე ნერვიულად გაიარ-გამოიარა და ისევ სუფრას მიუჯდა. ლევანმა კი, ჯერ ღუმელთან ჩაიმუხლა, შეშა შეუკეთა და შემდეგ, ლანას პირდაპირ დაჯდა და მზრუნველად ჰკითხა:

— როგორა ხარ?

— როგორც მკითხულობ, — უკმეხად უპასუხა ლანამ.

— იცი, როგორ მომენატრე?!

— არ ვიცი...

— დედაშენმა დაიძინა?

— დედაჩემის ძილი და სიზმარი რაღაში გაინტერესებს?

— მართალი ხარ... დედაშენის ძილზე ფიქრს, შენთან ძილი არ მირჩევნია?!.

— ჩემთან ძილი და კოტრიალი დამთავრდა! — გაწიწმატდა ლანა.

— კარგი ერთი!.. — სკამზე არხეინად გადაწვა ლევანი.

— მე არ მეხუმრება! — ხმას აუწია ლანამ.

— არც მე! — უეცრად, ისევ მთელი ტანით გადაიხარა ქალისკენ ლევანი და თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა: — იმ ახვარს შენგან რა უნდა?

— რომელ ახვარს? — შეკრთა ლანა.

— წუხელ რომ ბრძანდებოდა აქ.

— რა უნდა ნდომოდა? უბრალოდ შემოიარა, — იცრუა ლანამ.

— შუაღამისას?!.

— სოფელში შუადღესა თუ შუაღამეს, დიდად არ დაგიდევენ... თანაც, კაცმა მთელი მანქანა შეშა მოგვართვა და სახლშიც აღარ შემოგვეშვა?!

— არ გეჩვენება, რომ ამ კაცს შენი ინტერესი აქვს?

— არ მეჩვენება, იმიტომ, რომ საერთოდ არ ვიცნობ.

— სამაგიეროდ, მე ვიცნობ და ისიც ვიცი, რომ იშვიათი ახვარია.

— კარგი, დავუშვათ, რომ მართლა აქვს ჩემი ინტერესი. მერე, შენ რა გაწუხებს? თუ, უკვე შენი საკუთრება გგონივარ? ნივთი, რომელიც შემთხვევით, სხვასაც მოეწონა!..

— ნივთი რომ იყო, სახლში სულ ზემო თაროზე შემოგდებდი და დავისვენებდი...

— თუ ასე დაიღალე, შემიძლია, ჩემი საზოგადოებისგან საერთოდ გაგათავისუფლო... — კიდევ ერთხელ წაისისინა ლანამ.

— ნუ სულელობ, რა! — ფეხზე წამოდგა ლევანი, ლანას ზურგიდან მოუარა, მხრებზე ხელები დააწყო, შემდეგ დაიხარა და მისი თმის სურნელი ღრმად შეისუნთქა: — აუ, რა კარგია!

— გამიშვი! — ტანში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა ლანას.

— არ შემიძლია... — ხელები ნელნელა ქალის მკერდისკენ ჩააცურა ლევანმა.

— გაგიჟდი?! — ახლა კი, მართლა გაიბრძოლა ლანამ და მამაკაცის ხელები ძალით მოიშორა. — აქ ყოველ წუთს შეიძლება, ვინმე შემოვიდეს...

— კარგი, — ხელები სახეზე ნერვიულად ჩამოისვა ლევანმა და შემდეგ, ისევ მაგიდას მიუჯდა: — მოდი, მაშინ, ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ, ერთმანეთს რას ვუპირებთ.

— პირადად მე, ნამდვილად არაფერს ვაპირებ.

— მე კი, პირიქით — ყველაფერს და პირველ რიგში, ცოლად შერთვას გიპირებ, თუ, რაღა თქმა უნდა, შენც გაქვს ამის სურვილი.

— არ ვიცი... — დამნაშავესავით აიჩეჩა მხრები ლანამ.

— რა არ იცი? — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა ქალს ლევანმა. — ჩემი ცოლობა გინდა თუ არა?

— მოდი, რა, ეს ლაპარაკი სხვა დროისთვის გადავდოთ, — სთხოვა მას ლანამ. — ახლა ისე მაქვს არეული ტვინი, რომ საერთოდ ვერ ვაზროვნებ...

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ტვინი კი არა, გული უნდა, — თავისას არ იშლიდა ლევანი. — ან ტვინი ვინ აგირია? იმ ახვარმა ხომ არა, წუხელ რომ აქ იჯდა? ალბათ, თვალებით გჭამდა!..

— რაღაცას ნუ იგონებ, რა! — გაწითლდა ლანა. — მჭამდა — არა, კიდევ ის...

— იცი, რომ ტყუილის თქმა საერთოდ არ გეხერხება?..

— ისევე, როგორც შენ — სიმართლის... — ჩაიბურტყუნა ლანამ.

— რას გულისხმობ?! — გაოცდა ლევანი.

— თუნდაც იმას, რომ ერთხელაც კი არ წამოგცდენია, ციხეში რომ იჯექი... დვალს რომ არ ჩაეშვი, ალბათ, ამ ამბავს საერთოდ არ გამიმხელდი. მე კი, მთელი ცხოვრება მადლობა უნდა მეხადა — შენისთანა პატიოსანმა კაცმა, „კაპეზეში“ ნაჯდომ ქალს თავი რომ გამიყადრე...

— ისევ აურიე? — შუბლი შეიკრა ლევანმა და შემდეგ ჰკითხა: — კიდევ რა გითხრა ჩემზე?

— ვინ? — ვითომ ვერ მიუხვდა ლანა.

— დვალმა.

— ა, დვალმა?.. — ლევანი აგდებულად აათვალიერ-ჩაათვალიერა ლანამ. — ვიცი, არ გესიამოვნება, მაგრამ დვალი ძირითადად, ჩემზე ლაპარაკობდა. შენზე კი მხოლოდ ის თქვა — ერთ დროს, „საკამერნიკები“ ვიყავით, ამიტომ მასთან საერთო ენის გამონახვა არ გამიჭირდება ანუ მე თუ ვიტყვი, არც კი დაფიქრდება, შენს თავს ისე დამითმობსო...

— ამ ყველაფერს რატომ მეუბნები?

— მოულოდნელად, ხმა უცნაურად ჩაეხლიჩა ლევანს. — გინდა, წავიდე და დვალს ყელი გამოვჭრა?

— წეღან არ მითხარი, ტყუილის თქმა არ გეხერხებაო? — მხრები დაუდევრად აიჩეჩა ლანამ. — სიმართლე კი ასეთი გახლავს, ჩემო კარგო, და რა ვქნა?!

ლანას სიტყვების შემდეგ, წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, შემდეგ ლევანი ფეხზე წამოდგა და ოთახიდან უსიტყვოდ გავიდა...

— სტუმარი რა იქნა? — იკითხა ცოტა ხანში ოთახში შემოსულმა თამარმა.

— წავიდა, — უხალისოდ უპასუხა ლანამ.

— სად წავიდა?

— მგონი, დვალთან.

— დვალთან? — შეკრთა თამარი. — იქ რაღა უნდა?.. შემთხვევით, გუშინდელ ამბავზე ხომ არაფერი გითქვამს?

— კი არ მითქვამს, მათქმევინა... — დამნაშავე ბავშვივით მოიბუზა ლანა.

— რა გათქმევინა?

— ყველაფერი...

— გაგიჟდი, გოგო?!. — ხმას აუწია შეშფოთებულმა თამარმა. — გინდა, კაცებს ერთმანეთი დაახოცვინო და სოფელიც საბოლოოდ გადარიო?!

— სოფელი, სოფელი!.. — ხმას აუწია ლანამაც. — შენ ხომ მხოლოდ ის გადარდებს, სოფელი და ხალხი რას იტყვის... მართლა რომ უბედურება მოხდეს და ლევანმა და იმ კაცმა ერთმანეთი დახოცონ, სოფელმა კი ეს ამბავი მოიწონოს, დარწმუნებული ვარ, შენც მაშინვე დამშვიდდები და იტყვი, ალბათ, ასე იყო საჭიროო...

— არა, არა, შენთან ლაპარაკი აღარ შეიძლება! — დედისეული შალი მხრებზე ნერვიულად მოიხვია თამარმა. — წავალ, ისევ გოგას მოვძებნი, იქნებ, რამე იღონოს.

— ნახა, რა, ამანაც მშვიდობის მტრედი... — ბოღმიანად წამოიძახა ლანამ, თუმცა, ოთახიდან გამავალ თამარს მაინც იმედიანი მზერა გააყოლა...

გარეთ გასულ თამარს ჯერ გოგას როხროხი შემოესმა, შემდეგ კიბეც ახმაურდა და მალე, ლევანი, ნიკოლოზ დვალი და გოგა აივანზე ერთმანეთის მიყოლებით ამოლაგდნენ.

— სტუმრებს მიიღებთ, ქალბატონო? — თავაზიანად იკითხა დვალმა.

— სტუმარი ღვთისაა, მობრძანდით... — განზე გადგა საფუძვლიანად შეფიქრიანებული თამარი.

— მამიდა, საგზალი გაგვიმზადე! — მაშინვე საქმეზე გადავიდა გოგა.

— საგზალი რაღად გინდა, შე გადარეულო?! — გაუწყრა ძმისშვილს თამარი.

— სანადიროდ მივდივართ! — როხროხს განაგრძობდა გოგა.

— ნეტავ, არ სულელობდე! — შეუტია მას თამარმა და თან ოთახში შე-

სულ სტუმრებს სკამები შესთავაზა.

— სულელობო?! — მხრები აათამაშა გოგამ. — გეიხედე ერთი გარეთ, რა თოფები გვაქვს კედელზე მიყუდებული! „კაკ მინიმუმ“, ჯიხვი მაინც უნდა მოვკლათ! აპა, მელიებზე და კურდღლებზე ხომ არ დავხურდავდებით!

— თოფი არ გამაგონო! — გულზე ხელი იტაცა ქეთომ.

— აბა, „რაგატკით“ ჩვენი უბნის ბოვშები ჩიტებსაც ველარ ხოცავენ და ჩვენ რაღა ვქნათ, თავი შევირცხვინოთ?

— აბა, ახლავე გაჩუმდი! — ხელის აწევით შეაჩერა თამარმა გოგა. — გამომიჩნდა, რა, ესეც მონადირე!.. სწორედ შენზეა ნათქვამი, უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო.

— ისთე, მამიდა, შენც მართალი ხარ... — უცბად დაეთანხმა თამარს გოგა. — იონა უნდა წევიყვანო თან...

— იონა რაღაში გჭირდება? — შეიცხადა თამარმა.

— ეგ მჭირდება თუ მჭირდება: რაც ჩვენს ტყეში მგელი და ტურაა, ყველას ხელის ჩამორთმევით იცნობს, თუ არა, მე მართლა რა ვიცი?! — თავისას განაგრძობდა გოგა.

უეცრად, მთელი ამ ხნის მანძილზე ტახტზე უძრავად მჯდარი ლანა ფეხზე სწრაფად წამოდგა, ლევანს მიუახლოვდა და ხმადაბლა უთხრა:

— ერთი წუთით მეორე ოთახში გამომყევი, რაღაც უნდა გითხრა.

— აქ არ ითქმის? — ადგილიდან არ დაიძრა ლევანი.

— არა, — მოკლედ მოუჭრა ლანამ, შემდეგ შებრუნდა და ქეთოს ოთახში დემონსტრაციულად გავიდა.

ლევანი წამით ჩაფიქრდა, შემდეგ წამოდგა და მანაც ქეთოს ოთახს მიაშურა. როგორც კი ლევანი ოთახში შესული დაიგულა, ლანამ კარი მაშინვე მჭიდროდ მიხურა და ფეთიანივით აჩურჩულდა:

— ამ აფთარს სად მიჰყვები?

— აფთრებზე სანადიროდ, — საკუთარ მოსწრებულ პასუხზე თავადვე გაეღიმა ლევანს და თან, ოთახი გულმოდგინედ მოათვალიერა: — რა საინტერესო ოთახია, შენია?

— არა, ეს ბებიაჩემის სამუშაო ოთახი იყო... — გულგარეთ უპასუხა ლანამ და ისევ თავის მთავარ სადარდელს დაუბრუნდა: — სად მიჰყვები, სად?..

— ესენი რაღაა? — თითქოს ლანას სიტყვები საერთოდ არ გაეგონოს, მაგიდაზე გამწკრივებული დიდ-პატარა კოლბებისკენ ისე გაიშვირა ხელი ლევანმა.

— ბებიაჩემის წამლის ჭურჭელია...

— ბებიაშენი შემთხვევით, ჯადოქარი ხომ არ იყო?..

— ლევან, გემუდარები, მომისმინე! — ტირილს აღარაფერი უკლდა ლანას.

— რა მოხდა? — როგორც იქნა, ქალისკენ მიბრუნდა ლევანი. — შემთხვევით, როლები ხომ არ გავცვალეთ?

— რას გულისხმობ? — დაიბნა ლანა.

— ცოტა ხნის წინ, მე არ გეხვეწებოდი, მომისმინე-მეთქი, მაგრამ ქვა ააგდე

და თავი შეუშვირე... ჰოდა, ახლა შენ გაჩუმდი!..

— ლევან... — ასლუკუნდა ლანა.

— ჩუ-მად! — ქალს ათრთოლებულ ტუჩებზე ხელი ნაზად გადაუსვა ლევანმა, შემდეგ თავი გადაუწია და ისე დაეკონა, ლანამ ერთი გაიბრძოლა და მამაკაცის ალერსს თავადაც აჰყვა...

— აკი, აღარ მიყვარხარო?.. — ცოტა ხნის შემდეგ, ქალი მკერდიდან ნაზად მოიშორა ლევანმა და გამომცდელად აათვალიერ-ჩაათვალიერა. — რამე რომ დაგემართოს, იცი, რას ვიზამ?!. — თვალები ავად დააკვესა ლანამ.

— ვიცი, — მშვიდად უპასუხა ლევანმა.

— იმ ავაზაკს ჩემი ხელით დავკლავ! — განაგრძო ლანამ.

— ეგეც ვიცი, — ქალი ისევ გამეტებით ჩაიკრა გულში ლევანმა. — იმას რომ დაემართოს რამე?..

— დაემართოს!.. — ლევანის მხარქვეშ თავი ბავშვივით შერგო ლანამ. — ჭირსაც წაუღია!

— ჰე, ახლა, გავეტიეთ გარეთ! — მოისმა უეცრად, გოგას როხროხა ხმა და შემდეგ, ერთი-ორჯერ დააბრახუნა კიდეც.

ქალ-ვაჟი ერთმანეთს სასწრაფოდ მოსცილდა. შემდეგ, ლევანმა ლანას აბურდული თმა ხელით გაუსწორა და კარი გამოაღო.

— რას შობით, ხომ არ დაგეძინათ? — ოთახში უცერემონიოდ შემოაბოტა გოგამ და ლანას აწითლებული თვალები რომ შენიშნა, დაუმატა: — შენ რაღაც იწირპლები, ბოშო?!

— წირპლიანები შენკენ მოიკითხე! — მაშინვე პირში ეცა ბიძაშვილს ლანა.

— კარგი, ახლა, ნუ დაჭამეთ ერთმანეთი! — ოთახში შემოიხედა თამარმაც, ლევანი და ლანა ცნობისმოყვარედ შეათვალიერა და მერეღა თქვა: — გამოდით, წარბრძანდა ის ვაუბატონი.

შუა ოთახში გასულ ლანასა და ლევანს, ნიკოლოზ დვალი მართლაც, აღარ დახვდათ.

— რა მოელანდა? — იკითხა შეფიქრიანებულმა ლანამ.

— ვიღაც მასავით ბნელმა ტიპებმა მოაკითხეს და სადღაც წაიყვანეს... — უხალისოდ უპასუხა შვილს თამარმა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჟენევაში ყოველწლიური საერთაშორისო ავტოსალონი წლეულს, 76-ედ ტარდება. ამჯერად, აუდიტორიის წინაშე 80 ქვეყნის 900 ფირმის პროდუქცია წარმოადგინეს, მათ შორის — 140 მსოფლიო პრემიერა.

ჟენევის საერთაშორისო პრემიერები

ყველა საერთაშორისო ავტოდათვალიერებას განუმეორებელი სპეციფიკა აქვს. შვეიცარიაში გამართული სალონის ძირითად თავისებურებად, ფუფუნების დემონსტრირებას მიიჩნევენ. „მაღალი საავტომობილო მოდისადმი“ მიდრეკილების დასტურად, წლეულს წარმოდგენილ „ბენტლის“ საკოლექციო სერიას ასახელებენ, რომელიც შეზღუდული ტირაჟით, ფირმის სათავო ქარხნის დაარსებიდან 60 წლისთავის აღსანიშნავად გამოუშვეს. ხელით აწყობილი სერიის სახელწოდება — „ბრილიანტი“ — „ბრილიანტის ქორწილის“ ცნებასთან ასოცირდება; მისი თითოეული ეგზემპლარი, ექსკლუზიურობის დამადასტურებელი აქსესუარებით გამოირჩევა, კაპოტქვეშ კი, მისი ამწყობი ოსტატის სახელია გრავირებული(!). კომპანიის მესვეურთა თქმით, ამ სერიის თითოეულ მანქანაზე (მისი ფასი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, 400 ათასი ევროდან იწყება) უკვე გაფორმებულია შეკვეთა. „ბრილიანტის“ სერიის ყველაზე იაფფასიანი მოდიფიკაცია — „კონტინენტალი“ 260 ათასი ევრო ღირს.

„ბენტლის“ ფასებს უახლოვდება კიდევ 2 ავტომობილი — „ბუგატი ვეირონი“ და „პაგანი როდსტერი“. სულ მალე, ევროპის ბაზარზე გამოჩნდება „ფერარი 599 გრან ტურიზმო ბერლინეტა“, რომელიც „575 მარანელოს“ შეცვლის და 280 ათასი ევრო ეღირება. მასზე ცოტა იაფი — 250 ათასი ევრო მომხმარებელს „ლამბორჯინის“ ახალი ვერსია დაუჯდება.

ძვირად ღირებულ იაპონურ მანქანებს შორის, აღსანიშნავია წარმომადგენლობითი „ლექსუსი“, რომელიც 4,6 ლ მოცულობისა და 380 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათია აღჭურვილი. სიჩქარის რბილად მომატებას 8-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი უზრუნველყოფს.

და მაინც, ორგანიზატორების თქმით, წლევანდელი დათვალიერების მთავარი თავისებურება ის გახლავთ, რომ მათ საბოლოოდ გააკეთეს „არჩევანი მომავლის სასარგებლოდ“. სწორედ ამიტომ, ჟენევაში ჩატანილია ათასგვარი პროტოტიპი და კონცეპტუალური მოდელი და, აგრეთვე, ალტერნატიული საწვავით მომუშავე მანქანები. სპეციალისტთა აზრით, ავტოშოუს ჰიტებს შორისაა: კონცეპტი „ვოლვო C3“, „ალფა-რომეო სპაიდერი“, „ლამბორჯინი გალარდო სპაიდერი“, „ფერარი 599 GTB“, „პორშე 911 ტურბო“ და „ლოტუს ევროპა S“.

კომპანია „ნისანის“ სტენდზე ერთდროულად 2 კონცეპტუალური ავტომობილია გამოფენილი: ელექტროძრავებით მომუშავე, მომცრო „პივო“ და სრულამძრავიანი „ტერანო“. „ტოიოტამ“ წარმოადგინა კონცეპტი — „ურბან კრაიზერი“.

კონცეპტების გარდა, ჟენევაში უამრავი სერიული მანქანაა წარმოდგენილი და აღსანიშნავია, რომ მათი უმეტესობა ბევრი ისეთი რამით გამოირჩევა, რაც სულ ცოტა ხნის წინ, ლამის ტექნიკის საოცრებად იყო მიჩნეული. როგორც ძვირად ღირებულ, წარმომადგენლობით, ასევე უბრალოდ საქალაქო ავტომანქანებს, დახვეწილი დიზაინი, მოხდენილი ფორმები, კომფორტული სალონი და დამხმარე ფუნქციების სიუხვე ახასიათებს. იშვიათია თუნდაც, საშუალო კლასის ისეთი მანქანა, რომელსაც არ ახლავს სანავიგაციო სისტემა და გაფართოებული კონდიცირების სისტემა, რომლითაც სავარძლებში დატანებული კონდიციონერებიდან მთელ სალონში ჰაერის გავრცელება ხდება.

გვერდითი სარკეები თითქმის ყველა მოდელზე ვიდეოკამერებმა შეცვალა, ხოლო ბამპერში ჩამონტაჟებული კამერები ეხმარება მძღოლს, პარკირებისას უფრო ზუსტად განსაზღვროს მანქანის გაბარიტები და დაინახოს ესა და თუ ის მცირეგაბარიტიანი დაბრკოლება.

პრემიერებს შორის საავტომობილო სამყაროში მოუთმენლად ელოდნენ „პეჟო-207“-ს, რომელიც ახლო მომავალში, ევროპაში პოპულარული, 206-ე მოდელის ადგილს დაიკავებს. აღსანიშნავია, რომ 8-წლიანი არსებობის მანძილზე, „პეჟო-206“ 5 მლნ-ზე მეტი რაოდენობით გაიყიდა სხვადასხვა ქვეყანაში.

ახალი მოდელი, წინამორბედთან შედარებით, უფრო დიდი ზომისაა. მისი სიგრძე 4,03 მ-ს (140 მმ-ით მეტი, ვიდრე წინამორბედის), ხოლო საბარგულის მოცულობა 270 ლ-ს შეადგენს და ძველი მოდელისას 25 ლ-ით აღემატება. ყველაზე საინტერესო კი, ამ მანქანაში მის კაპოტქვეშ იმალება: ძრავა, რომელსაც ერთობლივად, „პეჟო-სიტროენისა“ და „ბე-ემ-ვეს“ ქარხნებში დაამზადებენ. 1,6 ლ მოცულობის ახალი, გაცილებით სრულყოფილი ტურბოძრავა 150 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. კომპანიის მესვეურები ჯერჯერობით, არ ამჟღავნებენ ავტომოყვარულთათვის ყველაზე საინტერესო ინფორმაციას, „პეჟო-207“-ის ფასს. ამავე დროს, აღსანიშნავია მათი განცხადება იმის შესახებ, რომ გარკვეული ხნის მანძილზე, ორივე მოდელი ერთდროულად გაიყიდება, შემდეგ კი, ზოგიერთ ბაზარზე ახალ „207“-ს გვერდს დაუმშვენებს სედანისძარიანი „პეჟო-206“, რომელიც ირანში მდებარე ქარხანაში აეწყობა. დაბოლოს: ახალი „პეჟოს“ რეალიზაციის დაწყება წლევანდელ ზაფხულსაა ნავარაუდევი.

„პეჟოს“ მუდმივი მეტოქე — ასევე ფრანგული ავტოგიგანტი „რენო“, ჟენევაში ცნობილი მოდელის — „კლიოს“ სპორტული ვერსიითა და ფუტურისტული კონცეპტით — „ალტიკით“ წარდგა ავტომოყვარულების წინაშე.

სალონზე დიდი ინტერესი გამოიწვია „აუდის“ ორმა ახალმა ყველგანმავალმა — „ოლროუდ“ და „Q7“. ბუნებრივია, მათი ფასები საკმაოდ მაღალი იქნება, მაგრამ გერმანული ხარისხის ამ ნიმუშების საიმედოობასა და კომფორტულობაში ეჭვი არავის ეპარება.

შედარებით იაფფასიან ყველგანმავლებს შორის, ყურადღებას იპყრობს იაპონური მოდელები: „სუძუკი SX4“, „დაიჰაცუ ტერიოს“. ჟენევის ავტოსალონზე ჯიპი ჩაიტანა აგრეთვე, კომპანია „შევროლემ“. მოდელი „კაპტივა“, რომელიც მან წარმოადგინა, ე.წ. „კორეული“ „შევროლეა“. ის ორი — 5 და 7-ადგილიანი ვარიანტით იწარმოება. კომპანიამ შვეიცარიაში წარმოადგინა აგრეთვე, სედანი „ეპიკა“ (ის „ევანდას“ შეცვლის), რომელიც არა მარტო 2,0 ლ მოცულობის 4-ცილინდრიანი, არამედ 6-ცილინდრიანი ძრავათი იქნება აღჭურვილი.

იმ ავტომობილებს შორის, რომლებსაც უახლოეს მომავალში, სხვადასხვა ქვეყნის დილერები მიიღებენ, საყურადღებოა ამერიკული კორპორაცია „ფორდის“ 3 მოდელი: მინივენები S-MAX-ს და Galaxy და „ფორდ ფოკუსის“ ბაზაზე შექმნილი, ძალზე ლამაზი კუპე-კაბრიოლეტი.

აუცილებელია აღინიშნოს ახალი „ვოლვო S80“-ის ღირსებები, რომელსაც აღმოსავლეთ ევრპოპისა და დსთ-ის ბაზრების დილერები უკვე აპრილ-მაისში მიიღებენ. ამ მოდელის მანქანები სხვადასხვა ძრავათი იქნება აღჭურვილი — 4-ცილინდრიანი დიზელის აგრეგატით დაწყებული, 8-ცილინდრიანი ბენზინის ძრავათი დამთავრებული, — რომელთა სიმძლავრის დიაპაზონი 140-დან 300 ცხ.ძ-ს შორის მერყეობს. ■



მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიის ფურცლები

პირველი ცდა – ურუგვაი, 1930 წელი

სულ უფრო ცოტა დრო რჩება საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე, რომელსაც მოუთმენლად ელიან სპორტის ამ სახეობის ქომაგები (და არა მარტო ისინი). მომავალი მუნდიალი, რომელიც გერმანიაში გაიმართება, რიგით მე-18 იქნება. პირველი მსოფლიო ჩემპიონატი კი, შორეულ 1930 წელს, ურუგვაიში ჩატარდა. როგორი იყო ეს ასპარეზობა, რა გამოუვიდათ მსოფლიო ფეხბურთის მესვეურებს? — ამ კითხვებზე პასუხი ალბათ, საინტერესო იქნება სპორტის მოყვარულთათვის.

პირველი მუნდიალის ჩატარებას 26 წლით უსწრებდა წინ, დღეს უკვე მთელ პლანეტაზე ისეთი გავლენიანი და ცნობილი ორგანიზაციის შექმნა, როგორიცაა ფიფა. იგი 1904 წლის 21 მაისს დაარსდა. ფიფა-ს პირველ პრეზიდენტად ფრანგი რობერ გერონი აირჩიეს. სწორედ გერონი იჩენდა აქტიურ ინიციატივას, რომ ჯერ საკლუბო, ხოლო შემდგომში, სანაკრებო დონეზე გამართულიყო მსოფლიო ჩემპიონატი. ამიტომ, ფიფა-ს დამფუძნებელ კონგრესზე (1904), ორგანიზაციის წესდების მეცხრე პუნქტში ჩაიწერა: „ფიფა-ს, საერთაშორისო ჩემპიონატების ჩატარების ექსკლუზიური უფლება აქვს“.

1921 წელს პირველ აპრილს, ფიფა-ს პრეზიდენტის პოსტზე ფრანგი ჟიულ რიმე აირჩიეს, რომელმაც 1920 წლის ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას გამოიჩინა თავი.

მისი თაოსნობით, 1928 წლის 29 მაისს, ფიფა-მ ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება მიიღო. ამ დღეს, ამსტერდამში, ორგანიზაციის კონგრესზე ხმათა უმრავლესობით (27 — 5-ის წინააღმდეგ) დაამტკიცეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, რიმეს თანამემამულის, ანრი დელონეს მოსაზრების შესაბამისად, მსოფლიო თასის პირველი გათამაშება 1930 წელს გამართულიყო. ამსტერდამში ფაქტობრივად, ყველაფერი გადაწყდა, გარდა ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხისა — ვის უნდა ემასპინძლა მუნდიალისათვის. მასპინძელი ქვეყნის დასახელება ბარსელონაში ერთი წლის შემდეგ, 1929 წლის 18-19 მაისს მოხდა. ამ საპატიო მისიის შესრულებას ექვსი ქვეყანა (იტალია, შვედეთი, ჰოლანდია, უნგრეთი, ესპანეთი, ურუგვაი) ეცილებოდა ერთმანეთს. კონგრესის დელეგატებმა მოულოდნელად, უპირატესობა სამხრეთამერიკელებს მიანიჭეს. რაც შეეხება ტურნირის გამარჯვებულისათვის დაწესებულ ჯილდოს, იგი ფიფა-ს დაკვეთით, 1800 გრამი ოქროსაგან იუველირმა აბელ ლაფლერმა დაამზადა. ეს გახლდათ ძველბერძნული, გამარჯვების ქალღმერთის, ნიკეს ქანდაკება, რომელმაც 53 წელი იარსება — მანამდე, ვიდრე ბრაზილიელებმა არ დაისაკუთრეს, ხოლო ამ მოვლენიდან 13 წლის შემდეგ, ბოროტმოქმედებმა მოიპარეს (მას სპორტული სამყარო, „ჟიულ რიმეს თასის“ სახელით იცნობს).

არგენტინა, 1930

მიუხედავად იმისა, რომ ურუგვაიში „თასი“ რაოდენობის (13) მონაწილე გუნდები შეიკრიბა და მუნდიალის პირველი დღეც „თარს“ რიცხვს — 13 ივლისს დაემთხვა, ის მაინც წარმატებულად წარიმართა. ფინალური მატჩი კი, ტურნირის ნამდვილ მშვენებად იქცა. თანამედროვე მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეთა უმრავლესობას, მოქმედი შესარჩევი სისტემის შესაბამისად, ევროპის გუნდები წარმოადგენენ, მაგრამ 1930 წელს, ნიკეს თასისთვის მებრძოლ გუნდთა უმრავლესობა, სწორედ სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკიდან იყო. ეს უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მიზეზით გახლდათ განპირობებული: ტრანსატლანტიკურ მოგზაურობაში წასვლა „ბებერი კონტინენტის“ მხოლოდ ოთხმა წარმომადგენელმა გაბედა. ამასთან, ხარჯების შესამცირებლად, ფრანგებმა, ბელგიელებმა და რუმინელებმა ერთი ლაინერი — CONTE VERDE იქირავეს, ხოლო იუგოსლავიელები, თავად ჟიულ რიმესა და სანუკვარ „ოქროს ქალღმერთთან“ ერთად, სხვა ხომალდით — FLORIDA-თი გაემგზავრნენ სამხრეთ ამერიკაში.

ანდრადე, 1930

ამგვარად, პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში 1930 წლის 13-30 ივლისს მიმდინარეობდა, საფრანგეთის, ბელგიის, რუმინეთის, იუგოსლავიის, პერუს, აშშ-ის, არგენტინის, ბრაზილიის, ჩილეს, მექსიკის, პარაგვაისა და, რა თქმა უნდა, მასპინძელთა ნაკრებმა გუნდებმა მოიყარეს თავი.

ისინი ოთხ ქვეჯგუფად დაიყვნენ; ქვეჯგუფებში გამარჯვებულები ნახევარფინალში გადიოდნენ, ხოლო შემდეგ, შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობდა. 13 ივლისს, ორი მატჩი შედგა: ფრანგები მექსიკელებს დაუპირისპირდნენ, ხოლო ბელგიელები — ამერიკელებს. ისტორიული პირველი გოლი კი, ფრანგმა ლუსიენ ლორანმა ადგილობრივი დროით 15.20 სთ-ზე გაიტანა.

ნახევარფინალში ევროპელთაგან მხოლოდ იუგოსლავიელები გავიდნენ, რომლებიც მომავალ ჩემპიონთან, ურუგვაის გუნდთან ანგარიშით 1:6 დამარცხდნენ. ასეთივე ანგარიშით დათმო მატჩი აშშ-ის ნაკრებმა არგენტინელებთან.

ამგვარად, ფინალში ტურნირის მონაწილეთაგან უძლიერესი — ურუგვაისა და არგენტინის ნაკრები გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. ამ პაექრობის წინ, უჩვეულო აჟიოტაჟი ატყდა. არგენტინელებმა

ურუგვაიში ქომაგთა მრავალათასიანი „დესანტი გადასხეს“. ტურნირის ორგანიზატორები კი, რომლებსაც სამხრეთამერიკელთა ტემპერამენტულობის შესახებ კარგად მოეხსენებოდათ, იძულებული გახდნენ, რომ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მიეღოთ. იმისათვის, რათა მონტევიდეოს სტადიონ) „სენტენაროზე“ 30 ივლისს, პოლიციელთა საჭირო რაოდენობა ყოფილიყო,

რიმე თასით

ურუგვაიელებმა 10 ათასი ბილეთის გაყიდვაზე უარი განაცხადეს. გარდა ამისა, ტრიბუნებზე შესვლამდე, ისინი თითოეულ ქომაგს საგანგებოდ ამოწმებდნენ, რათა ვინმეს ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღი არ შეეტანა.

ბუნებრივია, მატჩი დიდი ვნებათაღელვის ატმოსფეროში მიმდინარეობდა. მასპინძლებმა პირველი ტაიმი დათმეს, მაგრამ შესვენების შემდეგ, თამაშში გარდატეხის შეტანა მოახერხეს და პაექრობა თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს (4:2).

თამაშის დამთავრებისთანავე, ფიფა-ს პრეზიდენტი, ჟიულ რიმე მოედანზე ჩავიდა და ურუგვაიელ ქომაგთა ჟრიამულის ფონზე, მასპინძელთა გუნდის კაპიტანს, ხოსე ნასასის მსოფლიო თასი გადასცა. არგენტინელმა ქომაგებმა კი, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს და სამშობლოში, ურუგვაის საელჩოს მიადგნენ და კინაღამ მისი ოკუპაცია მოახდინეს. რა თქმა უნდა, საქმეში პოლიცია ჩაერია, რასაც სისხლის ღვრაც კი მოჰყვა...

ამის შემდეგ, ორი ქვეყნის საფეხბურთო ფედერაციას შორის გარკვეული ხნით, ურთიერთობა შეწყდა. მუნდიალის ორგანიზატორებმა კი, საკმაოდ დიდი მოგება ნახეს. საერთო შემოსავალმა იმ დროისთვის სოლიდური თანხა — 255.107 დოლარი შეადგინა.

საინტერესო ფაქტები

1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატის 18 მატჩს სულ 434000 მაყურებელი დაესწრო (საშუალოდ, თითო შეხვედრას 24111 კაცი). გავიდა სულ 70 გოლი (საშუალოდ, 3,89 თითო მატჩში). დანიშნული 4 პენალტიდან, ფეხბურთელებმა მხოლოდ ერთის რეალიზება მოახერხეს. პირველი მუნდიალის ბომბარდირი, არგენტინელი სტაბილე გახდა (8 გოლი).

აშშ-ის ნაკრები სამუდამოდ შევიდა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, როგორც გუნდი, რომელმაც ტურნირზე გამართულ სამ მატჩში მხოლოდ 11 ფეხბურთელი გამოიყენა.

პერუელი გალიანდო აღმოჩნდა პირველი მოთამაშე, რომელიც მოედნიდან გააძევეს (მან ჩხუბი ატეხა). მიუხედავად ამისა, მან მომდევნო მატჩშიც მიიღო მონაწილეობა, რადგან იმხანად, დისკვალიფიკაცია ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული. საინტერესოა, რომ მაშინ, მხოლოდ მეკარეთა შეცვლა იყო დაშვებული.

ურუგვაის ნაკრების ღირსებას ცალხელა თავდამსხმელი, ეკტორ კასტრო იცავდა, რომელმაც ფინალურ მატჩში 1930 წლის მუნდიალის ბოლო გოლი გაიტანა.

ეს ჩემპიონატი იყო ერთადერთი, რომელშიც მესამე ადგილისათვის მატჩი არ შემდგარა. გასაკვირია, მაგრამ ფიფა-ს ოფიციალურ ბიულეტენში 1984 წელს, გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 1930 წლის მუნდიალზე მესამე ადგილისათვის გამართულ მატჩში იუგოსლავიელებს აშშ-ის გუნდი დაუმარცხებიათ (3:1). სინამდვილეში, ეს ცნობა შეცდომით,

ურუგვაი, 1930

ტურნირის წინ ჩატარებული ოლიმპიური თამაშებიდან იყო აღებული.

უჩვეულო შემთხვევა მოხდა არგენტინისა და მექსიკის ნაკრები გუნდების პაექრობისას. არგენტინელთა სასარგებლოდ დანიშნული პენალტი მეკარე ბონფილიამ მოიგერია, მაგრამ მოწინააღმდეგე — სუმელსი სწორედ მაშინ წააქცია, როდესაც ის დამატებითი დარტყმის განხორციელებას აპირებდა. არბიტრმა მეორედ დანიშნა თერთმეტმეტრიანი, მაგრამ სუმელსმა კვლავ ვერ გაიტანა.

ამერიკელი ბრეტ პეიტნოუდი მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველი ჰეთთრიკის ავტორი გახდა. მართალია, ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ პარაგვაიელებთან გამართულ მატჩში, აურელიო გონსალესმა ავტოგოლი გაიტანა, მაგრამ ფიფა-ს ოფიციალური წყაროების თანახმად, ის სწორედ პეიტნოუდს ეკუთვნოდა, ამიტომ პირველი ჰეთთრიკიც მას ეკუთვნის. ურუგვაიში კიდევ ერთი ჰეთთრიკი შესრულდა: ამჯერად ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა, გილერმო სტაბილემ გამოიჩინა თავი.

სტაბილე, 1930

რუმინეთის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი, ქვეყნის იმჟამინდელი მმართველი, მეფე კაროლი გახლდათ. საინტერესოა, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე, კაროლმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც, ნაკრების წევრები, ხელფასის შენარჩუნებით, სამი თვით თავისუფლდებოდნენ თავ-თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისგან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1930 წელს, მხოლოდ მეკარის შეცვლა იყო დაშვებული. მიუხედავად ამისა, რუმინელთა და პერუელთა დაპირისპირებისას, ფიფა-ს ოფიციალური მონაცემების თანახმად, მაინც შედგა შეცვლა. მე-80 წუთზე, მინდვრის მოთამაშემ, დემეტრიო ნეირამ, როდრიგეს ლისარდო ნუეს დაუთმო ადგილი. ■

ინგა ჯაყელი

ქვეშაფსია სიძე და „განგების სამართალი"

როგორც წესი, სიძე-სიდედრის ჩხუბის მიზეზი, სიძის „გამოუდგომლობა" და უხეირობაა. გამონაკლისი არც ის შემთხვევაა, რომელიც ახლა უნდა გიამბოთ.

ავი სიდედრის სახელით ცნობილ ნანული დეიდას ნამდვილად ჰქონდა გაავების მიზეზი — ზედსიძედ შემოყვანილი ზურია ემოციურ ქალს კი არა, ქვის ნერვების მქონესაც აუდუღებდა სისხლს: არც ბაღ-ვენახის დარდი ჰქონდა, არც სიმამრის დატოვებული სახლის დახვრეტილი შიფერის და არც დასათხოვრად დაფრთიანებული გოგოების, რომლებსაც მამის ლოთობის გამო, „მოუბრუნებლად" გასწყრმოდა ბედი... გათენდებოდა თუ არა, იმის დარდი ჩაუქრობდა ისედაც დაბინდულ მზერას სასმელი სად ეშოვა... არა, ზურიასთვის რომ გეკითხათ, მისი ლოთობის მიზეზი, გულქვა და ენამწარე სიდედრი იყო: მთვრალი რომ ვარ სულ, მაგიტომაა მაგ შობელძაღლი ამდონ ხანს ცოცხალი, თვარა, ფხიზელზე კი არ მოვუთმენდი ენის ტლიკინს, წოვუჭერდი ყელში ხელს და გავგუდავდიო! — ტრაბახობდა ბირჟაზე მდგომი და გამუდმებით სადმე შორს გაქცევით იმუქრებოდა:

— ქალი და ბაღნები მენანება დასატიებლად, თვარა, კაი ხნის წინ გევიქცეოდი. ქალაქში ერთი გოუთხოვარი მეზობელი ყავს ჩემს ბიძაშვილს, სახლიც კაი აქვს, კარიც, მანქანაც — კაი პატიოსან კაცს ეძებს ბაღანეის გასაკეთებლად და თან გადაყობა თურმე... ამას წინეებზე ჩემი ბიძაშვილის სიმამრის ტირილში თვალი არ მოუშორებია ჩემზა, შემჭამა მზერით, ოღონდ ჩევიდე და...

ბიძაშვილის სიმამრის გასვენებაში ზურია რომ ყურადღების ცენტრში იყო (ოღონდ — სხვა მიზეზით), ამას არც მისი სიდედრი — ნანული დეიდა უარყოფს:

— ისე დათვრა და გამოშტერდა, მკვდარს არ აყენებდა კუბოში, მელოტ თავზე ხელს უტყაპუნებდა: — ადექი, წასვლამდე ბოლო ჭიქა დაგვილიე და შენებურად გულიანად დაგვლოცეო!.. მერე იყო და ვერ შეიკავა თავი გაჭრილი სამარის პირას, ველარც ხელი შეაშველეს და ჩავარდა ბიკენტიას საფლავში. დევიწვი სირცხვილით, სიმწრით შევიკავე თავი, რომ არ მეკივლა — ჩატოვეთ შიგნით და რაც შეიძლება ღრმად ჩამარხეთ-თქვა!.. მეზობლის ქალი, ჩიტოლიე, შეშინებული, თვალს არ აშორებდა და ჩქარჩქარა იმეორებდა: ბედი მქონია, ღმერთმა გათხოვება რომ არ მაღირსაო!.. იმის ოჯახი დეიქცა, ვინცხამ მაგი სიძედ შემომატყუა და ამომაგდო!

ყოველ გამოსვლას ასე — წყევლით ასრულებდა ნანული დეიდა და მგონი, მართლა აუხდა მისი ნათქვამი მაშვალ თალიკოს, რომელსაც გაუთხოვრად დაუბერდა სამი გოგო და შვილიშვილს ვერ ეღირსა მისი ეზო-გარემო...

მოკლედ, კვირაში ორჯერ მაინც ატყდებოდა ხოლმე კივილი, წყევლა-კრულვა და გინება ნანული დეიდას სახლში და მეზობლები ისე შეეჩვივნენ ამ ამბავს, აღარც კითხულობნენ ჩხუბის მიზეზს. მაგრამ იმ დღეს, განსაკუთრებით ხმამაღლა მორთო კივილი უბედურმა ქალმა და ნახევარი საათი რომ აღარ გაჩუმდა, ჯერ ერთმა მეზობელმა შეუღო ჭიშკარი, მერე — მეორემ და ნელ-ნელა შეიყარა ხალხი.

— შეხედეთ, არც ახლა დეიჯერებთ ჩემს უბედურობას? ა, ამასაც მევესწარი — ჩეიფსა ამ უდღეურმა და მომისპო ნამზითვი ლეიბ-საბანი, მე შენ გეტყვი და თავისი მოყვა რამე, უპატრონოდ სახლიდან გამოგდებულს!.. ა, უყურეთ და დარწმუნდით, რა უყო ლოთობამ! — თეთრი ბაირაღებივით აფრიალებდა ზეწრებს ნანული დეიდა და მალე ერთიანად სველი ლეიბიც გადმოფინა აივანზე...

ზურია თავიდან, მუდარით ცდილობდა სიდედრის შეჩერებას: — კაი, ნუ მჭრი თავსო! — მერე, ხმას აუწია და ბოლოს, გინებაზეც გადავიდა მაგრამ ვინ მოუსმინა?! ქალი სულ უფრო და უფრო უმატებდა ხმას:

— მისდღემჩი არ ოულაგებია თავისი ლოგინი, გამოძვრებოდა ღორივით და მიიპარებოდა. დღეს გამევედი და არ არტყამს აქეთ-იქით წრეებს — „ადიალას" კიდეებს უსწორებს?! რომ შევესწარი, შემომცინა: ხომ ხედავ, შენთან ჩხუბს მირჩევნია, გამოვსწორდეო! — მარა, მაგი მომატყუებს მე-ე?! ვეტაკე ლოგინს და ა, ქე ხადავთ! რა სვა მაინც ამფერი, სპირტში ამოვლებულივით ყარს „პროსტინა"!.. — გაჩუმდი, ქალო-თქვა! — ზეწარი თავისკენ მოქაჩა ზურიამ, არც ნანულიმ დაუთმო და მეორე მხარეს ცოცხალი თავით არ უშვა ხელი. ამ გაწევ-გამოწევაში, ზეწარი შუაში გაიხა, გაიფხრიწა, ზურია კედელს შეასკდა და დარეტიანებული ჩაიკეცა, ნანული დეიდა კი, რეზინის ბურთივით გადაევლო რიკულებიან მოაჯირს და თავით ჩაერჭო იქვე დაყრილ ქვიშის გროვაში, რამაც გადაარჩინა მეორე სართულიდან გადავარდნილი, თორემ ისე, გულში ჩაკრული, ჩაფსმული ზეწრით „აფრინდებოდა" ზეცაში...

ეცნენ ქალები და გადმოაბრუნეს. სილით გამოტენილი პირი გამოუწმინდეს, გული და პირისახე ცივი წყლით დაუზილეს და როგორც იქნა, მოასულიერეს, მაგრამ რად გინდათ!.. მოაღო პირი და აუტყდა ისტერიკული სიცილი. თავიდან, სხვებიც აჰყვნენ, მაგრამ რომ აღარ და აღარ გაჩერდა ქალი, შეფიქრიანდნენ, ჯონდოიამ თავისი დაფეხვილი „მოსკოვიჩი" გამოიყვანა გარაჟიდან და ნანული საავადმყოფოში გააქანეს.

ნევროპათოლოგმა ტვინის შერყევა დაუდგინა, დამამშვიდებლები გაუკეთა და ახლობლები „დაიმედა": — ნუ გეშინიათ, სიკვდილით არ მოკვდება, მარა დაცემისას „ენა გოდოუყლაპავს" და შეიძლება, მუნჯი დარჩესო...

მსგავსი დიაგნოზი არც მანამდე გაეგონათ მეზობლებს და არც ახლა დაიჯერეს, მაგრამ როცა ორი კვირაც გავიდა, ერთი თვეც, შერყეული ტვინიც „დაულაგდა" ნანულის და ფეხზეც გაიარა, ხმა კი მაინც ვერ ამოიღო, ისე მიდიოდნენ მის სანახავად, როგორც პროვინციულ ქალაქში ჩამოსული ეგზოტიკური ცხოველების სანახავად ცირკში. ჩუმად ზურიას ართმევდნენ ხელს და ულოცავდნენ: სამაღარიჩო საქმე მოგსვლიაო!.. ისიც მუშტებს იბრაგუნებდა მკერდზე: ვენაცვალე ღმერთის სამართალსო!.. მაგრამ ცოტა ხანში, იმავე „სამართლით" რომ მასაც მიუზღო გამჩენმა, ეს ნამდვილად აღარ გახარებია: როგორც კი ორ ჭიქა ღვინოს დალევდა ზედიზედ, ისეთი თავის ტკივილი აუვარდებოდა, ცივი ხმით აკივლებდა და სანამ გულისრევით უკან არ ამოიღებდა, არაფერი შველოდა.

კი გააქცუნა ცოლმა ექიმთან, ისე, ყოველი შემთხვევისთვის, მაგრამ ჯიბეში ფულის ჩაცურებისას ჩასჩურჩულა: არ დამღუპო, არ მოარჩინოო!.. ექიმმაც თქვა: წაქცევისას თავი დოურტყამს და ტვინის ცენტრი დაზიანებია, მაგას მე კი არა, ამერიკელი ექიმებიც ვერ არჩენენო... „დაიბანა ხელი" და მორჩა...

ასე ჩამოვარდა „მშვიდობა" ნანულისა და ზურიას ოჯახში, რაც კარგა ხანს ეყო საჭორაოდ პროვინციული ქალაქის ბირჟას... ■

1 სახელმწიფოს ძირითადი კანონი
2 რიმე საქმეში სიახლის შემტანი
3 შხამიანი ობობა
4 ავტორი ოპერისა — „კარმენი“
5 ვაზის ხეივანი
6 დახელოვნებული მზარეული
7 ისტორიული ოლქი ესპნეთში
8 დაბადების მოწმობა
9 ფრანგი იმპრესიონისტი
10 სახის მანჭვა
11 ამბორცული გამოსახულება სიბრტყეზე
12 გველესაპი
13 ასხლეტა
14 პიტალო კლდე
15 ყვავილი
16 მოხატული ჭერი
17 დედალი ცხენი
18 იაპონელთა ნაციონალური სამოსი
19 ისტორიული მხარე საქართველოში
20 ესპანელი ფერმწერი
21 განყოფილების სათაური გაზეთში
22 „ფორდის“ მოდელი
23 მეტყველების ორგანო
24 რუსი ილუზიონისტი
25 პატარა ქვევრი
26 თევზის წვნიანი
27 კორეული ავტომობილი
28 ძველებური ვენეციური ოქროს ფული
29 წყლით გაჟღენთილი, ნესტიანი
30 სასწორის თეფში
31 წიგნის შინაარსის მოკლედ გადმოცემა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. სანიტარი; 2. სინოდი; 3. დოლაბი; 4. ლიბერალიზმი; 5. ჩაროზი; 6. ვეჩე; 7. მელომანი; 8. ბალადა; 9. ალეგორია; 10. გელათი; 11. რამაზანი; 12. ლენინი; 13. რიყე; 14. იაჰვე; 15. ხუნდი; 16. იახტა; 17. ტუნისი; 18. ბელადი; 19. გეგმა; 20. პაიკი; 21. ტურა; 22. ბუზი; 23. ბოტი; 24. სიონი; 25. ლაზი; 26. სტორმონტი; 27. ემი; 28. სტაინბეკი; 29. თონე; 30. სინუსი; 31. სეტი; 32. ის.

სურათზე: დრიუ ბერიმორი.

21-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-გ; 3-ა.
23-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-გ; 4-ბ.

ქართული ენაში დამკვიდრებული გამოთქმები

აინუნში არ მომდის

„აინ“ არაბული სიტყვაა და ქართულად „თვალს“ ნიშნავს. „აინუნ“ კი — „თვალებს“. ე.ი. გამოთქმა დაახლოებით იმასვე ნიშნავს, რასაც „თვალში არ მომდის“, არ მომწონს და ა.შ.

ტალანტი

ტალანტი, ძველ დროში, ფულის ერთეული გახლდათ, ის ისრაელში იყო გავრცელებული. მოგვიანებით, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში წონის ერთეულადაც იყენებდნენ. შემდეგ მან გადატანითი მნიშვნელობა შეიძინა და დიდ უნარს, ნიჭს ეწოდა.

ყურმოჭრილი მონა, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა

გამოთქმა წმინდა ქართული წარმომავლობისაა. როგორც მეცნიერებს მიაჩნიათ, ძველ საქართველოში ყმისათვის ყურის მოჭრის ჩვეულება ყოფილა გავრცელებული, ყურმოჭრილ ყმას მებატონისგან გაქცევა აღარ შეეძლო და მის უერთგულეს (იძულებით) მსახურად ითვლებოდა. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა ნამდვილად ერთგულ ყმას, ბატონის პატივსაცემად, საკუთარი სურვილით მოუჭრია ყური... ამჟამად, გამოთქმა „ყურმოჭრილი ყმა“ ნიშნავს ისეთ ადამიანს, რომელიც საკუთარი ქონებრივი, დანაშაულებრივი თუ სხვა რაიმე მდგომარეობით იძულებულია, იაროს ვინმეს ჭკუაზე.

როცა ადამიანებს ყურებს აჭრიდნენ, მოშუშების მიზნით, ჭრილობაზე დაკეპილ ხახვს აყრიდნენ. აქედან წამოვიდა გამოთქმა — „ყურებზე ხახვი არ დამაჭრა“, რაც ნიშნავს: ერთბაშად, მე შენი მონა არ გავხდე.

ანეკდოტები

***

— ამირან, ყურზე დათვმა ხვარ დაგაბიჯა?

— რას ლაპარიკობ?! აბსოლიტური სმენა მაქს!

— სმენა, რა შვაშია?!. სარკეში ჩეიხედე.

***

იცინის ის, ვინც... ცხენივით იცინის.

***

— როგორი მამაკაცები მიიჩნევიან ელეგანტურებად?

— რომლებსაც არ უკეთიათ ბეჭედი... ოღონდ, ქო-რ-წი-ნ-ების!

***

ექიმი პაციენტს ეკითხება:

— ჭიჭიკია, გამოგისტორდა მახსოვრობა?!.

— ეეე!.. შენ ვინ ხარ, მაი რო გაინტერესებს?!.

***

— ჩემი მეზობლის ოჯახი ნამდვილი სამოთხეა! — ამბობს მარო.

— რატომა?!

— მიტომ, რო, მაგი ბიჭს ადამი ქვია, გოგოს კიდენა, ევა!

— თითონ ვინღაა?

— თითონ მაყვალაი კი, ნამდვილი გველია!

***

— თამრო რატომ არ თხოვდება?

— იდეალურ მამაკაცს ელოდება.

— და როგორია მისი იდეალური მამაკაცი?

— რომელიც მის ცოლად მოყვანას მოინდომებს.

***

— ბრალდებულო, მიხო, აბა, მოუყევით სასამართლოსა, როგორ გააუპატიურეთ ქალბატონი ცისანა.

— ზუსტად არ მახსომს, პატივცემულო მოსამართლე, მაგრამა მე მგონი, არაუშავ, ნორმალურადა...

***

ბედნიერი არმენა ჰყვება:

— ჩემმა შირაზამ, „სავრემენნად“ იმშობიარა — წყალში! ბავშვიც მაგარი გამოვიდა, „ცავატანემ“. სულ აკვარიუმში ყოფნა უნდა. მარტო აჭამე და წყალი გამოუცვალე, მააშ!

***

8 მარტის შემდეგ, ორი ბიზნესმენი ერთმანეთს ხვდება:

— ამირან, „პრაზდნიკების“ შემდეგ, როგორ გრძნობ თავს?

— 250 ათასი დოლარით უფრო მსუბუქად...

***

ორიგინალური რეკლამა:

„ჩადე კონვერტში 100 დოლარი, გამოგვიგზავნე და შენ მიიღებ მაისურს წარწერით — „დებილი“.

***

— ბუჭუნა, ვინ ჩაგილურჯა თვალი?

— ვინ და... ჩემმა ცოლმა ნაზიკიამ.

— რეიზა?!.

— რეიზა და გრამატიკიზა... შესტორება შოვუტანე წინადადებებში, სტორია, შენ და არა — ჩვენ-თქვა.

— კაი, ახლა, რას ბუუტურობ, თუ კაცი ხარ... სიმართლე მითხარი...

— სიმართლეს გეუბნები... გუშვინ ღამით ვწევარ ნაზიკიასთან ერთად „სპალნაში“ და უცებ მეუბნება, რამდენი ხანია, ჩვენ სექსი არ გვქონიაო, მე კიდო, შოვუსწორე, ჩვენ კი არა, შენთქვა... ეიღო იქვე დაგდებული ფლოსტი და მდრუზა...

***

— აგრაფინა პიჯაკი გამიწმინდე?!.

— აპა, არა?!.

— შარვალი?

— აპა, არა?!

— „ბათინკები?“

— რავა, იქინეც გაქვს ჯიბეები?!.

***

ამერიკელ ოფიცერს ერაყელი მოქალაქის აბუჩად აგდებისთვის 10 წელი მიუსაჯეს, რადგან ის ერაყელს რუსული ძეხვის ჭამას აიძულებდა.

***

ქუთაისში ქიმიის მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:

— აი, მე ოქროს ბეჭედს სპირტში ვდობ, როგორ გგონიათ, ბეჭედი გეიხსნება?

ბავშვები ერთხმად:

— არა, მასწ. რა თქმა უნდა, არ გეიხსნება. რო გახსნილიყო, ხვარ ჩადებდით...

***

— დავუშვათ, ორ ქალთან გაქვს სექსი და ამ დროს, მესამე შემოვიდა. რა მოხდება?

— ალბათ, განქორწინების პროცესი დაიწყება...

***

— ვალოდა, ჯგუფური სექსი გინდა?

— მინდა, სენი წილიმე.

— მაშინ, ჩქარა შინ გაიქეცი, ცოლთან, იქნებ, მიუსწრო...

***

აშკარა დაუჯერებელი!..

ქალი სარკეში რომ იყურება და სახეზე რაღაც ლაქას ხედავს, თურმე, პირველ რიგში, ყოველთვის სარკის წმენდას იწყებს ანუ სარკის ხარვეზი ჰგონია...

***

ორი ტიპი ერთმანეთს შეხვდა, ერთს პიტბული მოჰყავს, მეორეს ტაქსა. პიტბულის პატრონი ეუბნება:

— გზა დამითმე ტო, თორემ, ჩემი ძაღლი შენსას ნაფლეთებად აქცევს.

— აბა, სცადე!

პიტბული ტაქსას ეცა, ტაქსამ თვალის დახამხამებაში პიტბული ნაფლეთებად აქცია.

— ვაჰ, მომყიდე ძმაო შენი ტაქსა და ხუთი ათას დოლარს მოგცემ!

— არ გამოვა, ტო... იაფია. ათი ათასი ნიანგში მივეცი, ორმოცდაათიც მაგის პლასტიკური ოპერაცია დამიჯდა...

მაშენებელი ნატურა ხართ თუ მომხმარებელი?

ძველი გერმანული ანდაზა გვამცნობს: „ღმერთი გვაძლევს კაკალს, მაგრამ თავად როდი გვიმტვრევს მას“. წარმატება თავისთავად იშვიათად მოდის — ის უნდა მოიპოვო. ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება იღბლიანი მომენტები, მაგრამ ეს მომენტები იშვიათადაა ბედის ისეთი საჩუქარი, რომელსაც მოხმარების მეტი არაფერი სჭირდება. ხშირ შემთხვევაში, ეს გახლავთ ხელსაყრელი გარემოებები, რომლის გამოყენებასაც აქტიური და მიზანდასახული ადამიანები გონივრულად ახერხებენ. როგორი პოზიცია გაქვთ თქვენ? ხელსაყრელ გარემოებათა მოლოდინში, ძალზე პასიური პოზიცია ხომ არ გიჭირავთ? იქნებ, პირიქით, საკუთარი ცხოვრებისა თუ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მთების გადასადგმელადაც კი მზად ხართ? ეს ტესტი დაგეხმარებათ საკუთარ თავში გასარკვევად. ყოველ დასმულ შეკითხვაზე, პასუხის ერთ-ერთი ვარიანტი შეარჩიეთ.

1. როგორ მოიქცევით იმ შემთხვევაში, თუკი საპასუხისმგებლო თანამდებობას შემოგთავაზებენ?

ა) ალბათ, უარს ვიტყვი, რადგან დიდ პასუხისმგებლობას ვერ ვიტვირთებ;

ბ) ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ, დავთანხმდები;

გ) ამგვარ წინადადებას დიდი ენთუზიაზმით შევხვდები.

2. რომელი გეომეტრიული ფიგურა უფრო მოგწონთ?

ა) კვადრატი;

ბ) წრე;

გ) სამკუთხედი.

3. თქვენი აზრით, წარმატებული სიტყვის სათქმელად რა უფრო მნიშვნელოვანია?

ა) მოხსენების წინასწარ მომზადება;

ბ) გააზრებული გეგმის შემუშავება;

გ) იმპროვიზაციის უნარი.

4. თქვენი შემოსავლის წყარო:

ა) შემოსავლის ერთი სტაბილური წყარო მაქვს (სტიპენდია, ხელფასი, პენსია და ა.შ.);

ბ) შემოსავლის რამდენიმე წყარო მაქვს;

გ) საკმაოდ მაღალი, მაგრამ არასტაბილური შემოსავალი მაქვს (პროცენტი გაფორმებული კონტრაქტიდან, ჰონორარი და სხვა).

5. ჩამოთვლილთაგან, რომელი აფორიზმი უფრო მოგწონთ?

ა) როცა არ არის ის, რაც გიყვარს, გიწევს გიყვარდეს ის, რაც არის (ტ. კარლაილი);

ბ) წარმატება — შემთხვევითობის შედეგია, რომელიც საკუთარი ნიჭისა და უნარის გამოხატვის შესაძლებლობას გვაძლევს (ლ. ვოვენარგი);

გ) ცხოვრება — უმნიშვნელო გარემოებებიდან მნიშვნელოვანი სარგებლის მიღების ხელოვნება გახლავთ (ს. ბატლერი).

6. რომელი ფერი უფრო მოგწონთ?

ა) ნაცრისფერი;

ბ) ლურჯი;

გ) მწვანე.

7. როგორი დამოკიდებულება გაქვთ სპორტთან?

ა) სრულიად გულგრილი ვარ სპორტის ნებისმიერი სახეობის მიმართ;

ბ) კარგი ფორმის შესანარჩუნებლად, ზოგჯერ ვვარჯიშობ, ზოგიერთ სპორტულ ტელეგადაცემასაც ვუყურებ;

გ) სპორტის ამა თუ იმ სახეობის აქტიური გულშემატკივარი ვარ და სპორტულ თამაშებში მონაწილეობაც ძალიან მიყვარს.

8. მოულოდნელად დიდი მემკვიდრეობა რომ მიგეღოთ ან ლატარიაში დიდძალი თანხა მოგეგოთ, როგორ მოიხმარდით?

ა) თანხის ძირითადად ნაწილს, დიდი ხნის სურვილების ასრულებას მოვახმარდი;

ბ) საიმედო აქტივებში ჩავდებდი, საიდანაც შემოსავალი გარანტირებული მექნებოდა;

გ) საკუთარ ბიზნესს წამოვიწყებდი.

დაავჯამეთ ქულები: პასუხის ყოველ „ა“ ვარიანტში დაიწერეთ 1 ქულა, „ბ“ ვარიანტში — 2 ქულა, „გ“ ვარიანტში — 3 ქულა

ტესტის შედეგები

8-12 ქულა: მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდებით, ცხოვრებაში უფრო დიდი წარმატების მიღწევა გსურთ. მიგაჩნიათ, რომ ხშირ შემთხვევაში, თქვენ ირგვლივ არახელსაყრელი გარემოებები იქმნება ხოლმე. თუმცა, ეს ხდება იმიტომ, რომ თქვენ ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ გარემოებებს, საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებს კი, სათანადოდ არ აფასებთ. დარწმუნებული ხართ, რომ როგორც კი ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნება, თქვენ მისი გამოყენების შანსს ხელიდან არ გაუშვებთ. მაგრამ თქვენი მხრიდან ასეთი პასიური პოზიციის შენარჩუნების შემთხვევაში, შესაძლოა, ხელსაყრელ სიტუაციას ვერც კი ეღირსოთ. ნუ დაგავიწყდებათ: აქტიური ადამიანი საკუთარი მიზნის მისაღწევად საშუალებებს თავადვე პოულობს, ხოლო როცა ვერ პოულობს — ამ საშუალებებს თავადვე ქმნის.

13-20 ქულა: აქტიური და მიზანსწრაფული ადამიანი ბრძანდებით. შექმნილი გარემოებების მიუხედავად, საკუთარი უნარის რეალიზებას თითქმის ყოველთვის ახერხებთ. უფრო დიდი წარმატებების მოპოვება თუ გსურთ, გაითვალისწინეთ: იქნებ, სათანადოდ შეგეფასებინათ თქვენი ნიჭი, უნარი და შესაძლებლობები და უფრო პროდუქტიულად გამოგეყენებინათ ისინი?

21-24 ქულა: თამამად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ მაშენებელი ნატურა ხართ. საოცარი შეუპოვრობით გამოირჩევით და ნებისმიერი სიტუაციიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას ცდილობთ. მარცხის შემთხვევაშიც კი, სულით არასოდეს ეცემით და გზების ძიებას იწყებთ სარევანშოდ. ამგვარი პოზიცია, უდავოდ წარმატებას გიქადით, მაგრამ ერთი რამ გაითვალისწინეთ: საქმისადმი თქვენმა ზედმეტად გადაყოლილმა დამოკიდებულებამ, შეიძლება, თქვენ ახლობლები და ირგვლივ მყოფები გააღიზიანოს.

ცნობილთა ცხოვრებიდან

***



14 წლის მოცარტმა მამასთან ერთად იტალიაში მოგზაურობის დროს, რომში, სიქსტეს კაპელაში მოისმინა იტალიელი კომპოზიტორის — გრეგორი ალეგრის დიდი და რთული, მრავალხმიანი ნაწარმოები, რომელიც მხოლოდ წელიწადში ორჯერ სრულდებოდა. ნოტების გადაწერა აკრძალული იყო, რადგან ნაწარმოები რომის პაპის საკუთრება გახლდათ და არ უნდა გავრცელებულიყო. მოცარტმა ნაწარმოები მხოლოდ ერთხელ მოისმინა და შინ დაბრუნებისთანავე, მეხსიერებაზე დაყრდნობით, სრულიად უშეცდომოდ გადაიტანა ნოტებზე ეს დიდი და რთული მუსიკალური თხზულება.

***

სპარსეთის მბრძანებელი დარიოს საბერძნეთის საზღვარს მიადგა და ყველა ქალაქ-სახელმწიფოს გაუგზავნა ელჩები, უზენაესი ბრძანებით: „ჩამაბარეთ მიწა და წყალი!“

ბევრმა ბერძნულმა ქვეყანამ მართლაც, დაუყოვნებლივ ჩააბარა „მიწა და წყალი“ აზიის მბრძანებელს. სპარტელებმა კი, მისი ელჩები ჭაში ჩაყარეს და ზემოდან ჩასძახეს: „მანდ შეგიძლიათ ორივე მიირთვათ — მიწაც და წყალიც“.

***

ახალგაზრდა იულიუს კეისარმა საგამგებლოდ მიიღო ესპანეთი. როცა კეისარი ალპებზე გადავიდა და ერთ პატარა, უღარიბეს დაბაზე გაიარა, მეგობრებმა სიცილით ჰკითხეს: „ნუთუ, აქაც არის ბრძოლა პირველობისთვის და შური ძლიერთა შორის?!“ კეისარმა დინჯად მიუგო: „მე ვამჯობინებდი, პირველი ვიყო ამათში, ვიდრე მეორე — რომაელებში“.

***

მეგობრები იულიუს კეისარს სთხოვდნენ, პირადი მცველები ჰყოლოდა და ბევრი მათგანი საკუთარ სამსახურსაც სთავაზობდა. კეისარმა უარი თქვა და ეს ამგვარად დაასაბუთა: ჯობს, კაცი ერთხელ მოკვდეს, ვიდრე ნიადაგ სიკვდილის შიშით ცხოვრობდესო. ყველაზე საიმედო და მტკიცე დაცვად ის ხალხის კეთილგანწყობილებას მიიჩნევდა.

***

ერთხელ, აკაკი, სილამაზით განთქმულ ნინო წერეთელთან წვეულებაზე იმყოფებოდა. მასთან ერთად იმყოფებოდა დაღესტნის მაშინდელი მმართველი, ნიკო ჭავჭავაძე, რომელიც მასპინძლის მშვენიერებით აღფრთოვანებას ვერ ფარავდა. აკაკი მიუახლოვდა ნიკოს და მისთვის ჩვეული იუმორით უთხრა:

— ნიკო, ისე უყურებ, რომ ნამდვილად გადაყლაპვას უპირებ, მაგრამ ვერ მოგართვეს!.. დაღესტანი გადაყლაპე, ეს კი ყელზე დაგადგება...

იაპონური სენსაციია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

7	6	4	1	9	2	5	8	3
2	3	1	5	8	7	6	9	4
9	8	5	3	4	6	2	1	7
8	2	3	9	7	5	1	4	6
1	4	9	6	2	8	3	7	5
5	7	6	4	3	1	9	2	8
4	9	8	2	5	3	7	6	1
3	1	2	7	6	4	8	5	9
6	5	7	8	1	9	4	3	2

5	4	3	9	2	8	1	7	6
8	7	6	5	3	1	9	4	2
2	1	9	4	7	6	3	8	5
9	8	2	3	1	5	7	6	4
1	6	5	7	9	4	2	3	8
4	3	7	8	6	2	5	1	9
3	5	8	1	4	9	6	2	7
6	9	1	2	8	7	4	5	3
7	2	4	6	5	3	8	9	1

* მარტივი

		6		3	4		9	2
		7	6			8		
2	4			9		6	7	1
	2			5	9	3	8	6
8		9	3			1	2	
3			1		2	7		9
	7	5	2	1	6	9		8
9		2	8	7			6	5
6		8	9		5	2	1	7

** საშუალო

7			9			4	8	
		3	4	1		7	9	5
	4	5	7	3	8	6	1	
5	3	8		9	2	1		
	9	2	5		7			8
		4	3	8			2	9
4	5	9	2			8	7	
3	6	1			9	2		4
	8			5	4		3	6

ფოტოკუთხეები





ეკლესიის ხმა

ეს გამოგრჩეთ!

№5(40), 10-23 მარტი, 2006

ფასი 80 თეთრი

ალბეჭდილი

მართლმადიდებლური ჟურნალი

ნომრის თემა:
სულთათანა

„ის გვიყურებს
და ალბათ
უკვირს ჩვენი“

გულზე
მიხუტებული
ხატებით მოილოცეს
წმინდა ადგილები

სანთელი შენს
სულში უნდა
აკიაფდეს, ის უნდა
შეგიძლიოს ტაძარში

მეუფე იობი:
ასჯერ რომ
დავგადებულიყავი,
ასჯერვე ამ გზას
ავირჩევდი

ნაბიჯი ჯეშმარიტებისაკენ